კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი
CAUCASUS
INTERNATIONAL
UNIVERSITY

June 14 | TBILISI GEORGIA

The 13th INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

for BA, MA and PhD students

2025

ABSTRACTS
თეზისები

CIU.EDU.GE

ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა

მეცამეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

სარჩევი
CONTENTS

საერთაშორისო ურთიერთობების სექცია SECTION OF INTERNATIONAL RELATIONS	3
საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალური პოლიტიკური პროცესების ქვესექცია SUBSECTION OF INTERNATIONAL RELATIONS AND GLOBAL POLITICAL PROCESSES	3
საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების ქვესექცია SUBSECTION OF INTERNATIONAL AND REGIONAL SECURITY	21
ჟურნალისტიკის სექცია SECTION OF JOURNALISM	41
ინგლისური ენისა და ლიტერატურის სექცია SECTION OF ENGLISH LANGUAGE AND LITERATURE	59
სამართლის სექცია SECTION OF LAW	71
სისხლის სამართლის ქვესექცია SUBSECTION OF CRIMINAL LAW	71
კერძო სამართლის ქვესექცია SUBSECTION OF PRIVATE LAW	89
საჯარო სამართლის ქვესექცია SUBSECTION OF PUBLIC LAW	108
მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ქვესექცია SUBSECTION OF GRADUATE AND DOCTORAL STUDIES	123
მედიცინის სექცია SECTION OF MEDICINE	137
ქვესექცია №1 SUBSECTION №1	137
ქვესექცია №2 SUBSECTION №2	163
ბიზნესისა და ტექნოლოგიების სექცია SECTION OF BUSINESS AND TECHNOLOGY	190
ინფორმაციული ტექნოლოგიების ქვესექცია SUBSECTION OF INFORMATION TECHNOLOGIES	190
ტურიზმის ქვესექცია SUBSECTION OF TOURISM	201
ბიზნესის ადმინისტრირების (ბაკალავრები) ქვესექცია SUBSECTION OF BUSINESS ADMINISTRATION (UNDERGRADUATE PROGRAMS)	215
ბიზნესის ადმინისტრირების (მაგისტრანტები / დოქტორანტები) ქვესექცია SUBSECTION OF BUSINESS ADMINISTRATION (MASTER'S AND DOCTORAL PROGRAMS)	235
მევენახეობა-მეღვინეობის სექცია SECTION OF VITICULTURE AND WINEMAKING	245
მომავალ სტუდენტთა სექცია SECTION OF PROSPECTIVE STUDENTS	262



სექცია
SECTION

საერთაშორისო ურთიერთობები
INTERNATIONAL RELATIONS

ქვესექცია **საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალური პოლიტიკური პროცესები**

SUBSECTION **INTERNATIONAL RELATIONS AND GLOBAL POLITICAL PROCESSES**

მოხსენებათა რაოდენობა:
The Number of Reports: **13**

მომხსენებელთა რაოდენობა:
The Number of Reporters: **19**

თათია მიქავა, მართა ყუფუნია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ქალი პოლიტიკოსები სამხრეთ კავკასიიდან და მათი როლი პოლიტიკურ პროცესებში

სამხრეთ კავკასია ისტორიულად მყიფე რეგიონია, სადაც გენდერული ბალანსი ისევ მთავარ გამოწვევად რჩება. ტრადიციულად, პატრიარქალურ საზოგადოებებში ქალები მზარდ, თუმცა ჯერ კიდევ შეზღუდულ პოლიტიკურ როლს თამაშობენ. თუმცა ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. ეს ნაშრომი განიხილავს სამხრეთ კავკასის ქვეყნების - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს გენდერული პერსპექტივიდან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა წარმომადგენლობას საკანონმდებლო და გენდერულ ხელისუფლებაში და ასევე, რა როლს ასრულებს ამაში გენდერული კვოტები, მათ შორის საიდან იწყება ქალთა გაქტიურება პოლიტიკურ პროცესებში და რა შედეგები მოჰყვება ამ გაქტიურებას. აგრეთვე, განიხილება პოლიტიკაში გენდერული წარმომადგენლობის გაზრდის მნიშვნელობა და მისი გავლენა დემოკრატიულ მმართველობაზე.

მოცემული საკითხის მიზანია გააანალიზოს რამდენად მნიშვნელოვანია ქალთა წარმომადგენლობა არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკა არ იყოს ერთფეროვანი და მორგებული მხოლოდ ერთი სქესის ან ჯგუფის მოთხოვნებს. გარდა ამისა, ამოცანა ის არის, რომ განვსაზღვროთ, ისტორიის მიხედვით, იყო თუ არა ქალთა გავლენები წარსულში უფრო შეზღუდული, თუ დღეს, 21-ე საუკუნეში, მათი როლი უფრო პროგრესულია.

ამ განხილვის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში არ მხოლოდ მათი ინდივიდუალური უფლებების და შესაძლებლობების გაზრდას უწყობს ხელს, არამედ ეს ფაქტორი შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს რეგიონული სტაბილურობისა და დემოკრატიული პროცესების გამყარებისთვის.

Tatia Mikava, Marta Kupunia
Caucasus International University
Undergradaute Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

Women Politicians from the South Caucasus and Their Role in Political Processes

The South Caucasus is a historically fragile region, where gender balance remains a major challenge. In traditionally patriarchal societies, women are playing an increasingly active, yet still limited, political role. However, in recent decades, significant changes have emerged. This study examines the ongoing political transformations in the South Caucasus countries — Georgia, Armenia, and Azerbaijan — from a gender perspective. The particular attention is given to women's representation in legislative and executive power;

as well as the role of gender quotas in this process. It explores where and how women's political engagement begins, what factors drive their increased participation, and what consequences this engagement brings. Additionally, the discussion highlights the importance of increasing gender representation in politics and its impact on democratic governance.

The objective of this study is to analyze the significance of women's political representation not only at the local level, but also in international political processes; ensuring that politics is not one-sided or shaped solely by the needs of one gender or group. Furthermore, it aims to determine whether women's political influence was historically more restricted in the past or if their role has become more progressive in the 21st century.

This discussion leads to the conclusion that women's participation in politics not only promotes their individual rights and opportunities but also plays a crucial role in strengthening regional stability and democratic governance.

ლიზი ცოტნიაშვილი, ნინი ქუმბურიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

პოპულიზმი: დემოკრატიული გამოწვევა თუ პოლიტიკური მანიპულაციის ტექნიკა

პოპულიზმი თანამედროვე პოლიტიკური სისტემის კომპლექსური მოვლენაა, რომელიც ერთდროულად დემოკრატიის პოტენციურ ინსტრუმენტსა და საფრთხეს წარმოადგენს. მისი არსი მდგომარეობს ,,ჩვეულებრივი ხალხის" ინტერესების დაცვის რიტორიკაში, რომელიც ხშირად პოლიტიკური ელიტების კრიტიკასა და მარტივ, რადიკალურ გადაწყვეტილებებზეა აგებული. პოპულისტური მოძრაობები ჩნდება იქ, სადაც არსებობს სოციალური უთანასწორობა, პოლიტიკური გაუცხოება და მოქალაქეების იმედგაცრუება ტრადიციული პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი. ისინი ქმნიან ილუზიას, რომ შესაძლებელია სწრაფი და რადიკალური ცვლილებები, რაც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ პოლიტიკური მანიპულაციის იარაღი ხდება.

პოპულიზმი გავრცელებულია როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პოლიტიკური სპექტრის ფარგლებში, თუმცა მისი ძირითადი მახასიათებელი კვლავ რჩება სიმარტივის პრინციპი და ემოციური მანიპულაცია. დემოკრატიული სისტემებისთვის იგი წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ისე გარკვეულ შესაძლებლობებს, რომლებიც უნდა იყოს კარგად გაანალიზებული.

კვლევის მიზანია, გავიგოთ პოპულიზმის როლი და მისი გავლენა თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებზე, გავაანალიზოთ, როგორ ახდენს პოპულიზმი პოლიტიკური სტაბილურობისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე ზეგავლენას, რა გამოწვევებსა და შესაძლებლობებს წარმოშობს და როგორ შეიძლება იგი გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მანიპულაციის ინსტრუმენტად.

საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, დემოკრატია, პოლიტიკური მანიპულაცია, პოლიტიკური სტაბილურობა.

Lizi Tsotniashvili, Nini Chumburidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

Populism: A Democratic Challenge or a Technique of Political Manipulation

Populism is a complex phenomenon in modern politics, serving both as a potential instrument of democracy and a significant threat to it. Populist movements have emerged from social inequality, political alienation, and people's disillusionment with traditional political institutions. They foster the belief that rapid and radical changes are possible, which often turns out to be merely a tool for political manipulation.

Populism can be found on both the left and right of the ideological spectrum. However, its defining characteristics remain the same—simplicity and emotional manipulation. For democratic systems, it presents both a challenge and an opportunity.

The aim of this study is to understand the role of populism and its impact on modern democratic systems, to analyze how populism influences political stability and the development of democratic processes, to identify the challenges and opportunities it presents, and to explore how it can be used as a tool for political manipulation.

Keywords: Populism, Democracy, Political manipulation, Political stability

გიორგი ქვლივიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ვარლამ ჩერქეზიშვილი და მარქსისტების პოლიტიკური შეხედულებების კრიტიკა

ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი გახლდათ ქარველი რევოლუციონერი, რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის წევრი ანარქისტი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიოს ანარქისტულ წრეებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. გარდა მისი ანტი-იმპერიალისტური საქმიანობისა, ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ის იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გააკრიტიკა მარქსის და მარქსისტების პოლიტიკური იდეოლოგია. იგი, გარდა იმისა, რომ მარქსიზმის ფუძემდებლებს არგუმენტირებულად სდებდა ბრალს პლაგიატში, თავის წერილებში უარყოფდა მათ მიერ გახმოვანებული თეორიებისა და იდეების მართებულობას. მეტიც, იგი მარქსს და ენგელსს მოიხსენიებდა ,,ახალი დიქტატურის იდეოლოგებად". ეს კი მაშინ, როცა მარქსიზმს საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებში დიდი იმედებითა და სიმპათიებით უყურებდნენ. ეს ნაშრომი სწორედ მარქსიზმის ჩერქეზიშვილისეულ კრიტიკას ეთმობა, რომელიც პროგნოზირებდა იმ დამანგრეველ

შედეგებს, რაც ამ იდეოლოგიის თეორიულმა განვითარებამ და შემდგომ პრაქტიკაში განხორციელებამ მოიტანა. ეს ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს, თუნდაც, საზოგადოების მცირე ნაწილს მაინც გააცნოს ეს ქართველი მოაზროვნე და მისი შემოქმედება, რომელსაც, სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ ვიწრო სამეცნიერო წრეებში თუ იცნობენ.

Giorgi Kvlividze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

Varlam Cherkezishvili and Criticism of Marxist Political Views

Varlam Cherkezishvili was a Georgian revolutionary, an anarchist member of the revolutionary movement in Russia and Georgia, who was a rather important figure in the world anarchist circles of the nineteenth century who had great authority. In addition to, his anti-imperialist activities, Varlam Cherkezishvili's biography is notable because he was one of the first to criticize the political ideology of Marx and Marxists. At the same time, the fact that he reasonedly accused the founders of Marxism of plagiarism, in his letters he denied the validity of the theories and ideas voiced by them. Moreover, he referred to Marx and Engels as the “ideologists of the new dictatorship”. This was when Marxism was viewed with great hope and sympathy in society and scientific circles. This work is devoted to Cherkezishvili’s criticism of Marxism, which predicted the devastating consequences that the theoretical development of this ideology and its subsequent implementation in practice would bring. This work also aims to introduce, at least to a small part of society, this Georgian thinker and his work, which, unfortunately, is known today only in narrow scientific circles.

ლუკა უზუნაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ქართველები მესამე რაიხში

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქართველთა ურთიერთობა მესამე რაიხთან კომპლექსური და წინააღმდეგობრივი ხასიათის იყო. ნაწილი ქართველი ემიგრანტებისა გერმანიას დაუკავშირდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედით, მაშინ, როცა საბჭოთა არმიაში ტყვედ ჩავარდნილი ქართველები გერმანულ სამხედრო ფორმირებებში აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა,

რომ გარკვეული ქართული სამხედრო და პოლიტიკური ჯგუფები ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობდნენ, მათი სტრატეგიული მიზნები არ ემთხვეოდა რაიხის გრძელვადიან გეგმებს — მესამე რაიხი კავკასიას განიხილავდა, როგორც სამომავლო კოლონიას, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ინტერესები მას პრაქტიკულად არ აინტერესებდა.

ომის დასრულების შემდეგ, ქართველ კოლაბორაციონისტთა უმრავლესობა მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდა: ნაწილი იძულებული გახდა ემიგრაციაში დარჩენილიყო, ხოლო ნაწილი დაბრუნების შემდეგ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ეს მრავალმხრივი და მტკივნეული ისტორიული ფენომენი დღემდე იწვევს დისკუსიებს ქართულ აკადემიურ და საზოგადოებრივ წრეებში და საჭიროებს სიღრმისეულ, ობიექტურ შეფასებას.

Luka Uzunashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

Georgians in The Third Reich

During World War II, the relationship between Georgians and the Third Reich was complex and contradictory. Some Georgians aligned themselves with Germany in the hope of restoring Georgia's independence, while others—Georgians captured as soldiers in the Soviet army—ended up in German military units. Although certain Georgian military and political groups cooperated with Nazi Germany, their strategic goals did not align with those of the Reich. Nazi Germany viewed the Caucasus as a future colony and showed little interest in the national aspirations of the local population.

After the war, most Georgian collaborators faced a harsh reality: some were forced to remain in exile under difficult conditions, while others who returned to the Soviet Union became victims of political repression. This multifaceted and painful historical phenomenon continues to provoke discussion in Georgian academic and public spheres and calls for in-depth, objective analysis.

ანა ხაჭაპურიძე, მარიამ გრძელიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რელიგიის ფაქტორი სახელმწიფოთა პოლიტიკურ პროცესებში

რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში, ასევე დემოკრატიული გარემოს ჩამოყალიბებისა და საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარების საშუალებას იძლევა. თანამედროვე ეპოქაში მიაჩნდათ, რომ რელიგია

აღარ იქნებოდა აქტულური და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაკარგავდა თავის მნიშვნელობას, რომ სარწმუნოება არ იქნებოდა ადამიანთა ერთობის (პოლიტიკურ თუ სოციალურ დონეზე) მთავარი მამოძრავებელი ძალა. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარების ვერცერთ დონეზე, თვით ტოტალური რეჟიმის არსებობის პირობებშიც კი ვერ განდევნეს რელიგია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნები ჩვეულებრივ აღიარებულია, როგორც სეკულარული. ეს განპირობებულია რელიგიის თითქმის სრული თავისუფლებით (რელიგიის რწმენა, ზოგადად, არ ექვემდებარება იურიდიულ და სოციალურ სანქციებს) და რელიგიური ლიდერების გავლენის არარსებობით პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

იმის გაცნობიერება, რომ რელიგია არის სრულფასოვანი ფაქტორი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე, ხელს უშლის ინტელექტუალების „სეკულარულ მიკერძოებულობას“, ანუ მათ, ვინც მოწოდებულია გაიაზროს თანამედროვე სამყაროს ძირითადი გარდაქმნები. თანამედროვე პოლიტიკის თავისებურებები სხვადასხვა ქვეყანაში ცხადყოფს, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს შორის ურთიერთობა აგებულია თანასწორობის პრინციპებზე, აქედან მთავარი-სახელმწიფოს ფუნქციაა სინდისის თავისუფლების საკითხების საკანონმდებლო რეგულირება, აგრეთვე პიროვნების უფლების უზრუნველყოფა კონკრეტული რელიგიის აღმსარებლობისათვის, მეორე მხრივ, სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს შორის სოციალურ-კულტურული ურთიერთობზე.

Ana Khachapuridze, Mariam Grdzelishvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Ketevan Shoshiashvili
Doctor, Associate Professor

The Role of Religion in the Political Processes of States

Religion plays a significant role in a country's political, economic, and cultural development. It also contributes to the formation of a democratic environment and the advancement of political organization within society. In the modern era, it was widely believed that religion would lose its relevance and cease to be a driving force in public life, no longer serving as a unifying power for people—whether politically or socially. However, it is important to note that at no stage of societal development—not even under totalitarian regimes—has religion been entirely eliminated from public life. Modern democratic states are generally recognized as secular. This is due to the near-complete freedom of religion (as religious belief is typically not subject to legal or social sanctions) and the absence of direct influence by religious leaders on political decision-making.

Yet, the recognition of religion as a legitimate and influential factor in political processes is often hindered by the "secular bias" of intellectuals—those expected to understand the fundamental transformations of the modern world. The unique features of contemporary politics in various countries reveal that, on the one hand, the relationship between the state and religious communities is often based on principles of equality. In this context, the primary role of the state is to regulate matters of freedom of conscience through legislation and to guarantee individuals the right to practice a specific religion. On the other hand, there also exists a social and cultural relationship between the state and religious communities.

რევაზ ჯავახაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

პლატონიზმი - ადამიანი და სახელმწიფო

საუკუნეების განმავლობაში მრავალი ფილოსოფოსის, განმანათლებლის, პოლიტიკური მოაზროვნის და სხვა დარგის სპეციალისტის განხილვის მთავარ ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ბუნების, მის ქცევაზე მოქმედი ფაქტორების და გარემოებების კვლევა. სწორედ, იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანი და სახელმწიფო ურთიერთდაკავშირებულები არიან და მათი განხილვა ერთი მეორის გარეშე შეუძლებელია, რადგან სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია საზოგადოების წევრების გარეშე, რომელთათვისაც იგი იქმნება. სახელმწიფოს როლისა და ფაქტორის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დებატები საუკუნეების მანძილზე მუდვივად იყო და არის განსჯის საგანი.

ფილოსოფოსთა და პოლიტიკურ მოაზროვნეთა უნიკალური დაკვირვებები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ადამიანი და მისი როლი ცივილიზაციათა გრადაციებში, ადამიანი და წმინდა თავისუფლების ცნება, სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა და ა.შ. უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს კაცობრიობისათვის. ნაშრომში განხილულია პლატონის ფილოსოფიური ხედვები სახელმწიფოსთან, მმართველობის საუკეთესო ფომებთან, დამიანის, კონფლიქტის ბუნებასა და საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებს შორის. მისი ფილოსოსიური ნარკვებები და ხედვები დღემდე ინარჩუნებს მყარ ფუნდამენტურ ღირებულებათა ტიპობრივ სახეს.

ანტიკურ საბერძნეთში მეცნიერთა და ფილოსოფოსთა სრულიად უნიკალურმა მიღწევებმა და დაკვირვებებმა ახალი სიტყვა თქვა მსოფლიო ისტორიაში და ადგილი დაიმკვიდრა იმ მარად აქტუალურ სივრცეში, რომლის გარღვევაც და რომლისგან თავის არიდებაც, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდა ახალ-ახალი გლობალური ცვლილებების ფონზეც კი. კვლევა მოიცავს პლატონის ძირითადი ფილოსოფიური ხედვებისა და ნაშრომების გაგება-გააზრებას, რომელიც მისივე წერილობით წყაროებს ეყრდნობა.

საკვანძო სიტყვები: პლატონიზმი და სახელმწიფო, ფილოსოფია, იდეოლოგია, საზოგადოება.

Revaz Javakhadze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Alika Guchua
Doctor, Associate Professor

Platonism - Man and the State

For centuries, the nature of the human being, the factors influencing their behavior, and the surrounding circumstances have been central topics of study for many philosophers, thinkers, political theorists, and experts in other fields. This focus is understandable, as the individual and the state are deeply interconnected and cannot be analyzed independently.

The existence of the state is impossible without the members of society for whom it is established. The role and influence of the state in public life have been the subject of ongoing debate for centuries. Existing

internal and external political structures of the state and their development are historically based on a broad foundation of universal experiences and accumulated ideas. The unique observations of philosophers and political thinkers on questions such as the individual's role in the gradation of civilizations, the concept of pure freedom, and the responsibilities of the state represent a significant intellectual achievement for humanity. This paper explores Plato's philosophical views on the state, the best forms of governance, the nature of the individual, conflict, and widely accepted perspectives. His philosophical reflections and concepts continue to maintain their structural relevance and foundational value even today.

The groundbreaking contributions and observations of scientists and philosophers in Ancient Greece left a profound mark on world history and continue to resonate in the ever-relevant space of intellectual thought—one that remains impossible to ignore, even in the face of ongoing global transformations. The research involves understanding and interpreting Plato's core philosophical concepts and works, relying on his original written sources.

Keywords: Platonism and the State, Philosophy, Ideology, Society

ნუნუ მუხაშავრია, მარიამ რიკაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა გოგოლაძე
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების არსი: ეკონომიკური განვითარების გზა დიდი ბრიტანეთის მაგალითზე

სახელმწიფოები, განვითარების დონის მიხედვით, იყოფა სხვადასხვა ჯგუფად, რასაც გააჩნია ზოგადი ეკონომიკური და პოლიტიკური მსაზღვრელები. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ჩრდილოეთი და სამხრეთი, ან ცენტრი და პერიფერია, მაგრამ როგორც არ უნდა ვუწოდოთ, სახელმწიფოების კონკრეტულ ჯგუფებს ერთი კონკრეტული მახასიათებელი განასხვავებთ - ეკონომიკური მდგომარეობა. რატომ ვითარდება ზოგიერთი ერი, ზოგი კი ისევ სიღარიბეში რჩება? ეს კითხვა დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ერთმანეთს უპირისპირდება ძველი და ახალი კვლევები, აქედან გამომდინარე, სამეცნიერო მკვლევართა შორის საკამათო საკითხია და აქტუალურობას არ კარგავს.

საინტერესოა, რა განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკურ წინსვლას, ტრადიციული პოსტულატები თუ სხვა რამ? აღნიშნული საკითხის პრაქტიკულ დონეზე გასააზრებლად საუკეთესო მაგალითია დიდი ბრიტანეთი, რომელმაც ჯერ კიდევ მე-13 საუკუნიდან გამოავლინა დემოკრატიულ პროცესებზე ფოკუსირება. ნაშრომი არის სამაგიდო კვლევა და მასში წარმოდგენილი იქნება დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების საფეხურები. სახელოვანი რევოლუციის შემდეგ საპარლამენტო ძალაუფლების აღზევებამ შეზღუდა აბსოლუტიზმი და უზრუნველყო საკუთრების უფლებების დაცვა, ასევე, შექმნა ინოვაციის პირობები ინდუსტრიალიზაციისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს ინსტიტუციური ცვლილებები მკვეთრად ეწინააღმდეგება იმ ტრადიციულ მოდელებს, რომლებიც დღეს ბევრ განვითარებად ქვეყანაშია. ნაშრომის მიზანია ბრიტანეთის ისტორიული გზის შესწავლითა და ინსტიტუციური განვითარების უფრო ფართო გააზრებით დაადგინოს ძირითადი ფაქტორები, რომლებიც საშუალებას აძლევს ერებს თავი დააღწიონ სიღარიბეს და მიაღწიონ მდგრად ზრდას კეთილდღეობისთვის.

Nunu Mukhashavria, Mariam Rikadze
Ilia State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Ana Gogoladze
Master, Visiting Lecturer

The Essence of Economic and Political Institutions: The path of Economic Development Based on the Example of United Kingdom

States are divided into different groups based on their level of development, which have general economic and political determinants. We know that there is a North and a South or a Center and a Periphery, but whatever we call it, one specific characteristic distinguishes specific groups of states-economic condition. Why do some nations grow and prosper while others remain in poverty? This question is still debated today. Old and new research offer different explanations, and it remains a controversial topic among scholars.

It is important to ask: what truly drives a country's economic progress — traditional factors, or something else? To understand this question in a practical way, the United Kingdom is a strong example. As early as the 13th century, it began showing signs of focusing on democratic processes. This paper is a desk study and presents the stages of the UK's economic development. After the Glorious Revolution, the rise of parliamentary power limited absolutism and protected property rights, creating the conditions needed for innovation and industrialization. These institutional changes sharply contrast with the traditional models that still exist in many developing countries today. The goal of this paper is to examine the UK's historical path and, through a deeper understanding of institutional development, identify the main factors that help nations escape poverty and achieve sustainable growth and prosperity.

ბესიკ თავართქილაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ანაკლიის პორტის ზეგავლენა საქართველოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე

ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი აქვს დაკავებული ქვეყნის შიდა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს. ქვეყნები, რომლებსაც აქვთ საზღვაო პორტები, იღებენ უფრო დიდ სავაჭრო ნაკადებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პორტები ხელს უწყობს ქვეყნებში სხვადასხვა ინდუსტრიების განვითარებას, რაც ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ზრდის ეკონომიკურ აქტივობას.

თუ ჩინეთი შეძლებს შუა დერეფანი სრული დატვირთვით აამუშაოს, მაშინ ევროპამდე ტვირთის გადასაზიდად ჩრდილოეთისა და სამხრეთის დერეფნებზე უფრო უსაფრთხო მარშრუტს იპოვის. ამით ქვეყანა ამცირებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის მიერ

კონტროლირებად სავაჭრო გზებზე დამოკიდებულებას, სწორედ ამიტომ გახდა ანაკლიის პორტის აშენება გეოპოლიტიკური მნიშვნელობისა. რეალურად ჩიხიდან გამოსვლა იქნება ის, რომ დიპლომატიურ და სადაზვერვო კუთხით მოლაპარაკების საფუძველზე, სახელმწიფოებმა მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას, რომ ამ პროექტიდან მათ მიიღონ მნიშვნელოვანი სარგებელი. შუა დერეფანი, რომელიც აზიას ევროპასთან აკავშირებს შავი ზღვის გავლით, საქართველოსთვის მრავალი სარგებლის მომტანია. ეს დერეფანი ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: სადაზვერვო საქმიანობა, შუა დერეფანი, ეკონომიკური უსაფრთხოება, საზღვაო პორტები, ჩინეთი, რუსეთის ფედერაცია, ამერიკის შეერთებული შტატები.

Besik Tavartkiladze
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Davit Kukhalashvili
Doctor, Associate Professor

The Impact of Anaklia Port on Georgia's Political Stability

A special role in ensuring the political security of any state is played by the country's internal and external economic relations, which are an important guarantee of socio-economic and political stabilization. Countries that have seaports receive larger trade flows, both domestically and internationally. Ports contribute to the development of various industries in countries, which creates additional jobs and increases economic activity.

If China is able to fully operate the Middle Corridor, then it will find a safer route for transporting cargo to Europe than the Northern and Southern Corridors. This reduces the country's dependence on trade routes controlled by the United States and the Russian Federation, which is why the construction of the Anakli port has become of geopolitical importance. In reality, the way out of the impasse will be for the states to reach an agreement on the basis of diplomatic and intelligence negotiations, so that they can receive significant benefits from this project. The Middle Corridor, which connects Asia with Europe via the Black Sea, brings many benefits to Georgia. This corridor contributes to the growth of Georgia's economic and political importance in the region.

Keywords: intelligence activities, Middle Corridor, economic security, seaports, China, Russian Federation, United States.

ლადო გოგოლაძე, გიორგი ჩხაიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო მეტრეველი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

საქართველოს მდგრადი ენერგიის მომავალი საერთაშორისო თანამშრომლობის გზით

IRENA-სა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივი ანგარიში ცალსახად უსვამს ხაზს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ფუნდამენტური გარდაქმნის გადაუდებელ აუცილებლობას, რაც საერთაშორისო მასშტაბით უაღრესად მნიშვნელოვანია. განახლებადი ენერგიის მზარდი პოტენციალის ეფექტური ათვისება, პირველ რიგში კი ქარისა და მზის ენერგიის ინტეგრირება ქვეყნის ენერგოსისტემაში, მნიშვნელოვნად შეამცირებს საქართველოს კრიტიკულ დამოკიდებულებას იმპორტირებულ ფოსილურ საწვავზე და არსებითად გააძლიერებს მის ენერგოუსაფრთხოებას.

აღსანიშნავია, რომ ეს სტრატეგიული ნაბიჯები არა მხოლოდ შიდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მდგრად მიზნებს ემსახურება, არამედ საქართველოს აქცევს რეგიონულ ენერგეტიკულ ჰაბად, რაც თავის მხრივ, გააღრმავებს მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს გლობალურ პარტნიორებთან. საქართველოს ენერგეტიკული გარდაქმნის პროცესი სრულ თანხვედრაშია პარიზის კლიმატის შეთანხმებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG), რაც ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსა და ვალდებულებებს განამტკიცებს. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო თანამშრომლობას, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ისე მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერსა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. სწორედ საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობა უწყობს ხელს საქართველოს უფრო ღრმა ინტეგრაციას გლობალურ ენერგეტიკულ პროცესებში. ენერგიის წყაროების დივერსიფიკაცია და სამართლიანი ენერგეტიკული გარდაქმნა ქმნის მყარ საფუძველს ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობისა და საერთაშორისო ასპარეზზე მისი პოზიციის შემდგომი გაძლიერებისთვის.

Lado Gogoladze, Giorgi Chkhaidze
David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Sophiko Metreveli
Doctor, Asistant Professor

Georgia's Sustainable Energy Future for International Cooperation

The report prepared by IRENA and the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia highlights the necessity and international significance of transforming Georgia's energy sector. The utilization of renewable energy sources—wind and solar—reduces the country's dependence on fossil fuels and enhances energy security.

These steps not only serve domestic development goals, but also strengthen Georgia's role as a regional hub and deepen its connections with global partners. The energy transition aligns with the Paris Agreement and

the Sustainable Development Goals (SDGs), while international cooperation—including access to finance and technology transfer—supports Georgia's integration into global energy processes. Diversification and a just transition lay the foundation for the country's long-term stability and the strengthening of its international standing.

სანდრო გვიანიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საინფორმაციო ომის ფაქტორი შეიარაღებული კონფლიქტის დროს

თანამედროვე მსოფლიოში კაცობრიობის წინაშე მრავალი საფრთხე და გამოწვევა დგას, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია საინფორმაციო ომი, რომელიც სულ უფრო ვითარდება და მისი საშუალებით ხორციელდება საზოგადოებრივი აზრის ფორმულირება თუ მანიპულირება.

ნაშრომის მიზანია საინფორმაციო ომისგან მომდინარე საფრთხეების განხილვა და ანალიზი, ასევე იმ მეთოდების კვლევა, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნულ პროცესში. საინფორმაციო ომის მიზანია მოწინააღდეგეზე უპირატესობის მოპოვება, საინფორმაციო საშუალებებზე, ზეგავლენის მოხდენის გზით, აქვე მნიშვნელოვანია საკუთარი საინფორმაციო სისტემის დაცვის უზრუნველყოფა მოწინააღმდეგისაგან მომდინარე საფრთხეების ფონზე. საინფორმაციო ომის მეთოდები ყოველდღიურად იხვეწება და ხდება მისი ტრანსფორმაცია ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში.

მსოფლიოს არაერთი რთული ომი თუ კონფლიქტი გამოუვლია, რომლებიც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება სხვადასხვა რეგიონში. რამაც სავალალო შედეგებიც მოუტანა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, თუმცა, განსხვავებით XX და XXI საუკუნისა, მანამდე ინფორმაციის გავრცელება საკმაოდ რთულად და ვიწრო გარემოში ხდებოდა, განსხვავებით თანამედროვე პერიოდისა, როდესაც მედიისა და ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელია მკაფიოდ და ღიად ინფორმაციის მიწოდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. კონფლიქტის თუ საომარი მოქმედებების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორი, ობიექტური ინფორმაციის ცოდნას, რადგან ამაზეა დამოკიდებული ხალხის მობილიზება და შეკვრა, ან - პირიქით, შესაბამისად, ეს პროცესი დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან.

ნაშრომში განხილულია საინფორმაციო ომის ფაქტორი პოლიტიკური კონფლიქტის დროს, მოსახლეობაში აზრის ფორმირების პროცესში და მანიპულაციისას.

საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, საინფორმაციო ომი, პროპაგანდა, კონფლიქტი, უსაფრთხოება.

Sandro Gvianishvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Alika Guchua
Doctor, Associate Professor

The Information Warfare Dactor during Armed Conflict

In the modern world, humanity faces many threats and challenges, the most widespread of which is the information war. This war is constantly evolving, and through it, the formulation or manipulation of public opinion is carried out.

The aim of the paper is to discuss and analyze the threats stemming from information warfare, as well as to research the methods used in this process. The goal of information warfare is to gain an advantage over the opponent by influencing information channels. It is also important to ensure the protection of one's own information system against threats originating from the adversary. The methods of information warfare are refined daily, and it is undergoing a transformation in the era of digital technologies.

The world has gone through many difficult wars and conflicts, which unfortunately continue today in various regions. This has brought devastating consequences to many countries around the world. However, unlike the 20th and 21st centuries, the dissemination of information before was quite difficult and limited, in contrast to the modern period when media and digital technologies allow for clear and open delivery of information to any point in the world. During conflict or hostilities, knowing correct, objective information is of paramount importance, as the mobilization and unity of the people depend on it, or vice versa. Accordingly, this process is associated with great difficulties.

The paper discusses the factor of information warfare during political conflict, in the process of forming public opinion among the population, and during manipulation.

Keywords: disinformation, information war, propaganda, conflict, security.

მარიამ ხაზალია, ნინო ხატისაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სანდრო ტაბატაძე
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

პარტიული ევროსკეპტიციზმი ცენტრალურ ევროპაში: SPD-სა და konfederacja-ის შედარებითი ანალიზი

ამჟამად მსოფლიოში ევროსკეპტიციზმი უფრო და უფრო დემარგინალიზებული ხდება, რაზეც მიუთითებს ისიც, რომ 2024 წლის ევროპარლამენტში ECR-ის წარმომადგენლობა 69-დან 83 მანდატამდე გაიზარდა. ამასთანავე, 2024 წელს ტრამპის ხელმეორედ არჩევამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს ტენდენცია (Frace24, 2025). რაც შეეხება, ვიშეგრადის ბლოკის ქვეყნებს, პარტიული ევროსკეპტიციზმი აქ პოსტკომუნისტური ისტორიული გამოცდილებების, ეკონომიკური და

სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების შედეგია (Laabs, 2024). მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ევროკავშირს ემხრობა, ევროსკეპტიკურმა პარტიებმა ამომრჩევლები ევროკავშირის პოლიტიკის წინააღმდეგ მოაბილიზეს. ამ ტენდენციის კარგი გამოხატულებაა პოლონეთის ,,კონფედერაცია'' და ჩეხური ,,SPD'' (Dmytrento, 2024).

ნაშრომის მიზანია, ვიკვლიოთ თუ რა ტიპის ევროსკეპტიციზმს ავლენენ ზემოთ ხსენებული პარტიები. შესაბამისად, კვლევის ამოცანაა შევისწავლოთ ამავე პარტიების ლიდერების განცხადებები და რელევანტური ლიტერატურა, ხოლო, რაც შეეხება კვლევის კითხვებს, ისინი შემდეგნაირად ყალიბდება: რა ფაქტორებზე დაყრდნობით მიიჩნევიან ეს პარტიები ევროსკეპტიკურებად? რა მექანიზმებს იყენებენ ისინი ევროსკეპტიკური ნარატივის გასავრცელებლად? კვლევის მეთოდოლოგიად კი შეირჩა კონტენტ-ანალიზი. კერძოდ, გავაანალიზებთ 2024 წლის იანვრიდან 2025 წლის იანვრის ჩათვლით პლატფორმა X-სა და Facebook-ზე განთავსებულ პარტიებისა და მათთან აფილირებული პირების პოლიტიკურ განცხადებებს.

Mariam Khazalia, Nino Khatisashvili
Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Sandro Tabatadze
Doctor, Assistant Professor

Party-based Euroscepticism in Central Europe: SPD and Konfederacja Comparative Analysis

Euroscepticism is increasingly becoming demarginalized on a global scale, as evidenced by the European Conservatives and Reformists (ECR) group increasing its representation in the 2024 European Parliament from 69 to 83 seats. Moreover, Donald Trump's re-election in 2024 has further reinforced this trend (France24, 2025). In the case of the Visegrad bloc countries, party-based Euroscepticism can be attributed to post-communist historical legacies, as well as to economic and socio-political transformations (Laabs, 2024). Despite the fact that public opinion in these countries generally remains pro-EU, Eurosceptic parties have succeeded in mobilizing segments of the electorate against EU policies. Poland's "Confederation" and the Czech "Freedom and Direct Democracy" (SPD) party serve as clear examples of this tendency (Dmytrenko, 2024).

The aim of this paper is to explore the type of Euroscepticism advocated by the aforementioned parties. Accordingly, the research task is to examine the statements of party leaders alongside relevant academic literature. The guiding research questions are as follows: What factors contribute to the classification of these parties as Eurosceptic? What mechanisms do they employ to disseminate Eurosceptic narratives? Content analysis has been selected as the methodological approach. Specifically, the study will analyze political statements made by the parties and their affiliated individuals, as posted on Platform X and Facebook between January 2024 and January 2025.

მარიამ დარასელია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ნიკო ნიკოლაძე და პირველი რესპუბლიკა

ნიკო ნიკოლაძე (1843-1928), როგორც თერგდალეულთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის პერიოდში აყალიბებდა პროგრესულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ იდეებს, რომლებიც შემდგომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა.

პირველი რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921) მის ფორმირებასა და განვითარებაზე, პოლიტიკურ პროცესებზე, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე უშუალოდ არ მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში, იდეები და კონცეფციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შეხედულებები ეკონომიკის მოდერნიზაციის, ინდუსტრილიზაციისა და ტრანსპორტის განვითარების საკითხებში. ნიკოლაძე აქტიურად უჭერდა მხარს ფოთის პორტისა და რკინიგზის განვითარებას, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორი იყო. მისი ფედერალისტური შეხედულებები ხშირად ეწინაღმდეგებოდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკას. მიუხედავად უთანხმოებისა, განათლების განვითარების პრინციპებისა, მისი იდეები პირველ რესპუბლიკაში ნაწილობრივ მაინც განხორციელდა. მისი რეფორმატორული ხედვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოების შემდგომი განვითარებისთვის. ნიკოლაძის იდეები არა მხოლოდ მისი დროის საქართველოსთვის იყო აქტუალური, არამედ მან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართული დემოკრატიისა და ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას. მისი მემკვიდრეობა დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აზროვნებაში.

Mariam Daraselia
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

Niko Nikoladze and the First Republic

Niko Nikoladze (1843-1928), as one of the prominent representatives of the Tergdale generation, was still forming progressive political and economic ideas during the Russian Empire, which later became one of the foundations of the state structure of Georgia.

During the formation and development of the First Republic (1918-1921), despite the fact that Nikoladze did not directly participate in the governance of the country, his ideas and concepts had a significant impact on political processes. His views on the modernization of the economy, industrialization, and transport development are especially noteworthy. Nikoladze actively supported the development of the Poti port and railway, which was an important economic factor for Georgia. His federalist views often contradicted the

policies of the Social Democratic government. Despite disagreements, the development of education his ideas were at least partially implemented in the First Republic. His reformist visions proved to be particularly important for the further development of Georgian states. Nikoladze's ideas were not only relevant for the Georgia of his time, but also laid the foundation for the formation of modern Georgian democracy and the economic system. His legacy still plays an important role in Georgian political and public thinking today.

თადეოს ღონღაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

საქართველოს კულტურული დიპლომატია: ქვევრი - უძველესი ეროვნული მეღვინეობის სიმბოლო და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში

ქვევრი, საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის განუყოფელი ნაწილი, წარმოადგენს არა მხოლოდ ღვინის დასაყენებელ ჭურჭელს, არამედ ქართული კულტურული დიპლომატიის მძლავრ ინსტრუმენტს. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს, რომ ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიცია საქართველოში 8000 წელზე მეტს ითვლის, რაც ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე "ღვინის აკვნის" უნიკალურ სტატუსს ანიჭებს.

2013 წელს იუნესკოს მიერ ქვევრის მეღვინეობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა გახდა საქართველოს რბილი ძალის მნიშვნელოვანი გამარჯვება. ეს აღიარება საქართველოს აძლევს საშუალებას, გააძლიეროს თავისი პოზიციები საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მეშვეობით.

დღეს, როდესაც საქართველო ესწრაფვის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ქვევრის ღვინო გახდა ქვეყნის დასავლური ორიენტაციისა და ამავდროულად უძველესი ევროპული ცივილიზაციის ნაწილად იდენტიფიცირების სიმბოლო. ქართული ღვინის დიპლომატია, განსაკუთრებით ქვევრის ღვინის პოპულარიზაცია, წარმოადგენს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას და ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას.

ქვევრის მეღვინეობის აღორძინება საქართველოში წარმოადგენს მდგრადი განვითარების პოლიტიკის ნაწილს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ზრდას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას. ეს მიდგომა რეზონირებს გლობალურ პოლიტიკურ დღის წესრიგთან და საქართველოს პოზიციონირებს პასუხისმგებლიან საერთაშორისო აქტორად, რომელიც თანამედროვე გამოწვევებს უძველესი მემკვიდრეობის პატივისცემით პასუხობს.

Tadeos Gongadze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

Cultural Diplomacy of Georgia: Qvevri – An Ancient Symbol of National Viticulture and Its Significance in International Relations

The qvevri, an integral component of Georgia's traditional winemaking heritage, constitutes not merely a vessel for wine fermentation but also serves as a potent instrument of Georgian cultural diplomacy. Archaeological excavations substantiate that the tradition of qvevri winemaking in Georgia extends beyond 8,000 years, conferring upon the nation a unique status as the "cradle of wine" in the international arena.

The 2013 inscription of qvevri winemaking on UNESCO's List of Intangible Cultural Heritage represented a significant soft power achievement for Georgia. This international recognition enables Georgia to strengthen its position in the global political landscape through the preservation and promotion of its cultural heritage.

In the contemporary context, as Georgia aspires toward Euro-Atlantic integration, qvevri wine has emerged as a symbol of the country's Western orientation while simultaneously affirming its identity as part of ancient European civilization. Georgian wine diplomacy, particularly the promotion of qvevri wine, constitutes a significant component of Georgia's foreign policy framework, enhancing national visibility and facilitating the consolidation of economic ties.

The revitalization of qvevri winemaking in Georgia represents an element of sustainable development policy that integrates economic growth, cultural heritage preservation, and ecological responsibility. This approach resonates with the global political agenda and positions Georgia as a responsible international actor that addresses contemporary challenges while maintaining profound respect for its ancient heritage.



სექცია
SECTION

საერთაშორისო ურთიერთობები
INTERNATIONAL RELATIONS

ქვესექცია **საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოება**

SUBSECTION **INTERNATIONAL AND REGIONAL SECURITY**

მოხსენებათა რაოდენობა: **15**
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: **23**
The Number of Reporters:

ლევან კალატოზიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ბერაია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

კიბერტერორიზმი და AI: საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი პარადიგმა

თანამედროვე მსოფლიო უნიკალური და დინამიური გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც ინფორმაციული ტექნოლოგიების ციფრულმა ტრანსფორმაციამ წარმოშვა. მსოფლიოში საერთაშორისო უსაფრთხოება, დიდ წილად, დამოკიდებულია ტექნოლოგიურ პროგრესზე, განსაკუთრებით კი, ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებაზე. AI-ის ინტეგრაცია კიბერუსაფრთხოების სფეროში ქმნის როგორც ახალ შესაძლებლობებს, ისე ახალ საფრთხეებს, რომლებსაც სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები სათანადოდ უნდა დახვდნენ. ტერორისტული ჯგუფები იყენებენ AI-ს კიბერშეტევების დაგეგმვისა და მონაცემთა მანიპულაციისთვის, რაც მრავალ ქვეყანას უქმნის უსაფრთხოების პრობლემებს. ამის გარდა, ხელოვნური ინტელექტის საერთაშორისო ურთიერთობებში გამოყენება ახალ შესაძლებლობებს იძლევა. ქვეყნები იყენებენ AI-ს როგორც თავდაცვის, ისე დიპლომატიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.

ციფრული დიპლომატია და კიბერდიპლომატია ახალი მიდგომებია, რომლებიც უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გამყარებას ემსახურებიან. ამგვარად, კიბერტერორიზმის საფრთხეები და AI უსაზღვრო შესაძლებლობები ერთმანეთს ავსებენ, ქმნიან ახალ რისკებს, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებენ. ამისათვის კი აუცილებელია სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობა, რათა ეფექტურად უპასუხონ ამ საფრთხეებს და შემქნან უსაფრთხო მომავალი.

Levan Kalatozishvili
Caucasus International University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Eka Beraia
Doctor, Associate Professor

Cyberterrorism and AI: A New Paradigm of International Security

The modern world faces unique and dynamic challenges driven by the digital transformation of information technologies. International security is increasingly dependent on technological progress, particularly on the use of Artificial Intelligence (AI). The integration of AI into cybersecurity presents both new opportunities and emerging threats, which states and international organizations must adequately address. Terrorist groups leverage AI to plan cyberattacks and manipulate data, posing security risks to multiple countries. Moreover, the application of AI in international relations offers new possibilities. Nations utilize AI not only for defense but also to strengthen diplomacy and international cooperation.

Digital diplomacy and cyber diplomacy are emerging approaches aimed at reinforcing security policies and fostering global collaboration. Thus, the threats posed by cyberterrorism and the limitless potential of AI complement each other, creating new risks that challenge international security. To effectively respond to these threats and ensure a secure future, active cooperation among states and international organizations is essential.

გურამ ლილუაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესი და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა

გლობალურ ძალთა ბალანსის ცვლილება და საერთაშორისო სისტემის მულტიპოლარული ბუნება ახალ გამოწვევებს უქმნის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას. საქართველო, როგორც გეოსტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყანა, წარმოადგენს რეგიონული და გლობალური მოთამაშეების ინტერესების გადაკვეთის სივრცეს, რაც გავლენას ახდენს მის ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოების სტრატეგიებზე.

აღნიშნული კვლევა განიხილავს რეგიონალური და გლონალური მოთამაშეების ინტერესებს საქართველოსადმი და მისი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ტრანსფორმაციის პროცესს, რომელიც გამოიხატება ეროვნული ინტერესების ფორმირების დინამიკით თანამედროვე მულტიპოლარულ გარემოში.

ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბება და მისი განხორციელება მოითხოვს გრძელვადიანი უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც ემყარება პოლიტიკურ სტაბილურობას, სამხედრო თავდაცვითუნარიანობას, ეკონომიკურ მდგრადობასა და კიბერუსაფრთხოების გაძლიერებას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დინამიკა მულტიპოლარულ გარემოში საჭიროებს მოქნილ და ადაპტირებად სტრატეგიას. ქვეყნის მთავარ პრიორიტეტებად უნდა დარჩეს დასავლური ინტეგრაციის გაღრმავება, რეგიონული პარტნიორობის გაძლიერება, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კიბერუსაფრთხოების გაძლიერება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იქნება როგორც შიდა პოლიტიკის სტაბილურობა, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში დაბალანსებული პოლიტიკის გატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას გრძელვადიანი სტაბილურობა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყელიბების და მის შემდგომ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: ახალი მსოფლიო წესრიგი, ეროვნული ინტერესები, უსაფრთხოება, საქართველო, გლობალური აქტორები.

Guram Liluashvili
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Alika Guchua
Doctor, Associate Professor

The Process of Establishing a New World Order and Georgia's National Security Policy

The changing global balance of power and the multipolar nature of the international system pose new challenges to Georgia's national security policy. Georgia, as a country with a geostrategic location, is a space where the interests of regional and global players intersect, which affects its national interests and security strategies.

This study examines the interests of regional and global players in Georgia and the process of transformation of its national security policy, which is reflected in the dynamics of the formation of national interests in a modern multipolar environment.

The formation and implementation of national interests require the formation of a long-term security policy based on political stability, military defense capabilities, economic sustainability, and strengthening cybersecurity. The dynamics of Georgia's national security in a multipolar environment require a flexible and adaptable strategy. The country's main priorities should remain deepening Western integration, strengthening regional partnerships, ensuring economic and energy security, and strengthening cybersecurity. In this process, both-domestic political stability, and balanced international relations-will be important in order to ensure long-term stability during and after the emergence of the new world order.

Keywords: New World Order, National Interests, Security, Georgia, Global Actors.

რუსუდან ზარიძე, თათია ოსიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

რეგიონული ფრაგმენტაცია, როგორც გეოპოლიტიკური იარაღი: სამხრეთ კავკასიის მაგალითი

ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს სტრატეგიული დანიშნულების მქონე რეგიონები. მათი სტრატეგიული მდებარეობა ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს ჰეგემონობისთვის მებრძოლი სახელმწიფოებისთვის, რაც ინტერესთა კონფლიქტს იწვევს.

სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი სტრატეგიული რეგიონია, რომლის სატრანზიტო მნიშვნელობა და ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე მას მსოფლიო ლიდერობისთვის მებრძოლი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში აქცევს. გარე ძალების აქტიური ჩარევის შედეგად

შესაძლებელია რეგიონში არასტაბილური მდგომარეობის შექმნა, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, რეგიონის ქვეყნებს შორის სამხედრო დაპირისპირება ტერიტორიული უთანხმოების გამო. აღნიშნული მაგალითებით დატვირთულია სამხრეთ კავკასიის რეგიონი. რეგიონის შიდა დინამიკა გავლენას ახდენს სახელმწიფოებზე და საერთაშორისო წესრიგზე. რეგიონული ფრაგმენტაციის შედეგად ფერხდება რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება, ხშირია ადამიანთა უფლებების რღვევა და საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოების სტატუსის დაქვეითება. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის მთავარ გამოწვევას წარმადგენს სტაბილურობის განმტკიცება, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და საგარეო ზეგავლენის დაბალანსება. ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებით შესაძლებელია გარე ძალების მანიპულაციების თავიდან აცილება და რეგიონის უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

Rusudan Zaridze, Tatia Osiashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

Regional Fragmentation as a Geopolitical Weapon: The Case of the South Caucasus

A defining role in the formation of a new world order is played by regions of strategic significance. Their strategic location represents a favorable factor for states competing for hegemony, which leads to a conflict of interests.

The South Caucasus is one of the geopolitically strategic regions, whose transit significance and richness in natural resources places it at the center of attention for states fighting for global leadership. As a result of active interference by external powers, it is possible to create an unstable situation in the region, such as the problem of territorial integrity, military confrontation between the countries of the region due to territorial disagreements. The South Caucasus region is full of such examples. The internal dynamics of the region affect both the states and the international order. As a result of regional fragmentation, the economic development of the countries in the region is hindered, human rights violations are frequent, and the status of states on the international arena is downgraded. The main challenge for the countries of the South Caucasus is to strengthen stability, deepen mutual cooperation, and balance external influence. By forming a unified position, it is possible to avoid manipulation by external forces and take care of regional security.

გიორგი ლომუაშვილი, ნანო გელანტია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა, ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

სირიის სამოქალაქო ომი და ასადის რეჟიმის დასასრული

სირიის სამოქალაქო ომი, რომელიც 2011 წლის 8 დეკემბერს დაიწყო, სრულიად მოულოდნელად ასადის რეჟიმის დამხობით დასრულდა. ამ მოვლენამ სამართლიანად დაგვაინტერესა, რათა ყურადღება გაგვემახვილებინა გასულ 13 წელზე. ამ კონფლიქტში, როგორც ვიცით, მრავალი სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას პირდაპირ თუ ირიბად, შესაბამისად, სამოქალაქო ომის გავლენაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე და მეზობელ სახელმწიფოებზე დიდი იყო და არის დღესაც. ასევე სამოქალაქო ომში გამოიკვეთა ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები სირიის მოსახლეობას შორის, რაც ლოგიკურია, რადგან ეს სახელმწიფო არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი ადგილი როგორც რელიგიური, ისე ეთნიკური კუთხით. ასევე სამოქალაქო ომის დასასრული რთულ სურათს უსახავს ქვეყანაში მცხოვრებ ქრისტიან მოსახლეობას, რომელიც ქვეყნის 10 პროცენტს შეადგენს, მათი ცხოვრება ბაშარ ალ-ასადის „სეკულარულ-სოციალისტური“ მმართველობის ქვეშ რთული იყო, ხოლო ახლა ისლამისტი აჯანყებულების მიერ ქვეყანაში ძალაუფლების ჩაგდების შედეგად კიდევ უფრო რთული გახდება. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში შევეცდებით უკეთ წარმოვადგინოთ ამ სამოქალაქო ომის სპეციფიკა და მისი გავლენა ახლო-აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაზე.

Giorgi Lomuashvili, Nano Gelantia
Caucasus International University
Postgraduate Studies, Undergradaute Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

Syrian Civil War and Fall of the Assad Regime

The Syrian Civil War, which began in 2011, ended completely unexpectedly on December 8 with the overthrow of the Assad regime. This event has legitimally caught our attention and focused it on the past 13 years. As we know, many states took part in this conflict directly or indirectly; therefore, the impact of the civil war on the Middle East Region and neighboring states was and still is today. Also, in the civil war, ethnic and religious confrontations between the Syrian population were revealed; which is logical because this state is one of the most diverse places in the world, both religious and ethnic. The end of the Civil War also poses a difficult picture for the Christian population living in the country, which makes up 10 percent of the country: their lives under the "secular-socialist" rule of Bashar al-Assad, and now as a result of the seizure of power in the country by Islamist rebels will become even more difficult. Accordingly, we will try to better present the specifics of this civil war and its impact on different countries of the Middle East.

ლექსო ფიფია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რუსეთ-უკრაინის ომი გეოპოლიტიკურ პრიზმაში

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრით რუსეთმა დაიწყო აგრესიული ომი. რომლის შედეგადაც მილიონობით ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა უკრაინის ტერიტორია და სხვადასხვა სახელმწიფოში ეპოვა თავშესაფარი, როგორც ლტოლვილებს. მიმდინარე ომს მოჰყვა უდიდესი მსხვერპლი და დანაკარგები უკრაინელი ჯარისკაცების და სამოქალაქო საზოგადოებისა. აღნიშნულმა ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გეოპილიტიკურ პროცესებზე, როგორც შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების თვათსაზრისით, ასევე ევროპული უსაფრთხოებისა და გლობალური მასშტაბით. რომლის ერთ-ერთი მაგალითიცაა გლობალური სასურსათო კრიზისი, სხვა პრობლემებთან და გამოწვევებთან ერთად, რაც გამოწვეულ იქნა ომის შედეგად. ნაშრომში განხილულია რუსეთ-უკრაინის ომის გამომწვევი მიზეზები გეოპოლიტიკურ კონტექსტში. ასევე, ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ სკოლაზე, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის პოლიტიკას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გლობალური გეოპოლიტიკური გავლენის აქტორების ჩართულობას და პოლიტიკას კონფლიქტთან მიმართებით, ასევე, სამშვიდობო მოლაპარაკებების განხილვას და არსებული სირთულეების წარმოჩენას.

საკვანძო კითხვები: რუსეთ-უკრაინის ომი, გეოპოლიტიკა, აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი, უსაფრთხოება, მშვიდობა.

Lekso Pipia
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Alika Guchua
Doctor, Associate Professor

The Russian-Ukraine War in a Geopolitical prism

On February 24 .2022, Russia launched an aggressive war by invading Ukrainian territoty. As a result millions of people were forced to leave Ukraine and seek refugees in various countries. The ongoing war has resulted in enormous casulties and losses among Ukrainian soldiers and civilian population. This war has had a significant impact on geopolitical processes, both in terms of Black Sea regional security, as well as European security and on a global scale. One compelling example of this is the global food crisis, along with other problems chellenges caused by the war. This paper examines the causes of the Russia-Ukraine war in a geopolitical context. It also focuses on the modern Russian geopolitical school, which defines Russian policy. Significant attention is paid to the involvement and policies of global geopolitical actors in relation to the conflict. Furthermore, the discussion covers peace negotiations and highlights the existing difficulties.

Keywords: Russia-Ukraine war, Geopolitics, USA, China, European Union, Security, Peace.

მარიამ ჯალიაშვილი, ანა კრაველიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია და უსაფრთხოების გარემო

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა დგას რთული გეოპოლიტიკური ცვლილებების წინაშე, რაც განსაკუთრებით აისახება სახელმწიფოთა თუ საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების სტრატეგიულ მიდგომებზე.

ნაშრომის მიზანია განვიხილოთ და გავაანალიზოთ ნატოს როლი და პოლიტიკა საერთაშორისო უსაფრთხოებაში მიმდინარე პროცესების ფონზე, ასევე მისი 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია ძირითადი მიმართულებებისა. ნატომ თავისი არსებობის განმვალობაში შეიმუშავა რამდენიმე სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც მორგებული იყო იმ არსებული დროების რისკებზე, საფრთხეებზე და გამოწვევებზე, რომლებიც ალიანსის წინაშე იდგა, რამაც მას მისცა საშუალება ცივ ომში გამარჯვების და პოსტ-ბიპოლარულ პერიოდში შეენარჩუნება აქტუალურობა და მოეხდინა ტრანსფორმაცია როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის, ასევე სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ნატოს უწევს ისეთი საფრთხეების და გამოწვევების წინააღმდეგ გამკლავება, როგორებიცაა საერთაშორისო ტერორიზმი, ჰიბრიდული ომი, კიბერტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღი, აგრესიული სახელმწიფოები და ა.შ. რაც უდიდეს ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს.

აღნიშნული საფრთხეების გათვალისწინებით, ნატოს როლი საერთაშორისო უსაფრთხოებაში კიდევ უფრო იზრდება. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ნატოს როლზე და ფაქტორზე საერთაშორისო უსაფრთხოებაში, ასევე საფრთხეებსა და მოსალოდნელ გამოწვევებზე.

საკვანძო სიტყვები: ნატო, 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია, საერთაშორისო უსაფრთხოება, მშვიდობა.

Mariam Jaliashvili, Ana Kravelidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Alika Guchua
Doctor, Associate Professor

NATO's 2022 Strategic Concept and the Security Environment

The modern international security system faces complex geopolitical changes, which significantly influence the strategic approaches of both states and international or regional organizations.

The aim of this paper is to examine and analyze NATO's role and policy in international security amid ongoing global developments, as well as the main directions of its 2022 Strategic Concept. Throughout its existence, NATO has developed several strategic concepts tailored to the risks, threats, and challenges of their respective times, which the Alliance faced. This adaptability enabled NATO to achieve victory during the Cold War and maintain its relevance in the post-bipolar era, transforming itself into a key actor in safeguarding international security and ensuring stability. Today, NATO must confront a range of threats

and challenges, such as international terrorism, hybrid warfare, cyberterrorism, weapons of mass destruction, aggressive states, and more—all of which demand significant effort and resources.

Considering these threats, NATO's role in international security is becoming increasingly important. This paper primarily focuses on NATO's role and influence in global security, as well as the threats and potential challenges it faces.

Keywords: NATO, 2022 Strategic Concept, international security, peace.

კესო კაკულია, ანა სამხარაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია
დოქტორი, პროფესორი

რუსეთ-უკრაინის ომი გეოეკონომიკურ ასპექტში

გეოეკონომიკის ფენომენი ჯერ კიდევ 1990 წელს ჩაისახა, ყველაზე ხშირად, ის განიმარტება, როგორც ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რომელიც გამოიყენებოდა ცივი ომის დასრულების შემდეგ და დღესაც, რუსეთ-უკრაინის ომი, გეოეკონომიკური თვალსაზრისით, ძვირფასი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ფინანსური ბაზრები გადაიკვეთოს გლობალურ უსაფრთხოებასთან. ორივე სახელმწიფოს სტრატეგიული მდებარეობა შავი ზღვის აუზში ზრდის ამ ფენომენის მნიშვნელობას. ომის დაწყების პირველივე ეტაპზე ორივე სახელმწიფოდან შემცირდა როგორც მარცვლეულის, ისე ბუნებრივი რესურსების ექსპორტი, რაც აღრმავებს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. ამ მოვლენიდან გამომდინარე, დასაწყისშივე გამოიკვეთა გეოეკონომიკის მნიშველობა.

როცა 2022 წელს გაფორმდა შავი ზღვის მარცვლეულის შთანხმება, ეს დოკუმენტი ქმნიდა უსაფრთხო დერეფანს დანაღმულ შავ ზღვაში, რომლითაც ხომალდებს მარცვლეული ბოსფორის სრუტემდე გადაჰქონდათ, თუმცა საერთაშორისო პოლიტიკის ბუნება ყოველთვის არასტაბილური, ქაოტური და ანარქიულა, რისი დასტურიცაა რუსეთის უარი აღნიშნულ შეთანხმებაზე (2023). ეს საკითხი 2025 წელსაც აქტიურ ფაზაშია. რუსეთ-უკრაინის ომში მიმდინარე ცოცხალი გეოეკონომიკური პროცესი მნიშვნელოვანია როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ დონეზე, ამიტომაც არ შეიძლება გამოგვრჩეს საერთაშორისო პოლიტიკურ აქტორთა სპექტრი, რომელთაც ხელში უჭირავთ გეოეკონომიკური ძალაუფლება სანქციების სახით. რუსეთ-უკრაინის ომში არსებული გეოეკონომიკური საკითხები გლობალურ სამყაროში მიმდინარე დინამიური პროცესია, რომელიც გამოირჩევა როგორც ქაოტური, ისე თანმიმდევრული ნაბიჯებით.

საკვანძო სიტყვები: გეოეკონომიკური ასპექტები, რუსეთ-უკრაინის ომი, გლობალური უსაფრთხოება.

Keso Kakulia, Ana Samkharadze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Vakhtang Maisaia
Doctor, Professor

The Russia-Ukraine War from a Geoeconomic Perspective

The phenomenon of geoeconomics emerged in the early 1990s, most often defined as the use of economic tools to achieve geopolitical goals. It was a concept used after the end of the Cold War, and today, the Russia-Ukraine war serves as a valuable example of how financial markets intersect with global security. The strategic location of both countries in the Black Sea basin enhances the significance of this phenomenon. At the very beginning of the war, both countries saw a decrease in exports of both grain and natural resources, which exacerbated the global economic crisis. As a result of this event, the importance of geoeconomics became evident from the outset.

When the Black Sea Grain Initiative was signed in 2022, this document created a safe corridor in the mined Black Sea, through which ships transported grain to the Bosporus Strait. However, the nature of international politics is always unstable, chaotic, and anarchic, as evidenced by Russia's refusal to continue the agreement in 2023. This issue remains in an active phase in 2025. The ongoing geoeconomic process in the Russia-Ukraine war is important both regionally and globally, and thus we cannot ignore the international political actors who hold geoeconomic power in the form of sanctions. The geoeconomic issues in the Russia-Ukraine war are dynamic global processes that are characterized by both chaotic and sequential steps.

Keywords: Geoeconomic Aspects, Russia-Ukraine War, Global Security.

ანა ალიქაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი გორგილაძე
დოქტორი, პროფესორი

კავკასია გლობალური ენერგეტიკული დიპლომატიის კონტექსტში: ბუნებრივი რესურსების პოლიტიკური ინტერესი

ნაშრომში შესწავლილია კავკასიის ენერგეტიკული დივერსიფიკაცია რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით XX საუკუნის II ნახევრიდან - თანამედროვე ეტაპამდე. საბჭოთა კავშირის ცენტრალიზებული ტოტალიტარული რეჟიმის დასრულების შემდეგ, 1990-იან წლებში, რეგიონში გაიზარდა ტრანსკავკასიური სახელმწიფოების ენერგოტრანზიტული პოტენციალი, რამაც გამოიწვია გლობალური ენერგოსისტემის ფორმირება, ამიტომ ნაშრომის მიზანია: გავაანალიზოთ კავკასიის ენერგეტიკული მნიშვნელობა მსოფლიოსთვის და განვსაზღვროთ რეგიონალური პოლიტიკური მომავლის სცენარი.

ძირითადი საკვლევი არეალი მოიცავს დიპლომატიის სხვადასხვა ფორმის - ეკონომიკური, შატლისა და ზღვრამდე მიყვანის დიპლომატიების შეფასებას ენერგოუსაფრთხოების შექმნის ეფექტურობის კონტექსტში. შინაარსობრივი კვლევა ემყარება პოლიტიკის კონტექსტუალურ და შედარებით ანალიზს, ინტერვიუებს, საარქივო მასალებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რაც გვაძლევს შესაძლებლობას ცალკეული აქტორების საშინაო პოლიტიკის შეფასებით, ავხსნათ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები. აღნიშნულის საფუძველზე, დასაშვებია ვივარაუდოთ ახალი პოლიტიკური ბლოკების ფორმირება ბუნებრივი რესურსებისთვის ბრძოლის არენაზე, რასაც მოწმობს დაპირისპირება შავ და „კასპიის ზღვებზე“ ბატონობისთვის და 2022 წელს რუსეთის მიერ გამოცხადებული ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ, რაც გახდა მიზეზი თანამედროვე ენერგოუსაფრთხოების სისტემური ეროზიისა.

Ana Alikadze
Batumi Shota Rustaveli State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Irakli Gorgiladze
Doctor, Professor

The Caucasus in the Context of Global Energy Diplomacy: The Political Interest of Natural Resources

The paper studies the energy diversification of the Caucasus, taking into account the geopolitical location of the region, from the second half of the 20th century to the modern stage. After the end of the centralized totalitarian regime of the Soviet Union, in the 1990s, the energy transit potential of the Transcaucasian states increased in the region, which led to the formation of a global energy system. Therefore, the aim of the paper is to analyze the energy importance of the Caucasus for the world and determine the scenario of the regional political future.

The main research area includes the assessment of various forms of diplomacy: economic, shuttle and bridging diplomacy in the context of the effectiveness of creating energy security. The substantive research is based on contextual and comparative analysis of politics, interviews, archival materials and statistical data, which allows us to explain foreign policy decisions by assessing the domestic policies of individual actors. Based on the above, it is permissible to assume the formation of new political blocs in the arena of the struggle for natural resources, as evidenced by the confrontation for dominance in the Black and "Caspian Seas" and the large-scale war declared by Russia against Ukraine in 2022, which has become the cause of the systemic erosion of modern energy security.

გიორგი ბარსეგოვი, ანდრია მანია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

9/11 ტერორისტული აქტის გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა მნიშვნელოვნად შეცვალა გლობალური უსაფრთხოების გარემო, რომლის შემდგომაც დაინერგა ახალი მიდგომები გლობალურ ანტი-ტერორისტულ პოლიტიკაში.

ნაშრომის მიზანია 9/11 ტერორისტული აქტის გავლენის წარმოჩენა საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილების კონტექსტში ტერორისტულ საფრთხეებთან მიმართებით და გაანალიზება. თავდასხმებმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე არა მხოლოდ შიდა უსაფრთხოების პრიორიტეტები შეცვალა, არამედ გამოიწვია საერთაშორისო თანამეგობრობის ფართომასშტაბიანი რეაქცია. აღნიშნულმა მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა მრავალრივცხოვან სამხედრო, სამართლებრივ და დიპლომატიურ ინიციატივებს, მათ შორის ავღანეთში სამხედრო კამპანიას, რომელიც მალევე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (NATO) ერთ-ერთ ყველაზე მაშსტაბურ და ხანგრძლივ ოპერაციად იქცა. გარდა ამისა, შეიცვალა საერთაშორისო სამართლის პრაქტიკა და გაჩნდა დებატები სახელმწიფო სუვერენიტეტისა და პრევენციული თავდასხმების ლეგიტიმურობის შესახებ. ნაშრომი შეისწავლის 9/11-ის ტერორისტული აქტის გლობალურ გავლენას საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკაზე, ტრანსნაციონალურ თანამშრომლობაზე და სამომავლო გამოწვევებზე საერთაშორისო სტაბილურობის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: 9/11 ტერორისტული აქტი, აშშ, ნატო, საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშორისო ტერორიზმი.

Giorgi Barsegov, Andria Mania
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Alika Guchua
Doctor, Associate Professor

The Impact of the 9/11 Terrorist Attacks on International Security

The terrorist attacks of September 11, 2001, significantly transformed the global security environment, leading to the introduction of new approaches in global anti-terrorism policy.

The aim of this paper is to highlight and analyze the impact of the 9/11 terrorist attacks on the changes in international security policy in relation to terrorist threats. The attacks on the United States not only shifted domestic security priorities but also triggered a large-scale response from the international community. This event laid the foundation for numerous military, legal, and diplomatic initiatives, including the military campaign in Afghanistan, which soon became one of NATO's largest and longest-running operations. In addition, the practice of international law evolved, and debates emerged concerning the legitimacy of state sovereignty and preemptive strikes. The paper will examine the global impact of the 9/11 terrorist attacks on international security policy, transnational cooperation, and the future challenges to international stability.

ელენე მეშველიანი, ანი გლუნჩაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია
დოქტორი, პროფესორი

სუპერსახელმწიფოს ფენომენი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში

საერთაშორისო ურთიერთობებში სუპერსახელმწიფოები იმ ქვეყნების ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებიც განსაკუთრებული სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენით გამოირჩევიან. მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ გლობალურ პროცესებზე და ხშირად განსაზღვრავენ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციონირებას. სუპერსახელმწიფოების მოქმედებები ხშირად განსაზღვრავს გლობალურ სტაბილურობასა და კონფლიქტების განვითარებას. სუპერსახელმწიფოების მახასიათებლები მოიცავს:

მხედველობით ძალას: ძლიერ სამხედრო შესაძლებლობებს, მათ შორის ბირთვულ იარაღსა და გლობალურ სამხედრო ყოფნას.

ეკონომიკურ ძალას: დიდ და განვითარებულ ეკონომიკას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ გავლენა მოახდინონ გლობალურ ბაზრებზე.

პოლიტიკურ გავლენას: უნარს, განსაზღვრონ საერთაშორისო პოლიტიკა და მონაწილეობა მიიღონ გლობალურ მმართველობაში.

გლობალური წესრიგის განსაზღვრას: სუპერსახელმწიფოები ხშირად ადგენენ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ გლობალურ წესრიგს.

სუპერსახელმწიფოების გავლენას გლობალურ სტაბილურობაზე: სუპერსახელმწიფოების მოქმედებები შეიძლება იყოს როგორც სტაბილიზაციის, ასევე დესტაბილიზაციის წყარო.

სუპერსახელმწიფოების ურთიერთქმედება და კონკურენცია: სუპერსახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედება ხშირად განსაზღვრავს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის დინამიკას. მათ შორის კონკურენცია შეიძლება გამოიხატოს გეოპოლიტიკური გავლენისთვის ბრძოლაში: სუპერსახელმწიფოები ხშირად ცდილობენ გააფართოონ თავიანთი გავლენა სხვადასხვა რეგიონებში. ეკონომიკურ კონკურენციაში: მათ შორის ეკონომიკური კონკურენცია შეიძლება გამოიხატოს სავაჭრო ომებში ან საინვესტიციო პოლიტიკაში.

Elene Meshveliani, Ani Glunchadze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Vakhtang Maisaia
Doctor, Professor

The Phenomenon of the Superstate in the International Security System

In international relations, superpowers are a group of countries that are distinguished by their exceptional military, economic, and political influence. They can influence global processes and often determine the structure and functioning of the international security system. The actions of superpowers often determine global stability and the development of conflicts. Characteristics of superpowers include:

Visual power: strong military capabilities, including nuclear weapons, and a global military presence.

Economic power: large and developed economies that allow them to influence global markets.

Political influence: the ability to determine international policy and participate in global governance.

Defining the global order: superpowers often set international norms and standards that determine the global order.

The influence of superpowers on global stability The actions of superpowers can be a source of both stabilization and destabilization: Superpower Interaction and Competition The interaction between superpowers often determines the dynamics of the international security system.

Competition between them can be expressed in: The struggle for geopolitical influence: Superpowers often try to expand their influence in different regions. Economic competition: Economic competition between them can be expressed in trade wars or investment policies.

სალომე გორგილაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაშა ბაჟუნაიშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის კონტურები, უკრაინის ომისა და შავი ზღვის რეგიონის დინამიკის ფონზე

რუსეთ-უკრაინის ომმა, როგორც 21-ე საუკუნის ერთ-ერთმა გარდამტეხმა გეოპოლიტიკურმა მოვლენამ, ხელახლა აამოქმედა ძალთა გლობალური ბალანსის გადანაწილების პროცესი და დააჩქარა ევროპული წესრიგის ტრანსფორმაცია. ნაშრომი იკვლევს შავი ზღვისა და ბალტიისპირეთის სტრატეგიულ ფუნქციას, როგორც გეოპოლიტიკურ ღერძს, სადაც იკვეთება ევროკავშირის თავდაცვითი კონსოლიდაცია რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის საპასუხოდ. 1991 წლის ბელოვეჟის შეთანხმებით დასრულებული ბიპოლარული ეპოქა გზას უთმობდა აშშ-ის ჰეგემონიას, რომელიც 2008 წლამდე დასავლური გავლენის სისტემურ გაფართოებას ემსახურებოდა. თუმცა 2016 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა და ლე პენის პოპულარობის ზრდამ დასავლეთში ულტრამემარჯვენე, ნაციონალისტური დისკურსის გააქტიურება განსაზღვრა, რაც წინააღმდეგობაში მოდის გაეროს ლიბერალურ-მრავალმხრივ პრინციპებთან. 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო გააღრმავა გეოპოლიტიკური პოლარიზაცია და დააჩქარა ევროკავშირის თავდაცვითი არქიტექტურის ფორმირება, რომელიც აშშ-ისგან მეტ სტრატეგიულ ავტონომიას ითხოვს.

ნაშრომი ასევე განიხილავს რუსეთის სამხედრო გაფართოებასა და აგრესიულ დოქტრინას: შავი ზღვის მილიტარიზაციას, ყირიმის სამხედროდ გადაქცევას, რაც ევროკავშირს აიძულებს, უსაფრთხოების ფუნქციაც აითვისოს. ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ევროკავშირის სტრატეგიული კონსოლიდაციის ტენდენციები შავი ზღვისა და ბალტიის რეგიონში, აშშ-სა და რუსეთის გავლენების პარალელურად. შეიმუშაოს სამომავლო პროგნოზები გეოპოლიტიკური ტრენდების ანალიზზე დაყრდნობით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს რეგიონულ პლაცდარმის ფუნქციას, სადაც კონცენტრირდება დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების ძირითადი სტრატეგიული ხაზები.

Salome Gorgiladze
Batumi Shota Rustaveli State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Lasha Bazhunaishvili
Doctor, Associate Professor

"Contours of the Transformation of the World Order in the Context of the War in Ukraine and the Dynamics of the Black Sea Region"

The Russia–Ukraine war, as one of the most pivotal geopolitical events of the 21st century, has reactivated the redistribution of global power and accelerated the transformation of the European order. This paper explores the strategic role of the Black Sea and Baltic regions as a geopolitical axis, where the consolidation of EU defense capabilities emerges in response to Russia's revisionist policies. The bipolar era that ended with the 1991 Belavezha Accords gave way to U.S. hegemony, which supported the systematic expansion of Western influence until 2008. However, the outcome of the 2016 U.S. presidential election and the growing popularity of Marine Le Pen marked the rise of far-right, nationalist discourse in the West—challenging the liberal-multilateral principles upheld by the UN. The 2022 Russia–Ukraine war further deepened geopolitical polarization and accelerated the formation of the EU's defense architecture, demanding greater strategic autonomy from the United States.

The paper also examines Russia's military expansion and aggressive doctrine, including the militarization of the Black Sea and the transformation of Crimea into a military stronghold, forcing the EU to assume a security role. The aim of this research is to analyze the trends of strategic consolidation within the EU across the Black Sea and Baltic regions, in parallel with the influence of U.S. and Russian policies. It seeks to develop future geopolitical forecasts based on current trends, with special attention given to Georgia's role as a regional platform where key strategic lines of Western-Russian confrontation increasingly converge.

რებეკა დავითაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაშა ხოზრევანიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ტერორისტული ორგანიზაცია - „ისლამური სახელმწიფოს" იდეოლოგია და სტრუქტურა, ორგანიზაციის ამჟამინდელი მდგომარეობა და მისგან მომდინარე პოტენციური საფრთხეები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში

ნაშრომში განხილული იქნება ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო" იდეოლოგიურ და სტრუქტურულ კონტექსტში, მისი არსებული მდგომარეობა და გამოწვევები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. „ისლამური სახელმწიფო" წარმოადგენს რადიკალურ ისლამისტურ მოძრაობას, რომელიც ხასიათდება ტერორისტული აქტებითა და ძალისმიერი მეთოდებით. ორგანიზაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მის მიმართ ინტერესი

გლობალურ პოლიტიკაში კვლავ აქტუალურია. კვლევის ანალიზის ნაწილში, გამოიკვეთება ისლამის როლი და ორგანიზაციის ზეგავლენა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, რაც უკავშირდება ისლამისა და ტერორისტული აქტივობების ზრდას.

ნაშრომის მიზანია, „ისლამური სახელმწიფოს“ შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, აჩვენოს მისი დღევანდელი მდგომარეობა და გამოწვევები, ორგანიზაციის ზეგავლენა საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ტერიტორიულ და კულტურულ საკითხებზე. ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიები - სტატისტიკური მონაცემები, სტრატეგიული დოკუმენტების და ორგანიზაციის მიერ გავრცელებული განცხადებების ანალიზი, სისტემური მეთოდი, რამაც ორგანიზაციისა და საქართველოს ურთიერთობის შესწავლის საშუალება მოგვცა. ძირითადი საკვლევი მიგნებაა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ აღარ წარმოადგენს ძლიერ ძალას, მაგრამ მისი იდეოლოგია კვლავ სიცოცხლისუნარიანია, რაც საფრთხეა ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც გეოპოლიტიკურად მოწყვლად რეგიონებში იმყოფებიან.

საკვანძო სიტყვები: ისლამური სახელმწიფო, ტერორიზმი, ეროვნული უსაფრთხოება, საქართველო.

Rebeka Davitadze
Batumi Shota Rustaveli State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Lasha Khozrevanidze
Doctor, Associate Professor

The Ideology and Structure of the Terrorist Organization 'Islamic State,' its Current Status, and the Potential Threats it Poses in the Context of Georgia's National Security

The research will explore the terrorist organization "Islamic State" from ideological and structural perspectives, focusing on its current status and the challenges it poses to Georgia’s national security. The "Islamic State" represents a radical Islamist movement characterized by terrorist acts and the use of violent methods. Due to the organization’s specific nature, global political interest in it remains relevant. In the analytical part of the research, the role of Islam and the influence of the organization on states’ foreign policies and international security are highlighted—issues closely related to the rise of Islamism and terrorist activities.

The aim of this research is to explore and analyze the current status of the "Islamic State" and to demonstrate the challenges it presents, along with its influence on Georgia’s political, social, territorial, and cultural matters. The methodology employed in this research includes statistical data, analysis of strategic documents and statements issued by the organization, and a systemic approach, which together allow for an in-depth examination of the relationship between the organization and Georgia. The main finding of the research is that the "Islamic State" no longer constitutes a powerful force, but its ideology remains viable, which poses a threat to countries located in geopolitically vulnerable regions.

Keywords: Islamic State; terrorism; national security; Georgia.

ლიზი კუჭუაშვილი, ქეთი ბიძინაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ამერიკა-ჰუსიტების კონფრონტაცია: გამოწვევები წითელ ზღვაზე

წითელი ზღვა მსოფლიო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი არტერიაა, რომელიც აკავშირებს ევროპას, აზიასა და აფრიკას. 2023 წლის ოქტომბრიდან აღნიშნულ სტრატეგიულ გზაზე იწყება სერიოზული დაპირისპირებები. ჰუსიტები, შიიტური, პროირანული მოძრაობა იწყებს თავდასხმებს. იემენელი ჰუსიტები პირდაპირ უპირისპირდებიან ისრაელის სახელმწიფოს და უცხადებენ მხარდაჭერას ტერორისტულ დაჯგუფება „ჰამასს“. ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც გლობალური ვაჭრობის უსაფრთხოების დამცველი, ერთ-ერთი მთავარი აქტორი, გამოწვევას უპირისპირდება კოალიციის შექმნით, სახელწოდებით “ოპერაცია გარდიანი პროსპერატი”. დაძაბულობა ახალ მასშტაბებს ღებულობს, როდესაც ხდება აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის მიერ საჰაერო დარტყმების განხორციელება იემენზე. კონფრონტაცია წარმოშობს მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგებს. წითელი ზღვა სანაოსნო კომპანიებისთვის არასასურველი ხდება. აღნიშნულ კონფლიქტს უფრო აჭიანურებს რეგიონული დინამიკა, ირანის და საუდის არაბეთის მეტოქეობის სახით. მიმდინარეობს საერთაშორისო დიპლომატიური ძალისხმევა სიტუაციის დეესკალაციისთვის.

საკვანძო სიტყვები: აშშ, ჰუსიტები, წითელი ზღვა, კონფლიქტი, უსაფრთხოება, მსოფლიო ვაჭრობა.

Lizi Kuchuashvili, Keti Bidzinashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

America-Houthi Confrontation: Challenges on the Red Sea

The Red Sea is a vital artery of world trade, connecting Europe, Asia, and Africa. Since October 2023, serious confrontations have begun on this strategic route. The Houthis, a Shiite, pro-Iranian movement, have launched attacks. The Yemeni Houthis are directly confronting the state of Israel and declaring their support for the terrorist group Hamas. The United States, as one of the main actors defending the security of global trade, is confronting the challenge by creating a coalition called “Operation Guardian Prosperity.” Tensions are rising as the US and UK launch airstrikes on Yemen. The confrontation is having significant economic consequences. The Red Sea is becoming uninviting for shipping companies. The conflict is being further exacerbated by regional dynamics, such as the rivalry between Iran and Saudi Arabia. International diplomatic efforts are the underways to de-escalate the situation.

Keywords: US, Houthis, Red Sea, conflict, security, world trade.

ქეთევან იმნაიშვილი, ანანო ნოზაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ცივილიზაციათა შეჯახება და მისი გავლენა საერთაშორისო სიტემაზე

ცივილიზაციათა შეჯახების თეორია, რომელიც სამუელ ჰანტიგტონმა 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამოაყალიბა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების გააზრებაზე. ნაშრომში განხილულია ჰანტიგტონის თეორია მისი იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები. ამ თეორიამ მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზის ჩარჩო. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებმა დასავლეთში დაიწყეს კულტურული და რელიგიური ფაქტორების უფრო სერიოზულად გათვალისწინება. განსაკუთრებით 9/11-ის ტერაქტების შემდეგ, ცივილიზაციათა შეჯახების ნარატივი ხშირად გამოიყენებოდა აშშ-სა და ისლამური სამყაროს ურთიერთობების ასახსნელად. თეორიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა გლობალურ უსაფრთხოების არქიტექტურაზე. ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით, რუსეთის წინააღმდეგობა და ჩინეთის აღზევება ხშირად განიხილება, როგორც დასავლეთისა და არა-დასავლური ცივილიზაციების დაპირისპირების ნაწილი.

კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ თეორია ზედმეტად ამარტივებს რთულ რეალობას, იგნორირებას უკეთებს ცივილიზაციებს შიგნით არსებულ მრავალფეროვნებას და გადაჭარბებულად წარმოაჩენს კულტურის როლს. მულტიკულტურალიზმის, საერთაშორისო ინსტიტუტების და ინტერკულტურული დიალოგის მხარდამჭერები ცდილობენ ჰანტიგტონის პესიმისტური პროგნოზის საწინააღმდეგო ალტერნატივების შექმნას, სადაც სხვადასხვა ცივილიზაციები შეძლებენ მშვიდობიან თანაარსებობას და თანამშრომლობას.

საკვანძო სიტყვები: ცივილიზაციათა შეჯახება, თეორია, ნატო, ჩინეთი, საერთაშორისო სისტემა, იდეოლოგია.

Ketevan Imnaishvili, Anano Nozadze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Assistant Professor

The Clash of Civilizations and its Impact on the International System

The theory of the clash of civilizations, formulated by Samuel Huntington in the early 1990s, has had a significant impact on the understanding of modern international relations. The paper discusses Huntington's theory and its ideological, political, and economic foundations. This theory has significantly changed the framework for analyzing international politics. Political decision-makers in the West began to take cultural and religious factors more seriously. Especially after the 9/11 attacks, the narrative of the clash of civilizations has been frequently used to explain the relationship between the United States and the Islamic world. The theory has had a significant impact on the global security architecture. NATO's expansion to the east, Russia's

challenge, and the rise of China are often seen as part of the confrontation between Western and non-Western civilizations.

Critics argue that the theory oversimplifies a complex reality, ignores the diversity within civilizations, and overstates the role of culture. Proponents of multiculturalism, international institutions, and intercultural dialogue seek to create alternatives to Huntington's pessimistic prediction, in which different civilizations can peacefully coexist and cooperate.

Keywords: clash of civilizations theory, NATO, China, international system, ideology.

ლევან ჩილაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაცია და მისი გავლენა თანამედროვე სახელმწიფოზე

გლობალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევასა და შესაძლებლობას. იგი აერთიანებს ეკონომიკას, პოლიტიკასა და კულტურას გლობალურ დონეზე, რაც იწვევს სახელმწიფოებრივი ფუნქციების გადაფასებას. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მცირე სახელმწიფოებზე, როგორებიცაა საქართველო, რომელთაც უწევთ სუვერენიტეტის დაცვა და გლობალურ სისტემაში ინტეგრაცია ერთდროულად. გლობალიზაცია, ასევე, იძლევა საკმაოდ დიდ შესაძლებლობებს სახელმწოთათვის, მათი ეკონომიკის თუ პოლიტიკური განვითარების მიმართულებით, რაც პრაგმატული პოლიტიკის შედეგად უნდა იქნას გამოყენებული.

სახელმწიფოთა მიერ ეროვნული ინტერესების დაცვა უნდა ხორციელდებოდეს მაქსიმალური დიპლომატიის და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის ფარგლებში იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს თავისი ინტერესების დაცვა და რეალიზება. ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის ძირითადი ასპექტები, მათ შორის ეკონომიკური ინტეგრაცია, კულტურული ცვლილებები და პოლიტიკური გავლენები. ასევე გაწეულია მოკლე ანალიზი იმ სტრატეგიებისა, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გლობალურ პროცესებში ჩართულობისა და ეროვნული ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ნაციონალიზმი, ეროვნული ინტერესები, უსაფრთხოება.

Levan Chilashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Alika Guchua
Doctor, Associate Professor

Globalization and its Impact on the Modern State

Globalization represents one of the most significant challenges and opportunities of the modern world. It integrates the economy, politics, and culture on a global scale, leading to a reevaluation of state functions. This process has a particularly profound impact on small states such as Georgia, which must simultaneously safeguard their sovereignty and integrate into the global system. Globalization also provides considerable opportunities for states, in terms of their economic and political development, which should be used as a result of pragmatic policies.

The protection of national interests by states should be carried out within the framework of maximum diplomacy and far-sighted policies, in order for the state to be able to protect and realize its interests. The paper discusses the main aspects of globalization, including economic integration, cultural transformations, and political influences. It also provides a brief analysis of the strategies necessary for the state to ensure both participation in global processes and the protection of national interests.

Keywords: globalization, nationalism, national interests, security.



სექცია
SECTION

ჟურნალისტიკა
JOURNALISM

მოხსენებათა რაოდენობა: 13
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: 15
The Number of Reporters:

ჟანა ასანიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ციცინო ბუკია
დოქტორი, პროფესორი

ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქება ქართულ მედიაში 2020-2025 წ.წ.

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს გენდერული ძალადობის ნებისმიერ აქტს, რომელიც იწვევს ქალების ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს ან ტანჯვას. ამ ტიპის ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, მაგრამ არ შემოიფარგლება ოჯახში ძალადობით, სექსუალური ძალადობით, გაუპატიურებით, ადამიანებით ვაჭრობით, სასქესო ორგანოების დასახიჩრებითა და იძულებითი პროსტიტუციით. ეს არის გავრცელებული და ღრმად ფესვგადგმული პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ასაკის, წარმომავლობისა და სოციალური სტატუსის ქალებზე მთელ მსოფლიოში. ამ საკითხის სწორი გაშუქება უზრუნველყოფს მსხვერპლთა დაცვასა და პრევენციას, რაც შეამცირებს ესოდენ გაზრდილ სტატისტიკას. ზუსტი დეფინიციები და გაშუქების სწორი სისტემა ეხმარება საზოგადოებას, დამნაშავეებს მეტი პასუხისმგებლობა დააკისროს, „გაანეიტრალოს“ ის, რაც მომავალში ძალადობის შემცირებას გამოიწვევს. სათანადო გაშუქება აცნობს საზოგადოებას ამგვარი ძალადობის გამომწვევ მიზეზებს, რისკფაქტორებსა და მოძალადეზე ზემოქმედების მექანიზმებს, რითაც ხელს უწყობს არა მხოლოდ პრევენციის მცდელობებს, არამედ სოციალურ ცვლილებებსაც. სწორი გაშუქება საშუალებას აძლევს ,,გადარჩენილებს“, ისაუბრონ თავიანთ გამოცდილებაზე, დაარღვიონ სიჩუმე და მხარი დაუჭირონ ცვლილებებს. ასევე თავად გახდნენ იმ ადამიანების ,,დამხმარეები“, რომლებიც ჯერ კიდევ არ ფლობენ ინფორმაციას, როგორ დააღწიონ თავი ძალადობას, როგორ იმოქმედონ საჭიროებისას. მთლიანობაში, ქალთა მიმართ ძალადობის სწორად გაშუქება აუცილებელია ადამიანის უფლებების ამ გავრცელებული დარღვევის აღმოსაფხვრელად, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ყველა ინდივიდისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ძალადობის ფაქტების გაშუქებისას ეთიკური ნორმების უგულვებელყოფას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი შედეგები როგორც ინდივიდებისთვის, ასევე, მთლიანად საზოგადოებისთვის. თუ მედია გაავრცელებს არასრულ ინფორმაციას ან დეზინფორმაციას ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების გარეშე, ამან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაბნეულობა, მედიასაშუალებებისადმი უნდობლობა, დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია და დანერგოს სტიგმები. ამ პრაქტიკამ, შეიძლება ასევე დაარღვიოს კანონი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, სენსაციაზე ორიენტირებულმა გაშუქებამ კი შეიძლება გამოიწვიოს ემოციური დისტრესი, ადამიანური რეპუტაციის დაზიანება და ფიზიკური ზიანიც კი. აღნიშნული კვლევითი ნაშრომის მიზანია გამოავლინოს მედიის მიერ ძალადობის საკითხების გაშუქების დინამიკა, წარმოაჩინოს ამ მხრივ მედიის ტრანსფორმაციის ტენდენციები და შემუშავდეს გაშუქების ისეთი პრინციპები, რომლებიც არ წაახალისებს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, გაზარდოს ძალადობის სტატისტიკა, არ გაამძაფრებს დაზარალებულთა ოჯახის წევრების მდგომარეობას, არ შექმნის ახალ სტიგმას და არ გააკეთებს გადაცემებში არასწორ აქცენტებს, რათა უნებურად არ მოხდეს დანაშაულის წახალისება.

Zhana Asanidze
Caucasus International University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Tsitsino Bukia
Doctor, Professor

Coverage of Violence Against Women in Georgian Media in 2020-2025

Violence against women refers to any act of gender-based violence that results in physical, sexual or psychological harm or suffering to women. This type of violence can take many forms, including but is not limited to domestic violence, sexual assault, rape, human trafficking, female genital mutilation and forced prostitution. It is a widespread and deeply rooted problem that affects women of all ages, backgrounds and social statuses worldwide. Proper reporting of this issue ensures the protection and prevention of victims, which will reduce the already high statistics. Accurate definitions and a proper reporting system help society hold perpetrators more accountable, "neutralizing" what will lead to a reduction in violence in the future. Appropriate reporting informs the public about the causes of such violence, risk factors, and mechanisms of influence on the perpetrator, thereby contributing not only to prevention efforts but also to social change. Appropriate reporting allows "survivors" to speak about their experiences, break the silence, and advocate for change. It also enables them to become "helpers" for those who still lack the information to escape violence and to act when necessary. Overall, appropriate reporting of violence against women is essential to eliminating this widespread violation of human rights, promoting gender equality, and creating a safe environment for all individuals. Ignoring ethical norms when reporting on violence can have significant consequences for both individuals and society as a whole. If the media disseminate incomplete information or disinformation without ethical guidelines, this can lead to public confusion, distrust of media outlets, violation of the presumption of innocence and the introduction of stigma. This practice can also violate the law on the inviolability of private life, and sensationalized coverage can cause emotional distress, damage to human reputation and even physical harm. The aim of this research paper is to reveal the dynamics of media coverage of violence, to demonstrate the trends of media transformation in this regard and to develop principles of coverage that will not embolden a certain segment of society, increase the statistics of violence, aggravate the situation of family members of victims, create new stigma and do not place the wrong emphasis in programs, so as not to inadvertently encourage crime.

თამარ თაგვაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მინდიაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქართული ემიგრანტული პრესის საწყისი პერიოდის ისტორიული მიმოხილვა

ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების ფუნქციას ეროვნულ მოძრაობასთან ერთად ეროვნული მედიაც ასრულებდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართული დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესის მიმართ განსაკუთრებით გააქტიურდა ცენზურა. 1873 წელს პარიზში ნიკო ნიკოლაძემ ჰექტოგრაფიული წესით არალეგალური გაზეთის -,,დროშის" 10 ნომერი გამოსცა. ეროვნული და

საგარეო პოლიტიკისა თუ სოციალიზმის საკითხების გაანალიზება სწორედ არალეგალური პრესის ფურცლებზე დაიწყო. ნაშრომში განხილულია პოლიტიკურ-ისტორიული დისკურსი, რომელიც წინ უძღოდა პირველი ქართული ბეჭდური ემიგრანტული გაზეთის - ,,საქართველო“ - გამოცემას, რომელიც პარიზში 1903-1905 წლებში გამოდიოდა. 1901 წელს უკვე გამოკვეთილი იყო აზრი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობაზე, რომლის საფუძველიც საქართველოს ავტონომია უნდა ყოფილიყო. ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებსა და მომავალ პარტიაზე ღიად მსჯელობისთვის საზღვარგარეთ არალეგალური თავისუფალი ორგანოს გამოცემის საჭიროება გაჩნდა. გაზეთი ,,საქართველო“ - სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორგანო, პარტიის დაარსებამდე გამოიცა და მისი დაფუძნებისთვის მოამზადა ნიადაგი. ნაშრომის მიზანია გაზეთ ,,საქართველოს“ მაგალითზე ქართული ემიგრანტული პრესის როლის განსაზღვრა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესზე. დღემდე გაზეთი ,,საქართველო“ სრული რაკურსით არაა შესწავლილი. კვლევის საგანია ქართული ემიგრანტული პრესის პირველი პერიოდი, როცა ემიგრანტული გაზეთი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებაში. გაზეთ ,,საქართველოს“ გამოცემით ქართული ჟურნალისტიკის იტორიაში, რომელმაც განვითარების დიდი გზა განვლო, ახალი ეტაპი დაიწყო. საფრანგეთში გამოცემულმა არალეგალურმა თავისუფალმა გაზეთმა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით სახელმწიფოს აღდგენის პოლიტიკური მოთხოვნა ღიად წამოაყენა.

Tamar Tagvadze
Caucasus International University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Nino Mindiashvii
Doctor, Associate Professor

Historical Overview of the Initial Period of the Georgian Emigrant Press

In Georgia, which had become a Russian colony, the national media, along with the national movement, performed the function of awakening national self-consciousness. In the 1870s century, censorship particularly intensified against the Georgian independent socio-political press. In 1873, Niko Nikoladze published the 10th issue of the illegal newspaper "Droshi" in Paris in hectographic form. The analysis of issues of national and foreign policy and socialism began precisely on the pages of the illegal press. The paper discusses the political-historical discourse that preceded the publication of the first Georgian printed emigrant newspaper - "Georgia", which was published in Paris from1903 to 1905. In 1901, the idea of the necessity of creating a political party, the basis of which was the autonomy of Georgia, was already expressed. There was a need to publish an illegal free organ abroad for open discussion of national-political issues and the future party.

The newspaper "Georgia" - the organ of the Socialist-Federalist Party was published before the founding of the party and prepared the ground for its foundation. The purpose of the research is to determine the role of the Georgian immigrant press in the process of forming public opinion based on the influence of the newspaper "Georgia" which has not been fully studied until now. The study explores the first period of the Georgian immigrant press, when the immigrant newspaper played a special role in the life of Georgian political emigration. With the publication of the "Georgia" newspaper, a new stage began in Georgian journalism, which has gone through a long path of development. An illegal, free newspaper published in France openly put forward a political demand for the restoration of the state of Georgia in the form of national-territorial autonomy.

თინათინ მკალავიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა ცოტნიაშვილი
დოქტორი, პროფესორი

YouTube სოციალური მედიის ორიგინალური პლატფორმა

YouTube თანამედროვე სოციალური მედიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ტრანსფორმაციული პლატფორმაა. მან ინფორმაციის გავრცელების, მოხმარებისა და მედიის წარმოების გზები მთლიანად შეცვალა. ის არ არის მხოლოდ ვიდეოჰოსტინგის სერვისი – YouTube უფრო მეტად ციფრული ეკოსისტემაა, რომელიც აერთიანებს ჟურნალისტიკას, მარკეტინგს, განათლებასა და სოციალურ აქტივობებს. YouTube-მა მედია ლანდშაფტი მნიშვნელოვნად განავითარა; ტრადიციული ტელევიზიისა და ახალი ამბების მოხმარების ჩვევები მნიშვნელოვნად შეცვალა; შექმნა „კრეატორების ეკონომიკა“ და ციფრულ მარკეტინგში ახალი სტანდარტები დააწესა. კონტენტის პოპულარიზაციასა და მომხმარებლის ჩართულობის ჩამოყალიბებაში YouTube-ის ალგორითმები გადამწყვეტ როლს ასრულებენ, თუმცა, ამავდროულად, ისინი ზრდიან დეზინფორმაციისა და „ინფორმაციული ბუშტების“ (Information Bubbles) რისკებს. კვლევა აჩვენებს, რომ YouTube არამარტო ცვლის ტრადიციულ მედიას, არამედ ქმნის დემოკრატიული და დეცენტრალიზებული შინაარსის წარმოების მოდელს, სადაც აუდიტორიას აქტიური როლი აქვს. მისი ზემოქმედება უკავშირდება ისეთ თეორიებს, როგორებიცაა კონვერგენტული კულტურა (Jenkins, 2006) და ქსელური საზოგადოება (Castells, 2009). საბოლოო ჯამში, YouTube თანამედროვე ციფრული მედიის ერთ-ერთი წამყვანი ძალაა და მედიაგარემოს ტრანსფორმაციას აგრძელებს.

Tinatin Mkalavishvili
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Zaza Tsotniashvili
Doctor, Professor

YouTube as an Original Platform of Social Media

YouTube is one of the most influential and transformative platforms in modern social media. It has completely reshaped the ways in which information is distributed, consumed, and produced. More than just a video hosting service, YouTube is a digital ecosystem that brings together journalism, marketing, education, and social activism. YouTube has significantly developed the media landscape, altered traditional television and news consumption habits, created a “creator economy,” and established new standards in digital marketing. Its algorithms play a crucial role in promoting content and shaping user engagement, while also increasing the risks of disinformation and the spread of so-called information bubbles. Research shows that YouTube not only changes traditional media but also creates a democratic and decentralized model of content production, in which audiences play an active role. Its influence is closely connected to theories such as convergence culture (Jenkins, 2006) and network society (Castells, 2009). Ultimately, YouTube stands as one of the driving forces of contemporary digital media and continues to transform the media environment.

თათია კოკობინაძე, მარიამ ვეკუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მინდიაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

1989 წლის 9 აპრილის რეცეფციები ქართულ პრესაში (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1989 წელი)

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან საბჭოთა საქართველოში გარდამტეხი პერიოდი იწყება, ქართულ საზოგადოებაში მწიფდება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სურვილი, ანტისაბჭოთა მოძრაობა 1988 წლიდან გააქტიურდა, რამაც მასობრივი საპროტესტო აქციები და გაფიცვები გამოიწვია. მანიფესტაციებმა და მიტინგებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლიხნის კრების შემდგომი პროცესები, რასაც ქართულმა მხარემ მრავალათასიანი მიტინგით უპასუხა და ნაციონალური სულისკვეთება გამოხატა. 25 მარტიდან ვითარება სულ უფრო დაიძაბა და ანტისაბჭოთა მოძრაობამ პიკს მიაღწია, რაც კატეგორიულად მიუღებელი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისთვის, ამიტომ, მათ მომიტინგეების ძალისმიერი მეთოდებით დაშლის გადაწყვეტილება მიიღეს. 1989 წლის 9 აპრილს გენერალ როდიონოვის ხელმძღვანელობით საბჭოთა არმიამ დაარბია საპროტესტო აქციის მონაწილეები, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 500-მდე ადამიანი კი მძიმედ დაშავდა, აღნიშნული მოვლენა ქართულ საზოგადოებაში ეროვნულ ტრაგედიად კვალიფიცირდა და გარდამტეხი როლი შეასრულა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ქართულ საზოგადოებაში ნიჰილისტურ განწყობას არასტაბილური ვითარება და ტრავმული მოვლენები ქმნიდა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც რთულ გარემოს. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში გამოდიოდა არაერთი პერიოდული ორგანო, რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება მახვილდებოდა აფხაზეთის კონფლიქტზეც. ჩვენი კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, საკვლევ პერიოდად განვსაზღვრეთ 1989 წელი, ჩვენი მიზანი იმის წარმოჩენაა, თუ როგორ აისახა 9 აპრილის ტრაგედია ქართულ (ჯერ კიდევ საბჭოთა) პერიოდულ პრესაში, რა ინტენსივობითა და რაკურსებით განიხილებოდა და შუქდებოდა აღნიშნული საკითხები და რამდენად მოხდა პოლიტიკური საკითხების რეპრეზენტაცია.

Tatia Kokobinadze, Mariam Vekua
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nino Mindiashvii
Doctor, Associate Professor

Receptions of April 9, 1989 in the Georgian Press (Newspaper “Literary Georgia,” 1989)

From the 1980s, a turning point began in Soviet Georgia. Within Georgian society, the desire to fight for independence started to mature. The anti-Soviet movement intensified from 1988, which led to mass protest rallies and strikes. Demonstrations and rallies took on an intensive character. Particularly noteworthy are the processes following the Lykhny Assembly, to which the Georgian side responded with a mass rally and expressed its national spirit. From March 25, the situation became increasingly tense, and the anti-Soviet movement reached its peak, which was categorically unacceptable to the Central Committee of the

Communist Party of the Soviet Union. Therefore, they decided to disperse the demonstrators through violent methods. On April 9, 1989, under the leadership of General Rodionov, the Soviet army violently dispersed the participants in the protest rally. As a result, 21 people lost their lives, and around 500 others were severely injured. This event was classified by Georgian society as a national tragedy and played a decisive role in the struggle for independence. A nihilistic mood prevailed in Georgian society, created by the unstable environment and traumatic events, which further intensified an already difficult reality. It is noteworthy that during this period, numerous periodicals were being published, in which, among other issues, attention was also paid to the Abkhazian conflict. Within the framework of our research, we studied the newspaper Literary Georgia, and we defined the year 1989 as the period of study. Our goal is to demonstrate how the April 9 tragedy was reflected in the (still Soviet) Georgian periodical press—how intensively and from what angles the topic was discussed and covered, and to what extent the representation of political issues occurred.

არმაზ შავიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ტორაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები პოლარიზებული მედიაგარემოს პირობებში (საპროტესტო აქციების გაშუქება „ტვ პირველისა“ და „იმედის“ მთავარი საინფორმაციო გადაცემების მაგალითებზე)

თანამედროვე ქართული ტელემედია, რომელიც ბოლო ათწლეულია ქვეყანაში მიმდინარე საპორტესტო აქციებს აშუქებს, ეჭვქვეშ აყენებს ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს. ინფორმაციული ნაკადი, რომელიც მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში იყრის თავს, კიდევ უფრო აღვივებს საზოგადოებაში არსებულ პოლარიზაციასა და დაპირისპირებას. ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების კვლევა ასეთ ეროზირებულ გარემოში უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ნაშრომი ცდილობს, გამოააშკარაოს და გააანალიზოს აღნიშნული მოვლენების საფუძველი – საკვლევი ობიექტების მიერ ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების უგულვებელყოფა და პოლარიზაციის ხელოვნურად გაღვივების მცდელობა. ნაშრომში გამოყენებული მიდგომები შესაძლებლობას გვაძლევს, დავინახოთ, თუ როგორია ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები პოლარიზებული მედიაგარემოს პირობებში. კვლევის მიზანია, დავადგინოთ, რამდენად ეთიკურად შუქდება პოლარიზებულ მედიებში საპროტესტო აქციები. როგორ წარმოაჩენენ საკვლევი ობიექტები საპროტესტო აქციას თავიანთ სიუჟეტებში, რამდენად რელევანტურ წყაროებს იყენებენ ჟურნალისტები და მოცემულია თუ არა ბალანსი პროცესების გაშუქებისას. ნაშრომი შერჩეული ტელემედიების მაგალითებზე აჩვენებს პოლარიზებულ გარემოში ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვის მნიშვნელობას და იმას, თუ როგორაა გამოყენებული სენტენცია: “არ ავნო”. საკვლევ ობიექტებად ავირჩიეთ ,,ტვ პირველისა“ და ,,ტვ იმედის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვებები, რადგან, მიგვაჩნია, რომ ეს ორი ტელემედია საზოგადოებას სხვადასხვა რაკურსით უყვება ახალ ამბებს, იწვევს პოლარიზაციას და ამ პროცესში თავს არიდებს როგორც ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს, ისე ობიექტური რეალობის ასახვის პრინციპს. გვაქვს ვარაუდი, რომ ამ პოლარიზებული მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკა წინასაწარ განწყობილია გაშუქების რაკურსზე. საკვლევ პერიოდად განისაზღვრა ბოლო ერთი თვე (1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით). მიზნის მისაღწევად 5 კითხვას გაეცა პასუხი: 1. რა ჟანრის მედიაპროდუქტს იყენებენ

საკვლევი ობიექტები აქციების გასაშუქებლად? 2. რამდენად განსხვავდება შერჩეული ტელემედიების კონტენტი ერთმანეთისგან? 3. რამდენად იგრძნობა მათი სარედაქციო პოლიტიკა რესპონდენტების შერჩევისას? 4. რა ნარატივით ესაუბრებიან მაყურებელს საკვლევი ობიექტები? 5. როგორ არის ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები დაცული? კითხვებზე პასუხის გასაცემად და საკვლევ მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი. გარდა ამისა, თვისებრივი კვლევის ფორმად ავირჩეთ სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც ჩატარდა მედიაექსპერტებთან და ჟურნალისტებთან. საბოლოო ჯამში, საკვლევი ობიექტების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებით, გაანალიზდა და დახარისხდა მედიასაშუალებების მიერ პოლარიზაციის პროცესში გამოვლენილი ეთიკური დარღვევები. მიგნებებმა თვალსაჩინო გახადა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების უგულვებელყოფის საკითხი.

Armazi Shavidze
Ivane Javaskishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Maia Toradze
Doctor, Associate Professor

Journalistic Ethics Standards in a Polarized Media Environment (Coverage of Protest Rallies in the Main News Broadcasts of "TV Pirveli" and "Imedi")

Modern Georgian television media, which has been covering protest rallies over the past decade, raises questions about the standards of journalistic ethics. The flow of information concentrated in the main news programs further fuels existing polarization and confrontation within society. In such an eroded environment, studying journalistic ethics standards becomes increasingly relevant. This paper aims to uncover and analyze the root of these phenomena—the disregard for journalistic ethics standards by the selected media outlets and their attempts to artificially incite polarization. The approaches used in the paper allow us to observe how journalistic ethics standards function in a polarized media environment. The goal of the research is to determine how ethically protest rallies are covered in polarized media. How do the selected outlets portray the protests in their reports? How relevant are the sources used by journalists? Is there a balance in the coverage of events? The paper, using examples from selected television broadcasters, demonstrates the importance of upholding journalistic ethics standards in a polarized environment and examines how the principle of "do no harm" is applied. The objects of study are the main news broadcasts of "TV Pirveli" and "TV Imedi," as these two media outlets present news to the public from different perspectives, contribute to polarization, and in the process avoid both journalistic ethics standards and the principle of reflecting objective reality. We hypothesize that the editorial policies of these polarized media outlets are preconditioned by their coverage angles. The research period is defined as the last month (from April 1 to April 30). To achieve the goal, five questions were addressed: 1. What genre of media product do the selected outlets use to cover the protests? 2. How different is the content of the selected television media from each other? 3. How evident is their editorial policy in the selection of respondents? 4. What narrative do the studied outlets use to speak to their audiences? 5. How are journalistic ethics standards upheld? To answer these questions, qualitative and quantitative content analysis was used as the research method. In addition, structured in-depth interviews with media experts and journalists were conducted as a qualitative research tool. Ultimately, through observation of the main news broadcasts of the selected outlets, ethical violations identified in the polarization process were analyzed and categorized. The findings highlight the issue of disregarding journalistic ethics standards.

თეონა გოგოლაძე, დიანა თირქია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ამირანაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოში ბიზნესის განვითარების ტენდენციების ასახვა საზოგადოებრივი მაუწყებლის „ბიზნესპარტნიორის“ფორმატში /2025 წლის თებერვალი-აპრილი/

ჩვენი კვლევა ეხება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ბიზნესპარტნიორის“ სიღრმისეულ ანალიზს 2025 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით. კვლევის მიზანია გადაცემის შინაარსობრივი, სტრუქტურული და სარედაქციო თავისებურებების გამოვლენა და მისი როლის შეფასება საზოგადოებრივ დისკურსში. ამ თვალსაზრისით, ვიმსჯელებთ როგორც გადაცემის წამყვან მაია ჭუჭულაშვილის როლზე, პროფესიულ და ანალიტიკურ, თემატიკის შერჩევისა და მასალის გამოყენების უნარებზე, ასევე, ყურადღებას გავამახვილებთ გადაცემაში ჩართული სტუმრების - სამთავრობო და კერძო სექტორის, მეცნიერებისა და ექსპერტების კომპეტენციასა და საქმისადმი მიდგომაზე. კვლევისას გამოვიყენეთ კონტენტანალიზი, დესკრიპტიული და შედარებითი ანალიზი ტელეკომპანია „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის ბიზნესფორმატებთან.

ჩავატარეთ მცირე გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც მაყურებლები გადაცემას აფასებენ, როგორც სანდო წყაროს ეკონომიკური განათლებისა და ინფორმირებული სამოქალაქო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. კვლევის ჰიპოთეზა, რომ „ბიზნესპარტნიორი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ ინფორმირებასა და მედიაგანათლებაში, ემპირიულად დადასტურდა. კვლევა რეკომენდაციას აძლევს მედიაპოლიტიკის ფორმირებაში ჩართულ სუბიექტებს, გააძლიერონ მსგავსი ტიპის ანალიტიკური გადაცემები, როგორც საზოგადოების ეკონომიკური განათლებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი საშუალებები.

Teona Gogoladze, Diana Tirkia
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nana Amiranashvili
Doctor, Associate Professor

Reflecting Business Development Trends in Georgia in the Format of the Public Broadcaster's "Business Partner" (February–April 2025)

Our research focuses on an in-depth analysis of the Georgian Public Broadcaster's program "Business Partner" during the period from February to April 2025. The objective of the study is to identify the content-related, structural, and editorial characteristics of the program and to assess its role within public discourse. In this context, we examine the role of the program's host, Maia Chuchulashvili, with particular attention to her professional and analytical skills, topic selection, and use of materials. We also focus on the competence and approach of the guests featured on the show — representatives from the government and private sectors, academia, and subject-matter experts. The methodology includes content analysis, descriptive and comparative analysis with similar business programs on TV channels Imedi and Rustavi 2. We also conducted a small-scale survey, which revealed that viewers regard the program as a reliable source for economic

education and for fostering informed civic attitudes. The research hypothesis — that "Business Partner" plays a significant role in economic awareness and media literacy — was empirically confirmed. The study recommends that stakeholders involved in media policy strengthen such analytical formats, as they serve as effective tools for promoting economic education and informed decision-making within society.

მარიამ ჯომიდავა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ამირანაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბავშვთა უფლებები და ჟურნალისტური სტანდარტები საქველმოქმედო საკითხების გაშუქებისას

ბავშვთა სიღარიბე მწვავე სოციალური პრობლემაა, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მათ, ასევე, მთელი საზოგადოების განვითარებაზე. მედია, როგორც ინფორმაციის გავრცელების მთავარი საშუალება, ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თემა აქტუალურობასთან ერთად საკმაოდ პრობლემატურია. ჩვენი კვლევის მიზანია მედიის გავლენის, მისი როლისა და პასუხისმგებლობის წარმოჩენა, მისი დამოკიდებულების გამოვლენა ბავშვთა სიღარიბის გაშუქებისას, აღსანიშნავია, რომ საქართველოში სხვადასხვა არხზე გასულ სიუჟეტებში ბავშვებს ხშირად ქველმოქმედების ობიექტებად წარმოაჩენენ. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება კონტენტ-ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ კონკრეტული სიუჟეტები, რომლებიც ეხება ბავშვთა სიღარიბეს. რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები კი დაგვეხმარება,რათა მივიღოთ კომპლექსური და მრავალმხრივი ინფორმაცია კვლევის ობიექტებზე - ბავშვებსა და ჟურნალისტებზე. მოსაზრებების გასამყარებლად ჩავწერთ ინტერვიუებს პედაგოგთან, ფსიქოლოგთან და მშობელთან, რაც დამატებით ინფორმაციას მოგვცემს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი ბავშვების ქველმოქმედების ობიექტად წარმოჩენასა და უფლებების დარღვევას. მნიშვნელოვანია, რომ კვლევის პროცესში გავაანალიზოთ ეთიკური სტანდარტები და კანონმდებლობა, რათა შევაფასოთ, რამდენად მისაღებია ბავშვების ქველმოქმედების ობიექტებად ქცევა და როგორი გავლენა შეიძლება ამან მოახდინოს მათ ფსიქოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობაზე.

Mariam Jomidava
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nana Amiranashvili
Doctor, Associate Professor

Children's Rights and Journalistic Standards in the Coverage of Charitable Issues

Child poverty is a significant social issue impacting both individual development and society as a whole. The media, as a key information disseminator, plays a crucial role in this context. The topic is not only relevant but also quite problematic. Our research aims to examine the media's influence, responsibilities, and its

approach to covering child poverty. Notably, various reports in Georgia often depict children as objects of charity. We will employ content analysis to investigate specific reports on child poverty. Both quantitative and qualitative methods will provide a comprehensive understanding of the subjects—children and journalists. To further support our findings, we will conduct interviews with a teacher, a psychologist, and a parent, offering additional insights into their perceptions of children being portrayed as charity objects and the implications for their rights. It is important that we analyze ethical standards and legislation during the research process to assess the acceptability of portraying children as objects of charity and to understand the potential impact this may have on their psychological and social well-being.

ეთიკო შაყულაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქალაგანიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ლონგრიდი, როგორც ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ჟანრი (ქართული და უცხოური ლონგრიდების შედარებითი ანალიზი)

ლონგრიდი, იგივე ვრცლად საკითხავი, ჟურნალისტური თხრობის საინტერესო და მრავალფეროვანი ჟანრია, რომელიც სხვა ტიპის ციფრული მედიაპროდუქტისაგან მოცულობითი ტექსტითა და მულტიმედიური ელემენტების კონვერგენციით გამოირჩევა.

მსოფლიოს ისეთი ცნობილი მედიაბრენდები, როგორებიცაა - The New York Times, The Guardian, BBC, The Atlantic, National Geographic - წლებია, ქმნიან ტექნიკურად და შინაარსობრივად ხარისხიან ლონგრიდებს. შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილება, ქართულთან შედარებით, მდიდარია. წინამდებარე კვლევის მიზანია, გავაანალიზოთ ლონგრიდების წარმოების კუთხით არსებული მსოფლიო გამოცდილება და შევადაროთ ქართულ ნიმუშებს.

მიზნის მისაღწევად, ცნობილ მედიაბრენდებზე დაყრდნობით, შევისწავლეთ ლონგრიდების წარმოების უცხოური პრაქტიკა. ქართულ ემპირიულ ველზე კი ჩვენი კვლევის ობიექტად საინფორმაციო სააგენტო, tabula.ge - ხოლო საკვლევ პერიოდად 2023-2025 წლები განვსაზღვრეთ. კონტენტანალიზისა და შედარებითი ანალიზის თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ჩატარებულმა კვლევამ, მნიშვნელოვან მიგნებებს მოუყარა თავი: ქართულ ლონგრიდებს, უცხოურთან შედარებით, ჟანრისთვის დამახასიათებელი რიგი ნაკლოვანებები აღმოაჩნდა, რაც, უპირატესად, ტექნიკურ ნაწილში გამოვლინდა.

Etiko Shakulashvili
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Nino Chalaganidze
Doctor, Associate Professor

Longreads as a Contemporary Genre of Dissemination of Information (Comparative Analysis of the Georgian and Foreign longreads)

Longreads is an interesting and diversified genre of the reading journalistic narration which is characterized by volumetric texts and convergence of multimedia elements in comparison with other types of digital media products.

The world's well-known media brands, such as "The New York Times", "The Guardian", "BBC", "The Atlantic", "National Geographic" have been creating technically and content-wise high-grade longreads for years. Accordingly, their international experience, in comparison with the Georgian one, is richer.

A target of the present research is to analyze the world's experience in longreads production and to compare it with the Georgian approach. To reach the objective, based on famous media brands, we have reviewed a foreign practice of longreads productions. As for the Georgian empirical field, we determined the news agency tabula.ge as the site of research, and the period of 2023-2025 as the period to be researched. The research conducted using the qualitative methods of content analysis and comparative analysis summarized significant findings, mainly Georgian longreads, in comparison with the foreign ones, revealed some disadvantages characteristic of the genre, which, dominantly, were reflected in the technical part.

თამარ ოყუჯავა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მინდიაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აფხაზეთის კონფლიქტი პრესაში - თეორიულ-ანალიტიკური დისკურსი

აფხაზეთის კონფლიქტი ქართული საზოგადოებისთვის მოუგვარებელ პრობლემად რჩება. ოკუპირებული ტერიტორია და ათასობით დევნილი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. ქართულ და აფხაზურ პრესაში კონფლიქტის საკითხები არაერთგვაროვნად განიხილება, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. მნიშვნელოვანია, რომ როგორც ქართულ, ასევე, აფხაზურ და რუსულ სამეცნიერო სივრცეში არაერთი ნაშრომი, მონოგრაფია თუ საკვალიფიკაციო ნაშრომი შეიქმნა, რომელთა ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ბეჭდურ მედიაში ასახულ კონფლიქტზე და იმ თემატურ ინტერპრეტაციებზე, რომელთაც ჟურნალისტები საანალიზო საკითხებთან დაკავშირებით წარმოაჩენენ. კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ქართველ, აფხაზ, რუს მეცნიერთა და მედიამკვლევართა მოსაზრებები, რამაც საშუალება მოგვცა კომპლექსურად გაგვეაზრებინა საკითხი და შეგვეფასებინა ის ტენდენციები, რომლებიც მკვლევართა ანალიტიკურ ნააზრევში შეინიშნება. შესწავლილი მასალის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ, რუს და აფხაზ მეცნიერებს

სრულიად განსხვავებული პოზიციები აქვთ, ერთი მხრივ, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებთან თუ მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, ბეჭდური მედიების შეფასების კონტექსტში. ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება ტენდენციურობა და საკითხისადმი სუბიექტური მიდგომა, რაც მიუღებელია როგორც სამეცნიერო დისკურსისთვის, ასევე, ჟურნალისტური ეთიკისთვისაც.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, საქართველო, აფხაზეთი, ოკუპაცია, მეცნიერება, პოზიციები.

Tamar Okujava
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Nino Mindiashvii
Doctor, Associate Professor

The Abkhazian Conflict in the Press – A Theoretical-Analytical Discourse

The Abkhazian conflict remains an unresolved issue for Georgian society. The occupied territory and thousands of displaced people do not give grounds for optimism. The conflict is represented differently in the Georgian and Abkhazian press, due to both objective and subjective reasons. It is important to note that numerous academic works, monographs, and theses have been produced within the Georgian, Abkhazian, and Russian scientific spheres. The authors of these works focus on how the conflict is portrayed in print media and analyze the thematic interpretations presented by journalists in relation to key issues. As part of this research, we studied the perspectives of Georgian, Abkhazian, and Russian scholars and media researchers. This allowed us to gain a comprehensive understanding of the topic and to assess the prevailing trends observed in the analytical discourse of these researchers. Based on the reviewed material, it can be stated that Georgian, Russian, and Abkhazian scholars hold fundamentally different positions—on the one hand, regarding the causes and course of the conflict, and on the other, in the context of evaluating print media. In certain cases, there are noticeable tendencies of bias and subjective approaches to the issue, which are unacceptable both in scientific discourse and within the standards of journalistic ethics. Keywords: conflict, Georgia, Abkhazia, occupation, science, positions.

მონიკა გაბელია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მინდიაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ომის ლიტერატურა აფხაზურ პრესაში

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები, კონკრეტულად, აფხაზეთის კონფლიქტი არაერთი განსხვავებული დარგისა და პროფილის მკვლევრის ინტერესის საგანია როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ თუ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. საკითხმა, მულტიდისციპლინური ხასიათი მიიღო

იმდენად, რამდენადაც მეცნიერები კონფლიქტის სხვადასხვა ასპექტს იკვლევენ, რაც სრულიად ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც კონფლიქტის გენეტიკა მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და საინტერესოა როგორც კონფლიქტოლოგებისთვის, ასევე ფსიქოლოგების, ლიტერატურათმცოდნეების, ჟურნალისტებისა თუ ანთროპოლოგებისთვის.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რაკურსი პრესაა, რომელშიც მთელი სისრულით აისახა ის მოვლენები, პოზიციები თუ დამოკიდებულება, რომლებიც თან ახლდა, ერთი მხრივ, კონფლიქტის მიმდინარეობას, ხოლო, მეორე მხრივ, კონფლიქტის შემდგომ პერიოდს. აღსანიშნავია, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ლიტარატურული რეპრეზენტაცია მყისიერად წარმოჩინდა როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ ლიტერატურაში, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ომის ლიტერატურის წარმოჩენას განსაკუთრებით ბეჭდურმა მედიამ შეუწყო ხელი, სწორედ პრესის ფურცლებიდან გაიცნო ქართველმა მკითხველმა ომის თემაზე შექმნილი პროდუქტით გურამ ოდიშარია, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, რეზო თაბუკაშვილი და სხვები.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანია აფხაზურ პრესაში ასახული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ლიტერატურული რეპრეზენტაცია.

Monika Gabelia
Sokhumi State University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Nino Mindiashvii
Doctor, Associate Professor

War Literature in the Abkhazian Press

The events of the 1990s of the 20th century, specifically the Abkhazian conflict, are a subject of interest for researchers of many different fields and profiles, both in the Georgian, Abkhazian, and international scientific space. The issue has taken on a multidisciplinary character, as scholars study various aspects of conflict, which is quite natural, since the genetics of conflict allow for many interpretations and it is interesting for conflict scholars as well as psychologists, literary critics, journalists, and anthropologists.

In terms of studying the Georgian-Abkhazian conflict, one of the most interesting perspectives is the press, which fully reflected the events, positions, and attitudes that accompanied the course of the conflict, on the one hand, and the post-conflict period, on the other. It is noteworthy that the literary representation of the Georgian-Abkhazian conflict immediately appeared in both Georgian and Abkhazian literature. It is noteworthy that the print media especially contributed to the representation of war literature. It was through the pages of the press that Georgian readers became acquainted with the war-themed works of Guram Odisharia, Geno Kalandia, Jano Janelidze, Rezo Tabukashvili, and others.

At this stage, the subject of our research is the literary representation of the Georgian-Abkhazian conflict reflected in the Abkhazian press.

ნათია შამუგია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლიანა მარქარიანი
დოქტორი, ასისტენტი

ხელოვნური ინტელექტის გავლენა ინფორმაციულ ნაკადზე და საზოგადოების ქცევაზე სოციალურ ქსელში (ქართული სოციალური ქსელის მაგალითზე)

ციფრულ ეპოქაში, როდესაც ინფორმაცია წარმოუდგენელი სისწრაფით ვრცელდება, ხელოვნური ინტელექტი (AI) იქცა ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, რომელიც ახლებურად გარდაქმნის ინფორმაციის შექმნის, გადაცემისა და აღქმის პროცესს. ნაშრომის მიზანია დაადგინოს ხელოვნური ინტელექტით გენერირებული კონტენის გავლენა ინფორმაციულ ნაკადზე და სოციალური ქსელის, კერძოდ, Facebook-ის მომხმარებლის ქცევაზე. შესაბამისად, დასაკვირვებლად შეირჩა ბოლო ხუთი თვის განმავლობაში (2025წლის იანვარი-მაისი) ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ყველაზე პოპულარული ქეისი. მიზნის მისაღწევად კი შეირჩა რელევანტური საკვლევი მეთოდები: შემთხვევის ანალიზი და კომენტარების თვისებრივი და რაოდენობრივი კონკენტ-ანალიზი, რომლებითაც დავადგენთ, თუ რა გავლენას ახდენს ხელოვნური კონტენტი სოციალური ქსელის ქცევაზე და რომელი ასაკობრივი კატეგორიაა ყველაზე მოწყვლადი. კვლევა მიისწრაფვის ხაზი გაუსვას იმ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია AI-ის გამოყენებასთან ინფორმაციულ ეკოსისტემაში. კვლევა ეყრდნობა მოხმარებისა და დაკმაყოფილების თეორიას (The uses and gratifications theory), რაც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული გვერდები ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ქმნიან და აქვეყნებენ კონტენტს, რომელიც მომხარებელს სჭირდება და მეტ ყურადღებას მიაქცევს.

Natia Shamugia
Ivane Javaskishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Liana Markaryan
Doctor, Assistant

The Influence of Artificial Intelligence on the Flow of Information and Public Behavior on Social Media (Based on the Example of a Georgian Social Network)

In the digital age, where information spreads at an unimaginable speed, Artificial Intelligence (AI) has become one of the main forces transforming the processes of information creation, dissemination, and perception. The objective of this study is to examine the impact of AI-generated content on the flow of information and on user behavior within social networks—specifically, on Facebook. For this purpose, the most popular AI-generated case from the past five months ((January–May 2025) was selected for observation. To achieve the research goal, relevant methods were employed: case study analysis and a combined qualitative and quantitative content analysis of user comments. These approaches allow us to examine how AI-generated content influences social media behavior and to identify which age group is the most vulnerable to such content. The research also aims to highlight the challenges associated with the use of AI in the information ecosystem. The study is based on the Uses and Gratifications Theory, which suggests that specific pages, with the help of artificial intelligence, create and publish content that meets users' needs and thereby attracts greater attention.

თამარ პირტახია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ტორაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დეზინფორმაციის გავლენა საზოგადოებასა და პოლიტიკურ პროცესებზე

დეზინფორმაცია თანამედროვე ეპოქაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან პირდაპირ ზემოქმედებს საზოგადოების ინფორმირებისა და სამოქალაქო ცნობიერების ხარისხზე. დეზინფორმაცია ადამიანს მედიის მიმართ ნდობას აკარგვინებს და აძლიერებს პოლარიზაციას, იწვევს არასტაბილურობასა და სიძულვილის ენას პოლიტიკურ სისტემაში.

ნაშრომი მიმოიხილავს, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია დეზინფორმაციას საზოგადოებასა და პოლიტიკურ პროცესებზე. ჩვენ ვიკვლევთ, ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულ ცრუ ინფორმაციებზე რა რეაქცია აქვს საზოგადოებას. მათი კომენტარების საფუძველზე დავადგენთ, თუ რამდენად ნეგატიური შედეგის მომტანია დეზინფორმაციის გავრცელება ადამიანებისთვის, მათი სწორი ინფორმირებისთვისა და პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანად წარმართვისთვის. კვლევის ჩატარების ოპტიმალურ დროდ ჩავთვალეთ ერთი თვე. ერთი თვის მანძილზე ვაკვირდებოდით სოციალურ ქსელებსა თუ მედიაში გავრცელებულ ახალ ამბებს. ვამოწმებდით მათ წყაროებს და სიზუსტეს. ამაში Factcheck-ის პლატფორმა გვეხმარებოდა. შევისწავლეთ ხალხის უკუკავშირი და რეაქცია იმ პოსტებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც ავრცელებდნენ არასწორ ინფორმაციას. ეს დაგვეხმარა გვქონოდა ზოგადი წარმოდგენა რა მდგომარეობაა საქართველოში დეზინფორმაციის გავრცელების კუთხით. ასევე განვიხილავთ იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მედიაში დაუზუსტებელი თუ ყალბი ინფორმაციის გავრცელების პრევენცია. ეს ხელს შეუწყობს როგორც პოლიტიკური პროცესების სწორ აღქმას საზოგადოებაში, ასევე საზოგადოების ჯანსაღ და ობიექტურ განსჯას ამ პროცესების მიმართ, რასაც საბოლოოდ დადებითი ზეგავლენა ექნება ქვეყნის შიდა პროცესებზე. მრავალი მნიშვნელოვანი კვლევა არსებობს ამ პრობლემასთან დაკავშირებით. მაგალითად 2019 წელს ჩატარდა ეკონონიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) და მაკკეინის ინსტიტუტის თანამშრომლობით. მათი მთავარი საკვლევი მიზანი იყო საქართველოში რუსული დეზინფორმაციის გამოვლენა. კვლევა Facebook პლატფორმაზე განხორციელდა და გამოავლინა, რომ ანტი-დასავლური პოსტების 87% ემსახურებოდა პრო-რუსულ, ანტი-ევროპულ პროპაგანდას. ამ კვლევაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერნეტ მედიას თუ სოციალურ ქსელებს ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს ჩვენს მსოფლხედველობასა თუ, უბრალოდ, პოლიტიკურ შეხედულებებზე. დეზინფორმაცია ასევე საუკეთესო იარაღია საერთაშორისო დაძაბულობის შესაქმნელადაც.

Tamar Pirtakhia
Ivane Javaskishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Maia Toradze
Doctor, Associate Professor

The Impact of Disinformation on Society and Political Processes

Disinformation is one of the main challenges of the modern era, as it directly affects the quality of public awareness and civic consciousness. It erodes trust in the media, deepens polarization, and contributes to instability and the spread of hate speech within political systems.

This paper examines the impact that disinformation can have on society and political processes. We analyze public reactions to false information disseminated through television and the internet. By examining user comments, we aim to assess how harmful the spread of disinformation can be for individuals, their access to accurate information, and the peaceful conduct of political processes. The optimal period for conducting this research was determined to be one month. During this time, we monitored news circulated on social networks and media platforms. We verified their sources and accuracy, with assistance from the FactCheck platform. We also analyzed public feedback and reactions to posts that were spreading false or misleading information. This enabled us to develop a general understanding of the current state of disinformation in Georgia. Furthermore, the paper discusses possible ways to prevent the dissemination of unverified or fake information in the media. Such preventive measures can improve public perception of political processes and encourage a healthy, objective judgment within society—ultimately contributing to the internal stability of the country. There are numerous important studies on this issue. For example, in 2019, a joint research project was conducted by the Economic Policy Research Center (EPRC) and the McCain Institute. Their main objective was to identify Russian disinformation in Georgia. The study, conducted on the Facebook platform, revealed that 87% of anti-Western posts served pro-Russian, anti-European propaganda. Based on this research, we can state that online media and social networks have a significant influence on our worldview and political opinions. Disinformation is also a powerful tool for fueling international tensions. A striking example of this is the Russia-Ukraine war. Russian internet and television media continuously disseminated false information and manipulated photo and video materials to exaggerate their so-called military "successes."

თათია მჭედლიშვილი
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ვეკუა
დოქტორი, პროფესორი

ჟურნალისტის იმიჯი მსოფლიო კინემატოგრაფიაში

ჟურნალისტიკა - საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროა და ამავე დროს - პროფესია, სადაც შემოქმედებასა და პიროვნულ ფასეულობებს უჭირავს დიდი ადგილი. ამით აიხსნება, რომ

ჟურნალისტის პროფესიული სახე არაერთი რეჟისორის შთაგონების წყარო გამხდარა. ჟურნალისტის იმიჯის წარმოდგენა მხატვრულ კინოში არ კარგავს ინტერესს მე-20 საუკუნის არც ერთ პერიოდში და, შესაბამისად, მისი ანალიზიც რჩება მეტად აქტუალური თანამედროვე სამეცნიერო თემატიკაში. ნაშრომის მიზნია გაანალიზდეს რამდენიმე მსოფლიო შედევრი და გამოიკვეთოს სხვადასხვა რეჟისორის მიერ წარმოდგენილი ჟურნალისტის, როგორც პროფესიონალისა და პიროვნების, სახე მრავალი წახნაგის გათვალისწინებით. განხილული ფილმების ჩამონათვალი: Zodiac, (რეჟ. დ. ფიშერი) State of Play, (რეჟ. კ. მაქდონალდი;) A search for truth, (რეჟ. ს. სპილბერგი); Kill Messenger (რეჟ. მ. გუესტა). თემატიკა ძალზე მრავალფეროვანია - გახმაურებული პოლიტიკური სკანდალები, ბიოგრაფიული ისტორიები, ვიეტნამის ომი და სხვ. ფილმებში გამოკვეთილია ჟურნალისტის საქმიანობა, მისი შინაგანი კონფლიქტი, განცდები და რთული გადაწყვეტილებების მიღების მოტივი - ამცნოს საზოგადოებას მოპოვებული ამბავი, თუ დააყენოს სახელმწიფო ინტერესები უფრო მაღლა, ზოგჯერ საკუთარი პროფესიული ავტორიტეტის ხარჯზეც.

Tatia Mchedlishvili
Georgian International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Marine Vekua
Doctor, Professor

The Image of a Journalist in World Cinema

Journalism is a socio-political sphere and at the same time a profession in which creativity and personal values play a significant role. This explains why the image of a journalist has often served as a source of inspiration for many directors. The portrayal of journalists in fictional cinema has never lost its appeal throughout the 20th century, and accordingly, its analysis remains highly relevant in contemporary academic discourse. The aim of this paper is to analyze several masterpieces of world cinema and to explore the image of the journalist as both a professional and an individual, as represented by different directors from various angles. The films discussed include Zodiac (dir. David Fincher), State of Play (dir. Kevin Macdonald), A Search for Truth (dir. Steven Spielberg), and Kill the Messenger (dir. Michael Cuesta). The subject matter of these films is highly diverse—ranging from high-profile political scandals and biographical narratives to the Vietnam War and beyond. These films highlight the journalist's professional journey, inner conflicts, emotional experiences, and the motives behind their difficult decisions—whether to inform the public about the story they've uncovered or to prioritize national interests, sometimes at the expense of their own professional reputation.



სექცია
SECTION

ინგლისური ენა და ლიტერატურა
ENGLISH LANGUAGE AND LITERATURE

მოხსენებათა რაოდენობა: **10**
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: **10**
The Number of Reporters:

მარიამ ხარჩილავა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლილიანა გოგიჩაიშვილი
დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

"გოთიკური ელემენტების ექო ედგარ ალან პოს მოთხრობებში ,,აშერთა სახლის დაცემა" ,,შავი კატა" და ,,ერთი კასრი ამონტილადო"

ედგარ ალან პოს შემოქმედება ადამიანური ბუნების ფსიქოლოგიური სიღრმეებისა და პიროვნებისთვის დამახასიათებელი შავ-ბნელი მიდრეკილებების კვლევით ხასიათდება. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა მისი საშინელებათა ჟანრის მოთხრობები: "აშერთა სახლის დაცემა", "შავი კატა" და "ერთი კასრი ამონტილადო". "აშერთა სახლის დაცემა" აღწერს მთავარი პერსონაჟის ფსიქოლოგიურ დაცემასა და მისი შინაგანი სამყაროს განადგურებას, ეს ყოველივე კი მეტაფორულად აშერთა საგვარეულო სახლის ფიზიკური განადგურებითაა გამოხატული. "შავი კატა" მოგვითხრობს ძალადობისა და დანაშაულის დესტრუქციული ბუნების შესახებ. მოთხრობით ,,ერთი კასრი ამონტილადო" კი ადამიანის შეშლილობისა და შურისძიების შემზარავი ამბავია გადმოცემული. სამივე მოთხრობა ნათლად ასახავს ადამიანური ფსიქიკის არამდგრად და განადგურებისაკენ მიდრეკილ ბუნებას, შეგვახსენებს, რომ შინაგანი დემონები და ემოციური გადატვირთულობა ხშირად ადამიანის მენტალური, მორალური და ფიზიკური განადგურების წინაპირობაა. მოხსენების თემაა ,,გოთიკური ელემენტების გამოძახილი ედგარ პოს მოთხრობებში ,,აშერთა სახლის დაცემა", ,,შავი კატა" და ,,ერთი კასრი ამონტილადო". ნაშრომის მიზანია მოცემული სამი მოთხრობის ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს გოთიკური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ნიშნები ედგარ პოს შემოქმედებაში.

Mariam Kharchilava
Caucasus International University
Bachelor
Scientific Supervisor: Liliana Gogichaishvii
Doctor, Assistant Professor

"The Echoes of Gothic Elements in Edgar Allan Poe's Short Stories "The Fall of the House of Usher," "The Black Cat," and "The Cask of Amontillado."

Edgar Allan Poe's works are characterized by the exploration of the psychological depths of human nature and the dark tendencies inherent in one's personality. In this regard, his horror stories " The Fall of the House of Usher", "The Black Cat" and "The Cask of Amontillado" are of particular interest. "The Fall of the House of Usher" describes the psychological decline of the main character and the destruction of his inner world, all of which is metaphorically expressed by the physical destruction of the family house of Usher. "The Black Cat" tells us about the destructive nature of violence and crime. "The Cask of Amontillado" is a terrifying story of human madness and revenge. All three short stories clearly illustrate the unstable and destructive nature of the human psyche and remind us that inner demons and emotional overload are often

a prerequisite for a person's mental, moral and physical destruction. The topic of the thesis is "The Echoes of Gothic Elements in Edgar Allan Poe's Stories "The Fall of the House of Usher," "The Black Cat," and "The Cask of Amontillado." The aim of the paper is to identify the characteristics of Gothic literature in Edgar Allan Poe's short stories based on the above mentioned works.

მარიამ ვარსიმაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა პარინოსი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გრამატიკის ეფექტი: პატარა შეცდომების დიდი შედეგები

21-ე საუკუნეში კომუნიკაციის ეფექტურობა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია ენის სიზუსტესა და გრამატიკული ნორმების დაცვაზე. მიუხედავად ამისა, ხშირად მივიწყებულია ის ფაქტი, რომ გრამატიკული შეცდომები არა მხოლოდ სტატისტიკური ხასიათის შეცდომებია, მათ შეუძლიათ მძიმე შედეგების გამოწვევა პროფესიულ თუ სხვა საქმიანობაში. გრამატიკული სტრუქტურის დარღვევა ან სასვენი ნიშნების არასწორი გამოყენება იწვევს, უკეთეს შემთხვევაში, გაუგებრობას, უარეს შემთხვევაში, სერიოზულ ფინანსურ ზარალს. ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეცდომა შეიძლება გადაიზარდოს სოლიდურ პრობლემაში, იქნება ეს კონტრაქტის პირობების არასწორი გაგება, პაციენტისთვის არასწორი დიაგნოზის დასმა თუ საჯარო განცხადების არასწორი ინტერპრეტაცია. ნაშრომში გამოყენებულია case study მეთოდი, მოყვანილია კონკრეტული მაგალითები, განხილულია სხვადასხვა იურიდიული ხასიათის დოკუმენტი.

Mariam Varsimashvili
Caucasus International University
Bachelor
Scientific Supervisor: Nana Parinos
Doctor, Associate Professor

The Grammar Effect: When Small Mistakes Lead to Big Consequences

In the 21st century, the effectiveness of communication increasingly depends on linguistic precision and adherence to grammatical norms. Nevertheless, it is often overlooked that grammatical mistakes are not only statistical mistakes, they can have real-life consequences in both personal and professional contexts. Incorrect grammar can lead to misunderstandings, misinterpretations, and often serious financial, legal, or reputational damage. A minor mistake can escalate into a serious issue, whether

it involves the misinterpretation of contract terms, confusion in a patient's medical records, or the incorrect reading of a public statement. This conference discusses real-life examples where grammatical errors have caused significant consequences. The goal of the conference is to share knowledge in this area and to emphasize the importance of grammatical accuracy.

ელენე ნიკოლაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა პარინოსი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ადამიანი, ბუნება და რინგი: ცეცხლი და ბრძოლა ჯეკ ლონდონის შემოქმედებაში

რა არის ადამიანის შესაძლებლობების რეალური ზღვარი, როდესაც იგი ბედისწერის პირისპირ აღმოჩნდება? ამ კითხვებზე პასუხის ძიებას ემსახურება მოცემული მოხსენება, რომელიც ჯეკ ლონდონის ორ მოთხრობას – „თამაშსა" და „ცეცხლს" აერთიანებს. ორივე მოთხრობაში ყურადღების ცენტრშია ადამიანი, რომელიც აღმოჩნდება ცხოვრების ან ბუნების ულმობელი ძალების პირისპირ და იძულებულია დაუპირისპირდეს ფატალურ გარემოებებს. ორივე მოთხრობაში ბედისწერა წარმოჩენილია, როგორც ერთგვარი უხილავი ძალა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა თავიდანვე წაგებულია, თუმცა გმირები მაინც იჩენენ გამბედაობას და დაუსრულებლად ებრძვიან მას. ნაშრომი განიხილავს, თუ როგორ ასახავს ჯეკ ლონდონი ამ ბრძოლას და რამდენად დიდია უფსკრული ბედისწერასა და ბედთან შეურიგებლობას შორის.

Elene Nikolashvili
Caucasus International University
Bachelor
Scientific Supervisor: Nana Parinos
Doctor, Associate Professor

Man, Nature, and the Ring: Fire and Fight in Jack London's Fiction

What is the true limit of human potential when faced with fate? This question lies at the heart of the following presentation, which brings together two of Jack London's short stories – "A Piece of Steak" and "To Build a Fire". In both stories, the central focus is on a person confronted by the relentless forces of nature or life, compelled to stand against seemingly fatal circumstances. Fate is depicted in both narratives as an invisible force against which any battle is doomed from the outset, yet the protagonists still display courage and engage in an unending struggle. This work explores how Jack London portrays this fight and examines the vast chasm between surrendering to fate and refusing to accept it.

მარიამ სიქტურაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა პარინოსი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აპრობირებული მიდგომები ინგლისური ენის შესწავლისას B1 დონეზე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტთა მაგალითზე)

ინგლისური ენა გლობალური კომუნიკაციის მთავარ საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ მისი სწავლების მეთოდების გაუმჯობესება ყოველთვის აქტუალურია. კვლევა მიზნად ისახავს სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის განხილვას, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე ინგლისური ენის სწავლებაში და მათი შესაბამისობის შეფასებას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე ბევრი კვლევა არსებობს, ვფიქრობ, საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი იმ მეთოდების ეფექტურობა, რომლებიც უკეთ ერგება სტუდენტთა საჭიროებებს. ნაშრომში განიხილება ინგლისური ენის სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მიდგომა და მათი ეფექტურობა 2024-2025 წლის შემოდგომის სემესტრში კსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის პირველკურსელთა ჯგუფებში.

Mariam Sikturashvili
Caucasus International University
Bachelor
Scientific Supervisor: Nana Parinos
Doctor, Associate Professor

Approved Approaches to Learning English at the B1 Level CIU English Philology First-Year Students' Case

English language is the primary tool for global communication. Therefore, improving its teaching methods is always relevant. The aim of this research is to discuss various methods and approaches used in contemporary English language teaching and assess their relevance in the modern educational space. Although there is much research on this topic, I believe the effectiveness of methods that better meet the needs of students has been less studied in Georgia. This paper examines different methods and approaches to teaching English and their effectiveness in the fall semester of 2024-2025 among first-year students in the English Philology department at CIU.

მარიამ მურღულაია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა პარინოსი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ირვინგი, პუშკინი, გოგოლი

ამერიკული ლიტერატურის მამამ - ვოშინგტონ ირვინგმა დიდი გავლენა მოახდინა ამერიკული ლიტერატურის განვითარებაზე, კერძოდ, ისეთ მწერლებზე, როგორებიც არიან ფენიმორ კუპერი, მარკ ტვენი, ჰენრი ლონგფელო, ამ ყოველივეს მიღმა არც ინგლისური ლიტერატურის კორიფე - ჩარლზ დიკენსი დარჩენილა. ირვინგი ბევრი მწერლისთვის გარკვეულ ინსპირაციას წარმოადგენდა. ამერიკიდან შორს, ცარისტულ რუსეთში ალექსანდრე პუშკინი (პუშკინი ხშირად უპირისპირდებოდა ცარისტულ იდეოლოგიას) ითვლება ლიტერატურული ენისა და სტილის ფუძემდებლად, ნიკოლაი გოგოლმა გზა გაუხსნა რუსულ რეალიზმსა და მოდერნიზმს. აღსანიშნავია ვოშინგტონ ირვინგის, ალექსანდრე პუშკინისა და ნიკოლაი გოგოლის შემოქმედებას შორის არსებული მსგავსება. სამივე მწერალი ერთსა და იმავე ეპაქაში მოღვაწეობდა. საინტერესოა, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია ასეთი მსგავსება მათ შემოქმედებაში, ან იქნებ ერთი მხარე მეორის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა?! ამერიკულმა ლიტერატურამ მოაქცია რუსული ლიტერატურა თავისი გავლენის ქვეშ, თუ პირიქით. ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს, თუ რა როლი შეასრულა ზემოხსენებულმა სამმა მწერალმა ერთმანეთის შემოქმედების ფორმირებაში.

Mariam Murgulaia
Caucasus International University
Bachelor
Scientific Supervisor: Nana Parinos
Doctor, Associate Professor

Irving, Pushkin, Gogol

The father of American literature, Washington Irving, had a significant impact on the development of American literary tradition—particularly on writers such as James Fenimore Cooper, Mark Twain, and Henry Wadsworth Longfellow. Even the giant of English literature, Charles Dickens, was not untouched by Irving's influence. For many authors, Irving served as a source of inspiration. Far from America, in Tsarist Russia, Alexander Pushkin—who often opposed the imperial ideology—came to be regarded as the founder of the Russian literary language and style, while Nikolai Gogol paved the way for Russian realism and modernism. It is worth noting the similarities in the works of Washington Irving, Alexander Pushkin, and Nikolai Gogol. All three writers worked in the same historical era. What makes these parallels especially intriguing is the question of what factors caused such similarities in their writing—or whether one influenced the other. Did American literature influence Russian literature, or was the influence the other way around? This paper aims to explore the role these three writers played in shaping each other's literary contributions.

მარიამ ნუიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ღარიბაშვილი და ნუნუ გელდიაშვილი
დოქტორი, პროფესორი

ინგლისურენოვანი ბარბარიზმები თუშურ დიალექტში

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც დროთა განმავლობაში მუდმივ ევოლუციას განიცდის. შესაბამისად, ბარბარიზმების შემოდინება ქართულში ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებით კი ინგლისური ენიდან. ამ პროცესის ძირითადი მიზეზებია: ტექნოლოგიური პროგრესი და ინტერნეტის გავრცელება; სოციალური ქსელები და მედია; გლობალიზაცია და კულტურული ინტეგრაცია, განათლებისა და პროფესიული განვითარების ტენდენციები და ა.შ. იმის მიუხედავად, რომ საქართველო დიდი ტერიტორიული მასშტაბურობით არ გამოირჩევა, ინგლისური ენიდან ბარბარიზმების შემოსვლამ არა მარტო სასაუბრო ქართულ ენაზე, არამედ მის ერთ-ერთ დიალექტზე, კერძოდ კი - თუშურ დიალექტზე იმოქმედა. თუშურ დიალექტშიც შემოსულია ბარბარიზმები ზმნების (დალაიქება - lıke, დაკლიკვა - clıck, დასინვა - seen...), ზედსართავი სახელების (სლეი -slay, პოზიტიური - positive, ნეგატიური - negative...), არსებითი სახელის (დეითი - date) სახით. მსგავსი ენობრივი ერთეულების შემოსვლის პროცესი იმდენად მძლავრი და აქტიურია, რომ დიალექტის შიგნით ხდება მისი სწრაფი ასიმილირება არა მხოლოდ ფონეტიკა-ფონოლოგიურ (მაგ. და-ლაიქ-ება-ჲ - მოწონება; და-სეივ-ება-ჲ - შენახვა;), არამედ მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე. ნასესხებ ზმნებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გარდა, უშუალოდ, ნასესხები სიტყვის ტრანსკრიბირებისა (like - ლაიქ, save -სეივ, seen -სიინ...), თუშურ დიალექტზე აღნიშნული სიტყვები ბოლოსართად იმატებენ იოტის ნიშანს [ჲ] თხრობით წინადადებაში. განსხვავებული სურათი გვხვდება იმავე ბარბარიზმის კითხვით წინადადებაში გამოყენებისას (და-ა-ლაიქ-ება? და-ა-სეივ-ება?), რომლის დროსაც ქრება იოტას ნიშანი სიტყვის ბოლოს, და- თავსართში ხმოვანი ორმაგდება (და-ა -). კვლევის დროს გამოიკვეთა ბევრი საინტერესო შემთხვევა ბარბარიზმების თუშურ დიალექტში შემოდინებასთან დაკავშირებით, რომლის ანალიზიც ვრცლად არის წამროდგენილი საპრეზენტაციო მოხსენებაში.

Mariam Nuishvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
Bachelor
Scientific Supervisor: Manana Garibashvili and Nunu Geldiashvili
Doctor, professor

English Barbarisms in Tushetian Dialect

Language is a living organism that constantly evolves over time. Accordingly, the influx of barbarisms into Georgian has significantly increased in recent years, especially from the English language. The main reasons for this process include: technological advancement and the spread of the internet; social media

and mass communication; globalization and cultural integration; trends in education and professional development, etc. Despite the fact that Georgia is not a territorially large country, the influx of barbarisms from the English language has affected not only the spoken Georgian language but also one of its dialects—specifically, the Tushetian dialect. Barbarisms have also entered the Tushetian dialect in the form of verbs (e.g., დალაიქება – to like, დაკლიკვა – to click, დასინვა – to see/seen), adjectives (სლეი – slay, პოზიტიური – positive, ნეგატიური – negative), and nouns (დეითი – date). The process of such linguistic units entering the dialect is so strong and active that they are rapidly assimilated within the dialect—not only at the phonetic-phonological level (e.g., და-ლაიქ-ება-ჲ [da-laik-eba-y] – liking; და-სეივ-ება-ჲ [da-seiv-eba-y] – saving), but also at morphological and syntactic levels. Regarding borrowed verbs, an important aspect is that, in addition to the transcription of the borrowed word itself (e.g., (like - ლაიქ [laiq], save -სეივ [seiv], seen -სიინ [siin]...), these words in the Tushetian dialect take the iotized suffix [ჲ] at the end when used in declarative sentences. A different pattern appears when the same barbarism is used in interrogative sentences (e.g., და-ა-ლაიქ-ება? [da-a-laik-eba?] და-ა-სეივ-ება [da-a-seiv-eba?]), where the iotized suffix disappears from the end of the word, and the prefix vowel is doubled (და-ა - [da-a-]). During the research, many interesting cases related to the influx of barbarisms into the Tushetian dialect were revealed, the analysis of which is presented in detail in the conference presentation.

ნინო სანდოშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა ლაზვიაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ორუელის ფიგურალური ენის სტილისტური თავისებურებანი

წარმოდენილი ნაშრომის მიზანია ინგლისელი მწერლის, ჯორჯ ორუელის, ფიგურალური ენის სტილისტური თავისებურებების შესწავლა მის ცნობილ რომანში „1984“. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ავტორის მიერ გამოყენებული ისეთი სტილისტური ხერხები, როგორებიცაა მეტაფორა, ირონია და მხატვრული შედარება. ორუელი აღნიშნულ საშუალებებს ოკეანიის ტოტალიტარიანული სამყაროს შესაქმნელად იყენებს და ნათლად გამოხატავს საკუთარ კრიტიკას პოლიტიკური წყობის მიმართ. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ირონიისა და მისი სახეების (დრამატულის, ვერბალურისა და სიტუაციურის) გამოყენებას, რომელთაც ავტორი პარტიული დაწესებულებების სახელებსა და სლოგანებში იყენებს. რომანში, მკითხველის ყურადღებას იქცევს მეტაფორაც. მისი საშუალებით მწერალი ნათლად ასახავს ტოტალიტარიანული მმართველობის ქვეშ ფსიქოლოგიური და სოციალური დეგრადირების პროცესს და მის დამღუპველ გავლენას საზოგადოებაზე. ავტორის მიერ ფიგურალური ენის მიზანმიმართული გამოყენება აძლიერებს ნაწარმოების მთავარ თემატურ პრობლემებს, რაც რომანს უნიკალურ მხატვრულ შეფერილობასა და ემოციას სძენს.

Nino Sandoshvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
Bachelor
Scientific Supervisor: Shorena Lazviashvili
Doctor, Associate Professor

Stylistic Features of Orwell's Figurative Language

Given paper aims to examine the powerful and deliberate use of figurative language in George Orwell's dystopian novel "Nineteen Eighty- Four" ("1984"). The analysis focuses on how the author employs various figurative devices, such as metaphor, irony, and simile to construct the totalitarian world of Oceania and to convey his political critique. Particular attention is given to Orwell's use of expressive language to reveal his thoughts, emotions, and ideas about totalitarianism and the manipulation of language. The study highlights Orwell's extensive use of different types of irony, such as dramatic, verbal, and situational, not only in the names of institutions and party slogans, but throughout the novel. Furthermore, metaphors are employed to illustrate the psychological and social deterioration experienced under authoritarian rule and to evoke the oppressive atmosphere in the novel. The author's deliberate stylistic choices reinforce the central themes and ideological of the work and make the novel more expressive and emotional.

ლიზი შელია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ამირანაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თეზევსის მითოსური სახის ინტერპრეტაცია შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარში"

ჩვენი კვლევა ეხება თეზევსის სახეს ანტიკურ მითოლოგიაში, რომლის მიხედვით, იგი წარმოდგენილია, როგორც ჰეროიკული პიროვნება. კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ, თუ როგორ ტრანსფორმირდება თეზევსის მითოლოგიური სახე უილიამ შექსპირის კომედიაში, როგორ აისახება ეს განსხვავება პერსონაჟის ქცევასა და როლზე. ორივე ნაწარმოებში გმირები იბრძვიან შიშებთან, ასევე ცხოვრების სირთულეებთან. ამ თვალსაზრისით, ვიმსჯელებთ როგორც პიესის მთავარ თემებზე, რეალობასა და ილუზიაზე, ძალაუფლებასა და სიყვარულს შორის დაპირისპირებაზე, ასევე იმაზეც, როგორ სახეს იღებს თეზევსი შექსპირის პიესაში და როგორ იცვლება მისი ხასიათი ანტიკური ეპოქის სერიოზული მმართველიდან კომედიური ელემენტებით გარდასახულ ფიგურამდე. დავადასტურებთ კვლევის ჰიპოთეზას, რომ უილიამ შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარში'' თეზევსის მითი განზრახ არის გარდაქმნილი ისე, რომ გმირის ავტორიტარული და საკრალური ბუნება შერბილდეს. რეკომენდებულია, თეზევსის პერსოაჟი განვიხილოთ ფართო ინტერტექსტუალურ კონტექსტში, კერძოდ, მისი გამოსახვის გზების სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებსა და თეატრალურ სცენაზე, რათა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს, როგორ იცვლება მითოლოგიური გმირების მნიშვნელობა ეპოქათა მიხედვით.

Lizi Shelia
Caucasus International University
Bachelor
Scientific Supervisor: Nana Amiranashvili
Doctor, Associate Professor

Interpretation of the mythological figure of THesus in Shakespeare's A Midsummer Night's dream

This study explores the archetypal image of Theseus in ancient mythology, where he is portrayed as a heroic figure. The aim of the research is to demonstrate how the mythological character of Theseus is transformed in William Shakespeare's comedy, and how this transformation is reflected in the character's behavior and role. In both texts, the protagonists confront their fears as well as the hardships of life. In this regard, the study will discuss the central themes of the play—such as the tension between reality and illusion, and between power and love—as well as how Theseus is portrayed in Shakespeare's work, and how his character evolves from a serious ruler of antiquity into a figure imbued with comedic elements. The study aims to confirm the hypothesis that in A Midsummer Night's Dream, Shakespeare intentionally transforms the myth of Theseus in order to soften the hero's authoritarian and sacred nature. It is recommended that Theseus be analyzed within a broader intertextual context, particularly in relation to his representation in literary texts and theatrical performances from various periods, in order to better understand how the meaning of mythological heroes changes over time.

ლიზა ბოლქვაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ციხისთავი
დოქტორი, პროფესორი

ვარდების ომი ინგლისის ისტორიაში - სიმართლე და ლეგენდა

ვარდების ომი ინგლისის შიდა კონფლიქტების სერიას მიეკუთვნება და ისტორიაში მეტად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ომი ორ არისტოკრატიულ დინასტიას-იორკებსა (თეთრი ვარდი) და ლანკასტერებს(წითელი ვარდი) შორის მიმდიონარეობდა 1455-1487 წლებში და სახელწოდებას სწორედ ამ სიმბოლოებისგან იღებს. სიმბოლოების მიღმა ძალიან ბევრი ფაქტორია, რაც ამ ომის გამომწვევი მიზეზი იყო. პირველ რიგში ეს იყო ასწლიანი ომის შედეგები: ომი დამთავრდა ინგლისელთა კაპიტულაციით ქ. ბორდოში 1453 წელს. მეორე ფაქტორი გახლდათ ხანგრძლივი ომისა და ინგლისის დაკარგული ტერიტორიების გამო ეკონომიკური სიდუხჭირე და ინგლისის მოსახლეობის უკმაყოფილება არსებული მდგომარეობით, რამაც სოციალური ქაოსი გამოიწვია. მესამე, ეს იყო შიდაფეოდალური აშლილობა, ასევე, ომიდან გამომდინარე და ორი არისტოკტარიული გვარის დაპირისპირება ერთმანეთთან ინგლისის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისათვის, რამაც საზოგადოება ორად გახლიჩა. ამ ომში მნიშვნელოვანი ფიგურაა იორკების წარმომადგენელი რიჩარდ III და მისი მოღვაწეობა, რაც სხვადასხვაგვარად არის განხილული ისტორიკოსებისა და შემდგომი ეპოქის მოაზროვნეების ნაშრომებში.

ნაშრომში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: ომის წინაპირობა და მიზეზები, დაპირისპირებული დინასტიები და მათი ინტერესები, ომის განვითარება და რა მოუტანა ვარდების ომმა ინგლისს.

Liza Bolkvadze
Caucasus International University
Bachelor
Scientific Supervisor: Nana Tsikhistavi
Doctor, Professor

War of Roses in England-truth and Legend

War of Roses in England-Truth and Legend The war of the roses is part of a series of civil conflicts in England and holds a very significant place in history. The war took place between two aristocratic dynasties – The York's (represented by white rose) and The Lancaster's (represented by red roses) - and lasted from 1455 to 1487. The name of the war derives from these symbols. Behind the symbols, there were a lot of factors that caused this war. First of all, it was a consequence of the Hundred Years' war: the war ended with English capitulation in the city of Bordeaux in 1453. The second factor was the economic hardship caused by the long war and loss of English territories, which led to public dissatisfaction and social chaos. Thirdly, it was the feudal disintegration, also stemming from war and conflict between the two aristocrat houses for control of the English throne, which divided society into two opposing sides. One of the key figures in this war was Richard III, a representative of the house of York. His actions and legacy have been interpreted in different ways by historians and thinkers of later periods. This paper focuses on the following aspects: the causes and background of the war, the rival dynasties and their interests, the development of the war and the impact the War of the Roses had on England.

ბელა ყულუმბეგაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ბაქრაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სოციალური უსამართლობა და ქალთა საკითხი ვირჯინია ვულფის ,,საკუთარი ოთახის" მიხედვით

ლიტერატურა ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალებაა, გადმოსცეს მწერლის თანამედროვეობა, ფარდა ახადოს კონკრეტული ეპოქის სოციალურ რეალობას და დღის შუქზე გამოიტანოს იმ საზოგადოების პრობლემები. ვირჯინია ვულფის ესე ,,საკუთრი ოთახი'' სწორედ მწერლის ეპოქის სოციალური უსამართლობის მხილებაა, რომელიც ქალს უთანასწორო მდგომარეობაში ამყოფებდა. აშკარაა, რომ უთანასწორობა არ წარმოგვიდგება, როგორც მხოლოდ სოციალური ფაქტი, არამედ როგორც ფარული მექანიზმი, რომელიც ქალს ართმევს არჩევანის, განვითარების, საზოგადო საქმიანობის, დამოუკიდებლობის უფლებას, საკუთარ ნებასაც კი და სამოქმედო ასპარეზად მხოლოდ ოჯახს უტოვებს. ვულფის ,,საკუთარი ოთახი'' ღრმად აკრიტიკებს იმ გენდერულ ჩარჩოებს, რამაც ქალი საუკუნეების განმავლობაში გარიყა სულიერი და ინტელექტუალური სივრცეებიდან. ამგვარად, ეს მხატვრული ესე ხმამაღალი პროტესტია, რომელიც

ამხელს ქალის გარიყულობასა და დაჩაგრულობას. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა, გენდერული თანასწორობა განვითარებულ ქვეყნებშიც კი არ არის სრულად მიღწეული, რაც ხაზს უსვამს საუკუნის წინანდელი ვულფისეული პრობლემის კვლავაც აქტუალურობას. ვ. ვულფის აღნიშნული ესე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც პრობლემის მხატვრული გააზრება, იგი წარმოშობს დიალოგს თაობათა შორის საკითხზე, რომელიც დღესაც საჭიროებს მსჯელობასა და ანალიზს.

Bella Kulumbegashvili
Gori State University
Bachelor
Scientific Supervisor: Nino Bakradze
Doctor, Associate Professor

Social Injustice and the Issue of Women based on Virginia Woolf's "A Room of One's Own"

Literature is one of the most powerful means of conveying a writer's contemporary world, lifting the curtain on the social reality of specific era, and bringing a society's problems to light. It also reflects a writer's time, shedding light on social issues. Virginia Woolf's "A Room of One's Own" highlights the injustice that kept women socially and culturally oppressed. Inequality is not just visible. It is a hidden system that deprives women of freedom, growth, and independence, confining them to domestic roles. Thus, the essay is a strong protest. Despite centuries of struggle, gender equality is still not fully achieved, even in developed countries. This underlines the ongoing relevance of the issues raised by Woolf a century ago. Woolf criticizes the gender norms that excluded women from intellectual life. She reveals how the system suppressed their potential. Her essay is significant not only because it identifies the structural roots of the problem, but also because it fosters an ongoing intergenerational discourse on gender inequality — a discourse that remains critically relevant in contemporary society.



სექცია
SECTION

სამართალი
LAW

ქვესექცია სისხლის სამართალი
SUBSECTION CRIMINAL LAW

მოხსენებათა რაოდენობა: **15**
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: **21**
The Number of Reporters:

ანა ღურწკაია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დგებუაძე
ასოცირებული პროფესორი

სსსკ-ს 137-ე მუხლის დეფინიციის პრობლემურობა სტამბოლის კონვენციისა და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) ბოლო რეკომენდაციის გათვალისწინებით

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვი დღემდე ზრდადია. არსებობს მრავალი მოსაზრება, თუ რა არის მიზეზი იმისა, რომ ვერ ხერხდება პროკურატურის მიერ აღნიშნულთან საბრძოლველად სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, არის ეს თუნდაც სასჯელთა სიმსუბუქე, კვალიფიკაცის პრობლემურობა თუ გამოძიების უმოქმედობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე თავი სწორედ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დასჯას ეხება და ამ შემადგენლობიდან გაუპატიურება ყველაზე კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. ნაშრომი სწორედაც 137-ე მუხლს - გაუპატიურებას შეეხება და მიზნად ისახავს იმ პრობლემების წარმოჩენას, რომლებსაც აღნიშნული მუხლის საკანონმდებლო დეფინიცია იწვევს. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ამ ნაწილში არის ის, რომ აღნიშნული პრობლემა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივია, არამედ ამაზე მითითებებს ვიღებთ საერთაშორისო პარტნიორებისგანაც და, შესაბამისად, რეკომენდაციების გათვალისწინების ვალდებულების საკითხში საქართველო დიდი გამოწვევის წინაშე დგას, ვინაიდან სრულად თანხვედრაში არაა უკვე რატიფიცირებულ კონვენციებთან საქართველოს კანონმდებლობა. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს გაუპატიურების დეფინიცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც გვაძლევს ძალიან ვიწრო განმარტების საშუალებას და აღნიშნული მუხლის მოქმედების არეალს არამართლზომიერად ზღუდავს, რომელთა დაკავშირებითაც როგორც სტამბოლის კონვენცია, ისე გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისგან ვიღებთ შენიშვნებს გამოსწორების მოტივით. შესაბამისად, აღნიშნული კონფერენცია მიზნად ისახავს იმის დამტკიცებას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრება საქართველოში ნორმის დეფინიციურობის სწორად ჩამოყალიბებაში.

Ana Gurtskaia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Dgebuadze
Associate Professor

The Problematic Nature of the Definition of Article 137 of the ICCPR in Light of the Istanbul Convention and the Recent Recommendation of the UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW)

The purpose of this study is to introduce the reader to the prerequisites for licensing and registration of microfinance organizations. Registration of microfinance organizations, like other legal entities, is regulated by the legislation of Georgia. The paper reviews all the steps necessary for the registration and further

functioning of microfinance organizations. The existence of prerequisites for microfinance organizations is due to the fact that these legal entities are financial institutions and therefore their relationship with citizens is regulated According to the legislation of Georgia, which in itself means that not every person can establish a microfinance organization and cannot take on himself such obligations that he may need to fulfill during relations with citizens. That is why the state has established preconditions, in case of non-fulfillment of which microfinance organizations cannot be registered.

ანანო ქუთათელაძე, გუგა ლაგვილავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გამხიტაშვილი
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

ყაჩაღობის საკანონმდებლო ასპექტები და მისი პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში ყაჩაღობა ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და მაღალი სოციალური რისკის მატარებელ დანაშაულს წარმოადგენს, იგი საკუთების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივ დანაშაულებში განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა, რადგან ქონებრივ უფლებებთან ერთად ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. ყაჩაღობის დეფინიციური სიზუსტისა და ერთგვაროვანი კვალიფიკაციის პრობლემატიკა დღემდე სისხლის სამართლის მეცნიერების აქტიური განხილვის საგანს წარმოადგენს. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დადგინდა, რომ ქმედების კვალიფიკაციაში შეცდომა, ძირითადად, ყაჩაღობის დამამძიმებელი გარემოებების არასწორ დასაბუთებაში გამოიხატება. არასწორი კვალიფიკაციები განპირობებულია ცნების არაერთგვაროვანი და მცდარი ინტერპრეტაციით, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა კანონის წინაშე თანასწორობის, პირადი პასუხისმგებლობის და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპები. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ცალკეული პრობლემური საკითხების ანალიზი როგორც დოქტრინალურ, ისე სასამართლო პრაქტიკის დონეზე, ვინაიდან, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა და ქმედების ზუსტი სამართლებრივი შეფასება ემსახურება სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპების რეალიზებას.

Anano Kutateladze, Guga Lagvilava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Gamkhitashvili
Master, Visiting Lecturer

The Legal Aspects of Robbery and its Practical Challenges in Georgia

In both the theory and practice of criminal law, robbery is considered one of the most complex and socially high-risk crimes. It stands out among property-related violent offenses due to its significant threat not only to property rights but also to human life and health. The definitional clarity and uniform qualification issues related to robbery continue to be a subject of active discussion in criminal law scholarship. An analysis of judicial practice has shown that errors in the qualification of the offense primarily stem from incorrect justification of the aggravating circumstances of robbery. Such misqualifications are caused by ambiguous and inaccurate interpretations of the term, which contradict fundamental principles of criminal law, such as equality before the law, individual responsibility, and the principle of individualized sentencing. The aim of the present paper is to analyze specific problematic issues both doctrinally and in terms of judicial practice, as resolving these issues and providing an accurate legal assessment of the act contributes to the realization of the fundamental principles of criminal law.

ნინო ქიოკაძე, მარიამ ქოროღლიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ ვარძელაშვილი
დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

სამედიცინო შეცდომები და ექიმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიცოცხლის ხელყოფისთვის

თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სამედიცინო შეცდომების არსებობა. რასაკვირველია, ამ საკითხს თან ახლავს პრეისტორიული გამოწვევებიც. ძველად მედიცინის მუშაკების საქმიანობა გამოირჩეოდა სირთულეებით და, ამასთანავე, ისინი დიდი ნდობით იყვნენ აღჭურვილნი, თუმცა მათი პროფესია ყოველთვის რისკის შემცველი იყო. ამ ნაშრომში განვიხილავთ ექიმის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც სამედიცინო შეცდომა მძიმე შედეგებს იწვევს, განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში კი, ხელყოფს მას, როგორც ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვან უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის უფლება არაა აბსოლუტური, ადამიანის სიცოცხლე მიეკუთვნება უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს.

აღნიშნული კვლევა მოიცავს სასამართლო პრაქტიკის, სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და უშუალოდ ექიმის პასუხისმგებლობის ანალიზს. ასევე, განხილულ იქნება მედიცინის მუშაკის პროფესიული სტანდარტების დარღვევა, უყურადღებობის ხარისხი და განზრახვის საკითხი. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ბევრ ქვეყანაში, არსებობს სამართლებრივი მექანიზმები სამედიცინო შეცდომებზე სწრაფი რეაგირებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის სისტემა ორიენტირებული იყოს, როგორც პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, ისე შეცდომის პრევენციის ღონისძიების გატარებაზე.

Nino Chiokadze, Mariam Koroghlishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Ioseb Vardzelashvili
Doctor, Assistant Professor

Medical Errors and the Criminal Liability of Doctors for Deprivation of Life

One of the most important issues in the modern healthcare system is the existence of medical errors. Naturally, this issue is accompanied by age-old challenges. In the past, the work of medical professionals was always characterized by difficulty, and at the same time, they were entrusted with great responsibility. However, their profession has always involved risk. This paper discusses the criminal liability of doctors when a medical error leads to serious consequences, and in particularly complex cases, when it infringes upon what is considered a person's most fundamental right. Although the right to life is not absolute, human life is regarded as one of the highest legal values. This study includes an analysis of court practices, criminal legislation, and the direct responsibility of physicians. It also addresses the violation of professional standards by medical personnel, the degree of negligence, and the issue of intent. In Georgia, as in many other countries, legal mechanisms exist for prompt responses to medical errors. It is important for the healthcare system to be focused both on assigning responsibility and on implementing measures to prevent errors.

მარიამ ქოქიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დგებუაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნეონატიციდის გაფართოების ფარგლები და მისი გამიჯვნა კლასიკური მკვლელობის შემადგენლობისგან

საქართველოში უფრო და უფრო მეტად აქტუალური ხდება მშობიარობასთან დაკავშირებული საკითხები: პოსტსამშობიარო სტრესი, ახალნამშობიარები ქალის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მისი შერაცხადობა. სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი მკვლელობის მაპრივილეგირებელ შემადგენლობას ითვალისწინებს. არსებობს არაერთი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, იმიჯნება თუ არა აღნიშული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლისგან ან არსებობს თუ არა რაიმე ბერკეტი, რომლის საშუალებითაც განვასხვავებთ დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას მშობიარობისას დედის მიერ არასრულწლოვნისა და ოჯახის წევრის მკვლელობისგან. ავტორი ნაშრომში განიხილავს, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ნამშობიარები ქალის შეზღუდული შერაცხადობა და პოსტსამშობიარო დეპრესია, აქედან გამომდინარე კი განსაზღვრავს, 24 საათი არის თუ არა გონივრული ვადა და შეიძლება თუ არა ამ დროის გახანგრძლივება.

იმისათვის, რომ დანაშაული სწორად დაკვალიფიცირდეს, საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს ქალის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ჩაუტარდეს შესაბამისი სამედიცინო შემოწმება, რაც საქართველოში არ ხდება. შესაბამისად, დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა

მშობიარობის შემედეგ უმალვე თავისთავად კვალიფიცირდება 112-ე მუხლით, როცა რეალურად არაა დადგენილი ქალი წინასწარგანზრახული მიზნით მოქმედებდა, თუ მისი ქმედება გამოწვეული იყო შეზღუდული შერაცხადობის გამო. ამრიგად, აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს ნეონატიციდის გონივრული ფარგლების დადგენასა და სისხლის სამართლის 112-ე და 109-ე მუხლების გამიჯვნას.

Mariam Kokiashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: George Dgebuadze
Doctor, Associate Professor

The Scope of Expanding Neonaticide and its Separation from the Composition of Classical Homicide

In Georgia, issues related to childbirth are becoming increasingly relevant: postpartum stress, the psychological condition of women after childbirth, and their diminished capacity. Article 112 of the Criminal Code prescribes a privileged form of homicide. There are various opinions regarding whether this crime should be distinguished from Article 109 of the Criminal Code, and whether there is any legal framework that differentiates a mother intentionally killing her newborn during childbirth from the killing of a minor or family member by a mother. The author discusses how long the limited capacity of a woman after childbirth and postpartum depression can last, and based on this, determines whether a 24-hour period is a reasonable timeframe and whether this period can be extended. In order for the crime to be properly qualified, it is necessary to establish the woman's psychological state in each specific case and to conduct appropriate medical examinations, which, however, do not take place in Georgia. As a result, a mother's killing of her newborn immediately after childbirth is automatically classified under Article 112, without determining whether the woman acted with premeditated intent or if her actions were the result of limited capacity. Therefore, this paper aims to establish the reasonable boundaries of neonaticide and to distinguish between Articles 112 and 109 of the Criminal Code.

სალომე მაღრაძე, ციცი ჯარმელიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქვარაია
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

„საზღვრის დაცვის პოლიტიკის გავლენა ადამიანის უფლებებზე: მიგრანტების სირთულეები და საერთაშორისო სისხლის სამართლის ასპექტები“

ნაშრომი განიხილავს სახელმწიფოების საზღვრის დაცვის პოლიტიკის გავლენას ადამიანის ძირითად უფლებებზე, განსაკუთრებით მიგრანტების კონტექსტში. მსოფლიო მასშტაბით მიგრაციის ზრდასთან ერთად, სახელმწიფოები ამკაცრებენ საკუთარი საზღვრების კონტროლს, რაც ზოგიერთ

შემთხვევაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას იწვევს. მიგრანტები ხშირად ხდებიან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლნი, რაც საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების დარღვევას წარმოადგენს.

აღნიშნული კვლევა მიმოიხილავს საზღვრის დაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ურთიერთმიმართებას, განსაკუთრებით ისეთ პრეცედენტულ საქმეებზე დაყრდნობით, როგორიცაა Hirsi Jamaa v. Italy, სადაც სახელმწიფოების მიერ მიგრანტების უკანონო გაძევება ადამიანის უფლებათა დარღვევად შეფასდა. ნაშრომი ასახავს სამართლებრივი მექანიზმების საჭიროებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მიგრანტთა უფლებების დაცვას საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით.

დასკვნის სახით, ნაშრომი ხაზს უსვამს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და ეფექტიანი დაცვის მექანიზმების დანერგვის აუცილებლობას.

Salome Magradze, Tsitsi Jarmelishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Kvaraia
Master, Visiting Lecturer

"The Impact of Border Protection Policies on Human Rights: Migrants' Challenges and Aspects of International Criminal Law"

The paper examines the impact of states' border protection policies on fundamental human rights, particularly in the context of migrants. With the global increase in migration, states are tightening border control measures, which, in some cases, lead to violations of fundamental human rights. Migrants often become victims of inhumane treatment, constituting a breach of international legal obligations. This study explores the relationship between border protection policies and international criminal law, focusing on precedent-setting cases such as Hirsi Jamaa v. Italy, where the unlawful expulsion of migrants by states was deemed a violation of human rights. The paper highlights the necessity of legal mechanisms that ensure the protection of migrants' rights with the involvement of the international community. In conclusion, the study emphasizes states' responsibilities within the framework of international law and the urgent need for the implementation of effective protection mechanisms.

მარიამ მამალაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვლადიმერ მაჭარაშვილი
დოქტორი,ასოცირებული პროფესორი

ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ადამიანის უფლებები

ფარული საგამოძიებო მოქმედებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამგვარი ღონისძიებები

მოიცავს სატელეფონო და ელექტრონული კომუნიკაციის ფარულ მოსმენას, ვიდეო და აუდიო თვალთვალს, აგენტურულ მუშაობას და სხვა ტექნიკურ ოპერაციებს, რომლებიც ხორციელდება პირის ინფორმირების გარეშე.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, კომუნიკაციის თავისუფლებას და სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ამიტომ მისი დაცვა უნდა იყოს სახელმწიფოსთვის უპირატესი. მნიშვნელოვანია, რომ ფარული საგამოძიებო ღონისძიებები ხორციელდებოდეს მკაცრად განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში, რათა თავიდან იქნას აცილებული მათზე დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სამართლებრივი კონტროლის მექანიზმები, მათ შორის სასამართლო განჩინება.

კვლევაში გაანალიზებულია საქართველოს სამართლებრივი რეგულირება და საერთაშორისო სტანდარტები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ჭრილში პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს კანონის ცვლილება, რომლის მიხედვითაც გახანგრძლივდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადა,

დასკვნის სახით, წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფარული საგამოძიებო პრაქტიკის გამჭვირვალობას და ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვას.

Mariam Mamaladze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Vladimer Macharashvili
Doctor, Associate Professor

Concealed Investigative Procedures and Human Rights

Concealed investigative procedures play an important role in fighting against corruption, organized crime and terrorism. Such measurements include concealed listening of telephone and electronic communication, video and audio surveillance, agency work and other technical operations, that are carried out without informing of a person. Concealed investigative procedures applying are in tight connection to the protecting of fundamental principles of human rights, including, the untouchable of private life, freedom of communication, and the right of trial justice. Therefore, its protection should advantage for the state. It is important to conduct concealed investigative procedures in frame of strictly determined legality for to avoid undocumented and surplus dependance on it. It is also important to exist legal control mechanisms, including court judgement. The study analysis regulation of Georgian legislation and international standards, especially in the context of human rights, the problematic task represents changing of law, according to which continued term of concealed investigative procedures. In conclusion, recommendations are presented, which assist transparency of concealed investigative practice and protection of human rights standards.

სალომე კიკოლაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამთა ზაალიშვილი
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

უნივერსალური იურისდიქცია: იურისდიქციის საკამათო პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში

საერთაშორისო დანაშაულების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებს, სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა განხორციელდეს როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით. სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება ტერიტორიულობის პრინციპს.

ნაშრომში განხილული იქნება უნივერსალური იურისდიქციის პრინციპი, რომელზე დაყრდნობითაც სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელების ფარგლები შესაძლოა გაფართოვდეს. ტერმინი „უნივერსალური იურისდიქცია“ აღნიშნავს დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელებას მისი ჩადენის ადგილის, ეჭვმიტანილის, ან მსხვერპლის ეროვნების, ან დანაშაულსა და სახელმწიფოს შორის აღიარებული სხვა კავშირის არსებობის გარეშე.

უნივერსალური იურისდიქცია არის იურისდიქციის ყველაზე საკამათო პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში. კრიტიკოსთა მოსაზრებით, პრინციპი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ასევე იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პოლიტიკურ იარაღად. ამ ნაშრომში განხილული იქნება უნივერსალური იურისდიქციის განვითარება მისი განხორციელების ცნობილი შემთხვევების მაგალითზე, ასევე სახელმწიფოთა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების განსხვავებული დამოკიდებულება, ზოგადად, ამ პრინციპისა და იმ ცალკეულ დანაშაულთა მიმართ, რომლებზეც შესაძლოა გავრცელდეს იგი.

Salome Kikolashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tamta Zaalishvili
Master, Visiting Lecturer

Universal Jurisdiction: The Controversial Principle of Jurisdiction in International Criminal Law

International crimes that threaten the interests of the international community can be prosecuted under both domestic law and international justice mechanisms. The criminal jurisdiction is primarily based on the principle of territoriality. This paper discusses the principle of universal jurisdiction, which allows for an expansion of criminal jurisdiction. The term "universal jurisdiction" refers to jurisdiction established over a crime regardless of the place of perpetration, the nationality of the suspect or the victim, or any other recognized linking point between the crime and the prosecuting state. Universal jurisdiction is the most controversial principle of jurisdiction in international criminal law. Critics argue that the principle undermines state sovereignty and can be used as a political tool. This paper will analyse the evolution of universal jurisdiction by reviewing significant cases in which it has been applied. It will also discuss the different viewpoints of states and international law experts concerning this principle and the specific crimes to which it applies.

მარიამ ძველაია, ამირან ჩაგუნავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ახვლედიანი
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

რესოციალიზაციის მექანიზმები პენიტენციურ სისტემაში: თეორია და პრაქტიკა

ნაშრომი განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს, დამნაშავის რესოციალიზაციას. კვლევა ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, მათი როლის გათავისებას ამ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან, რესოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული წვლილი საზოგადოებას მიუძღვის.

ნაშრომის მიზანია რესოციალიზაციის ფართოდ განმარტება და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა სამართლიანობის აღდგენისა და დანაშაულის რეციდივის თავიდან არიდებასთან მიმართებით. დღესდღეობით, სისხლის სამართლის პოლიტიკა მიმართულია ლიბერალიზაციისკენ, რაც კიდევ უფრო ამაღლებს კვლევის მნიშვნელობას. რესოციალიზაციის მექანიზმები უზრუნველყოფს პენიტენციური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებს ემყარება. ნაშრომში განხილული იქნება ქართული საკანონმდებლო მოწესრიგება, პრაქტიკა და არსებული გამოწვევები, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, თანამედროვე სასამართლო გადაწყვეტილებები და საერთაშორისო მოწესრიგება საკითხის რეგულირების სამომავლო დახვეწისთვის. ყოველივე ამის საფუძველზე, ნაშრომი წარმოაჩენს რეკომენდაციებს არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

Mariam Dzvelaia, Amiran Chagunava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Maia Akhvlediani
Doctoral Candidate, Visiting Lecturer

Resocialization Mechanisms in the Penitentiary System: Theory and Practice

The conference paper discusses one of the most important goals of punishment, the resocialization of the offender, as provided for in Article 39 of the Criminal Code of Georgia. The study will help raise public awareness and understand their role in this issue, as society has a special contribution to make in the resocialization process. The aim of the paper is to broadly define resocialization and demonstrate its importance in relation to restoring justice and preventing recidivism. Nowadays, criminal justice policy is directed towards liberalization, which further increases the importance of research. Resocialization mechanisms ensure the effective functioning of the penitentiary system, which is based on international standards and local legislative requirements. The paper will discuss Georgian legislative regulation, practice and existing challenges, opinions expressed in legal literature, modern court decisions and international regulations for the future refinement of the regulation of the issue. Based on all this, the paper presents recommendations for eliminating existing problems.

მათე ბედენაშვილი, დათო ირემაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ცანავა
ასისტენტი

სისხლის სამართალში განრიდებისა და მედიაციის პრაქტიკა: მისი სისუსტეების ანალიზი

ჰუმანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც დაკავშირებულია გასულ წლებში დამკვიდრებული ნულოვანი ტოლერანტობის შეცვლის იდეასთან. თუმცა, აუცილებელია ვიმსჯელოთ, რაოდენ სწორად მოხდა სახელმწიფოს მიერ არსებული საკითხის სამეცნიერო დონეზე რეგულირება. ლიბერალურმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ გამოიწვია არასრულწლოვანი დამნაშავის უფლებების ზრდა და დაზარალებულის უფლებების სრული უგულვებელყოფა. ამის მიხედვით, შეიძლება ვისაუბროთ საერთაშორისო აქტებთან მსგავსი მიდგომის შესაბამისობის საკითხზე და, ამავდროულად, ყურადღება გავამახვილოთ დაზარალებულის როლზე განრიდებისა და მედიაციის პროცესში.

განრიდების ალტერნატიული პროგრამების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ემყარება პროკურორის დისკრეციას, რაც თავის მხრივ ეჭვს წარმოქმნის სუბიექტური და არათანაბარი მიდგომის თაობაზე. განრიდებისა და მედიაციის მთავარ მიზნად ითვლება რეციდივის რისკის შემცირება. ამაზე მსჯელობისას კი საჭიროა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის რეალურად გაანალიზების საშუალებაზე აქცენტის გაკეთება. აუცილებელია განრიდებისა და მედიაციის მექანიზმის გამოყენება არ იწვევდეს საზოგადოების უნდობლობას სახელმწიფოს მიმართ, რის გამოც მიზანშეწონილი იქნებოდა დღევანდელი რეგულაციის არსებითად გადახედვა.

Mate Bedenashvili, Dato Iremadze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Dimitri Tsanava
Affiliated Assistant

Criminal Diversion and Mediation in Practice: An Analysis of its Weaknesses

One of the key mechanisms for the humanization of the criminal justice system is the institution of diversion and mediation, which is associated with the shift from the zero-tolerance approach established in previous years. However, it is essential to reflect on the extent to which the state has regulated this issue on a scientific and doctrinal level. Liberal criminal policy has led to the expansion of the rights of juvenile offenders while entirely disregarding the rights of victims. In light of this, it is necessary to discuss the compatibility of such an approach with international legal instruments, and at the same time, emphasize the role of the victim within the processes of diversion and mediation. The decision to apply alternative diversion programs is based on prosecutorial discretion, which in turn raises concerns regarding subjective and unequal application of the law. The primary objective of diversion and mediation is the reduction of recidivism risk. In discussing this goal, it is essential to focus on whether the offense committed by the juvenile is subject to a meaningful and realistic assessment. It is crucial that the application of diversion and mediation mechanisms does not undermine public trust in the state. Therefore, it would be advisable to substantially reconsider the current legal framework.

სოფო მახარაშვილი, ლედი გურგენიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვლადიმერ მაქარაშვილი
დოქტორი,ასოცირებული პროფესორი

კანონის დუმილი და სასამართლოს ხმა: ჩხრეკის გადაღების ვალდებულება

ჩხრეკა, როგორც იძულებითი საგამოძიებო მოქმედება, ითხოვს არამხოლოდ დასაბუთებულ საფუძველს, არამედ გამჭვირვალე შესრულებასაც, რაც განსაკუთრებით კრიტიკულია პირადი სივრცის ხელშეუვალობის კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ქებურიას საქმეში დადგენილი სტანდარტი ცხადად განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის მტკიცებულებად გამოყენება მხოლოდ სამართალდამცავთა ჩვენებებზე დაყრდნობით, თუ მათი მხრიდან შესაძლებელი იყო ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება, მაგალითად, ვიდეოფიქსაცია ან ნეიტრალური მოწმის დასწრება და ეს არ განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონი პირდაპირ არ ითხოვს ჩხრეკის ვიდეოგადაღებას, სასამართლო პრაქტიკამ ფაქტობრივად დააწესა ახალი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ვალდებულებაა, პროცესის სანდოობა ნეიტრალურად უზრუნველყოს. ქებურიას საქმე აღრმავებს დებატს კანონით დადგენილ ფორმასა და კონსტიტუციური ინტერპრეტაციის შინაარსს შორის და პასუხობს მკაფიოდ: სამართლებრივ იერარქიაში უპირატესია კონსტიტუციური სტანდარტი, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება პიროვნების უფლებათა დაცვას სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმებისგან. შეიძლება თუ არა, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტი იწოდებოდეს სამართლებრივად სავალდებულოდ მაშინ, როცა კანონმდებლობა მსგავსი ვალდებულების შესახებ დუმს და რა ბედი ეწევა ამ შემთხვევაში სამართლებრივი პროგნოზირებადობის პრინციპს.

Sopo Makharashvili, Ledi Gurgenidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Vladimer Macharashvili
Doctor, Associate Professor

Silence of Law, Voice of Justice: Mandating Search Recordings

A search, as a coercive investigative action, requires not only a substantiated basis but also transparent execution, which is especially critical considering the constitutional principle of the inviolability of personal space. In the Keburia case, the Constitutional Court of Georgia established a clear standard: it is inadmissible to use evidence obtained from a search based solely on law enforcement testimonies if it was possible to secure neutral proof, such as video recording or the presence of an impartial witness, but this was not done. While current legislation does not explicitly require video recording during searches, court practice has effectively introduced a new standard that obligates the state to ensure the credibility of the process through neutral means. The Keburia ruling intensifies the discussion between statutory formalities and constitutional interpretation, clearly asserting that constitutional standards prevail in the legal hierarchy, especially when protecting individual rights from state coercion. Can a court-established standard be considered legally binding when legislation is silent on the matter? And what happens to the principle of legal foreseeability in such a case?

ასა შათირიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო გლობალური სამართლიანობის საზღვრებზე: ვლადიმერ პუტინისა და ბენიამინ ნეთანიაჰუს საქმეები, როგორც ინსტიტუციური ეფექტიანობის ტესტი

ეს ნაშრომი განიხილავს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი, როგორც საერთაშორისო მართლმსაჯულების ინსტიტუტის, ეფექტიანად ფუნქციონირების საკითხს და მის გარშემო არსებულ გამოწვევებს, კონკრეტულად კი 2023 წელს გამოცემულ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის დაკავების ორდერისა და 2024 წელს გამოცემულ ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს დაკავების ორდერის აღსრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. იგი წარმოადგენს სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულებთან ბრძოლაში ICC-ის როლს, თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევებიდან გამომდინარე ICC-ის მიერ გამოცემული ორდერების აღსრულების მიმართ საერთაშორისო საზოგადოებაში ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს და პოლიტიკური ნების გავლენას საერთაშორისო-სამართლებრივი გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. ასევე ინსტიტუციის ეფექტიანობის გასაზრდელად გვთავაზობს შესაძლო გადაჭრის გზებს, რომლებიც შეეხება და ემსახურება ICC-ის გლობალურ დონეზე ლეგიტიმაციის გაძლიერებას, აღსრულების მექანიზმების გასაუმჯობესებლად და პოლიტიკური ზეწოლის შესამცირებლად ფინანსური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას და პარალელურად საერთაშორისო დონეზე პოლიტიკური მხარდაჭერის გაძლიერებას.

Asa Shatirishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Guram Gvinjilia
Doctor, Associate Professor

The International Criminal Court at the Boundaries of Global Justice: The Cases of Vladimir Putin and Benjamin Netanyahu as a Test of Institutional Effectiveness

This paper explores the effectiveness of the International Criminal Court (ICC) as an institution of international justice, in light of its significance in addressing serious international crimes. It specifically examines the challenges related to the enforcement of the arrest warrants issued by the ICC for the President of the Russian Federation, Vladimir Putin, in 2023, and for the Prime Minister of Israel, Benjamin Netanyahu, in 2024. The analysis highlights the ICC's pivotal role in combating grave international crimes and addresses the divergent positions within the international community regarding the execution of these arrest warrants, reflecting broader contemporary geopolitical challenges. It further explores how political will significantly influences the implementation of decisions rendered under international law. In order to

enhance the institutional effectiveness of the ICC, the paper proposes a set of recommendations aimed at strengthening the Court's global legitimacy. These include improving enforcement mechanisms, reducing political interference by promoting the Court's financial independence, and reinforcing political support for the ICC at the international level.

გიორგი ფარასტაევი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მეკობრეობა: წარსულის გადმონაშთი თუ თანამედროვე დანაშაული

მეკობრეობა, ისტორიულად „კაცობრიობის მტრად“ მიჩნეული დანაშაული, დღეს კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება, რომელიც აზიანებს გლობალურ ვაჭრობას. განსაკუთრებით, სომალის, დასავლეთ აფრიკის და სხვა რეგიონებში. თანამედროვე მეკობრეობა ტრანსნაციონალური დანაშაულია, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს განახლებას.

საკონფერენციო თემა მოიცავს მეკობრეობის ისტორიული და თანამედროვე კონტექსტის ანალიზს, სამართლებრივი ჩარჩოების ეფექტურობას (UNCLOS, SUA), ეროვნული კანონმდებლობის როლს და ინოვაციური მიდგომების ინტეგრაციას.

ნაშრომის მიზანია საერთშორისო მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობების ანალიზი საქართველოსთვის, განსაკუთრებით შავი ზღვის აკვატორიაში. ანაკლიის პორტის პერსპექტივით, რომელიც აბრეშუმის გზის ფუნქციას განაახლებს. მნიშვნელოვანია თავდაცვითი მექანიზმების შემუშავება და საფრთხეების დეტალური შესწავლა. ნაშრომი აჩვენებს, რომ მეკობრეობა არა მხოლოდ წარსულის გადმონაშთია, არამედ თანამედროვე გამოწვევაა, რომელიც საერთაშორისო სამართლისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

Giorgi Parastaevi
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Guram Gvinjilia
Doctor, Associate Professor

Piracy: A Relic of the Past or a Contemporary Crime?

Piracy, historically considered a "hostis humani generis", remains a relevant problem today which damages global trade, particularly in Somalia, West Africa and other regions. Modern piracy represents a transnational crime that requires updating the international legal framework. The conference topic encompasses an analysis of the historical and contemporary context of piracy, the effectiveness of legal

frameworks (UNCLOS, SUA), the role of national legislation and the integration of innovative approaches. The aim of the paper is to analyze the possibilities of using international mechanisms for Georgia, especially in the Black Sea waters. With the perspective of the Anaklia Port, which will renew the function of the Silk Road, it is important to develop defensive mechanisms and conduct a detailed study of threats. The paper demonstrates that piracy is not merely a relic of the past, but a modern challenge that requires a complex approach from the perspective of international law and security.

ქეთევან ამირბეგოვი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია მეფარიშვილი
პროფესორი

სექსუალური ძალადობა-ომის სტრატეგიული დანაშაულები

სექსუალური ძალადობა ომის დროს სამწუხარო პრაქტიკაა, ისტორიის მანძილზე ამის არაერთი ფაქტი იყო და არის სახეზე. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკის და სქესის წარმომადგენელი, მაგრამ მაინც ასეთი დანაშაულის ძირითად მსხვერპლთა რაოდენობას ქალები შეადგენენ და ეს პირდაპირ უკავშირდება მათთვის მიჩნეულ მეორეხარისხოვან როლს საზოგადოებაში. ამასთანავე, მე-20 საუკუნიდან აშკარა გახდა, რომ გაუპატიურება იქცა ომში სტრატეგიულ იარაღად, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბრძოლო არსენალში. გაუპატიურება, როგორც ბრძოლის სტრატეგია, კონკრეტულ მიზანს ემსახურება და მისი შედეგი ადამიანების დემორალიზება არის, რაც ასევე მშვიდობიან საზოგადოებაში ტერორის დანერგვის მიზნით ადამიანების იძულებითი განდევნა მათი საკუთრებიდან და შემდეგ მათი უკან დაბრუნებისა და რეაბილიტაციის ალბათობის შემცირებაა. სწორედ ამ მიზნით, თავდამსხმელები ხშირად თვითმხილველების თვალწინ სჩადიან, უმეტეს წილად კი ქალებს ბავშვების, ხოლო გოგონებს მშობლების თანდასწრებით აუპატიურებენ, რაც არა მხოლოდ მსხვერპლის, არამედ ამ ყველაფრის შემყურე ოჯახის წევრების დემორალიზებასაც იწვევს. ომში გამოყენებული სტრატეგია - გაუპატიურება, არა მარტო ერთი ქალის პირადი ტრაგედიაა, მას გაცილებით მძიმე და მასშტაბური შედეგები აქვს, როგორებიცაა დაავადებების უკონტროლო გავრცელება, გენდერული სტერეოტიპების კიდევ უფრო განმტკიცება, ომის შემდეგ სქესობრივი ხასიათის დანაშაულების ნორმალიზება და ა.შ.

Ketevan Amirbegovi
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Gia Meparishvili
Professor

Sexual Violence - Strategic Crimes of War

Sexual violence during war is a tragic practice and there have been numerous instances of it through history. Sexual violence can affect individual of any age or gender however, the majority of victims are women, which reflects their traditionally subordinate status within many societies. Moreover, since the 20th century onward, rape has increasingly been recognized as a deliberate and strategic weapon of war, occupying a prominent place in military tactics and combat arsenals. Rape is a strategy of warfare it serves a specific purpose to demoralize individuals and to instill terror among civilian population. It is also used to forcibly displace people from their homes and to reduce the likelihood of their eventual return and offenders often commit such acts in front of eyewitnesses. Most frequently, women are raped in front of their children and girls in front of their parents. This badly traumatizes family members who witness the violence. Rape used as a strategic weapon in war is not merely the personal tragedy of a single female victim it carries far more serious and widespread consequences, such as the uncontrolled spread of diseases, the further entrenchment of gender stereotypes, and the normalization of sexual crimes in post conflict societies.

ანნა შიოშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამთა ზაალიშვილი
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

საქართველოს თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში

კორუფციისა და ფულის გათეთრების ფაქტების არსებობა მნიშვნელოვნად ასოცირდება საზოგადოების ნდობის, დემოკრატიული პროცესების, ეკონომიკური განვითარების, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებისა და ხარისხიანი მმართველობითი მექანიზმების შესუსტებასთან. სწორედ ამ გამოწვევების წინააღმდეგ იბრძვის ევროპის საბჭო, რათა წევრ სახელმწიფოებში უზრუნველყოს პლურალისტური დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. აღნიშნული მიზნებისათვის ორგანიზაცია ახორციელებს ყოვლისმომცველ მიდგომას კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ სახელშეკრულებო თუ რბილი სამართლის ინსტრუმენტების სახით, წევრი სახელმწიფოებისათვის სტანდარტების დაწესებითა და მათი დებულებების ეროვნულ მექანიზმებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

რამდენადაც საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში, მნიშვნელოვანია ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ეფექტურობის შეფასება ამ სფეროში მიმდინარე

მმართველობით პროცესებზე. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია განიხილოს საქართველოს საკანონმდებლო ბაზისა თუ ინსტიტუციური მექანიზმების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისობა ევროპის საბჭოს ფარგლებში დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან ორგანიზაციის მიერ საქართველოსთვის ნაწარმოებ ანგარიშებზე დაყრდნობით.

Anna Shioshvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tamta Zaalishvili
Master, Visiting Lecturer

Georgia's Cooperation with the Council of Europe in the Fight Against Corruption and Money Laundering

The existence of corruption and money laundering is closely linked to the decline in public trust, democratic processes, economic development, and the protection of human rights, as well as to the erosion of effective governance mechanisms. In response, the Council of Europe works to safeguard pluralistic democracy, human rights, and the rule of law across its member states. The organization employs both binding and non-binding legal instruments to establish standards and monitor compliance with these provisions at the national level. Georgia's active cooperation with the Council of Europe in adopting international standards against corruption and money laundering is crucial for assessing the effectiveness of its commitments. This paper examines the alignment of Georgia's legislative framework and institutional mechanisms with international standards set by the Council of Europe, drawing upon relevant reports issued by its bodies.

თამაზ ცერცვაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამთა ზაალიშვილი
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

რელიგიური ნიშნით დევნა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ადამიანთა დევნა მხოლოდ მათი საზოგადოების უმრავლესი ნაწილისაგან განხვავებულობის მიზეზებით მსოფლიო ისტორიისთვის არახალია. თუმცა, გასულ და მიმდინარე საუკუნეში მრავალი ნაბიჯი გადაიდგა როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური კუთხით, აღნიშნული პრობლემა აქტუალობას მაინც არ კარგავს. გადადგმულ სამართლებრივ ნაბიჯებში სხვა მიღებულ დოკუმენტებთან ერთად, უმთავრესად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს

წესდება (რომის სტატუსი) უნდა მოვიაზროთ, რომელმაც თავის თავში ასახა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სამართლებრივი განმარტება და მოგვცა იმ ალტერნატიული ქმედების შემადგენლობათა ჩამონათვალი, რომელებიც ადგენს აღნიშნულ დანაშაულს. მოცემულ ნაშრომში გაანალიზებული იქნება სწორედ, ზემოთხსენებული დანაშაულის სამართლებრივი დეფინიციის საკითხი, თუმცა, რელიგიური ნიშნით დევნასთან მიმართებით. განხილული იქნება მისი ჩამოყალბების ისტორია არამხოლოდ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და მისი წესდების მიხედვით, არამედ მისი წინამორბედების - იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბულებთან მიმართებით. ასევე წარმოდგენილი იქნება რელიგიური ნიშნით დევნის ფაქტების კონკრეტული მაგალითები, რომელთაგანაც განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული სრებრენიცისა (ე.წ სრებრენიცის ხოცვა-ჟლეტა) და ეგვიპტეში კოპტ ქრისტიანთა დევნის შემთხვევებზე.

საკვანძო სიტყვები: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რელიგიური ნიშნით დევნა, სრებრენიცის ხოცვა-ჟლეტა, კოპტი ქრისტიანები.

Tamaz Tsertsvadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tamta Zaalishvili
Master, Visiting Lecturer

Persecution on Religious Grounds and Crime Against Humanity

The persecution of people solely due to their difference from the majority of society is not a new phenomenon in world history. However, despite numerous steps taken in the past and current centuries—both legal and political—this issue still remains relevant. Among the legal steps taken, along with other adopted documents, the Statute of the International Criminal Court (Rome Statute) should primarily be considered. It incorporates the legal definition of crimes against humanity and provides a list of alternative acts that constitute such crimes. This paper will analyze the legal definition of the aforementioned crime, specifically in relation to persecution on religious grounds. The historical development of this definition will be discussed not only in the context of the International Criminal Court and its statute, but also in regard to its predecessors—the tribunals of Yugoslavia and Rwanda. Additionally, specific examples of religious persecution will be presented, with particular attention paid to the Srebrenica massacre and the persecution of Coptic Christians in Egypt.

Keywords: crime against humanity, persecution on religious grounds, Srebrenica massacre, Coptic Christians.



სექცია
SECTION

სამართალი
LAW

ქვესექცია კერძო სამართალი
SUBSECTION PRIVATE LAW

მოხსენებათა რაოდენობა: **14**
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: **24**
The Number of Reporters:

გუგა ვაშაყმაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ჟორჟოლიანი
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას მეპატრონის მოთხოვნის ფარგლები

საკითხი ეხება კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნორმათა ერთობლიობას, კერძოდ, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას.

საკონფერენციო ნაშრომში საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მუხლებით ვიხელმძღვანელებთ. განვიხილავთ თავად დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ცნებას, წინაპირობებს, რომლებიც ფუნდამენტია იმისა, რომ სახეზე გვქონდეს რეალური სხვისი საქმეების შესრულება, ხოლო საბოლოოდ გადავალთ მთავარზე, რაც მოიცავს დავალების გარეშეს დროს მეპატრონის მოთხოვნის ფარგლებს. ქართული სამოქალაქო სამართალი ცნობს შემსრულებელსა და მეპატრონეს, როგორც ურთიერთობის მთავარ სუბიექტებს. მეპატრონე სწორედ საქმის მქონე პირია, რომელსაც უსრულებენ შესაბამის საქმეს. მოცემულ საკონფერენციო ნაშრომში განხილული იქნება პრობლემა, რომელიც დღესდღეობით ქართულ კანონისმიერ სამართალში მართალია არსებობს, თუმცა მას დიდი ყურადღება არ ექცევა, მოცემული გულისხმობს მოთხოვნის ფარგლებს, კერძოდ, მეპატრონისა. რამეთუ მთავარი სუბიექტი-მეპატრონე მოელის შემსრულებლისგან საკუთარი საქმის მართებულად შესრულებას. მთავარი პრობლემა შესრულებული საქმის საკითხია, სად გადის ზღვარი მეპატრონის მოთხოვნისა, შესაფერისი საქმის შესრულების შესახებ. შესაბამისად, საკონფერენციო ნაშრომის მიზანიც შემდეგია – დაგვანახოს მოთხოვნის ის ფარგლები, რომლითაც სარგებლობს მეპატრონე.

Guga Vashakmadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Zhorzholiani
Doctor, Visiting Lecturer

The Scope of the Owner's Request when Performing Somebody Else's Task without a Mandate

The issue at hand studies a fundamental set of norms in legal obligational relationships, particularly the performance of another's tasks without a mandate. This conference paper will refer to the provisions in the Civil Code of Georgia regarding the performance of tasks without a mandate. It will discuss the concept of performing another's tasks, the essential prerequisites for it, and ultimately, the scope of the principal's request in such situations. Georgian civil law recognizes the performer and the principal as key subjects of the relationship. The principal is the party who owns the matter and to whom the task is performed. The paper will explore a current issue in Georgian law—while the legal framework exists, it has not received sufficient attention. This issue discusses the limits of the principal's request, specifically the scope within which the principal can demand the performance of tasks. The principal, as the main subject, expects the performer to correctly execute the task. The problem lies in determining the boundaries of the principal's request for proper performance. The goal of this paper is to define the limits of the principal's demand for the execution of the task.

დინარა ჩხიკვაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ჟორჟოლიანი
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

სამეზობლო დავათა ალტერნატიული მართვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მეშვეობით

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები მრავალფუნქციური გაერთიანებებია, რომელთა მთავარი დანიშნულება საერთო ქონების ეფექტიანი მართვაა, თუმცა მათი როლი შესაძლოა სცდებოდეს მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას და მოიცავდეს სამეზობლო კონფლიქტების გადაწყვეტასაც. ამხანაგობებს შეუძლიათ ისეთი დავების მართვა, რომლებიც სასამართლო ჩარევის გარეშეც ექვემდებარება მოგვარებას. ამით შემცირდება სასამართლო სისტემის დატვირთვა და გაძლიერდება ამხანაგობათა ინსტიტუციური მნიშვნელობა. მიუხედავად აღნიშნული ინიციატივის პოტენციური სარგებლიანობისა, მისი პრაქტიკული განხორციელება მნიშვნელოვან გამოწვევებს უკავშირდება. მაგალითად, საყურადღებოა, თუ რა ტიპის მექანიზმი უნდა შემუშავდეს ამხანაგობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად; ასევე აუცილებელია დადგინდეს გაერთიანებათა უფლებამოსილების ფარგლები კომპლექსური, სამართლებრივად რთული დავების მართვისას. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შესწავლას, მათ ფუნქციებსა და შესაძლებლობებს სამეზობლო დავების მართვის პროცესში.

კვლევაში გაანალიზებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული გამოწვევების იმგვარად გადაწყვეტის გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამხანაგობების როლის გაძლიერებასა და ეფექტური მედიაციის მოდელის ჩამოყალიბებას.

Dinara Chkhikvadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Zhorzholiani
Doctor, Visiting Lecturer

Homeowners' Associations as an Alternative Mechanism for Resolving Neighborhood Disputes

Homeowners' associations are multifunctional unions. Their main function is to govern common property; however, their role should not be limited to administration but also include resolving conflicts between neighbors. Associations can handle disputes that can be settled without court intervention. This would reduce the court's workload and institutionally strengthen homeowners' associations. Despite the benefits of this initiative, its practical implementation may face various challenges. For example, it is necessary to establish mechanisms for enforcing decisions made by associations. Additionally, defining the scope of their authority in managing legally complex disputes is crucial. This study aims to examine the regulatory legislative framework for homeowners' associations in Georgia, their functions, and their capabilities in managing neighborhood disputes. The research will analyze international practices and explore solutions to existing challenges in a way that strengthens the role of associations and establishes an effective mediation model.

ლიზი ბოლქვაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

„ექიმის შეცდომა და პაციენტის უფლებები: სამედიცინო პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა“

წარმოდგენილი ნაშრომი აანალიზებს სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ პრობლემებს. შესავალ ნაწილში განხილული იქნება თემის აქტუალობა, ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის ფარგლები და მიზანი. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია სიცოცხლის უფლება, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაცულ უფლებას წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო აქტებით. სამედიცინო მუშაკის საქმიანობას, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თან სდევს შეცდომები, მათი შეცდომის საზღაურია ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები - სიცოცხლე და ჯანმრთელობა. აქტუალურია, რადგან მსოფლიო მასშტაბით არც თუ იშვიათია, სამედიცინო პერსონალის მიმართ აღძრული სარჩელები. მათ შორის, საქართველოს პრაქტიკაშიც იმატა საჩივრებისა და სარჩელების ოდენობამ არაჯეროვნად გაწეული მომსახურებისგან მიღებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ნაშრომში მოცემულია სსკ-ის 1007-ე მუხლის ანალიზი, აგრეთვე, წარმოჩენილია ის სამართლებრივი პრობლემა, რომელსაც აწყდება საზოგადოება სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომენტში. ასევე განხილული იქნება სსკ-ის 1007-ე და 413-ე მუხლების ურთიერთმიმართება. მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა არა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ნებირისმიერ შემთხვევაში, არამედ მხოლოდ სსკ-ის 413 II მუხლში მოხსენიებული სიკეთეების-სხეულის, ან ჯამრთელობის დაზიანებისას. შესაბამისად, მოცემული თემა, სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი და საკმაოდ პრობლემატურია, რადგან საქართველოში არსებული სამედიცინო კანონმდებლობის ნორმები საჭიროებს დამატებით მოწესრიგებას.

Lizi Bolkvadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Rusiashvili
Doctor, Associate Professor

"Doctor's Mistake and Patient’s Rights: Civil Liability of Medical Personnel"

The presented conference paper analyzes the legal problems of compensation for damage caused by a medical institution. The introductory part will discuss the relevance of the topic, the structure, the scope and purpose of the research. The Constitution of Georgia recognizes the right to life, which is one of the most important rights protected not only by Georgian legislation, but also by international acts. Due to the specifics of the profession, the activities of a medical worker are accompanied by mistakes, and the price for their mistakes is the most important values for a person - life and health. It is relevant, because lawsuits filed against medical personnel are not uncommon worldwide. Among them, in Georgian practice, the

number of complaints and lawsuits demanding compensation for damage caused by inadequately provided services has increased. The paper provides an analysis of Article 1007 of the Civil Code, as well as the legal problem that society faces when seeking compensation for damage caused by a medical institution. The relationship between Articles 1007 and 413 of the Civil Code will also be discussed. The obligation to compensate for moral damage arises not in the event of damage to any legal good, but only in the event of damage to the goods referred to in Article 413 II of the Civil Code - body or health. Accordingly, given the specifics of this topic, it can be said that it is important and quite problematic, since the existing medical legislation in Georgia requires additional regulation.

ლიზი ჩუბინიძე, ელენე ღვინიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზია თოდუა
ასოცირებული პროფესორი

ნასყიდობიდან გამომდინარე მოთხოვნები და სასამართლო პრაქტიკა

ნაშრომში განხილული იქნება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები და ის პრობლემატიკა, რომელიც ახლავს მათ გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში. ნასყიდობის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ინსტიტუციაა, მას ჯერ კიდევ რომის სამართლის ხელშეკრულების კლასიკურ სისტემაში ძირითადი ადგილი ეკავა. ნასყიდობის ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომელშიც ყველაზე ნათლად არის განსაზღვრული ქონების ერთი პირიდან მეორე პირის საკუთრებაში გადასვლა.

ნასყიდობის ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით არის ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი. სწორედ ეს ორმხრივი ბუნება წარმოშობს ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილე მხარეების (კრედიტორი და მოვალე) უფლება-ვალდებულებებს. ხშირად, მხარეთა შორის კონფლიქტი განაპირობებს სასამართლოში დავის დაწყებას და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ ამ ტიპის დავებთან დაკავშირებით, ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმების განმარტების გზით სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს, სასამართლო პრეცედენტებსა და იმ ურთიერთობათა რეგულირების საშუალებებს, რომელთა გადაჭრაც ხელშეკრულების მხარეებმა ურთიერთმოლაპარაკების გზით ვერ მოახერხეს.

Lizi Chubinidze, Elene Ghviniashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Mzia Todua
Associate Professor

Purchase Requirements and Judicial Practices

The paper will discuss the requirements arising from the purchase agreement and the problems that accompany their application in judicial practice. The purchase agreement is one of the most important and oldest institutions of civil law; it held a core position in the classical system of Roman law contracts. A purchase agreement is one of those contracts that most clearly defines the transfer of ownership of property from one person to another. The private part of the law of obligations in the civil code of Georgia begins with the legal regulation of the purchase agreement, which once again emphasizes its special place and role in contract law. It can be said that the purchase agreement is the most common contract in the modern world. A purchase agreement is, by its legal nature, bilateral, consensual, and negotiable. It is this bilateral nature that gives rise to the rights and obligations of the parties to the purchase agreement (creditor and debtor). Often, conflict between parties leads to a dispute in court and therefore, the formation of judicial law through the interpretation of the norms regulating the purchase and sale of goods by the court regarding these types of disputes. Accordingly, it is vital to pay attention to court rulings, court precedents, and means of regulating those relationships that parties to the contract have not been able to resolve through mutual negotiations.

მარიამ მოსულიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ხარიტონაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

UNCITRAL - ის მოდელური კანონის გავლენა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე

ნაშრომის მიზანია მოახდინოს მოდელური კანონის გავლენის შეფასება ეროვნულ სამართალზე საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისა და მბოჭავი ხასიათის კუთხით, გამოიკვეთოს UNCITRAL - ის მოდელურ კანონთან შეუსაბამობები და შემოგვთავაზოს ხარვეზის აღმოფხვრის გზები. საქართველოში საარბიტრაჟო კანონმდებლობის ისტორიული განვითარების მიმოხილვასთან ერთად ნაშრომში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ad hoc არბიტრაჟს. Ad hoc არბიტრაჟი შედარებით ახალია ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობისთვის, რადგან მას არ იცნობდა 1997 წლის კანონმდებლობა.

2009 წელს საქართველომ მიიღო ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ, რომელიც ეფუძნება გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის UNCITRAL - ის მოდელურ კანონს, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ. თუმცა საქართველოში ედ ჰოკ არბიტრაჟისთვის მიმართვის შესაძლებლობა ცალსახად არ იკვეთება. აქედან გამომდინარე, არსებობს ხარვეზი, რომლის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია კანონში, ტერმინთა განმარტებაში, დაფიქსირდეს ედ ჰოკ არბიტრაჟის დეფინიცია, რაც გააღრმავებს არბიტრაჟის, როგორც კერძო დავების მოგვარების ინსტიტუტის ეფექტურობას.

Mariam Mosulishvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nino Kharitonashvili
Doctor, Associate Professor

The Impact of the UNCITRAL Model Law on Arbitration Agreement

The aim of the paper is to assess the impact of the Model Law on national law in terms of the validity and binding nature of the arbitration agreements, to identify inconsistencies with the UNCITRAL Model Law and to suggest ways to eliminate the gap. Along with the review of the historical development of arbitration legislation in Georgia, a substantial portion of the paper is focused on ad hoc arbitration. Ad hoc arbitration is relatively new to Georgian arbitration legislation, as it was unfamiliar in the 1997 legislation. In 2009, Georgia adopted a new Law on Arbitration, which is based on the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration of the United Nations Commission on International Trade Law. However, the possibility of resorting to ad hoc arbitration in Georgia is not clearly defined. Therefore, there is a gap, which ought to be improved by including a definition of ad hoc arbitration in the law, in the definition of terms, which will enhance the effectiveness of arbitration as an institution for resolving private disputes.

ანი კვანტალიანი, ნინი ალავიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ლეონიძე
დოქტორანტი,მოწვეული ლექტორი

იძულებითი ქორწინების ბათილად ცნობის პრობლემატიკა და პრაქტიკული ანალიზი საკანონმდებლო სივრცეში

იძულებითი ქორწინების ბათილად ცნობა თანამედროვე სამართლებრივ საზოგადოებაში არაერთ პრობლემურ ქვესაკითხს წარმოშობს. აღნიშნული მოწესრიგებულია საოჯახო სამართალში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1144-ე მუხლით. თუმცა საკანონმდებლო ჩარჩო ამომწურავად მაინც არ პასუხობს წარმოშობილ პრობლემურ ასპექტებს. მექორწინეთა ნების დეფექტური ხასიათის გამოვლენა და ნებაყოფლობის პრინციპის არსებითი დარღვევა ამგვარი ქორწინების ბათილობის სერიოზული საფუძველი ხდება. იძულებითი ქორწინების ბათილად ცნობის პროცედურის შინაარსი, როგორც სანქციის განსაკუთრებული სახე, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობის წარმოშობას თავიდანვე უგულვებელყოფს, ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის იურიდიულ უარყოფას იწვევს. ბათილობის პროცესს ართულებს ის გარემოებაც, რომ იძულების ფაქტის დადგენა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა, რომლითაც ხაზგასმულია სასამართლოს კომპეტენცია ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლებში. იძულებითი ქორწინების დანაშაულებზე დროული და ეფექტური რეაგირება კი კვლავ აქტუალურ გამოწვევად რჩება. ასევე პრობლემად მიგვაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით პრევენციული საქმიანობა და ცნობიერების ასამაღლებლად საზოგადოებაში ნაყოფიერი სამუშაოების ჩატარება. ნაშრომის მიზანია, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სოციუმში, აღმოიფხვრას უახლესი სასამართლო გადაწყვეტილებების სრულფასოვანი

მიმოხილვით. გაგიზიარებთ ჩატარებულ კვლევასა და დადგენილ სტატისტიკას. დასასრულს, შემოგთავაზებთ საერთაშორისო პრაქტიკის რეგულაციებს და ზემოხსენებულის გათვალისწინებით დავსახავთ რეკომენდაციებს.

Ani Kvantaliani, Nini Alavidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Irakli Leonidze
PhD Candidate, Visiting Lecturer

The Problem of Annulment of Forced Marriage and Practical Analysis in the Legislative Space

The annulment of forced marriage raises several problematic issues in modern legal society. This matter is regulated in family law, specifically, by Article 1144 of the Civil Code of Georgia. However, the legislative framework still does not comprehensively respond to the emerging problematic aspects. Identifying the defective nature of marital consent and the fundamental violation of the principle of free will becomes a serious basis for declaring such a marriage void. The annulment procedure for forced marriage, as a unique form of sanction, negates the legal existence of the marital relationship from the outset, leading to the legal invalidation of the marriage registration. The invalidity process is further complicated by the fact that determining coercion is only the court's prerogative, which emphasizes its competence within the principle of inquisitorial proceedings. Meanwhile, timely and effective legal response to the criminal aspects of forced marriage remains an ongoing challenge. Additionally, we consider it a problem to conduct preventive activities and productive work in society to raise awareness on this issue. The aim of this paper is to eliminate the inconsistent societal attitudes toward this issue by providing a comprehensive review of recent judicial decisions. We will share conducted research and relevant statistics. in conclusion, we will present regulations from international practice and, taking the above into account, formulate recommendations.

ნინო ლომაური, გიორგი მარსაგიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ლეონიძე
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი მეუღლის ქონებრივი უფლებების დაცვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე

ნაშრომი ეფუძნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების ანალიზს საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც მოსარჩელემ სადავო გახადა სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე

ციალა პერტია წლების განმავლობაში რეალურად თანაცხოვრობდა გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად და უძღვებოდა საერთო მეურნეობას, არარეგისტრირებული ქორწინების გამო უარი ეთქვა მემკვიდრეობის მიღებაზე. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და ამით კიდევ ერთხელ წარმოაჩინა 1151-ე მუხლის მიზანი და მნიშვნელობა რეგისტრირებული ქორწინებისათვის. სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ კანონით რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა შორის ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, რაც ემსახურება სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობისა და სტაბილურობის პრინციპებს. აღნიშნული გადაწყვეტილება აჩენს კითხვას, თუ რამდენად ერგება იგი თანამედროვე სოციალურ რეალობას, სადაც ფაქტობრივი ქორწინება საკმაოდ გავრცელებული ოჯახური თანაცხოვრების ფორმაა.

ნაშრომის მიზანია ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფ მეუღლეთა ქონებრივი უფლებების დაცვისთვის რეკომენდაციების ჩამოყალიბება, წინამდებარე გადაწყვეტილებისა და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე.

Nino Lomauri, Giorgi Marsagishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Irakli Leonidze
PhD Candidate, Visiting Lecturer

Protection of Property Rights of Partners in Factual Cohabitation Based on the Practice of the Constitutional Court of Georgia

The conference paper is based on the analysis of the Constitutional Court of Georgia's decision of June 9, 2023, in the case "Tsiala Pertia v. Parliament of Georgia." In this case, the claimant challenged the constitutionality of Article 1151 of the Civil Code in relation to the first paragraph of Article 11 of the Constitution. Although the claimant, Tsiala Pertia, had lived in a de facto marital relationship for many years with her now-deceased partner and managed a joint household, she was denied the right to inheritance due to the absence of a legally registered marriage. The Court did not uphold the claim, once again emphasizing the purpose and significance of Article 1151 in relation to registered marriages. According to the Court, only a marriage registered under the law gives rise to property rights and obligations between spouses, serving the principles of legal certainty, clarity, and stability. This decision raises the question of how well it aligns with modern social realities, where de facto cohabitation has become a common form of family life. The aim of this paper is to develop recommendations for the protection of property rights of partners in factual cohabitation, based on the mentioned decision and international practice.

იზი როგავა, ანა შუბითიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბავშვის საუკეთესო ინტერესი და შვილად აყვანა: სამართლებრივი ჩარჩო სამოქალაქო სამართალში

ნაშრომი ეხება შვილად აყვანის სამართლებრივ ჩარჩოს სამოქალაქო სამართალში. საკითხზე მსჯელობისას ყურადღება გავამახვილეთ ძირითად ასპექტზე, რომელიც გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესს. ბავშვის საუკეთესო ინტერესი არის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ბავშვის კეთილდღეობისა და უფლებების უპირატესობა. სამართლებრივი ანალიზის ფარგლებში განვიხილეთ ის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. აღნიშნული საკითხის გასაცნობად ყურადღება გავამახვილეთ გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციასა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებაზე. შევეცადეთ ტექნოლოგიური მიღწევების როლზეც გვესაუბრა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს აღნიშნულ საკითხთან. ითვლება, რომ პირის განვითარება გარკვეულწილად ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე არის დამოკიდებული. იდენტობის პოვნისა და ნდობის დაკარგვის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, ამის თავიდან ასაცილებლად ბავშვის საუკეთესო ინტერესი პროცედურულ ნაწილშივე უნდა იქნეს გათვალისწინებული. განვიხილეთ პროცედურული კრიტერიუმები და ბავშვის საუკეთესო ინტერესის სამართლებრივი როლი სამოქალაქო ურთიერთობის ჭრილში.

Lizi Rogava, Ana Shubitidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Rusiashvili
Doctor, Associate Professor

The Best Interests of the Child and Adoption: The Legal Framework in Civil Law

The paper concerns the legal framework of adoption in civil law. In discussing the topic, we focused on the core aspect, which is the best interest of the child. The best interest of the child is a fundamental principle in both national and international law, which prioritizes the welfare and rights of the child. As part of the legal analysis, we examined the issues that must be considered in order to protect the best interests of the child. To better understand the topic, we highlighted the UN Convention on the Rights of the Child and other international treaties that significantly influence the formation of national legislation. We also attempted to address the role of technological advancements, which are closely connected to this matter. It is believed that an individual's development is, to some extent, dependent on their mental health. The problem of identity loss and lack of trust is particularly relevant; to prevent such issues, the best interest of the child must be taken into account from the very beginning of the legal procedures. We examined procedural criteria and the legal role of the best interest of the child within the context of civil relations.

ნიკოლოზ გიორგაძე, ირაკლი კანჯარაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ჟორჟოლიანი
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

საომარი და საგანგებო მდგომარეობის გავლენა სესხის ხელშეკრულებაზე საბანკო სექტორსა და ფიზიკურ პირს შორის

აღნიშნული ნაშრომი დეტალურად განიხილავს საომარი და საგანგებო მდგომარეობის არსს, რომელიც კანონისმიერ და სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან გამოწვევად საბანკო სექტორისთვისა და საზოგადოებისვის. წინამდებარე გარემოებები ხშირად იწვევს სამეწარმეო აქტივობების შემცირებას, ეკონომიკურ კრიზისებს და ზღუდავს როგორც მოქალაქეების, ისე ფინანსური ინსტიტუტების შესაძლებლობებს. ნაშრომში წარმოდგენილია შეფასებითი მსჯელობები და თანამედროვე კვლევები, რომლებიც გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით. დეტალურადაა განხილული სესხის ხელშეკრულება, მისი ელემენტები და არსი, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც გავლენას ახდენს სესხის მომსახურებასა და რისკების შეფასებაზე. გამოკვეთილია განსხვავებები, თუ როგორ იცვლება სხვადასხვა სექტორში მომუშავე მსესხებელთა და ბანკების მიდგომები როგორც საომარი, ისე საგანგებო მდგომარეობის პირობებში. ამავდროულად, საინტერესოა, თუ როგორ ფორმულირდა ის კანონისმიერ-სახელშეკრულებო ურთიერთობებში. გარდა ამისა, შევეხებით სხვადასხვა ქვეყნის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს ფორსმაჟორულ ვითარებებში, მათ შორის საქართველოშიც. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, რომელმაც ამ უკანასკნელთა ეკონომიკური მდგომარეობა დააზიანა, რაშიც იგულისხმება, როგორც ლოჯისტიკური შეფერხებები, ასევე არასტაბილური ფინანსური გარემო.

Nikoloz Giorgadze, Irakli Kanjaradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Zhorzholiani
Doctor, Visiting Lecturer

The Impact of War and a State of Emergency on a Loan Agreement between the Banking Sector and an Individual

This paper provides a detailed examination of the nature of wartime and state of emergency conditions, which, can be considered significant challenges for both the banking sector and society at large. Such circumstances frequently lead to a decline in entrepreneurial activities, trigger economic crises, and restrict the capacities of both citizens and financial institutions. The study presents evaluative discussions and contemporary research, supported by examples. It offers an analysis of loan agreements, their essential elements and nature, as well as the political and economic crises that influence loan servicing and risk assessment. The paper highlights the differences in how borrowers and banks operating in various sectors

adapt their approaches under conditions of war and states of emergency. it is of particular interest to observe how these issues are formulated within legal and contractual frameworks. The paper addresses measures undertaken by different countries in force majeure situations, including the case of Georgia. Given the nature of the subject, special attention is devoted to the Russia-Ukraine conflict, which has affected the economic conditions of both nations, resulting in logistical disruptions and an unstable financial environment.

რევაზ ავთანდილაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ანა ტეფნაძე
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზვიად გაბისონია
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი პასუხისმგებლობა: სუბიექტი თუ ინსტრუმენტი?

გლობალიზაციის ეპოქაში, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი განსაზღვრავს სამართლებრივი, სოციალური თუ ეკონომიკური სისტემების განვითარებას, ხელოვნური ინტელექტის არსებობა იქცა ახალ გამოწვევად. მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრირება აჩენს მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას, რომელსაც სჭირდება სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებში მოქცევა. დღევანდელ რეალობაში, როდესაც ხელოვნური ინტელექტი მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში - იქნება ეს სამართლებრივი საკითხი, სამედიცინო დიაგნოსტიკა, ტრანსპორტირება თუ სხვა ოპერაციების მართვა, ჩნდება კითხვა - ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე? ევროპარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ, პირველად, 2016 წელს შეთავაზებულ იქნა ტერმინი „ელექტრონული პირები“ ("Electronic persons"), თუმცაღა იგი დღემდე არაა დამკვიდრებული, რადგან სათანადოდ ვერ განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტის რაობას. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ახალი ტერმინი, მისი განსაზღვრება, შედარება უკვე არსებულ ტერმინებთან. დადგინდება ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობის საკითხი და განვითარდება მსჯელობა სადამსჯელო ღონისძიებებსა და აღსრულების მექანიზმებზე. სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის აქტუალურობა ისახავს მიზანს, განიმარტოს ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და შემუშავდეს მისი დამკვიდრების პერსპექტივა სამართლებრივ სივრცეში.

Revaz Avtandilashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Ana Tepnadze
East European University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Zviad Gabisonia
Doctor, Visiting Lecturer

Legal Responsibility for Decisions Made by Artificial Intelligence: Subject or Instrument?

In the era of globalization, with technological advancement shaping all of the legal, social, and economic systems, the existence of artificial intelligence has emerged as more of a challenge. Its incorporation into daily existence poses countless open questions needing situation inside legal regulation's structure. In today's definite reality, where artificial intelligence is involved throughout decision-making - whether in legal matters, medical diagnostics, transportation, or management of various operations - the question arises: who should bear responsibility toward decisions made by AI systems? In 2016, the European Parliament's Committee on Legal Affairs introduced the term "Electronic Persons" for the first time. However, this concept has not yet gained wide traction, as it fails in its capacity to capture the full nature of artificial intelligence. In effect, a novel term is what this paper will propose and define. Also, this paper will contrast that term with some existing concepts. AI liability will be addressed, and punitive measures with enforcement will be further discussed. The urgency of resolving legal challenges in this field highlights the necessity of defining the legal responsibility of artificial intelligence as well as exploring the prospects for its recognition and integration within the legal domain.

მარიამ ჟალაძე, ირინე დოლიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ხარიტონაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საალიმენტო ვალდებულებები ოჯახის წევრების მიმართ

ოჯახის წევრები ერთმანეთის მიმართ მოვალენი არიან შეასრულონ გარკვეული ვალდებულებები, იქნება ეს მატერიალური თუ მორალური. მართალია, სახელმწიფოს აქვს ხელშეწყობა ოჯახების მიმართ, თუმცა ზრუნვის დიდი წილი უშუალოდ ოჯახს ეკისრება. ამ ვალდებულებების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ადგენს ალიმენტის დაკისრების შესაძლებლობას, რაც ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც მეტად აქტუალურ და მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს. თუმცა აღნიშნულზე საუბრისას, ან მისი ხსენებისას, ხშირ შემთხვევაში, გულისხმობენ, მოიაზრებენ მშობლების საალიმენტო ვალდებულებებს შვილების მიმართ, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ვითარება მთლიანად განსხვავებულია, ანუ ალიმენტვალდებული პირი ხდება არამარტო მშობელი, არამედ შვილიც, ასევე არსებობს ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებები ანუ ალიმენტის მიმღები და გამცემი, მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება იყოს

და-ძმა, მეუღლე, ბებია, პაპა, გერი, დედინაცვალი, მამინაცვალი და ასევე ფაქტობრივი აღმზრდელიც, რომელთანაც იმყოფებოდა პირი მუდმივ აღსაზრდელად.

ჩვენს რეალობაში ბუნებრივია არსებობდეს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მშობელს, რომელსაც დაეკისრა ალიმენტის გადახდა, არ აქვს შესაბამისი მატერიალური მდგომარეობა. შესაბამისად, აქ ჩნდება აღსრულების პრობლემა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ალიმენტის ოდენობას სასამართლო ადგენს, სადაც ყველა მხრივ გათვალისწინებულია მშობლის მატერიალური მდგომარეობა და ასევე ის საჭირო ხარჯების ოდენობა, რაც შვილს სჭირდება ნორმალურ პირობებში აღზრდისათვის, განათლებისა და არსებობისათვის. თუმცა შესაძლებელია ალიმენტვალდებული მშობლის მატერიალური პირობები შეიცვალოს, მან დაკარგოს სამსახური, ან მისი ხელფასი საგრძნობლად შემცირდეს და ალიმენტის ოდენობა აღემატებოდეს მის შემოსავალს. რა ხდება ამ შემთხვევაში? როგორ ხდება ამ პრობლემის აღმოფხვრა და უზრუნველყოფა? საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობები ერთმანეთის მიმართ. მათში იგულისხმებიან დები-ძმები; შვილიშვილები; ბებია-ბაბუები; მამინაცვალი და დედინაცვალი; გერები; ფაქტობრივი აღმზრდელები და აღსაზრდელები. ოჯახის სხვა წევრების მიმართ ალიმენტის დაკისრების საკითხს არაერთი პრობლემა ახასიათებს, ესენია: 1. ალიმენტის ოდენობის დადგენა; 2. აღსრულების პრობლემები; 3. ალიმენტის გადახდისგან თავის არიდება; 4. ალიმენტგადამხდელი პირის გადახდისუუნარობა. მართალია, ჩვენი კანონმდებლობა შესაბამის რეგულაციებს შეიცავს, თუმცა მისი აღსრულება ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევს რეალურ შედეგებს. აღსრულების მექანიზმის გაძლიერება სასიკეთო იქნება ამა თუ იმ თვალსაზრისით, რომ დაცული იქნებიან დასახმარებელი პირები სიღარიბისაგან. ზემოთ ხსენებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილია შემდეგი საკითხების გათვლისწინება: 1. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის კანონმდებლობით გამყარებული მეთოდოლოგია; 2. აღსრულების მექანიზმების დახვეწა; 3. სოციალური სერვისების გაძლიერება; ამასთან, მიზანშეწონილია სახელმწიფომ შექმნას სოციალური ალიმენტის ფონდი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სახელმწიფოსგან ერთჯერადი ან პერიოდული დახმარება ალიმენტვალდებული პირის მოძებნამდე ან გადახდისუნარიანობამდე. ეს ორგანიზაცია არსებობს, მაგალითად, გერმანიის, კანადის, ლატვისაა და სხვა ქვეყნებში, როდესაც სახლემწიფო გასცემს დროებით დახმარებას და შემდეგ თავად იბრუნებს ალიმენტვალდებული პირისაგან.

Mariam Zhaladze, Irine Dolidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nino Kharitonashvili
Doctor, Associate Professor

Alimony Obligations towards Family Members

The obligation to pay alimony was already recognized in Roman law. In Justinian's Digest, according to Ulpian's opinion, a parent was obligated to support their child. Alimony is a term of Latin origin that refers to a claim which the obligated person must pay to the entitled claimant. However, the alimony obligation is a form of civil-legal relationship and entails the alimony recipient's right to demand alimony payments. The latter refers to a person who is in a kinship or other family relationship with the individual obligated to pay alimony. The alimony payer must have the capacity to pay alimony, meaning the ability to independently fulfill their obligation. Family members have mutual obligations to fulfill certain duties towards one another, whether material or moral. Although the State provides support to families, the primary responsibility for care rests directly with the family itself. In cases of voluntary non-fulfillment of these obligations, the State provides for the imposition of alimony, which, as in many countries worldwide,

remains a highly relevant and significant issue in Georgia. However, when discussing or referring to this matter, it is often assumed that parents have alimony obligations towards their children. Nevertheless, our legislation also accounts for situations where the circumstances are entirely different, whereby the person obligated to pay alimony may not only be a parent but also a child. Furthermore, alimony obligations exist among other family members as well; under current law, both the recipient and the payer of alimony may be siblings, spouses, grandparents, stepparents, or even a de facto guardian with whom the individual resided as a permanent ward. In our reality, it is common for situations to arise where a parent obligated to pay alimony lacks the necessary financial means. Consequently, enforcement issues emerge. It is understood that the amount of alimony is determined by the court, which considers the parent's financial situation comprehensively, as well as the necessary expenses required for the child's proper upbringing, education, and livelihood. However, the financial circumstances of the alimony-paying parent may change, such as losing employment or experiencing a significant reduction in salary, resulting in the alimony amount exceeding their income. What occurs in such cases? How is this issue addressed and resolved? The alimentary obligations among other family members towards one another are less well known to society. These include siblings; grandchildren; grandparents; stepfathers and stepmothers; in-laws; and de facto guardians and their wards. The issue of imposing maintenance obligations on other family members is characterized by several problems, which include: 1. Determination of the amount of maintenance; 2. Problems of enforcement; 3. Avoidance of alimony payments; 4. Inability of the alimony payer to fulfill payment obligations While our legislation includes appropriate regulations, their enforcement frequently fails to yield effective results. Strengthening the enforcement mechanism would be advantageous in certain respects, as it would safeguard beneficiaries from poverty. To resolve the aforementioned issues, it is advisable to take the following matters into consideration: Although our legislation includes the relevant regulations, its enforcement often fails to yield tangible results. Strengthening the enforcement mechanisms would be beneficial in various respects to ensure that vulnerable individuals are protected from poverty. To resolve the aforementioned issues, it is advisable to take the following matters into consideration: 1. A legislatively established methodology for determining the amount of alimony; 2. Improvement of enforcement mechanisms; 3. Strengthening social services. It is advisable for the state to establish a social alimony fund, through which the state would provide one-time or periodic assistance until the alimony debtor is located or becomes able to pay. This organization exists, for example, in Germany, Canada, Latvia, and other countries. In countries where the state provides temporary assistance and subsequently recovers it from the alimony debtor.

თამთა უბილავა, მარიამ გულიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ გაიპარაშვილი
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

ციფრული აქტივების სამართლებრივი რეგულირება: საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკების ანალიზი

ტექნოლოგიურმა პროგრესმა დიდი გადატრიალება მოახდინა ციფრულ სამყაროში. ბაზარზე გამოჩნდა კრიპტოაქტივებისა და დეცენტრალიზებული ფინანსების სამყარო, რომელსაც თან

სდევს ინოვაციები, რისკები და გამოწვევები. მნიშვნელოვანია მისი კვლევა არა მხოლოდ საბანკო ინდუსტრიაში, არამედ სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისითაც. ვინაიდან თანამედროვე სამყაროში ციფრული აქტივების რეგულირების საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია, ამის გამო მისი ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩო არ არსებობს, ხოლო საქართველოში ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ციფრული აქტივი (კრიპტოაქტივი), რომლის სწორი განმარტებაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს, არის ღირებულების ციფრული გამოხატულება, რომელიც გამოიყენება ინვესტიციების ან გადახდების განსახორციელებლად.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს დავადგინოთ ციფრული აქტივების სამართლებრივი ბუნება, მასში შემავალი აქტივები: კრიპტოვალუტები, ტოკენები, ფასიანი ქაღალდები და სხვა. მნიშვნელოვანია მოვახდინოთ მისი საკანონმდებლო რეგულაციების შეფასება, არა მხოლოდ ეროვნული, არამედ გლობალური მასშტაბითაც, განვიხილოთ მისი განვითარების პერსპექტივები, გავცეთ რეკომენდაციები ისეთი რისკების თავიდან ასაცილებლად, როგორიც, მაგალითისთვის, შეიძლება იყოს ფინანსური დანაშაულები. გავაანალიზოთ აშშ-სა და ევროკავშირის მარეგულირებელი მიდგომა ამ სფეროს შესახებ და მოვახდინოთ მათი შედარებითი ანალიზიც ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობასთან მიმართებით.

Tamta Ubilava, Mariam Gulishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Mariam Gaiparashvili
Master, Visiting Lecturer

Legal Regulation of Digital Assets: Analysis of International and National Practices

Technological progress has revolutionized the digital world. The world of crypto-assets and decentralized finance has appeared on the market,bringing with it innovations, risks and challenges. Its research is important not only in the banking industry, but also in terms of legal regulation. Since the issue of regulating digital assets in the modern world is quite vague, due to which there is no unified regulatory framework for it, and in Georgia it is still in the process of formation. A digital asset (crypto-asset), the correct definition of which is a rather difficult task, is a digital expression of value that is used to make investments or payments. This study aims to determine the legal nature of digital assets, the assets included in it: cryptocurrencies, tokens, securities, etc. It is important to evaluate its legislative regulations, not only on a national but also a global scale, to discuss its development prospects, and to provide recommendations for preventing risks such as, for example, financial crimes. To analyze the regulatory approaches of the US and the European Union in this area and to conduct a comparative analysis of them in relation to the legislation of our country.

ლუკა ლაგურაშვილი, საბა ხუბუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან მახათაძე
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

ტექნოლოგიური ავტონომია და კორპორაციული პასუხისმგებლობის მომავალი

საკორპორაციო სამართალი ტრადიციულად ეფუძნება ვარაუდს, რომ კომპანიის მოქმედებების უკან ადამიანები დგანან, მაგრამ ხელოვნური ინტელექტის (AI), ბლოკჩეინისა და ავტონომიური სისტემების ინტეგრაციამ ეს დოქტრინა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. თანამედროვე კომპანიები ხშირად იყენებენ AI-ს გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც უმეტესწილად ადამიანების ჩარევის გარეშე მიიღება. როდესაც ასეთი სისტემები ზიანს იწვევს, რთულდება პასუხისმგებელი სუბიექტის იდენტიფიცირება, რადგან არ არსებობს განზრახვის ან ცნობელობის ტრადიციული ნიშნები. ამ ვითარებაში პასუხისგებლობის განსაზღვრა შეიძლება დამოკიდებული იყოს რამდენად განახორციელა კომპანიამ სათანადო კონტროლი ტექნოლოგიის შექმნისა და მონიტორინგის პროცესში. ცალკეული შემთხვევების გამო, სადაც კომპანიამ ვერ შეაფასა რისკები, ან არ გამოიყენა სათანადო მექანიზმები, აღნიშნული შესაძლოა გახდეს მისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. თანამედროვე ტექნოლოგიური რეალობის ფონზე, აუცილებელია საკორპორაციო სამართლის განვითარება და ადაპტაცია. მაგალითად, AI-ის აუდიტი, გამჭვირვალობის სტანდარტებისა და პრევენციული ვალდებულებების დაწესება, აღნიშნული უნდა გახდეს კანონმდებლობის ნაწილი, რათა პასუხისმგებლობის დაკისრებამ არ დაკარგოს აქტუალობა და ეფექტურობა.

Luka Lagurashvili, Saba Khubua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Levan Makhatadze
Doctoral Candidate, Visiting Lecturer

Technological Autonomy and The Future of Corporate Liability

Corporate law has traditionally relied on the assumption that human beings, however the integration of artificial intelligence (AI), blockchain, and autonomous systems is challenging this model. Modern corporations now use AI to make decisions, often with minimal human input. When harm occurs, it becomes difficult to identify a responsible party due to the absence of intent or negligence in the traditional sense. In such cases, liability may hinge on whether the company exercised adequate oversight during the design and monitoring of the technology. A failure to assess risks or implement control mechanisms could result in corporate responsibility. To remain relevant and effective, corporate legal frameworks must evolve. This may involve incorporating AI audits, transparency standards, and proactive obligations into compliance systems. Such reforms would ensure that accountability does not erode in a technology-driven world and that the law reflects the complexity and autonomy of emerging systems.

ნინო დანგაძე, ელენე ალუდაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ლეონიძე
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

მეურვეობის, მზრუნველობის და მხარდაჭერის ინსტიტუტის არსი და განმასხვავებელი ნიშნები საოჯახო სამართლის კანონმდებლობაში

მეურვეობის, მზრუნველობის და მხარდაჭერის ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე საჭირო მოვლენაა საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობაში. ის შეეხება არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდას და ზრუნვას, რომელიც მშობლების გარდაცვალების თუ სხვა მიზეზების გამო ობლად დარჩა. ეს თემა აქტუალური გახდა, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წელს გადაწყვეტილებით ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებსაც მიანიჭა ქმედურანიანობის სტატუსი. ისინი იწოდებიან მხრდაჭერის მიმღებებად. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ინტელექტუალური და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა მძიმე იყო, კანონი ქმედუუნაროებად მოიხსენიებდა და უთანაბრდებოდნენ 7 წლამდე ბავშვებს. ჩამოყალიბდა ახალი ნორმა და ქმედუნარიანად ჩაითვალა პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს სრულწლოვანების მოთხოვნას. მას ენიშნება მხარდამჭერი. ეს თემა კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს სამართლის სხვდასხვა დარგს. ზოგი კი ფიქრობს, რომ ის სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება და უმთავრესად შეეხება მეურვეობაში და მზრუნველობში მყოფი არასრულწლოვნის უფლებებს, ინტერესებს და აღზრდის წესებს. ნაშრომში ცხადად გაიმიჯნება ეს სამი ინსტიტუტი ერთმანეთისგან.

Nino Dangadze, Elene Aludauri
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Irakli Leonidze
Doctoral Candidate, Visiting Lecturer

The Essence and Distinctive Features of the Institution of Guardianship, Care and Support in Family Law Legislation

The institution of guardianship, care and support is one of the most necessary developments in Georgian and international legislation. It concerns the upbringing and care of a minor child who has been orphaned due to the death of his parents or other reasons. This topic became relevant when the Constitutional Court of Georgia, by its decision in 2014, granted the status of legal capacity to persons with psychosocial needs. They are called recipients of support. Before the court's decision, the legal situation of persons with intellectual and mental disorders was difficult, the law referred to them as incapacitated and children under

the age of 7 were treated unequally. A new norm was established and a person who has a permanent mental, mental/intellectual disorder, which may prevent his full and effective participation in public life on an equal basis with others, was considered capable. It is assigned a supporter. This topic is complex and covers various branches of law. Some believe that it belongs to the sphere of civil law regulation and mainly concerns the rights, interests and upbringing rules of minors under guardianship and care. The paper clearly distinguishes these three institutions from each other.



სექცია
SECTION

სამართალი
LAW

ქვესექცია საჯარო სამართალი
SUBSECTION PUBLIC LAW

მოხსენებათა რაოდენობა:
The Number of Reports: **12**

მომხსენებელთა რაოდენობა:
The Number of Reporters: **21**

სალომე ქოროღლიშვილი, მარიამ ბიბილაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახი სამხარაძე
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული და "შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით მოწესრიგებული ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ის დაკავშირებულია ისეთ უფლებებთან, როგორებიცაა სიტყვის, აზრის, გამოხატვის და გადაადგილების თავისუფლება. ესაა ინსტრუმენტული უფლება, რომელიც ამ უფლებით მოსარგებლე პირებს აძლევს გრძნობებისა და შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, ანუ მასში ჩარევა ლეგიტიმური მიზნის არსებობისას დასაშვები და გამართლებულია.

საქართველოს კანონი ადგენს მთელ რიგ აკრძალვებსა და პროცედურულ საკითხებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების განხორციელებისას. ზემოთ ნახსენებმა კანონმა ბოლო ხანებში არაერთი ცვლილება განიცადა, რაც აისახა საქართველოში დღესდღეობით მიმდინარე საპროტესტო აქციებზე, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ამ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, რომლებიც მეტად აქტუალურია ჩვენს რეალობაში. ნაშრომის საკვანძო საკითხს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოდგენს, თუ რამდენად შეესაბამება საკანონმდებლო ცვლილებები კონსტიტუციას, ისინი ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, თუ სახელმწიფოს მხრიდან ხდება უხეში ჩარევა ადამიანის ძირითად უფლებებში.

Salome Koroghlishvili, Mariam Bibiladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Kakhi Samkharadze
Master, Visiting Lecturer

Contemporary Challenges Related to the Right to Assembly and Manifestation in Georgia

Contemporary Challenges Related to the Right to Assembly and Manifestation in Georgia The right to assemble and manifest is a fundamental right guaranteed by the Constitution of Georgia and regulated by the "Law on Assemblies and Manifestations" of Georgia. It is closely related to other rights, such as freedom of speech, expression, opinion, and movement. This is an instrumental right that provides individuals the opportunity to express their feelings and views, which is vitally important for the existence of a democratic state. However, despite this, the right is not absolute, meaning that interference is allowed and justified when there is a legitimate purpose. The law of Georgia establishes a number of prohibitions and procedural matters, which must be adhered to when exercising the freedom of assembly and manifestation. The aforementioned law has undergone numerous changes in recent times, which have impacted the ongoing protests in Georgia today. Therefore, we believe it is important to discuss the issues related to this subject,

which are highly relevant in our current reality. The key issue of this paper is precisely whether the legislative changes align with the Constitution, whether they serve the achievement of legitimate goals, and whether there is gross interference by the state in the fundamental rights of individuals.

ელენე სხირტლაძე, ლიზი სულიკაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია გველესიანი
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

კონსტიტუცია, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის გარანტია

კონსტიტუცია წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ფუნდამენტურ გარანტიას, რომელიც ამყარებს დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლებს და განსაზღვრავს ინდივიდის თავისუფლების ფარგლებს. ის უზრუნველყოფს ფუნდამენტურ უფლებებს, როგორებიცაა სიცოცხლის, სიტყვის, გამოხატვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და თანასწორობის უფლებები. კონსტიტუციური მექანიზმები, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლო, საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები, უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცვას და აღსრულებას. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ხშირად წარმოიქმნება გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან უფლებათა შეზღუდვას, განსაკუთრებით კრიზისულ ვითარებაში, როგორებიცაა საგანგებო მდგომარეობა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა. ამ მიზეზით, კონსტიტუციური კონტროლი, უფლებრივი ბალანსის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოს როგორც ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა, ისე სახელმწიფოს სტაბილურობა და სამართლებრივი წესრიგი.

Elene Skhirtladze, Lizi Sulikashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Natia Gvelesiani
Doctoral Candidate, Visiting Lecturer

The Constitution as a Guarantee of Human Rights Protection

The Constitution serves as a fundamental guarantee for the protection of human rights, establishing the foundations of a democratic state and defining the limits of individual freedom. It ensures fundamental rights such as the right to life, freedom of speech, expression, privacy, and equality. Constitutional mechanisms, including the Constitutional Court and international legal obligations, ensure the protection and enforcement of these rights. However, in practice, challenges often arise, particularly concerning state-imposed restrictions on rights, especially in times of crisis, such as a state of emergency or the necessity to protect public security. For this reason, constitutional oversight, the protection of the balance of rights, and compliance with international standards are critically important to safeguard both individual freedoms and the stability and legal order of the state.

სალომე გრიგალაშვილი, მარიამ გოგიჩაიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გამოხატვის თავისუფლების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

თანამედროვე სამყაროს დემოკრატიული ქვეყნები ერთხმად აღიარებენ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას. სამართლის ფილოსოფოსები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტები, საერთაშორისო და რეგიონალური სასამართლოები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ აღნიშნული უფლების ეფექტური რეალიზაციის აუცილებლობასა და მისი გაუმართლებლად შეზღუდვის შემთხვევიდან მომდინარე საფრთხეებზე. საერთაშორისო სამართალი გამოხატვის თავისუფლებას აღიარებს როგორც უნივერსალურ ღირებულებას, რომელიც მკაფიოდ აისახება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. ის გულისხმობს პირის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია ჩარევის გარეშე.

დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სათანადო დაცვის გარეშე, წარმოუდგენელია. სწორედ ამგვარი დაცვის გარანტიას იძლევა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. კ

ვლევის მიზანია ქართული და ევროპული სასამართლოების გადაწყვეტილებების ანალიზი და მათი შედარება. წინამდებარე კვლევაში ასახულია სხვა ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო პრაქტიკა, გაერთიანებული იმ ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებში, რომლებიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს როგორც გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას, ასევე სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და, შესაბამისად, მის მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას.

Salome Grigalashvili, Mariam Gogichaishvili
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Guram Gvinjilia
Doctor, Associate Professor

Standards for Freedom of Expression under the Case Law of the European Court of Human Rights

The democratic countries of the modern world unanimously recognize the importance of freedom of speech. Philosophers of law, international organizations, human rights institutions, and global and regional courts pay special attention to the need for the effective exercise of this right and the dangers arising from its unjustified restriction. International law recognizes freedom of expression as a universal value, as reflected in the jurisprudence of the European Court of Human Rights. It is the human right to express, receive, and impart information without interference freely. The establishment of a democratic society is unthinkable without proper protection of human rights and freedoms. This protection is guaranteed by an impartial and independent judicial system. The study aims to analyze and compare the decisions of Georgian and European courts. This study reflects the experiences of other countries and international practice, organized into key findings and recommendations that we believe will contribute to maintaining a high level of freedom of expression as well as judicial independence and, as a result, public confidence in the judiciary.

ნიკოლოზ მურადოვი, ელისაბედ ელლი ჩაჩხიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ ბერულავა
დოქტორანტი, ასისტენტი

აზრის/სიტყვის თავისუფლება ციფრულ ეპოქაში (სამართლებრივი საზღვრები და ტექნოლოგიური გამოწვევები)

სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომლის ისტორია ანტიკური პერიოდიდან იწყება. აზრის თავისუფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც ციფრულმა ეპოქამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ინტერნეტისა და სოციალური ქსელების განვითარებამ ინფორმაციის გავრცელების უპრეცედენტო შესაძლებლობები შექმნა, თუმცა, ამავდროულად, ახალი სამართლებრივი და ტექნოლოგიური დილემები წამოჭრა. სოციალური მედიის პლატფორმები კომუნიკაციის მთავარი საშუალებებია, თუმცა ტექნოლოგიური გიგანტები, როგორიცაა Facebook, X და YouTube, განსაზღვრავენ, რა ტიპის კონტენტი შეიძლება დაიშვას.

ნაშრომში მთავარი საკითხია, სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და მის შესაძლო შეზღუდვებს შორის. როგორ უნდა დაბალანსდეს სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის შექმნის ინტერესი და მოქალაქეთა თავისუფლება, ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ციფრული ცენზურა, ალგორითმული მანიპულაცია, დეზინფორმაცია, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული შინაარსის სამართლებრივი შეფასება და პლატფორმების პასუხისმგებლობა.

თანამედროვეობაში ალგორითმები თავად იღებენ გადაწყვეტილებებს იმაზე, თუ რა ინფორმაცია იქნება ხილვადი ან დაბლოკილი. საინტერესოა, ვინ უნდა აკონტროლოს ეს მექანიზმები და როგორ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ცენზურა არ გადაიქცეს აზრის გამოხატვის თავისუფლების მასობრივ შეზღუდვად. ნაშრომი განსაკუთრებულია მისი სამეცნირო საიხლით, რომელიც ეხება ციფრულ სამყაროში სიტყვის თავისუფლების კონცეფციის ტრანსფორმაციას და სამართლებრივი რეგულაციების მოდერნიზაციის საჭიროებას. ახალი ტექნოლოგიები, მათ შორის გენერატიული AI და ალგორითმული ცენზურა, ქმნის პრობლემებს, რომელთა გადაჭრის გზები ჯერ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. გაანალიზებულია არსებული სამართლებრივი რეგულაციები, მსმენელთათვის შეთავაზებულია ინოვაციური სამართლებრივი მიდგომები, რომლებიც ერგება ციფრული ეპოქის რეალობას.

Nikoloz Muradovi, Elisabedi Elli Chachkhiani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Revaz Berulava
Doctoral Candidate, Assistant

Freedom of Expression in the Digital Age: Legal Challenges and Perspectives

Freedom of expression is a core human right dating back to ancient times. In the digital era, this freedom faces new tests. The growth of the internet and social platforms has revolutionized communication, but also raised legal and ethical concerns. Tech giants like Facebook, X, and YouTube control much of the content

we see, shaping what's visible and what's not. This paper examines where the line lies between protecting speech and imposing limits. How can laws ensure safety without restricting individual voices Key challenges include online censorship, algorithmic bias, misinformation, AI-generated content, and platform accountability. Today, algorithms filter what's shown or hidden, often without transparency. Who governs these tools, and how do we stop them from suppressing free expression This work highlights the evolving meaning of free speech in a digital world and stresses the need for updated legal standards. It suggests modern approaches to match the pace of innovation, including generative AI and algorithm-driven decisions.

ქეთევან ტურავა, დეა საღინაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ხელოვნური ინტელექტი და შეიარაღებული კონფლიქტები: გამოწვევები და პერსპექტივები თანამედროვე სამყაროში

ხელოვნური ინტელექტი ბოლო ათწლეულებში არნახული განვითარებით გამოირჩევა, რაც საერთაშორისო სამართლისა და უსაფრთხოების სფეროებზე დიდ გავლენას ახდენს. ამჟამად ხელოვნური ინტელექტი ტაქტიკურ და სტრატეგიულ დონეებზე შემოდის სამხედრო კონტექსტში. საგულისხმოა ის, რომ AI-ის ინტეგრაცია შეიარაღებულ კონფლიქტებში ისეთ მახასიათებლებს ქმნის, რომლებიც ვერ ექვემდებარება ტრადიციულ სამართლებრივ რეგულაციებს. შესაბამისად, წარმოიშობა კითხვები: "არღვევს თუ არა AI-ს სამხედრო კონფლიქტებში გამოყენება ადამიანის უფლებებს?" ან "როგორ შეიძლება AI-ს გამოყენება მოხდეს ისე, რომ არ იქნეს უგულვებელყოფილი გლობალური ინტერესები?" საერთაშორისო სამართალი საჭიროებს ახალ მიდგომებს, რათა შესაძლებელი გახდეს ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი კონტროლი.

კვლევის მიზანია ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენის შესწავლა შეიარაღებულ კონფლიქტებში და მისი სამართლებრივი, ტაქტიკური და სტრატეგიული გამოწვევების ანალიზი, თუ როგორ შეიძლება AI-მ შეცვალოს სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობა, როგორ იმოქმედებს ის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებზე და რა გამოწვევები არსებობს მისი გამოყენების სამართლებრივად სწორად რეგულირებასთან დაკავშირებით. ასევე, კვლევა მიმოიხილავს AI-ის როლს საერთაშორისო წესრიგის დაცვის კონტექსტში და ცდილობს, განსაზღვროს როგორ შეიძლება მიღწეულ იქნას თანასწორობა ტექნოლოგიურ პროგრესსა და სამართლებრივ რეგულაციებს შორის.

Ketevan Turava, Dea Saghinadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Guram Ghvinjilia
Doctor, Associate Professor

Artificial Intelligence and Armed Conflicts: Challenges and Perspectives in the Modern World

Artificial intelligence has experienced unprecedented development in recent decades, significantly influencing the fields of international law and security. Today, AI is being introduced into military contexts at both tactical and strategic levels. Notably, the integration of AI into armed conflicts generates characteristics that cannot be adequately addressed by traditional legal regulations. As a result, important questions arise: "Does the use of AI in armed conflicts violate human rights?" or "How can AI be deployed in a way that does not neglect global interests?" International law requires new approaches to enable the effective legal oversight of artificial intelligence. The aim of this research is to explore the impact of AI on armed conflicts and to analyze its legal, tactical, and strategic challenges. It seeks to understand how AI may alter the conduct of military operations, how it may affect the principles of international humanitarian law, and what challenges exist in ensuring its legally sound regulation. Furthermore, the research examines AI's role in the context of preserving international order and aims to determine how a balance can be achieved between technological progress and legal regulation.

ნინო შვანგირაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოთარ ჩახუნაშვილი
ასისტენტ-პროფესორი

პერსონალურ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების გამოწვევები

აღნიშნული თემის მიზანია განვიხილოთ პერსონალურ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებული რეგულირება, ახალი კანონის დანაწესები და რამდენად თავსებადია კომპანიების პოლიტიკა კანონის მოთხოვნებთან. საკითხის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე სამყაროში პირდაპირი მარკეტინგის ხშირი გამოყენება და საქართველოსთვის ახალი კანონის განახლებული რეგულაციები. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ცნობიერება ამაღლდეს ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ყოველდღიურობაში ხშირად გვაქვს შეხება პირდაპირ მარკეტინგთან და შესაძლოა ეს მოსახლეობისთვის პრობლემური იყოს, თუ თავიანთი უფლებების შესახებ არ ეცოდინებათ.

საინტერესოა და ნაშრომში განხილული იქნება, თუ რა სამართლებრივ მექანიზმებს სთავაზობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონი მონაცემთა სუბიექტს. ასევე, რელევანტურია მიმოვიხილოთ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ამ თემაზე და პარალელი გავავლოთ ქართულ მოწესრიგებასთან. თემის უკეთ გასიგრძეგანებისთვის ნაშრომი შესთავაზებს მკითხველს სხვა ქვეყნის კანონმდებლობასაც. საყურადღებოა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობაც ამ საკითხის გარშემო და მისი გადაწყვეტილებები. ნაშრომი მოიცავს ზემოაღნიშნულს, აქედან გამომდინარე, ჩემი მიზანი იქნება ამ თემის მეტად გაშუქება, პრობლემური საკითხების ძიება და რეკომენდაციების გაზიარება.

Nino Shvangiradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Otar Chakhunashvili
Assistant Professor

Challenges of Processing Personal Data for Direct Marketing Purposes

The purpose of this topic is to discuss the regulation related to the processing of personal data for direct marketing, the provisions of the new law and how compatible the policies of companies are with the requirements of the law. The relevance of the issue is determined by the frequent use of direct marketing in the modern world and the updated regulations of the new law for Georgia. It is important to raise public awareness of this issue, because in everyday life we often come into contact with direct marketing and this may be problematic for the population if they are not aware of their rights. It is interesting and the paper will discuss what legal mechanisms the "Personal Data Protection" law offers to the data subject. It is also relevant to review the General Data Protection Regulation of the European Union on this topic and draw a parallel with the Georgian regulation. For a better understanding of the topic, the paper will also offer the reader the legislation of other countries. The activities of the Personal Data Protection Service around this issue and its decisions are also noteworthy. The above is covered in this paper, therefore, my aim will be to further cover this topic, explore problematic issues, and share recommendations.

ვასილ სილაგაძე, ლერი წიქორიძე
თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: კონსტანტინე კორკელია
დოქტორი, პროფესორი

უნივერსალიზმი და კულტურული რელატივიზმი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში

უნივერსალიზმი და კულტურული რელატივიზმი წარმოადგენს ორ განსხვავებულ ფილოსოფიურ და კულტურულ მიდგომას ღირებულებებისა და ნორმების შეფასებაში. უნივერსალიზმი გულისხმობს, რომ არსებობს საყოველთაო პრინციპები (მაგ., ადამიანის უფლებები, თანასწორობა), რომლებიც ყველა კულტურასა და საზოგადოებაზე ვრცელდება და აქვს უმაღლესი მორალური სტატუსი. ამ მიდგომის მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ გარკვეული სიმართლეები ან ეთიკური სტანდარტები არ არის დამოკიდებული კულტურულ კონტექსტზე. კულტურული რელატივიზმი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ქცევისა და ტრადიციების შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მათი კონკრეტული კულტურული გარემოს გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით, არ არსებობს „უნივერსალური სიმართლე“ – ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი ლოგიკა და ღირებულებები. მიუხედავად პოლარიზებული დისკუსიისა, თანამედროვეობაში ხშირად ცდილობენ ამ ორ მიდგომას შორის ბალანსის პოვნას: საყოველთაო პრინციპების აღიარებას კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის პარალელურად. ჩვენ სწორედ ამ თემებზე გვინდა ვისაუბროთ, გაგაცნობთ კონვენციებს, მათ მხარდაჭერას ამა თუ იმ პოზიციასთან მიმართებით და ასევე მოვიყვანთ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლიბიც ამ საკითხის კომპლექსურობას მკაფიოდ დაანახებს მსმენელს.

Vasil Silagadze, Leri Tsikoridze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Konstantine Korkelia
Doctor, Professor

Universalism and Cultural Relativism in International Human Rights Law

Universalism and cultural relativism are two different philosophical and cultural approaches to the evaluation of values and norms. Universalism implies that there are universal principles (e.g., human rights, equality) that apply to all cultures and societies and have a higher moral status. Proponents of this approach emphasize that certain truths or ethical standards do not depend on the cultural context. Cultural relativism, on the contrary, argues that behavior and traditions can only be evaluated in light of their specific cultural environment. In this sense, there is no "universal truth" – each society has its own logic and values. Despite the polarized discussion, in modern times there is often an attempt to find a balance between these two approaches: recognizing universal principles while respecting cultural diversity. We want to talk about these very topics, we will introduce you to the conventions that support this or that position, and we will also cite court decisions that will clearly demonstrate to the listener the complexity of this issue.

ნია გაბრიჭიძე, ანა თიგიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნაკაშიძე
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის კონტექსტში აქტუალურია ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსი და ადამიანთა უფლებების დარღვევები აღნიშნულ ტერიტორიებზე. საინტერესოა სასამართლოს მიდგომა ადამიანის ძირითადი უფლებების – სიცოცხლის, თავისუფლებისა და სამართლებრივი დაცვის შეფასებისას ოკუპაციისა და კონფლიქტური რეგიონების კონტექსტში. ეს პრაქტიკა აძლიერებს სახელმწიფოების საერთაშორისო ანგარიშვალდებულებას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პრეცედენტულ საქმეებზე, როგორებიცაა ე.წ „განგრძობადი ოკუპაციის საქმე" (საქართველო რუსეთის წინააღმდეგ IV), ტაგანოვა და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, მატკავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ. ეს საქმეები აჩვენებენ, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს ტერიტორიის ფაქტობრივი კონტროლის საფუძველზე.

ნაშრომი იკვლევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლებიც ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანთა უფლებების დარღვევებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ამ კონტექსტში. ყურადღება გამახვილებულია იმ სამართლებრივ

სტანდარტებსა და მიდგომებზე, რომლებსაც სასამართლო იყენებს სახელმწიფოების იურისდიქციის დასადგენად, როდესაც მათ ეფექტური კონტროლი აქვთ ტერიტორიაზე, მიუხედავად საერთაშორისო სტატუსისა.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები, ოკუპირებული ტერიტორია, პასუხისმგებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

Nia Gabrichidze, Ana Tigishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Nakashidze
Doctor, Visiting Lecturer

The Practice of the European Court of Human Rights regarding the Attribution of Responsibility on Occupied Territories

In the context of modern international relations and international law, the status of occupied territories and violations of human rights in these territories are highly relevant. An interesting aspect is the Court's approach to assessing fundamental human rights — the right to life, liberty, and legal protection — in the context of occupation and conflict regions. This practice strengthens the international accountability of states. Particular attention is paid to precedent cases, such as the so-called "continuing occupation case" (Georgia v. Russia IV), Tagonova and others v. Georgia and Russia, and Matkava and others v. Russia. These cases show that state responsibility can arise based on effective control over a territory. This paper examines the European Court of Human Rights' practice regarding human rights violations in occupied territories and determines the state's responsibility in this context. It focuses on the legal standards and approaches used by the Court to establish a state's jurisdiction when it has effective control over a territory, regardless of the international status of that territory. Key words: human rights, occupied territory, responsibility, European Court of Human rights.

კესო კაკაურიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ქიღლაძე
პროფესორი

ინტერნეტთან წვდომის უფლება, როგორც ძირითადი უფლებების ევოლუციის მაგალითი ციფრულ ეპოქაში

ინტერნეტთან წვდომა თანამედროვე სამართლებრივი რეალობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თუ ადრე იგი განიხილებოდა, როგორც გამოხატვის თავისუფლების რეალიზების საშუალება, დღეს თვალსაჩინოა მისი, როგორც დამოუკიდებელი ფუნდამენტური უფლების, აღიარების ტენდენცია. ციფრულ ეპოქაში ინტერნეტზე წვდომა ინდივიდის

სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის გარდაუვალია.

ნაშრომი იკვლევს ინტერნეტზე წვდომის უფლების სამართლებრივ ტრანსფორმაციას და მის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართალში მიღებულ ფორმას. გაანალიზებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციები, რომელთა მიხედვითაც ინტერნეტთან წვდომის შეზღუდვა შესაძლოა შეფასდეს, როგორც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს კონსტიტუციაში ინტერნეტზე წვდომის უფლების პირდაპირ აღიარებას და შედარებით ანალიზს სხვა სახელმწიფოების მაგალითზე.

ნაშრომის მიზანია დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ინტერნეტზე წვდომა დამოუკიდებელ უფლებას და რა სახის პოზიტიური ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს მის უზრუნველსაყოფად.

Keso Kakauridze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nana Chigladze
Professor

The Right to Internet Access as an Example of the Evolution of Fundamental Rights in the Digital Age

Access to the internet has become one of the most relevant issues in contemporary legal reality. While it was once seen as a tool for realizing freedom of expression, today there is a clear trend towards recognizing it as an independent fundamental right. In the digital age, access to the internet is essential for individuals to fully participate in social, political, and economic life. The paper examines the legal transformation of the right to internet access and its recognition in constitutional and international law. It analyzes the resolutions of the UN Human Rights Council, which suggest that restrictions on internet access may be considered an interference with freedom of expression. The relevant case law of the European Court of Human Rights is also discussed. Special attention is given to the direct recognition of the right to internet access in the Constitution of Georgia, with a comparative analysis of other countries. The paper aims to determine whether access to the internet constitutes an independent right and what positive obligations the state has to ensure its protection.

ნათია ხორავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამთა ზაალიშვილი
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

მოსამართლის საჯარო განცხადება - პასუხისმგებლობის საფუძველი თუ გამოხატვის თავისუფლება?

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ყველასთვის უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში განსხვავებული, მეტი სამართლებრივი ინტერესი შესაძლოა არსებობდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საპირწონედ, კერძოდ, სასამართლო ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის ინტერესი, როგორც პროცესის მონაწილეთა ინტერესი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვებს პროპორციული ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობით. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება არ უნდა იქნეს იმგვარად შეზღუდული, რომ იქონიოს „მსუსხავი ეფექტი“ მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაზე. „მსუსხავი ეფექტი“, განიმარტება, როგორც თვითცენზურის ფენომენი, როგორც იმგვარი შეზღუდვა გამოხატვის თავისუფლებისა, რომ აღნიშნული გავლენას მოახდენს სამომავლოდ მოსამართლის მიერ მსგავსი განცხადების გამოხატვაზე. მოსამართლეები ფლობენ მნიშვნელოვან ცოდნას სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირების შესახებ, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვის ფორმით კი მათი გაჩუმება დემოკრატიულ საზოგადოებას დააზარალებდა. საპასუხოდ, მოსმართლეებმა აზრის გამოხატვისას მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც სასამართლოს სოციალური ლეგიტიმაციის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია გამოხატვისას დაიცვან მოსამართლის თანამდებობრივი ღირსება, ასევე სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

Natia Khorava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tamta Zaalishvili
Master, Visiting Lecturer

A Judge's Public Expression – Grounds for Liability or Freedom of Expression?

Article 10 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms guarantees the right to freedom of expression to all individuals. In the context of judges' freedom of expression, however, distinct and heightened legal interests may arise that justify its limitation. Specifically, the interest in preserving the authority and impartiality of the judiciary - interests closely tied to the rights of participants in legal proceedings - may constitute legitimate grounds for such restrictions.The case law of the European Court of Human Rights affirms that judges' freedom of expression may be subject to limitations, provided those limitations pursue a legitimate aim and are proportionate to that aim. However, such restrictions must not

be implemented in a manner that produces a chilling effect - a phenomenon of self-censorship that deters judges from expressing themselves in the future. Judges, owing to their role and expertise, hold valuable insights into the functioning of the legal system. Silencing them through disproportionate restrictions on their freedom of expression may have adverse consequences for democratic society. At the same time, when exercising their right to express personal views, judges must act in a manner consistent with the principles of impartiality and independence. To sustain public trust and uphold the judiciary's social legitimacy, it is essential that judges maintain the dignity of their office and refrain from expressions that could compromise the perceived impartiality and independence of the judicial institution.

ზურაბ ლებანიძე, ალექსანდრე გრძელიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქვარაია
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ეროვნული მექანიზმები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) გადაწყვეტილებების აღსრულება სახელმწიფოების ვალდებულებაა, რაც ეფუძნება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის 46-ე მუხლს. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები არა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის იყოს, არამედ რეალურად იმოქმედოს უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით.

ნაშრომი მოიცავს ეროვნული მექანიზმების ანალიზს, რომლებიც მოქმედებს ECtHR-ის გადაწყვეტილებების აღსასრულებლად.

ტექსტში განხილულია ეროვნული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები; შესაბამისი ორგანოების ფუნქციები და კომპეტენციები; გადაწყვეტილებათა აღსრულების მონიტორინგი და ანგარიშგების პროცესები; პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც არსებობს ეროვნულ დონეზე.

ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო ეფექტურ და დროულ აღსრულებას, რაც მოიცავს როგორც ინდივიდუალური სამართლიანობის აღდგენას, ასევე სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას. ასევე განხილულია ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორობის როლი ამ პროცესში, მათ შორის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საქმიანობა. ნაშრომი ასახავს რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს ECtHR-ის გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებას ეროვნულ დონეზე.

Zurab Lebanidze, Aleksandre Grdzelidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Kvaraia
Doctoral Candidate, Visiting Lecturer

National Mechanisms for the Enforcement of Judgments of the European Court of Human Rights

The enforcement of judgments by the European Court of Human Rights (ECtHR) is a fundamental obligation of States under Article 46 of the European Convention on Human Rights. This mechanism ensures that the Court's decisions are not merely declaratory but have a tangible impact on improving human rights protection. The abstract analyzes the national mechanisms in place for the enforcement of ECtHR judgments. It examines: The legislative and institutional frameworks at the national level; The roles and competencies of relevant authorities; Monitoring and reporting processes related to judgment implementation; Challenges and obstacles faced at the national level. The study focuses on how States ensure effective and timely enforcement of judgments, encompassing both individual redress and the implementation of structural reforms. Additionally, the abstract highlights the role of national and international partnerships in this process, particularly the activities of the Committee of Ministers of the Council of Europe. The study provides recommendations aimed at enhancing the effectiveness of ECtHR judgment enforcement at the national level.

ნიკოლოზ ბარამიძე, ეთერ დურული
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გოგისვანიძე
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

თანამედროვე მსოფლიოში სუპრანაციონალური მოქალაქეობის არსი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები

ტერმინი სუპრანაციონალური ლათინური სიტყვებისგან supra (ზემოთ, გადაჭარბებით) და natio (ხალხი, ერი) წარმოიშვა და აღნიშნავს იმ იდენტობას ან ავტორიტეტს, რომელიც ერთი ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს სცდება. თანამედროვე დისკურსში, სუპრანაციონალიზმის ცნება ძირითადად უკავშირდება პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციების – მათ შორის, ევროკავშირის – ფარგლებს. სუპრანაციონალური მოქალაქეობის გამორჩეული მაგალითია ევროკავშირის მოქალაქეობა, რომელიც ეროვნული მოქალაქეობის პარალელურად მოქმედებს და არ ცვლის ან ეწინააღმდეგება მის არსს. აღნიშნული სტატუსი ინდივიდებს აძლევს უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გადის ეროვნულ იურიდიულ სისტემებზე და უწყობს ხელს საერთო ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებას.

გლობალიზაციის პროცესის ინტენსივობის პირობებში, სუპრანაციონალური მოქალაქეობის ფორმირება და განვითარება აჩენს მნიშვნელოვან საკითხებს სუვერენიტეტთან, იდენტობასთან და პოლიტიკური კუთვნილების განცდასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მიზანია სუპრანაციონალური მოქალაქეობის ბუნების და ევოლუციის კრიტიკული გაანალიზება, მისი ნორმატიული საფუძვლების, ინსტიტუციური მოდელისა და პრაქტიკული შედეგების შეფასება. კვლევა განიხილავს როგორც სარგებელს, როგორიცაა თავისუფალი

გადაადგილება და პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოება, ასევე გამოწვევებს, მათ შორის დემოკრატიული ლეგიტიმურობის ნაკლებობასა და კულტურული ჰომოგენიზაციის საფრთხეს.

ნაშრომი შეაფასებს სუპრანაციონალური მოქალაქეობის როლს გლობალური მმართველობისა და ზენაციონალური სოლიდარობის ფორმირებაში, რაც მნიშვნელოვან ხედვებს შესთავაზებს მომავალში ტრანსნაციონალური იდენტობების განვითარების შესახებ.

Nikoloz Baramidze, Eter Duruli
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tornike Gogisvanidze
Doctoral Candidate, Visiting Lecturer

The Essence of Supranational Citizenship in the Modern World, its Positive and Negative Aspects

Revised Abstract The term supranational is derived from the Latin supra (above, over) and natio (people, nation), denoting authority or identity that transcends the boundaries of a single nation-state. In contemporary discourse, the concept of supranationalism is predominantly associated with political and economic integration, particularly within the framework of international organizations such as the European Union. A notable manifestation of this phenomenon is European Union citizenship, which functions as a form of supranational citizenship. This status complements rather than replaces national citizenship, offering individuals rights and responsibilities that extend beyond their domestic legal orders and foster a shared European identity. In an era characterized by accelerated globalization, the emergence and development of supranational citizenship raise important questions about sovereignty, identity, and political belonging. This paper seeks to critically examine the nature and evolution of supranational citizenship, assessing its normative foundations, institutional design, and real-world implications. The study will analyze both the advantages and challenges associated with this status—ranging from enhanced mobility and political participation to concerns about democratic legitimacy and cultural homogenization. Furthermore, it will evaluate the role of supranational citizenship in shaping the future of global governance and cross-border solidarity, offering insights into how transnational identities might evolve in response to the pressures and opportunities of globalization.

Keywords: supranational citizenship, European Union, globalization, transnational identity, democratic legitimacy, sovereignty.



სექცია
SECTION

სამართალი
LAW

ქვესექცია მაგისტრატურა და დოქტორანტურა
SUBSECTION GRADUATE AND DOCTORAL STUDIES

მოხსენებათა რაოდენობა: **11**
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: **12**
The Number of Reporters:

გურამ მაჭარაშვილი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზვიად გაბისონია
დოქტორი, პროფესორი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიცენზირების და რეგისტრაციის წინაპირობები

წინამდებარე კვლევის მიზანია მკითხველს გავაცნოთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიცენზირებისა და რეგისტრაციის წინაპირობები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაცია ისევე, როგორც სხვა იურიდიული პირების, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ნაშრომში მიმოხილულია ყველა ის ნაბიჯი, რომელიც აუცილებელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციისთვის და შემდგომში ფუნქციონირებისათვის.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წინაპირობების არსებობა გამოწვეულია იმით, რომ ეს იურიდიული პირები არიან საფინანსო ინსტიტუტები და, შესაბამისად, მოქალაქეებთან მათი ურთიერთობა რეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით, რაც თავის თავში ნიშნავს იმას, რომ ყველა პირი ვერ დააფუძნებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და ვერ აიღებს თავის თავზე ისეთ ვალდებულებებს, რომელთა გასტუმრებაც შეიძლება დასჭირდეს მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს, ამიტომაც აქვს სახელმწიფოს დაწესებული ის წინაპირობები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვერ დარეგისტრირდებიან.

Guram Macharashvili
East European University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Zviad Gabisonia
Doctor, Professor

Regulatory Prerequisites for the Licensing and Registration of Microfinance Institutions

The purpose of this study is to introduce the reader to the prerequisites for licensing and registration of microfinance organizations. Registration of microfinance organizations, like other legal entities, is regulated by the legislation of Georgia. The paper reviews all the steps necessary for the registration and further functioning of microfinance organizations. The existence of prerequisites for microfinance organizations is due to the fact that these legal entities are financial institutions and therefore their relationship with citizens is regulated According to the legislation of Georgia, which in itself means that not every person can establish a microfinance organization and cannot take on himself such obligations that he may need to fulfill during relations with citizens. That is why the state has established preconditions, in case of non-fulfillment of which microfinance organizations cannot be registered.

მარიამ შეყელაძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილონა გაგუა
დოქტორი, პროფესორი

მტკიცების ტვირთის განაწილება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას

სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებზე. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება. სამოქალაქო საპროცესო სამართალი გამოირჩევთა კერძო დავათა მრავალფეროვნებით. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის სამოქალქო წესით ანაზღაურება გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. მხარე (მოსარჩელე) ვალდებულია სწორად განსაზღვროს მისი მტკიცების საგანი და განჭვრიტოს ამ უკანასკნელში (მტკიცების საგანში) შემავლი რომელი ფაქტობრივი გარემოება დაექვემდებარება მტკიცებას. ამასთან, მტკიცებას დაქვემდებარებული ფაქტების ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარემ სადავოდ არც გახადოს მტკიცების საგანში შემავალი რომელიმე გარემოება. ცხადია, ამით მტკიცებას დაქვემდებარებული ფაქტების რაოდენობა შემცირდება და, შესაბამისად, დაკორექტირდება მტკიცების საგნის მოცულობა. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის სამოქალაქო წესით ანაზღაურებისას მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტების წარმოჩენა სასამართლო პრაქტიკის ანალიზის ფონზე. ეს უკანასკნელი იმითაც გამოირჩევა, რომ ამ შემთხვევაში სამართლის ორი უმნიშვნელოვანესი დარგი კვეთს ერთმანეთს, კერძოდ, სისხლის სამართლის წესით დამდგარი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პრედიუდიციულ მნიშვნელობას იძენს სამოქალაქო წარმოებაში, რის საფუძველზეც მტკიცებას მხოლოდ ზიანის ოდენობა ექვემდებარება. დისპოზიციურობის პრინციპი მხარეს, ერთი მხრივ, უფლებებით აღჭურავს, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულ ვალდებულებებს წარმოშობს. როდესაც საქმე დანაშაულით მიყენებილი ზიანის ანაზღაურებას ეხება, ამ შემთხვევაში, მხარე ვალდებულია შესაბამისი წინაპირობების არსებობისას სპეციალური შუამდგომლობის საფუძველზე საქმის გამარტივებული წესით განხილვა მოითხოვოს, წინააღმდეგ შემთვევაში მოსარჩელე საქმის გამარტივიებული წარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას კარგავს და დელიქტის შემადგენელი ყველა კომპონენტის მტკიცება ცალ-ცალკე მოუწევს, რაც გაართულებს მისი მტკიცების ტვირთს.

Mariam Shekeladze
Georgian National University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Ilona Gagua
Doctor, Professor

The Allocation of the Burden of Proof in Compensation for Crime-Induced Damages

Civil procedural proceedings are based on the principles of competition and equality. Therefore, it is crucial to properly distribute the burden of proof. Civil procedural law is characterized by a variety of private disputes. Compensation for damage caused by a crime has certain peculiarities. The party (plaintiff) is

obligated to correctly identify the subject of their assertion and anticipate which factual circumstances included in it (subject of evidence) are to be affirmed. Additionally, it is impossible to accurately determine the facts subject to proof. In some cases, the opposing party may not dispute any of the circumstances included in the subject of the claim. Obviously, this reduces the number of facts subject to proof, and as a result, the scope of the subject of proof will be adjusted. The purpose of this paper is to present the problematic aspects related to the burden of proof in civil compensation for damage caused by a crime, with a focus on the analysis of judicial practice. This is further distinguished by the intersection of two important branches of law: the verdict established by criminal law, which has entered into legal force, acquires a prejudicial meaning in civil proceedings. Based on this, only the amount of damage is subject to proof. The principle of disposition grants a party certain rights but also imposes specific obligations. In the case of compensation for damages caused by a crime, the party must request a simplified review of the case through a special petition, provided the relevant preconditions are met. Otherwise, the plaintiff loses the opportunity for a simplified procedure, and the claimant will have to prove all the components of the tort separately, which complicates their burden of proof.

ნათია კილაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ხუნაშვილი
დოქტორი, პროფესორი

საქართველოში შრომითი დისკრიმინაციის სფეროში განხორციელებული რეფორმის ანალიზი ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების ჭრილში

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში შრომის კანონმდებლობამ არა ერთი ცვლილება განიცადა, რაც გამოწვეული იყო კანონმდებლის განსხვავებული პოლიტიკით შრომით სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, აგრეთვე, რელევანტური საერთაშორისო ვალდებულებებით. 2005-2006 წლებში შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, ეს ორგანული კანონი ორიენტირებული ხდება დამსაქმებლისთვის მეტი უფლებების და თავისუფლების მინიჭებით, რაც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ძალთა დისბალანსის დაკანონების ერთგვარი საფუძველი იყო და იმ პერიოდის საქართველოში ეს შრომის კოდექსი ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ კანონმდებლობად მიიჩნეოდა, ვინაიდან დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის მოწესრიგება მხარეთა შორის თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე რეგულირდებოდა და სახელმწიფოს თითქმის აღარ ეკისრებოდა შრომითი ურთიერთობის რეგულირებისა და ზედამხედველობითი ფუნქცია.

2013 წელს გატარდა შრომის კოდექსის მნიშვნელოვანი რეფორმა ახლებურად ჩამოყალიბდა შრომის სამართლის არაერთი პრინციპი და ცნება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებული არათანაბარი სამართლებრივი გარემოსა და შესაძლებლობების დაბალანსებას. 2014 წლის ივლისიდან, ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებისკენ გადადგმული ნაბიჯის და ევროკავშირსა და

ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელისმოწერისა და შეთანხმების რატიფიცირების შემდგომ (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) შრომის კანონმდებლობა პერიოდულად განიცდიდა ცვლილებებს, რაც მაქსიმალურად ითვალისწინებდა ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებას და ქართული შრომის სამართლის ნორმების ევროპულ რეგულაციებთან ჰარმონიზაციას. უკანასკნელი ძირეული რეფორმა შრომის კოდექსში, დისკრიმინაციის აკრძალვის მხრივ, განხორციელდა 2020 წლის სექტემბერში, რაც პირდაპირ ნაკარნახევია ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივებით. წინამდებარე ნაშრომი დაეთმობა სწორედ აღნიშნული რეფორმების ანალიზს შესაბამის დირექტივებთან შედარებით სამართლებრივ ჭრილში.

Natia Kiladze
Caucasus international university
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Nino Khunashvili
Doctor, Professor

Analysis of the Reform Implemented in Georgia in the Field of Labor Discrimination in the Context of the Obligations Assumed under the Association Agreement

Throughout the history of independent Georgia, labor legislation has undergone several changes, driven by varying legislative policies on labor relations and corresponding international obligations. Amendments to the Labor Code in 2005-2006 shifted the focus of this organic law toward granting greater rights and freedoms to employers. This approach laid the groundwork for legalizing the power imbalance between employers and employees. At the time, the Labor Code was considered one of the most liberal pieces of legislation in Georgia, as it largely allowed labor relations between employers and employees to be governed by mutual agreement, with minimal state regulation or oversight. In 2013, a significant reform of the Labor Code took place. Several principles and concepts of labor law were redefined, with particular emphasis on addressing the legal imbalance between employees and employers in labor relations. Following the signing and ratification of the Association Agreement between the European Union, the European Atomic Energy Community, and their Member States (hereinafter referred to as the “Association Agreement”) in July 2014, labor legislation began to undergo periodic amendments. These changes were primarily aimed at fulfilling the obligations outlined in the Association Agreement and aligning Georgian labor law with European standards. The most recent major reform of the Labor Code, which focused on prohibiting discrimination, was implemented in September 2020. This reform directly reflects the directives set out in the Association Agreement. This paper will analyze these reforms in comparison with the relevant directives from a legal perspective.

გრიგოლ ახალაია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების გადაწყვეტილება არსებობის გაგრძელებაზე

სახელმწიფოთა განვითარება ცალსახად კავშირშია მრავალ ფაქტორთან, რომელთა შორის, თამამად შეიძლება ითქვას, მოწინავე ადგილი უჭირავს მდგრადად და შეუფერხებლად ფუნქციონირებად სამეწარმეო საზოგადოებებს. სწორედ, რომ მდგრადად და პროგრესულად ფუნქციონირებადი სამეწარმეო საზოგადოებები/მეწარმე სუბიექტები ქმნიან ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედს. თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად, იქვე თავს იჩენს არასწორი მართვისა და სავალუტო თუ გლობალური კრიზისების შედეგად, დაშლილ კონდიციაში (ლიკვიდაციის პროცესში) მყოფი სამეწარმეო საზოგადოებებიც, რომელთაც კრიზისული, პასიური ფაზიდან გარკვეულ მიზეზთა გამო არ ან ვერ ძალუძთ განაგრძონ არსებობა. შესაბამისად, სახელმწიფოთა მდგრადი განვითარების ტენდენციურობის ასამაღლებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ დაშლილმა მეწარმე სუბიექტებმა განაგრძონ არსებობა და ისინი იყვნენ ზემოთ აღნიშნული პროცესების აქტიური წარმომადგენლები. ზემოთ აღნიშნულ სიტუაციას მეტად რთულ ხასიათს სძენს სახელმწიფოში არასრულფასოვანი სამართლებრივი ბერკეტების არსებობა და რეალობაში მათი იმპლემენტაციის სისტემატურობა. ამდენად, სახელმწიფოთა კანონმდებლობაშივე უნდა იქნეს შემუშავებული დამატებითი პირობები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დაშლილი მეწარმე სუბიექტების არსებობის გაგრძელების პროცესების მარტივად წარმართვა და სასურველი შედეგის მიღწევა - მეწარმე სუბიექტის არსებობის გაგრძელება.

Grigol Akhalaia
Caucasus International University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Roin Migriauli
Doctor, Associate Professor

The Decision of a Dissolved Entrepreneurial Society to Continue Existence

The development of states is clearly linked to many factors, among which, it can be safely said, the leading place is occupied by sustainably and smoothly functioning entrepreneurial societies. Precisely sustainable and progressive entrepreneurial societies/entrepreneurial entities that form the cornerstone of an economically strong state. However, along with all this, there are also entrepreneurial societies that are in a wound-up condition (in the process of liquidation) as a result of mismanagement and currency or global crises, which, due to certain reasons, cannot or are unable to continue their existence from the crisis, passive phase. Accordingly, in order to increase the tendency of states towards sustainable development, it is vital that the dissolved entrepreneurial entities continue to exist and be active representatives of the above-mentioned processes. The above-mentioned situation is made even more difficult by the existence of ineffective legal levers in the state and the systematic nature of their implementation in reality. Therefore, additional conditions should be developed in the legislation of the states, which should ensure the smooth conduct of the processes of continuing the existence of dissolved entrepreneurial entities and the achievement of the desired result - the continuation of the existence of the entrepreneurial entity.

ნათია ბასარია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ნადარეიშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

პროკურორის დისკრეციის ზღვარი და სამართლებრივი კონტროლის მექანიზმები

თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ერთ-ერთი ფუნდამენტური და კომპლექსური ინსტიტუტია. კვლევის მიზანია პასუხი გასცეს რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას: ვინაიდან საქართველოს პროკურატურა ხასიათდება ცენტრალიზებული სტრუქტურით, საინტერესოა, რამდენად დამოუკიდებელია პროკურორი დისკრეციული გადაწყვეტილებების მიღებისას და როგორია მისი სამართლებრივი კონტროლის მექანიზმები? შიდა იერარქიული ზედამხედველობა და გამჭვირვალობა აკნინებს დისკრეციის არსს, თუ, პირიქით, განამტკიცებს მის ლეგიტიმურობას? რამდენად ემსახურება არსებული კონტროლის მექანიზმები პროცესის სამართლიანობის, თანმიმდევრულობისა და კანონიერების უზრუნველყოფას? სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროკურორს ანიჭებს მნიშვნელოვან უფლებამოსილებას, მათ შორის სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება-შეწყვეტისა და საპროცესო შეთანხმების ინიცირების კუთხით. თუმცა შეთანხმებას ამტკიცებს სასამართლო, მისი პირობები ისევე, როგორც განრიდებისას, ეფუძნება პროკურორის დისკრეციულ განსჯას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დისკრეციის არათანმიმდევრული გამოყენების პრევენცია. კვლევა მიზნად ისახავს პროკურორის დისკრეციის ფარგლების გამოყენების ანალიზს და სამართლებრივი კონტროლის მექანიზმების ეფექტიანი დანერგვისა და გაძლიერების საჭიროების გამოვლენას, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებასა და საზოგადოების ნდობის განმტკიცებას.

Natia Basaria
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Irakli Nadareishvili
Doctor, Associate Professor

The Limits of Prosecutorial Discretion and Mechanisms of Legal Control

In modern justice systems, the discretionary power of the prosecutor is one of the fundamental and complex legal institutions. This research aims to answer several important questions: Since the Georgian Prosecutor's Office is characterized by a centralized structure, it is relevant to examine how independent a prosecutor is when making discretionary decisions and what legal control mechanisms are in place. Do internal hierarchical oversight and transparency diminish the essence of discretion, or, on the contrary, reinforce its legitimacy? To what extent do existing control mechanisms ensure the fairness, consistency, and legality of the process? The Criminal Procedure Code grants the prosecutor significant authority, including initiating or terminating criminal prosecution and initiating plea agreements. Although the agreement is approved by the court, its conditions—as well as in cases of diversion—are based on the prosecutor's discretionary judgment. Therefore, it is essential to prevent the inconsistent application of discretion. The aim of this research is to analyze the scope and application of prosecutorial discretion and to identify the need for the effective implementation and strengthening of legal oversight mechanisms, which will contribute to improving the quality of justice and reinforcing public trust.

მარიამ მღებრიშვილი, მარიამ ბაღიშვილი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე გასიტაშვილი
მაგისტრი, ასოცირებული პროფესორი

სხვა ობიექტური გარემოება, როგორც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი

თანამედროვე შრომის სამართალში, ყველაზე პრობლემური და აქტუალური საკითხი, რომელსაც უკავშირდება შრომითი დავების უმრავლესობა, მაინც შრომითი ურთიერთობების შეწყვეტაა. შეწყვეტის საფუძველთაგან კი, ყველაზე ზოგადი და ფართო, საქართველოს შრომის კოდექსის 47(1) მუხლის „ო“ ქვეპუნქტით განსაზღვრული - „სხვა ობიექტური გარემოების გამო“ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტაა. მაშინ, როდესაც თავად კანონი არ იძლევა „სხვა ობიექტური გარემოების“ მიახლოებულ განსაზღვრებას მაინც, ან სხვა მხრივ არ აზუსტებს ამ საკანონმდებლო ჩანაწერს, ცხადია, სასამართლოს ეკისრება ამ საკითხზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ტვირთი, რათა აღნიშნული ჩანაწერი არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლის ხელში დასაქმებულის თვითნებურად გათავისუფლების ბერკეტად არ იქცეს და დასაქმებულთა უფლებები მაქსიმალურად იქნას დაცული, რა თქმა უნდა, პარალელურად დამსაქმებლების ინტერესების დაცვის მიზნის რეალიზების პირობებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია განისაზღვროს, რას გულისხმობს „სხვა ობიექტური გარემოება“; რამდენად შეიძლება მოიაზრებოდეს მასში დამსაქმებელის ნდობის დაკარგვა დასაქმებულის მიმართ; გამოიკვეთოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული პრობლემები შრომითი ხელშეკრულების ამ საფუძვლით შეწყვეტასთან დაკავშირებით და შემოთავაზებულ იქნას პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზა. ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად, ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ უცხოურ სამართალში არსებული განმარტებები, რის შედეგადაც შემოთავაზებულ იქნა საქართველოს შრომის კოდექსში არსებული ზემოხსენებული ჩანაწერის შინაარსის დავიწროების რეკომენდაცია.

Mariam Mgebrishvili, Mariam Baghishvili
East European University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Ekaterine Gasitashvili
Master, Associate Professor

Other Objective Circumstance as Ground for Termination of the Employment Relationship

In modern labor law, the most problematic and pressing issue—one that underlies the majority of labor disputes—remains the termination of employment relationships. Among the grounds for termination, the most general and broad is defined under subparagraph "o" of Article 47(1) of the Labor Code of Georgia—termination of the employment contract due to "other objective circumstances." Given that the law itself does not provide even an approximate definition of what constitutes “other objective circumstances,” nor does it clarify this legislative provision in any other way, it is clear that the burden falls on the courts to

establish consistent case law in this regard. This is essential to ensure that the provision does not become a tool in the hands of an unscrupulous employer for the arbitrary dismissal of employees, and to guarantee that employees' rights are protected to the fullest extent—while simultaneously ensuring the realization of the goal of protecting employers' interests. Based on the foregoing, the aim of this paper is to determine what is meant by "other objective circumstances"; to assess whether the employer's loss of trust toward an employee may be considered as falling within this scope; to identify the problems existing in legislation and practice with regard to termination of employment contracts on this ground; and to propose an optimal solution to the issue. To achieve the above-mentioned aim, the paper analyzes decisions of the Supreme Court of Georgia, interpretations found in international agreements, and foreign legal systems. As a result, a recommendation has been made to narrow the scope of the above-mentioned provision in the Labor Code of Georgia.

ლაშა სვინტრაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბექა ქანთარია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის სამართლებრივი სტატუსი საქართველოში

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 10.ბ). მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად (სუროგაციით) დაბადებული პირი, თუ მისი არცერთი მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს. ამ ნორმაში საკამათოა ის საკითხი, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს მოქალაქედ პირი, ვისაც არანაირი ისტორიული და კულტურული კავშირი არ აქვს ჩვენს ქვეყანასთან. ის აქ დაიბადა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მშობლების მოქალაქეობის ქვეყანა სუროგაციას არ ცნობს ლეგალურად. როგორც წესი, ასეთი პირები იძენენ საქართველოს მოქალაქეობას და უმალ ტოვებენ საქართველოს საზღვრებს, ხოლო მოქალაქეობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს იყენებენ მთელი ცხოვრების მანძილზე. აღნიშნულმა მიდგომამ, შესაძლოა, საფრთხე შექმნას უახლოეს მომავალში, რადგან, ისეთი ხალხისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, რომელიც საქართველოს არ მიიჩნევს სამშობლოდ, არამედ მათთვის არის გარკვეული ინსტრუმენტი სამართლებრივი სტატუსის მიღებისა, რბილად რომ ვთქვათ, არ იქნება სასარგებლო. ვფიქრობ, ჩემი მოსაზრებები თეორიულადაც იქნება საინტერესო და მომავალში პრაქტიკულ მნიშვნელობასაც შეიძენს.

Lasha Svintradze
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Beka Kantaria
Doctor, Associate Professor

Legal Status of a Child Born through Surrogacy in Georgia

According to Article 10.b) of the Law "On Citizenship of Georgia", Georgian citizenship is acquired by birth: A person born on the territory of Georgia as a result of in vitro fertilization (surrogacy), if none of the countries of citizenship of his/her parents considers him/her as its citizen. The controversial issue in this norm is why we should consider a person who has no historical and cultural ties with our country to be a citizen of Georgia. He/she was born here only because the country of citizenship of his/her parents does not legally recognize surrogacy. As a rule, such persons acquire Georgian citizenship and immediately leave the borders of Georgia, while using the powers granted by citizenship throughout their lives. This approach may pose a threat in the near future, since granting Georgian citizenship to people who do not consider Georgia to be their homeland, but rather a certain instrument for obtaining legal status, will, to put it mildly, not be useful. I hope that my opinions will be both theoretically interesting and will acquire practical significance in the future.

ნიკოლოზ კობახიძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოთარ დავითაია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება: უახლესი ინოვაციები და ადგილობრივი ინტეგრაციის პერსპექტივა

ნაშრომი განიხილავს ადამიანზე ორიენტირებული მართლმსაჯულების (PCJ) კონცეფციას, რომელიც ტრადიციულ სამართლებრივ სისტემებს ინდივიდზე — განსაკუთრებით კი მარგინალიზებულ ჯგუფებზე აქცენტირებით გარდაქმნის. გამოყენებულია ჰააგის დეკლარაცია, OECD-ის პრინციპები და ანალიზდება ინოვაციური მოდელები: თემზე დაფუძნებული მართლმსაჯულება, თერაპიული იურისპრუდენცია და ტრადიციული მართლმსაჯულების ფორმები. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სამართლიანობაზე, ხელმისაწვდომობასა და საჭიროებებზე მორგებულ შედეგებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს კონტექსტს, სადაც, მიუხედავად კონსტიტუციური გარანტიებისა, ბიუროკრატია და დაბალი ცნობიერება ზღუდავს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. განიხილება არსებული სერვისები, როგორებიცაა იურიდიული დახმარება და ბავშვზე მორგებული საჩივრის ფორმები, თუმცა ხაზგასმულია მათი არასისტემურობა. ნაშრომი რეკომენდაციას იძლევა PCJ-ის ეტაპობრივი, ადგილობრივი ინტეგრაციის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენასა და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული სისტემის ჩამოყალიბებას.

Nikoloz Kobakhidze
Georgian National University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Otar Davitaia
Doctor, Associate Professor

People-Centered Justice: Latest Innovations and Prospects for Integration

This paper examines the concept of People-Centered Justice (PCJ), which reimagines traditional justice systems by placing individuals—especially marginalized populations—at the core of legal reform. Drawing from international frameworks such as the Hague Declaration and OECD guidelines, it analyzes global innovations like community justice initiatives, therapeutic jurisprudence, and customary justice models. These mechanisms emphasize accessibility, fairness, and outcomes tailored to people's real needs, promoting participatory and restorative processes over rigid, adversarial ones. The paper also evaluates the challenges of integrating PCJ in Georgia, where procedural barriers, bureaucratic complexity, and limited public awareness continue to obstruct access to justice despite formal constitutional guarantees. It considers emerging reforms such as legal aid services, court assistance programs, and child-friendly complaint mechanisms, yet argues these remain insufficiently institutionalized. The study recommends a phased and evidence-based adoption of PCJ principles, supported by legal education, civic engagement, and expert collaboration. PCJ offers a transformative, inclusive vision capable of rebuilding public trust and ensuring justice systems genuinely serve society.

ნინო ხაზალია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რეგულირებული შეთანხმების არსი გადახდისუუნარობის წარმოების პროცესში

,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ'' 2020 წლის კანონმა, მკაფიოდ განსაზღვრა სამეწარმეო საზოგადოების გადარჩენის პრიორიტეტულობა. კანონმდებელი გვთავაზობს არაერთ მექანიზმს, რათა მოხდეს მოვალის მაქსიმალური ხელშეწყობა და უზრუნველყოს მისი საწარმოს საქმიანობის გაგრძელება, კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ასეთი სიახლე არის რეგულირებული შეთანხმების მექანიზმი. რეგულირებული შეთანხმება, ფუნქციური მიზნების მიხედვით, ძალიან ჰგავს ვალაუვალობის სამართლისთვის კარგად ნაცნობ, რეაბილიტაციის რეჟიმს, რადგანაც ორივე ინსტიტუტი მიზნად ისახავს მოვალის საწარმოს გადარჩენას. ნაშრომი განიხილავს რეგულირებულ შეთანხმებას, როგორც მოვალის რეაბილიტაციის ალტერნატიულ საშუალებას, რომელიც ხორციელდება სასამართლოს აქტიური ჩარევის გარეშე.

ნაშრომის მიზანია შეაფასოს რეგულირებული შეთანხმების ეფექტურობა, სხვა მექანიზმებთან შედარებით და განიხილოს არსებული გამოწვევები, პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

Nino Khazalia
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Roin Migriauli
Doctor, Associate Professor

The Essence of a Regulated Agreement in Insolvency Proceedings

The 2020 law on "rehabilitation and the collective satisfaction of creditor's claims" clearly defined the priority of saving entrepreneurial community. The legislator offers a number of mechanisms to provide maximum support to the debtor and ensure the continuation of his enterprise, one of such innovations that is provided by the law is the mechanism of regulated agreement. A regulated agreement, in terms of functional goals, is very similar to well-known rehabilitation regime in the insolvency law, since both institutions aim to save the debtor's enterprise. The paper considers a regulated agreement as an alternative means of debtor rehabilitation, which is implemented without the active intervention of the court. The paper aims to assess the effectiveness of a regulated agreement compared to other mechanisms and to discuss the existing challenges regarding its application in practice.

თამარ გოგოლაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა ქურდაძე
დოქტორი, პროფესორი

ელექტრონული გარანტიების სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში: საბანკო პრაქტიკის ციფრული ტრანსფორმაცია

გლობალური ფინანსური სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნად ცვლის საბანკო სექტორის საქმიანობის რეჟიმს და ეს ცვლილება მნიშვნელოვანია ისეთი ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებისათვის, როგორიცაა საბანკო გარანტია. ელექტრონული საბანკო გარანტიები წარმოადგენს ტრადიციული ქაღალდის ფორმატში არსებული გარანტიების ციფრულ ალტერნატივას, რომელიც უზრუნველყოფს გარანტიის გაცემასა და აღსრულებას უფრო სწრაფად და უსაფრთხოდ, თუმცა აღნიშნული ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა საქართველოს სამართლებრივი სისტემისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამგვარ კონტექსტში, კვლევის მიზანია შეფასდეს, რამდენად არის შესაძლებელი საქართველოს სამართლებრივი სისტემის ადაპტირება იმგვარად, რომ ეფექტურად მოხდეს ელექტრონული გარანტიების სამართლებრივი აღიარება, რეგულირება და დაცვის უზრუნველყოფა.

ციფრული ტრანსფორმაცია საბანკო სამართლისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ფუნდამენტურ სამართლებრივ გარდატეხას. ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტები უნდა გადაიხედოს ახალი რეალობის გათვალისწინებით, რათა სამართლებრივი ჩარჩო არ ჩამორჩეს ტექნოლოგიურ პროგრესს. დიგიტალიზაცია იძლევა შესაძლებლობას სამართლებრივი პროცესების გამარტივებისა, ქაღალდის დოკუმენტაციის შემცირებისა და დავების უფრო ეფექტურად გადაწყვეტისათვის. კვლევა ეფუძნება შედარებით ანალიზს. ელექტრონული გარანტიების სამართლებრივი განვითარება საქართველოში არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის შედეგი — ეს არის სახელმწიფოს ნდობის, ბიზნესის გამჭვირვალობის და საერთაშორისო სტანდარტებთან ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

Tamar Gogolashvili
Caucasus International University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Shalva Kurdadze
Doctor, Professor

The Legal Framework for Electronic Guarantees in Georgia: Digital Transformation of Banking Practice

The digital transformation of global financial systems is significantly changing the way the banking sector operates, and this change is important for the effective use of such an instrument as a bank guarantee. Electronic bank guarantees are a digital alternative to traditional paper-based guarantees, which ensure faster and more secure issuance and enforcement of guarantees, however, the implementation of these technological innovations poses a significant challenge for the Georgian legal system. In this context, the aim of the study is to assess the extent to which the Georgian legal system can be adapted to effectively recognize, regulate and protect electronic guarantees. Digital transformation for banking law represents not only a technological but also a fundamental legal breakthrough. Traditional legal institutions must be revised taking into account the new reality so that the legal framework does not lag behind technological progress. Digitalization provides an opportunity to simplify legal processes, reduce paper documentation and resolve disputes more effectively. The study is based on comparative analysis. The legal development of electronic guarantees in Georgia is not only the result of technological progress — it is an important step towards trust in the state, business transparency and integration with international standards.

მერი კანთელაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ტურავა
დოქტორი, პროფესორი

ტექნოლოგიური პროცესის გავლენა საჯარო საქმიანობის ეფექტურობაში

ტექნოლოგიური პროცესი სახელმწიფო მმართველობაში თანამედროვე ეპოქის გამოწვევა და მომავალია. საქართველოს საჯარო მმართველობამ ამ პროცესის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადაგდას მოწინავე ქვეყნებს შორის ადგილის დასაკავებლად. მას, როგორც პატარა სახელმწიფოს, აქვს უპირატესობა, დიდი სახელმწიფოსთან შედარებით, მოკლე დროში უზრუნველყოს ელექტრონული მმართველობის დანერგვა და მოსახლეობის ჩართულობა ამ პროცესში. მოხსენება განიხილავს ელექტრონული მმართველობის ეფექტურობას საჯარო სამსახურის საქმიანობაში, ელექტრონული მმართველობის ჩარჩო პროცესში მოქალაქეების ჩართულობას, ინსტიტუციური პროცესისა და ICT ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ტექნოლოგიური პროცესის განვითარებას, მოქალაქეებისა და დაინტერესებული პირების საჭიროებებისა და მოლოდინების ცვალებადობის გათვალისწინებით.

მოხსენება ხაზს უსვამს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესის მნიშვნელობას საჯარო მმართველობაში. ელექტრონული მმართველობა დაზოგავს მნიშვნელოვან სამუშაო დროს,


ადამიანურ რესურსს, გაამარტივებს ბიუროკრატიულ პროცედურას, რაც მოიცავს ,,ერთი ფანჯრის'' პრინციპით მოქალაქეებისათვის უცვლელი ინტერფეისით ინფორმაციისა და საჯარო უწყების სერვისების მიწოდებას მოკლე დროში, ნაკლები ძალითა და ხარჯით კი ეფექტიანი შედეგის მიღებას.

მოხსენებაში განხილულია ციფრული (ელექტრონული) მმართველობის პოზიტიური, ნეგატიური და ნეიტარული ხედვები, მომავლის პერსპექტივები და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების პერსპექტივები. ციფრული მმართველობა გააძლიერებს მოქალაქეთა მონაწილეობას საჯარო მმართველობაში და, თავის მხრივ, მთავრობის ანგარიშვალდებულებას მათ წინაშე, გამოკვეთს ხელოვნური ინტელექტის როლს სამართალურთიერთობაში და საჯარო მმართველობის წინაშე დააყენებს ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის გზების ძიებას - უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლების დაცვის სტანდარტის ამაღლება.

Meri Kantelashvili
Caucasus International University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Paata Turava
Doctor, Professor

The Impact of Technological Processes on the Effectiveness of Public Activities

The technological process in public administration is a challenge and future of the modern era. The public administration of Georgia must take significant steps to perfect this process in order to take its place among the leading countries. As a small state, it has the advantage of ensuring the introduction of e-government and the involvement of the population in this process in a shorter time than a large state. The report discusses the effectiveness of electronic government in public service activities. The framework of e-government includes citizen involvement in the process, the construction of the institutional process and ICT infrastructure. The development of the technological process takes into account the needs and changing expectations of citizens and stakeholders. The report emphasizes the importance of the process of introducing high technologies in public administration. Electronic governance will save significant working time, human resources, and simplify bureaucratic procedures, which includes providing citizens with information and public services through "Single Pints of Contact" in a short time, with less effort and expense, and achieving effective results. The report discusses the positive, negative, and neutral perspectives of electronic governance, future prospects, and prospects for correcting the identified shortcomings. Electronic governance will strengthen citizens' participation in public governance and, in turn, the government's accountability to them, highlight the role of artificial intelligence in the legal system, and will challenge public governance to find ways to improve decisions made by artificial intelligence to ensure an increase in the standard of protection of citizen's rights.



სექცია
SECTION

მედიცინა
MEDICINE

ქვესექცია N1
SUBSECTION N1

მოხსენებათა რაოდენობა:
The Number of Reports: **18**

მომხსენებელთა რაოდენობა:
The Number of Reporters: **31**

ანა ენუქიძე
ევროპის უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაშია
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

ჯანდაცვის მუშაკთა გლობალური მიგრაცია, შედეგად გამოწვეული დანაკარგი და სარგებელი

გლობალური ჯანდაცვის მიმართულებით უამრავი საკითხია, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ჯანდაცის სისტემას, თუმცა მათ შორის განსაკუთრებით მძიმეა სამედიცინო პერსონალის მიგრაცია. ჯანდაცვის მუშაკთა მიგრაცია მსოფლიოსთვის ხანგრძლივი და მზარდი ფენომენია, რომელსაც განაპირობებს შრომის ბაზრის ფუნდამენტური ძალები, რომლებიც დაკავშირებულია სხვდასხვა ელემენტთან, როგორებიცაა განათლება, სამუშაო პირობები და ანაზღაურება ქვეყნებში, რაც კიდევ უფრო დაჩქარდა COVID-19 პანდემიის დროს. სამწუხაროდ, ხშირია მიგრაცია ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიც გამოირჩევა ჯანდავის მუშაკების ნაკლებობით, რამაც შეიძლება შეასუსტოს მსგავსი ქვეყნების ჯანმრთელობის სისტემა და გაზარდოს უთანასწორობა პერსონალს შორის, ამის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველო, სადაც ექიმის და ექთნის არათანაბარი გადანაწილებაა. ჩემს მიერ მომზადებულ თვისობრივ კვლევაში, ნათლად შეგვიძლია ვნახოთ სტატისტიკური მონაცემები საქართველოსა და ევროპის წამყვან ქვეყნებში ექიმი-ექთნის განაწილებასთან დაკავშირებით.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თითქმის ორჯერ მეტი ექიმი ჰყავს საქართველოს, საშუალო ევროპულ ქვეყანასთან შედარებით, ანუ დაახლოებით 10,000 ექიმით მეტი, ხოლო თითქმის ორჯერ ნაკლები ექთანი, ანუ დაახლოებით 12,500-ით ნაკლები, რაც გვაძლევს ექიმისა და ექთნის არათანაბარ გადანაწილებას ქვეყანაში, ამ პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ განათლება. მაგალითისთვის, 2016 წელს საქართველოში ახალკურსდამთავრებული ექიმების რაოდენობა 10,000 მოსახლეზე შეადგენდა 18.4-ს, ხოლო იმავე წელს ექთნების რაოდენობა 10,000 მოსახლეზე გახლდათ 0,6. ეს რიცხვები მიუთითებს არამხოლოდ ექიმისა და ექთნის არათანაბარ განაწილებას ქვეყანასა და ჯანდაცვის სისტემაში, არამედ განათლების სისტემის პრობლემას ამ კუთხით. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში, ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, თვალსაჩინოა საავამყოფოებში პროდუქტიულობის სიმცირე. იმისათვის, რომ საქართველოს საავადმოფოებში პროდუქტიულობა გაიზარდოს, საჭიროა 11,822 ექიმი, ხოლო ევროპის ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია, 4,280, ამ და ზემოთ მოყვენილი სტატისტიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავინახოთ, თუ რაოდენ ზიანის მომტანია ჯანდაცვის მუშაკების მიგრაცია ზოგადად მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო. ჯანდაცვის მუშაკთა საერთაშორისო მიგრაციის მართვის გასაუმჯობესებლად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პრაქტიკის გლობალური კოდექსი, ჯანდაცვის პერსონალის საერთაშორისო დაქირავების შესახებ, მიღებულ იქნა ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის მიერ 2010 წელს. კოდექსი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ჯანდაცვის მუშაკთა მიგრაციის უარყოფითი შედეგები და ხელი შეუწყოს სამუშაო ძალის მდგრადობას. კოდექსის იმპლემენტაციის შესახებ მოხსენება საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ ჯანდაცვის მუშაკთა მობილობის ტენდენციები და ხაზი გავუსვათ პრიორიტეტულ საკითხებს, რომლებიც იმსახურებს ყურადღებას, რათა თავიდან ავიცილოთ ქვეყნების ჯანმრთელობის სისტემის შესუსტება.

დასკვნის სახით, შემიძლია ვთქვა, რომ ამ საკითხის უკეთ გააზრება მოგვცემს საშუალებას, ხელი შევუშალოთ განვითარებადი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემის დესტაბილიზაციას.

Ana Enukidze
European University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Maia Kashia
Master, Visiting Lecturer

The Global Migratio of Healthcare Workers, the Resulting Losses and Benefits

There are many issues in global health that are causing great damage to the health care system, but among them the migration of medical personnel is particularly severe, the migration of health workers is a long and growing phenomenon for the world, which is caused by the fundamental forces of the labor market, which are related to various elements, such as education, working conditions and pay in countries, which is further accelerated during the COVID-19 pandemic. Unfortunately, migration is frequent from countries that are characterized by a lack of healthcare workers, which can weaken the health system of similar countries and increase inequality between personnel, we can cite Georgia as a visible example of this, where there is an unequal distribution of doctors and nurses. In the qualitative research prepared by me, we can clearly see statistical data regarding the distribution of doctors and nurses in the leading countries of Georgia and Europe, according to statistical data, Georgia has almost twice as many doctors as the average European country, that is, about 10,000 more doctors, and almost twice as many nurses, that is, about 12,500 less, which gives us an unequal distribution of doctors and nurses in the country, one of the causes of this problem is education, for example, In 2016, the number of newly graduated doctors in Georgia was 18.4 per 10,000 inhabitants, and in the same year, the number of nurses per 10,000 citizens was 0.6.These numbers indicate not only the unequal distribution of doctors and nurses in the country and the health care system, but also the problem of the education system in this regard. It should also be noted that in Georgia, unlike European countries, the lack of productivity in hospitals is visible, in order to increase productivity in Georgian hospitals, 11,822 doctors are needed, and in European countries, such as Germany, 4,280, and based on the above statistics, we can see how harmful the migration of healthcare workers is for the world in general, especially for countries such as Georgia. To improve the management of international migration of health workers, the World Health Organization's Global Code of Practice on International Recruitment of Healthcare Personnel was adopted by the World Health Assembly in 2010. The Code seeks to minimize the negative consequences of health worker migration and promote workforce sustainability. A report on the implementation of the Code allows us to better understand the trends in the mobility of health workers and to highlight priority issues that deserve attention in order to avoid weakening the health system of countries. In conclusion, I can say that a better understanding of this issue will allow us to prevent the destabilization of the healthcare system of developing countries.

მარიამ ღონღაძე, ლევან ფიფია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჭიკაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

იმუნური Checkpoint ინჰიბიტორების როლი სიმსივნური დაავადებების მკურნალობისას

დღეს მედიცინის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სიმსივნური დაავადებების დამარცხებაა. ონკოლოგია კი ის დარგია, რომელიც განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება და სპეციალისტებსა და პაციენტებს მუდმივად სთავაზობს მკურნალობის ახალ და პერსონალიზირებულ, ანუ სიმსივნურ უჯრედებსა და დაავადებაზე ორიენტირებულ საშუალებებს. მართალია, იმუნოთერაპიის, როგორც სიმსივნის მკურნალობის, მრავალი სახე არსებობს, მაგრამ ამ ნაწილში ჩვენ მკურნალობის ერთ- ერთი უახლეს და საკმაოდ წარმატებულ, ამასთან რეზონანსულ მეთოდს განვიხილავთ, რომელიც სამეცნიერო საზოგადოებაში იმუნურ checkpoint ინჰიბიტორების სახელითაა ცნობილი. ზოგადად, Checkpoint-ები იმუნური სისტემის მარეგულირებელი სტრუქტურებია, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ადაპტური, ისე თანდაყოლილი იმუნური სისტემის უჯრედების აქტივაცია/დეაქტივაციას, საკუთარის მიმართ იმუნური სისტემის ტოლერანტობის კონტროლსა და მაინჰიბირებელი გზებით აუტოიმუნური რეაქციებისგან ორგანიზმის დაცვას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ყოფენ კო-სტიმულატორ და კო-ინჰიბიტორ იმუნურ checkpoint-ებს. აღსანიშნავია, რომ სიმსივნურ უჯრედებს შესწევთ უნარი დათრგუნონ რა იმუნური პასუხი სწორედ ზემოაღნიშნულ კო-მაინჰიბირებელ რეცეპტორებთან დაკავშირების გზით, ხოლო, რაც შეეხება უშუალოდ იმუნური checkpoint ინჰიბიტორების გამოყენებას, აღნიშნული მონოკლონური ანტისხეულები, სწორედ რომ იმუნური სისტემის, როგორც კო-ინჰიბიტორი მოლეკულების, ასევე მათი ლიგანდების შებოჭვის გზით უზრუნველყოფენ იმუნური სისტემის დაცვას სიმსივნური უჯრედების მოქმედებისგან და ამის საპასუხოდ განვითარებული შემაკავებელი იმუნური პასუხის აღკვეთას.

Mariam Ghonghadze, Levan Pipia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nino Chikadze
Doctor, Associate Professor

The Role of Immune Checkpoint Inhibitors in Cancer Treatment

The fight against cancer is currently one of medicine's biggest problems. Because of this, the field of oncology is growing very quickly and continuously provides patients and specialists with novel, individualized therapeutic approaches that target cancer cells and disease. Although there are many different forms of immunotherapy used to treat cancer, we will focus on one of the most recent, effective, and popular approaches in this section, which is known as immune checkpoint inhibitors. In general, checkpoints are regulatory structures of the immune system that ensure the activation/deactivation of cells of both the adaptive and innate immune systems, control of the immune system's tolerance, and protect the body from autoimmune reactions through inhibitory pathways. Based on the above, they are divided into co-stimulatory

and co-inhibitory immune checkpoints. It is important to note that tumor cells can precisely suppress the immune response by binding to the co-inhibitory receptors. As for the direct use of immune checkpoint inhibitors, the aforementioned monoclonal antibodies, by binding to both co-inhibitory molecules of the immune system and their ligands, ensure the protection of the immune system from the action of tumor cells and the suppression of the inhibitory immune response developed in response to this.

მარიამ დემურაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: კონსტანტინე კაჭარავა
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ლენმელდი: პირველი გენური თერაპია პედიატრიული პაციენტების მეტაქრომატული ლეიკოდისტროფიის მკურნალობაში

მეტაქრომატული ლეიკოდისტროფია (MLD) თანდაყოლილი დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია Arylsulfatase A (ARSA) ფერმენტის დეფიციტით. ARSA-ს ნაკლებობის შემთხვევაში, სულფატიდები გროვდება ნერვულ უჯრედებში, იწვევს დემიელინიზაციას და მრავალობითი ორგანოს დაზიანებას. MLD-ის გავრცელება მსოფლიოში შეადგენს 1:40,000–1:160,000, მაგრამ საქართველოში არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა ან სამკურნალო გაიდლაინები. ამიტომ, ჩვენი კვლევითი ინიციატივა, რომლის შედეგებსაც აუცილებლად გაგაცნობთ კონფერენციის ფარგლებში, მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას დაავადების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დროულ დიაგნოსტიკას და ეფექტურ მენეჯმენტს.

2024 წელს FDA-მ დაამტკიცა პირველი სამკურნალო თერაპია – Lenmeldy, რომელიც მზადდება პაციენტის ღეროვანი უჯრედებისგან. ეს მოდიფიცირებული უჯრედები აწარმოებენ ARSA ფერმენტს, რაც ხელს უშლის სულფატიდების დაგროვებას და აჩერებს დაავადების პროგრესირებას. ეს თერაპია იმედია MLD-ით დაავადებული პაციენტებისთვის, თუმცა კრიტიკულია ადრეული დიაგნოზი და ჯანდაცვის სისტემის მობილიზება ეფექტური მკურნალობის უზრუნველსაყოფად.

Mariam Demurashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies/One Step
Scientific Supervisor: Konstantine Kacharava
Doctor, Visiting Lecturer

Lenmeldy: The First Gene Therapy for Pediatric Patients with Metachromatic Leukodystrophy

Metachromatic leukodystrophy (MLD) is a congenital disorder caused by a deficiency of the arylsulfatase A (ARSA) enzyme. In the absence of ARSA, sulfatides accumulate in nerve cells, leading to demyelination and

multi-organ damage. The global prevalence of MLD ranges from 1:40,000 to 1:160,000. However, precise statistics and treatment guidelines are unavailable in Georgia. Our research initiative, the results of which will be presented at the conference, aims to raise awareness about the disease to facilitate early diagnosis and effective management. In 2024, the FDA approved the first gene therapy—Lenmeldy—produced from a patient's own stem cells. These modified cells generate the ARSA enzyme, preventing sulfatide accumulation and halting disease progression. While this therapy offers hope for MLD patients, early diagnosis and healthcare system mobilization are critical to ensuring effective treatment.

ნანა დვალიშვილი, მარიამ ბიწაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, აკადემიური ასისტენტი

გელათის საავადმყოფო, ვარძიის აფთიაქი და ვანის ქვაბის მონასტრის სასნეულო: შუა საუკუნეების ქართული სამედიცინო ცენტრები

ქართული მედიცინის ისტორიის სრულფასოვანი გააზრება შეუძლებელია შუა საუკუნეების მონასტრების შესწავლის გარეშე, რომლებიც არა მხოლოდ სულიერ, არამედ სამედიცინო დანიშნულებასაც ემსახურებოდნენ. აღნიშნული კვლევა აანალიზებს XI-XIII საუკუნეების საქართველოს სამედიცინო განათლებასა და პრაქტიკას, ყურადღებას ამახვილებს გელათის საავადმყოფოზე, ვარძიის აფთიაქსა და ვანის ქვაბის მონასტრის სასნეულოზე.

გელათის მონასტერი, როგორც განათლებისა და მედიცინის ცენტრი, მნიშვნელოვანი იყო როგორც სამედიცინო პრაქტიკის, ასევე ჰოსპიტალური საქმიანობისთვის. ვარძიის კომპლექსში არსებული აფთიაქი გვიჩვენებს, თუ რამდენად ორგანიზებული და სისტემატიზებული იყო სამკურნალო მცენარეებისა და მედიკამენტების დამზადება. ვანის ქვაბის მონასტრის სასნეულო კი ხაზს უსვამს მონასტრული მედიცინის როლს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვაში.

ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე, ჩვენი სტატია განიხილავს ბერ-მონაზვნების როლს მედიცინაში, ხალხური მკურნალობისა და ქირურგიული ჩარევების დონეს. აღნიშნული საკითხი გვიჩვენებს, რომ მედიცინის სფეროს საქართველოში კლასიკურ პერიოდში მაღალ განვითარებას მიაღწია და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის სამედიცინო ტრადიციებზე.

ჩვენი მიზანია ქართველმა ხალხმა გავიღრმაოთ ამ საკითხთან დაკავშირებული ცოდნა, გავიაზროთ მისი მნიშვნელობა და ბერების როლი, რომელთაც როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური მკურნალობის პასუხისმგებლობა ეკისრათ.

Nana Dvalishvili, Mariam Bitsadze
Caucasus International University
Undergraduate Studies/One Step
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Academic Assistant

Gelati Hospital, Vardzia Pharmacy, and the Vanis Kvabebi Monastic Infirmary: Medieval Georgian Medical Centers

Innovations in the Management of Rheumatoid Diseases and Evaluation of Public Awareness in Georgia

Rheumatoid disease is a chronic inflammatory condition that is driven by autoimmune processes. Despite the fact that a complete cure for arthritis is currently unavailable, scientific advancements and novel therapeutic approaches have significantly improved patients quality of life. At present, research continues into next-generation drugs aimed at enhancing therapeutic efficacy and reducing undesirable side effects. In 2024, the FDA approved BIMZELX for the treatment of psoriatic arthritis, non-radiographic axial spondyloarthritis, and ankylosing spondylitis. BIMZELX belongs to the class of biological agents and is the only drug that simultaneously blocks both IL-17A and IL-17F. Through this mechanism, it reduces inflammation and improves the patient's condition. As is well known, beyond treatment, the timely diagnosis of rheumatoid diseases remains a major global challenge, especially in developing and socioeconomically disadvantaged countries. We conducted a survey aimed at assessing the general awareness and knowledge levels regarding rheumatoid diseases among the Georgian population and healthcare professionals.

სამირა მამუკა კიზი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სვანიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჰიპოთირეოიდიზმის მართვა ცივი წყლის თერაპიით: დეოდინაზას გააქტიურების ინოვაციური ფორმა

ჰიპოთირეოიდიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენდოკრინული დაავადებაა, რომელიც თირეოიდული ჰორმონების ნაკლებობით არის გამოწვეული და მრავალი სისტემური დარღვევით ხასიათდება. ტრადიციული მკურნალობა მოიცავს თიროქსინის ჩანაცვლებით თერაპიას, თუმცა ინტერესი ალტერნატიული და ბუნებრივი მეთოდების მიმართ იზრდება.

მოცემული ნაშრომის მიზანია ჰიპოთირეოიდიზმის მკურნალობის არატრადიციული მეთოდების, კერძოდ, ცივი წყლის თერაპიის პოტენციალის შეფასება.

კვლევაში წარმოდგენილია ცივი წყლის პოტენციური ბენეფიტები ენდოკრინულ და მეტაბოლურ ფუნქციებზე, მისი გავლენა თირეოიდული ჰორმონების სტაბილიზაციაზე მოცემული ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ აისახება ცივი წყლით გამოწვეული სიმპათიკური ნერვული აქტივაცია დეოდინაზას ფუნქციონირებაზე და რა გავლენა აქვს ამ პროცესს თირეოიდულ ჰორმონთა მეტაბოლიზმზე. მეთოდოლოგიურად, კვლევა ეფუძნება ცივი წყლით გამოწვეული ფიზიოლოგიური მექანიზმების ანალიზს, მათ შორის, ნორადრენალინის დონის ზრდას, სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას და უჯრედულ მეტაბოლურ პროცესებზე გავლენას. განხილულია კლინიკური მონაცემები, რომლებიც აჩვენებენ, რომ სიმპათიკური ნერვული სისტემის გააქტიურება აძლიერებს დეოდინაზას აქტივობას, რაც T4-ის ეფექტურ კონვერტაციას უზრუნველყოფს.

შედეგები მოწმობს, რომ რეგულარულმა ცივი წყლის თერაპიამ შესაძლოა გააძლიეროს დეოდინაზას აქტივობა, გაზარდოს აქტიური T3-ის დონე და გააუმჯობესოს ჰიპოთირეოიდიზმის მართვის პროცესში არსებული კლინიკური შედეგები.

დასკვნა: ცივი წყლის თერაპია, სიმპათიკური ნერვული სისტემის გააქტიურებით, წარმოადგენს პერსპექტიულ დამხმარე მეთოდს ჰიპოთირეოიდიზმის სამკურნალოდ. მეთოდის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის დასადასტურებლად საჭიროა დამატებითი კლინიკური კვლევები.

Samira Mamuka Kizi
Caucasus International University
Bachelor/ One Step
Scientific Supervisor: Maia Svanidze
Doctor, Associate Professor

Management of Hypothyroidism with Cold Water Therapy: An Innovative Approach to Deiodinase Activation

Hypothyroidism is one of the most common endocrine disorders, caused by a deficiency of thyroid hormones and characterized by multiple systemic disturbances. Traditional treatment involves thyroxine replacement therapy; however, interest in alternative and natural approaches is growing. This paper aims to evaluate non-traditional methods for the treatment of hypothyroidism, specifically the potential of cold water therapy. The study presents the possible benefits of cold water on endocrine and metabolic functions, as well as its

impact on the stabilization of thyroid hormones. This work explores how sympathetic nervous system activation, triggered by exposure to cold water, affects deiodinase function and how this process influences thyroid hormone metabolism. Methodologically, the study is based on the analysis of physiological mechanisms triggered by cold water, including increased levels of noradrenaline, improved circulation, and effects on cellular metabolic processes. Clinical data are reviewed, showing that activation of the sympathetic nervous system enhances deiodinase activity, promoting more effective conversion of T4 to T3. The results indicate that regular cold water therapy may enhance deiodinase activity, increase levels of active T3, and improve clinical outcomes in the management of hypothyroidism. Conclusion: Cold water therapy, through activation of the sympathetic nervous system, represents a promising supportive method for the treatment of hypothyroidism. Additional clinical studies are necessary to confirm the safety and effectiveness of this approach.

ქეთევან ბითაძე, ანა ცანავა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სვანიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სეზონური გრიპისა და მიწისპირა ოზონის დონეს შორის კავშირის ძირითადი ასპექტები

გრიპი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ინფექციაა. გრიპის სეზონური ეპიდემია ყოველწლიურად 3-5 მილიონ მძიმე შემთხვევას იწვევს მსოფლიოში.

ჩვენ დავინტერესდით, იყო თუ არა კავშირი სეზონურ გრიპსა და მიწისპირა ოზონის, როგორც ბუნებრივი დეზინფექტორის დონეს შორის.

მოპოვებული მასალების თანხვედრით დაფიქსირდა, რომ ყოველი მიმდინარე წლის მეორმოცე კვირიდან მომავალი წლის მეოცე კვირის ჩათვლით საქართველოში (თბილისში) არსებული გრიპის ეპიდემიის არსებობა ემთხვევა ამ პერიოდში მიწისპირა ოზონის დონის შემცირებას. მეორმოცე კვირა ოქტომბრის პირველი დეკადაა, მომდევნო წლის მეოცე კვირა კი აპრილის ბოლო დეკადა. დროის მითითებულ მონაკვეთში თვალშისაცემია მიწისპირა ოზონის დონის დაკლებული დონე. სწორედ ამავე პერიოდს ემთხვევა გრიპით ავადობის მომატებული რაოდენობებიც.

ამის გარდა, დავინტერესდით, თუ რა ცნობადობა იყო გრიპის შესახებ ჩვენს გარშემო პოპულაციაში. გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შედგენილი კითხვარით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 158-მა რესპოდენტმა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რესპოდენტების დაახლოებით 37% გრიპით ავადობას მოღრუბლულ ამინდს უკავშირებს. ცნობილია, რომ მოღრუბლულ ამინდში მიწისპირა ოზონის, როგორც ჰაერის დეზინფექტორის დონე, ნულთან ახლოსაა.

Ketevan Bitadze, Ana Tsanava
Caucasus International University
Bachelor/One Step
Scientific Supervisor: Maia svanidze
Doctor, Associate Professor

Key Aspects of the Relationship Between Seasonal Flu and Ground-Level Ozone

Influenza is one of the most common infections in the world. Seasonal influenza epidemics cause 3 to 5 million severe cases worldwide each year. We were interested in whether there was a relationship between seasonal influenza and the level of ground-level ozone, as a natural disinfectant. According to the obtained materials, it was observed that the existence of a flu epidemic in Georgia from the fortieth week of each current year to the twentieth week of the next year coincides with a decrease in ground-level ozone levels during this period. The fortieth week is the first decade of October, and the twentieth week of the following year is the last decade of April. In the indicated period of time, a decrease in ground-level ozone levels is noticeable. The same period coincides with an increase in the number of flu cases. In addition, we were interested in how well the population around us knew about the flu. The survey was conducted using a pre-compiled questionnaire, in which 158 respondents participated. It is noteworthy that approximately 37% of respondents associate flu cases with cloudy weather. It is known that in cloudy weather, the level of ground-level ozone, as an air disinfectant, is close to zero.



სექცია
SECTION

მედიცინა
MEDICINE

ქვესექცია N2
SUBSECTION N2

მოხსენებათა რაოდენობა: 18
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: 31
The Number of Reporters:

ნინო ოზბეთელაშვილი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო კალმახელიძე
დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

3D ბიოპრინტინგი და ქსოვილოვანი ინჟინერია

ბოლო ათწლეულის განმავლობაში 3D ბიოპრინტინგმა მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა და თანამედროვე ბიოინჟინერიისა და მედიცინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პერსპექტიულ მიმართულებად იქცა. ეს ტექნოლოგია ახდენს რევოლუციურ ცვლილებებს და ახალ შესაძლებლობებს ქმნის ორგანოთა ტრანსპლანტაციის, რეგენერაციული მედიცინისა და ფარმაცევტული კვლევებისთვის, რითაც ტრადიციულ სამედიცინო მეთოდებს სრულად გარდაქმნის.

სტატია მიმოიხილავს ბიოპრინტინგის ტექნოლოგიებს, ბიომელნებსა და მათ მახასიათებლებს, ასევე ბიოპრინტინგის სამ ძირითად ეტაპს: პრებიობეჭდვა, ბიობეჭდვა და პოსტბიობეჭდვა. განხილულია ბიოპრინტირებული ქსოვილები, მათ შორის კანი, ძვალი და ხრტილი, სისხლძარღვები, ღვიძლის ქსოვილი, გული და ნაწლავის ტრაქტი.

დასასრულს, ყურადღება გამახვილებულია ბიოპრინტინგის პოტენციურ გამოყენებაზე სამედიცინო სფეროში, მათ შორის, რეგენერაციულ მედიცინაში, პერსონალიზებულ თერაპიაში და ა.შ. ეს ინოვაციური მიდგომა არა მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკის ნაწილია, არამედ უკვე ცვლის თანამედროვე მედიცინის პარადიგმას, რაც შესაძლოა მომავალში ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იქცეს.

Nino Ozbetelashvili
Tbilisi State Medical University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Sopio Kalmakhelidze
Doctor, Assistant Professor

3D Bioprinting and Tissue Engineering

Over the past decade, 3D bioengineering has made significant progress and has become one of the most important and promising fields in modern bioengineering and medicine. This technology is driving revolutionary changes and creating new opportunities for organ transplantation, regenerative medicine, and pharmaceutical research, thus transforming traditional medical practices. The article reviews bioprinting technologies, bioinks and their characteristics, as well as the three main stages of bioprinting: pre-bioprinting, bioprinting, and post-bioprinting. Bioprinted tissues, including skin, bone, cartilage, blood vessels, liver tissue, heart, and intestinal tract, are discussed. In conclusion, the article highlights the potential use of bioprinting in the medical field, including regenerative medicine and personalized therapy. This innovative approach is no longer science fiction but is already changing the paradigm of modern medicine, potentially shaping the future of healthcare.

ნინო შენგელია, ნინო სირაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე გიგიბერია
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

გაფანტული სკლეროზი -XXI საუკუნის გამოწვევა ნევროლოგიაში

ოცდამეერთე საუკუნეში დიდ გამოწვევადაა ქცეული ჯანმრთელობის პრობლემები, რომელთა რიცხვი სხავდასხვა ფაქტორების ზემოქმედებით უფრო იზრდება. ბოლო პერიოდში ერთ-ერთ ასეთ დაავადებად გვევლინება გაფანტული სკლეროზი, რომელიც ავტოიმუნურ დაავადებათა შორის ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს. გაფანტული სკლეროზი (MS) არის ცენტრალური ნერვული სისტემის ქრონიკული, ავტოიმუნური დაავადება, რომელიც იწვევს მიელინური გარსის მულტიფოკალურ დესტრუქციას. აღნიშნული დაზიანებები არღვევს ნერვული იმპულსის სწორ, სრულფასოვან გადაცემას, რაც ნეირონების დისფუნქციას და სენსომოტორულ დეფექტს ავითარებს. MS არის არაპროგნოზირებადი პათოლოგია, რომელიც სხვადასხვაგვარად მოქმედებს ადამიანზე. სიმპტომები მერყეობს მსუბუქი გამოვლინებიდან, მძიმე - მხედველობის, წერის, ლაპარაკის თუ მოძრაობის უნარის შეზღუდვამდე. დაავადების დაწყების საშუალო ასაკი არის 40 წელი, თუმცა განვითარების ასაკობრივი დიაპაზონი თანამედროვე მონაცემებით 15-61 წელია. ავადდებიან უმეტესად ქალები, ვიდრე მამაკაცები, ინცინდენტობა შეადგენს 2:1 , მიზეზი უცნობია. გავრცელებულია ცენტრალურ ევროპასა და ჩრდილოეთ ევროპაში, თუმცა ბოლო დროინდელმა ეპიდემიებმა გავრცელების საზღვრები მნიშვნელოვნად შეცვალა და ფართო მასშტაბები მოიცვა.

განსაკუთრებით გაიზარდა შემთხვევები 2019 წლის COVID -19 პანდემიის შემდეგ და სხვადასხვა ნეიროდეგენერაციული დაავადებების რიცხვმა 150 000-ს მიაღწია, მათ შორის მოწინავე ადგილზე დგას MS. ჩვენი ინტერესი არსებულმა ფაქტებმა გააღრმავა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოგვეთხრო ქეისის შესახებ, სადაც გაფანტული სკლეროზის ფორმირებასა და გამწვავებაში კოვიდ 19-მა იქონია ზგავლენა. კოვიდ 19-ის გავლენა გაფანტული სკლეროზის გამოვლინებასა და გამწვავების პერიოდების ფორმირებაზე ჯერ კიდევ შესწავლის საგანია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კოვიდ 19-ის ინფიცირებისას განვითარებული ციტოკინური შტორმი IL6, IL17, IL10 ინტერლეიკინებისგან შედგება, IL17 და IL10 უშუალოდ იღებს მონაწილეობას გაფანტული სკლეროზის პათოგენეზში, ამიტომ შესაძლოა ითქვას, რომ კოვიდ 19-ს აქვს დიდი ზეგავლენა გაფანტული სკლეროზის პათოგენეზზე. ზემოთხსენებული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პროფესორ როდელ მიდლდტონისა და რეიჩელ ჰანთერისთვის, რომლებმაც 2021 წლის მაისში გამოაქვეყნეს სტატია კოვიდ 19-ის როლზე გაფანტული სკლეროზის გამწვავებებსა და ახალი სიმპტომების გამოვლენაში. კვლევა ჩატარდა გაერთიანებულ სამეფოში 2021 წელს, სადაც მონაწილეობდა 978 გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე პაციენტი, რომელთა 41%-ს კოვიდი გადატანილი ჰქონდა. ზემოთხსენებული კვლევისა და ჩვენი ქეისის საშუალებით, გვინდა გადმოგცეთ ინფორმაცია MS-ის ინცინდენტობის სავალალო ვითარებაზე.

Nino Shengelia, Nino Siradze
Caucasus International University
Undergraduate Studies/One Step
Scientific Supervisor: Ekaterine Gigiberia
Doctor, Visiting Lecturer

Multiple Sclerosis – A Challenge in 21st Century Neurology

Multiple sclerosis (MS) is a neurological disease that has become increasingly prevalent in recent years, with a significant rise in incidence. Concurrently, there is a noticeable reduction in the age of diagnosed patients, making this issue even more critical. Following the COVID-19 pandemic, the induction of autoimmune antibodies associated with multiple sclerosis has been identified as one of the causes of the increase in new cases. The environment in which we live contains numerous triggers that can initiate and exacerbate this complex and severe disease. Our conference specifically addresses the rising prevalence of multiple sclerosis, its causes, and management challenges, with our patient case study providing additional clarity. Multiple sclerosis is an autoimmune disease of the nervous system that causes the destruction of the myelin sheath. Environmental and biological factors act as triggers for the disease. The severity of MS lies in its often sudden onset, with symptoms that may not initially appear related to the nervous system. However, the first exacerbation can be challenging to manage. It is important to note that multiple sclerosis primarily affects individuals who are actively employed, reducing their work capacity and potentially leading to complete disability. Consequently, MS represents a significant burden in terms of Disability-Adjusted Life Years (DALY). The COVID-19 pandemic is one of the factors contributing to the rise in multiple sclerosis cases, as COVID-19 induces the production of Th1 and Th17 cells, leading to elevated levels of IL-17 and TNF-α in the blood. This activates macrophages, resulting in the breakdown of the myelin sheath, the formation of microscopically active plaques, PAS-positive macrophages containing detritus, and inflammatory infiltration that generates new lesions. Through the action of macrophages and antibodies, the number of glial cells decreases, further worsening neural impairment. These factors constitute the central mechanism of multiple sclerosis pathophysiology, which manifests functionally as cranial nerve dysfunction, paralysis, and disruptions in impulse transmission and generation in peripheral nerves. This leads to a reduction in the patient's work capacity and life expectancy. In our case study, we outline the stages of deterioration in a patient's condition, highlighting the challenging journey faced by individuals with multiple sclerosis. The insidious nature of the disease significantly impacts both physical and psychological health, underscoring the importance of appropriate treatment and individualized approaches for achieving rapid and prolonged remission. In conclusion, the rising incidence of multiple sclerosis worldwide also leads to limitations in work capacity among young people, making it a pressing concern for the World Health Organization. Raising awareness about this condition is essential.

ჯაბა ხელაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, აკადემიური ასისტენტი

მედიცინა სოციალისტურ საქართველოში

საბჭოთა პერიოდის საქართველოში (1921-1991) ჯანდაცვის სისტემა განვითარდა სემაშკოს მოდელის საფუძველზე, რომელიც ცენტრალიზებულ, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ და უნივერსალურად ხელმისაწვდომ ჯანდაცვას ითვალისწინებდა. ძირითადი ნაბიჯები მოიცავდა ათთიაქების ნაციონალიზაციას და მედიკამენტებით მოსახლეობის უფასოდ უზრუნველყოფას, მათ შორის სოფლებსა და მთიან რეგიონებში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების ნაციონალიზაციას, მუშა-მოსამსახურეთა საყოველთაო სოციალური დაზღვევას, სამედიცინო და ფარმაცევტული ქონების რეკვიზიციას, 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებას, ასევე მნიშვნელოვანი წარმატება იყო პრევენციული მედიცინა, განსაკუთრებით მასობრივი ვაქცინაცია, რამაც შეამცირა ინფექციური დაავადებები.

სანიტარული და ეპიდემიოლოგიური სამსახურები აქტიურად მუშაობდნენ დაავადებების პრევენციაზე. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შედეგი იყო მწვავე ინფექციური დაავადებების შემცირება, რაც საგრძნობლად აისახა დაღუპულთა და გადარჩენილთა რაოდენობაზე. სამედიცინო განათლების სისტემა, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, გახდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი, რომელმაც აღზარდა მაღალკვალიფიციური ექიმები. დიდ ორგანიზაციულ და შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა სამეცნიერო საზოგადოება. ამ ხანებში მათ მიერ მოწვეულ სამეცნიერო კონგრესებზე ნათლად აისახა საქართველოს სამედიცინო საზოგადოების მაღალი მეცნიერული დონე. ქართული მედიცინის ძლიერი ტრადიციები გამოვლინდა ონკოლოგიის, კარდიოლოგიის, ნევროლოგიისა და ქირურგიის სფეროებში. თუმცა, სისტემას ჰქონდა მნიშვნელოვანი პრობლემებიც: დაფინანსების ქრონიკული ნაკლებობა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში, სამედიცინო აღჭურვილობისა და მედიკამენტების დეფიციტი, ინოვაციების ნაკლებობა და ჭარბი ბიუროკრატია. სოციალისტური პერიოდის ჯანდაცვის მემკვიდრეობა დღესაც ახდენს გავლენას თანამედროვე საქართველოს სამედიცინო სისტემაზე, რომელიც ცდილობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეინარჩუნოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა.

Jaba Khelashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies/One Step
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Academic Assistant

Medicine in Socialist Georgia

The healthcare system in Soviet-era Georgia (1921-1991) was developed based on the Semashko model, which envisaged centralized, state-funded, and universally accessible healthcare. The main steps included:

the nationalization of pharmacies and the provision of free medicines to the population, including in villages and mountainous regions, the nationalization of medical facilities of state importance, universal social insurance for workers and employees, the requisition of medical and pharmaceutical property and the establishment of an 8-hour workday. Also a significant success was preventive medicine, especially mass vaccination, which reduced infectious diseases. Sanitary and epidemiological services actively worked on disease prevention. The result of anti-epidemic measures was a decrease in acute infectious diseases, which had a significant impact on the number of deaths and survivors. The medical education system, in particular, the Tbilisi State Medical Institute, has become an important scientific and educational center that has educated highly qualified doctors. The Georgian Scientific Society of Physicians and Naturalists was engaged in great organizational and creative work. The scientific congresses they convened during this time clearly reflected the high scientific level of the Georgian medical society. Strong traditions of Georgian medicine were evident in the fields of oncology, cardiology, neurology, and surgery. However, the system also had significant problems: chronic underfunding, especially in the period before the collapse of the Soviet Union, shortages of medical equipment and medicines, a lack of innovation and excessive bureaucracy. The legacy of socialist-era healthcare still influences the modern Georgian medical system, which struggles to maintain access to healthcare in a market economy.

საბა გიორგაძე, საბა ქელბაქიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი
დოქტორი, აკადემიური ასისტენტი

ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდებისა და სადიაგნოზო საშუალებების გამოყენების ისტორია საქართველოში

საქართველოში სამედიცინო დიაგნოსტიკის ევოლუცია წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიას, რომელიც ასახავს როგორც ადგილობრივ ტრადიციებს, ისე საერთაშორისო გავლენებს. ეს კვლევა მიმოიხილავს ავადმყოფთა გამოკვლევის მეთოდებისა და სადიაგნოზო საშუალებების ისტორიულ განვითარებას შუა საუკუნეებიდან თანამედროვე პერიოდამდე. ტრადიციული ქართული მედიცინის ადრეული ტექსტები, როგორიცაა " უსწორო კარაბადინი&quot და " წიგნი სააქიმოჲ" აღწერდნენ ავადმყოფების გამოკვლევის ემპირიულ მეთოდებს, რომლებიც ეფუძნებოდა პულსის, კანის, ენისა და თვალების მდგომარეობის შეფასებას.

მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის გავლენით, საქართველოში დაინერგა ევროპული დიაგნოსტიკური მეთოდები, მათ შორის პერკუსია და აუსკულტაცია, ხოლო 1868 წელს თბილისის მიხეილის საავადმყოფოში დაიწყო პირველი ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.

მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტის დაარსებით, რამაც საფუძველი ჩაუყარა ადგილობრივი კადრების მომზადებასა და სამეცნიერო კვლევების განვითარებას. საბჭოთა პერიოდში გაფართოვდა

დიაგნოსტიკური დაწესებულებების ქსელი და დაინერგა ისეთი მეთოდები, როგორიცაა ელექტროკარდიოგრაფია, რენტგენოლოგიური კვლევები და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ცენტრალიზებული სისტემა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებისა და პრივატიზაციის პირობებში საქართველოში დაინერგა თანამედროვე მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური მეთოდები: კომპიუტერული და მაგნიტურ- რეზონანსული ტომოგრაფია, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფია და სხვა. წინამდებარე კვლევა წარმოაჩენს საქართველოში სამედიცინო დიაგნოსტიკის ისტორიულ გზას, რომელიც ასახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, პოლიტიკურ ტრანსფორმაციას და სამედიცინო განათლების ევოლუციას.

Saba Giorgadze, Saba Kelbakiani
Caucasus International University
Undergraduate Studies/One Step
Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili
Doctor, Academic Assistant

The History of Using the Methodology of Patient Examination and Diagnostic Tools in Georgia

The progress of medical diagnostics in Georgia has a long-standing history, which reflects local traditions and inclusions of international technology and therapeutic methods. The present paper adopts the historical trajectory of the methods of patient examination and diagnostic procedures from Medieval to ontemporary time. Some of the early documents of traditional Georgian medicine, like "Ussturo Karabadini" and "Tsigni Saakimoy" implemented purely empirical patient examination procedures, which used examination of a patient's pulse, skin, tongue, and eyes to be able to make a diagnosis. In the 19th Century and under the influence of the Russian Empire European diagnostic methods were paleontological introduced into Georgia. Methods such as percussion and auscultation became the norm. In 1868, the first laboratory tests took place at Mikhail Hospital in Tbilisi. The establishment of the Faculty of Medical Sciences of Tbilisi State University, which took place in 1919, represented a major breakthrough as it began to train national specialists and to develop scientific investigations. During the following years of the Soviet period, the system of diagnostic institutions expanded into clinical medicine, and methods such as cardiology, electrocardiography, radiological examinations, as well as a centralized laboratory diagnostic model was established. The re-establishment of independence showed great promise in modernizing the healthcare system, which advocated modernization of diagnostic advocacy through documented studies upon monitoring laboratory medical diagnostics. These reforms took place within the healthcare system and privatization occurred, and new technology methods appeared in Georgia for example computerized tomography (CT), magnetic resonance imaging (MRI), and positron emission tomography (PET). This paper identifies the historical path of medical diagnostics in Georgia, reflecting the country's social-econimocal development, political transformations and the evolution of medical education.

მარიამ გოგატიშვილი, თეკლე მალანია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ჩიქვინიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აუტიზმი - თვითმყოფადობის მეცნიერული საფუძვლები

წლების განმავლობაში, იმ დრომდე დაუდგენელ ნევროლოგიურ დარღვევათა ჯგუფის აღმოჩენის შემდეგ 1940-იან წლებში, აუტისტური სპექტრის აშლილობა (ასა) გამოწვევად რჩებოდა სამედიცინო და სამეცნიერო სფეროებისთვის. მას შემდეგ მრავალი ექსპერიმენტი ჩატარდა, მაგრამ ამ რთული სამედიცინო მდგომარეობის მკაფიო შედეგის, ან ადეკვატური კლინიკური სურათის გარეშე. შესაბამისად, აუტიზმის პროგნოზი ბუნდოვანი იყო, ხოლო გავრცელებული შეხედულებები - რეალობისგან შორს. თუმცაღა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკითა (მაგ., ტყუპთა მეთოდი, რომელიც წარმატებით გამოიყენება აუტიზმის მემკვიდრეობითობის შესაფასებლად) და თანამედროვე ჰიპოთეზებით გამყარებულმა ბოლოდროინდელმა კვლევებმა შეცვალა ჩვენი მონაცემები და პერსპექტივები. დღესდღეობით ნავარაუდევია, რომ ასა განპირობებულია გენეტიკური და გარემო ფაქტორების გავლენით; შესაბამისად, აუტიზმი მემკვიდრეობითია - "საშვილოსნოში განვითარებული აშლილობა".

საბედნიეროდ, თანამედროვე ტექნოლოგიებმა გაზარდა აუტიზმის გამომწვევი სავარაუდო გენების იდენტიფიკაცია (მაგ. DDX53 გენი, PDCHD1-AS-თან ერთად). გამოვლინდა კორელაციაც გარე ფაქტორებსა (ქიმიური ზემოქმედება, დედის მეტაბოლური მდგომარეობა და ა.შ.) და აუტისტურ ქცევას შორის; გენეტიკოსებმა მიზნად დაისახეს, კვლევები უფრო პროდუქტიული და პერსპექტიული გახადონ, მითების დამსხვრევასთან ერთად. ამიერიდან, აუტისტური სპექტრის ისტორია უკეთესობისკენ შეიცვლის გეზს.

Mariam Gogatishvili, Tekle Malania
Akaki Tsereteli State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Ketevan Chikvinidze
Doctor, Associate Professor

Autism - The Scientific State of Being Oneself

Throughout the years, after the discovery of the previously undiagnosed neurodevelopmental group of disabilities in the 1940s, Autism Spectrum Disorder (ASD) has remained challenging for the medical and scientific fields. From then on, numerous experiments were conducted with no clear outcome or adequate clinical picture of this complex medical condition. Consequently, autism prognosis had been poor, and widespread beliefs - far from reality. However, recent studies backed up by Evidence-Based Practices (i.e., Twin Studies, successfully used to estimate the heritability of Autism) and up to date hypotheses have changed our data and perspectives. Today, research suggests that ASDs develop under genetic and environmental influence; Conclusively, autism is hereditary – a disorder born in the womb. Fortunately, new

technology has increased the identification of putative autism genes (e.g. DDX53 gene, alongside PDCHD1-AS). The correlation between external factors (chemical exposure, maternal metabolic condition, etc.) and autistic behavior has also been detected; Geneticists have aimed to make research more productive and promising, alongside debunking myths. From now on, the history of ASDs will be changing its direction for the better.

თამაზ თევზაძე, თეო გოლუბიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: კონსტანტინე კაჭარავა
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

მიზოფონია, როგორც აუტანელი ხმების ფენომენის სტატისტიკური სურათი მოსახლეობასა და სამედიცინო საზოგადოებაში

21-ე საუკუნეში, როდესაც მედიცინა განვითარების უმაღლეს მწვერვალზეა, ჯერ კიდევ არსებობს პათოლოგიური მდგომარეობები, რომელთა ეტიოლოგიის და მიმდინარეობის შესახებ არაფერი არ ვიცით. სწორეთ ასეთი დაავადებები სამეცნიერო საზოგადოებაში დიდ ინტერეს იჩენს და ყოველდღიურად უამრავი რესურსი იხარჯება მათი ბუნების შესასწავლად. ერთ-ერთი ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა არის მიზოფონია, რომლითაც შეპყრობილი ადამიანები სპეციფიკური ბგერების მოსმენისას (ღეჭვა, ყნოსვა, სუნთქვა) ძლიერ ინტენსიურ-ემოციურ რეაქციებს განიცდიან. დაავადების აქტუალურობა და სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მათ აგზნებადობას განაპირობებენ ბგერები, რომლებიც გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

აღსანიშნავია, რომ მიზოფონიასთან დაკავშირებით სამედიცინო საზოგადოებაში აზრი ორად არის გაყოფილი. ერთი მხარე მიიჩნევს, რომ მიზოფონია არის ობსესიურ-კომპულსიურ აშლილობათა ერთ-ერთი ტიპი, ხოლო მეორე თვლის, რომ მიზოფონია არის კლინიკური ნიშანი ფსიქიკური აშლილობისა და არა უშუალოდ პათოლოგია. ჩავატარეთ გამოკითხვა ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ჩვენს ქვეყანაში ამ დაავადების აქტუალურობას, რადგანაც მსოფლიოში მიზოფონიასთან დაკავშირებული სულ ორი ოფიციალური კვლევაა ჩატარებული, შესაბამისად, ინფორმაციაც ძალიან მცირეა. გამოვკითხეთ ადამიანები, რომლებსაც შესაძლოა, აწუხებდეთ მიზოფონიის მსგავსი სიმპტომები და მოვახდინეთ მათი აღრიცხვა.

Tamaz Tevzadze, Teo Golubiani
Caucasus International University
Undergraduate Studies/ One Step
Scientific Supervisor: Konstantine Kacharava
Doctor, Visiting Lecturer

Misophonia as a Phenomenon of Intolerable Sounds: A Statistical Overview in the General Population and Medical Community

In the 21st century, when medicine has reached the peak of its development, there are still pathological conditions whose etiology and course remain unknown. Such conditions are of great interest to the scientific community, and every day, countless resources are spent studying their nature. One such psychological condition is misophonia, in which affected individuals experience intense emotional reactions when hearing specific sounds such as chewing, sniffing, or breathing. The relevance and specificity of this disorder lie in the fact that the triggering sounds are common in everyday life, making the condition particularly disruptive. It is worth noting that there is a divide within the medical community regarding the classification of misophonia. One side considers it a subtype of obsessive-compulsive disorder, while the other views it as a clinical symptom of a broader psychiatric condition, rather than a standalone pathology. We conducted a survey within the Georgian medical community, which will help raise awareness about this condition in our country. Considering that only two official studies have been conducted on misophonia worldwide, the available information is extremely limited. We surveyed individuals who might be experiencing symptoms similar to those of misophonia and recorded their responses for further analysis.

თინათინ სამუშია, რევაზ ნაცვლიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: დალი ღაღანიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

პარაკრეზოლის როლი აუტისტური სპექტრის პაციენტებში: პლაზმაფერეზის თერაპიული პოტენციალი

აუტისტური სპექტრის აშლილობა ASD ნეიროგანვითარების შეფერხებით გამოწვეული მდგომარეობაა, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის კომუნიკაციურ და ქცევით უნარებზე. მსოფლიო ჯანდაცვის მონაცემებით, საშუალოდ 1 ბავშვი 100 დან არის აუტისტური აშლილობის მქონე. კვლევებმა აჩვენა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე პაციენტების შარდში პარაკრეზოლის კონცენტრაცია მაღალია, ვიდრე ჯანმრთელ პოპულაციაში. იგი აფერხებს ნეირონების განვითარებას და შესაძლოა თამაშობდეს როლს აუტიზმთან დაკავშირებული სიმპტომების ფორმირებაში. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა პლაზმაფერეზის მიმართ გაზრდილი დაინტერესება.

ჩვენი მიზანი იყო, გაგვერკვია, რამდენად ინფორმირებულნი არიან ASD მქონე ბავშვების მშობლები და მათი ექიმები პარაკრეზოლის შესაძლო გავლენისა და პლაზმაფერეზის გამოყენებაზე. ამასთანავე, აწვდიან თუ არა ექიმები აღნიშნულ ინფორმაციას მშობლებს მისი პრაქტიკაში გამოყენებისთვის. გამოკითხული მშობლების უმეტესობა არ ფლობდა ინფორმაციას პარაკრეზოლისა და აუტიზმის შესაძლო კავშირის შესახებ ისევე, როგორც პლაზმაფერეზის თერაპიულ გამოყენებაზე. ექიმების ნაწილს ჰქონდა წარმოდგენა თემის შესახებ, თუმცა უმეტესობამ თავი შეიკავა ინფორმაციის გაზიარებისგან.

Tinatin Samushia, Revaz Natsvlishvili
Caucasus International University
Undergraduate Studies/ One Step
Scientific Supervisor: Dali Ghaghanidze
Doctor, Associate Professor

The Role of Para-cresol in Autism Spectrum Patients: Therapeutic Potential of Plasmapheresis

Autism Spectrum Disorder (ASD) is a neurodevelopmental disorder that affects an individual's communication and behavioral skills. According to the World Health Organization, an average of 1 in 100 children has an autistic disorder. Studies have shown that para-cresol concentrations in the urine of patients with autism spectrum disorders are higher than in the healthy population. It inhibits the development of neurons and may play a role in the formation of symptoms associated with autism. This circumstance has led to increased interest in plasmapheresis. Our goal was to find out how informed parents of children with ASD and their doctors are about the possible effects of para-cresol and the use of plasmapheresis. At the same time, whether doctors provide this information to parents and its use in practice. Most of the parents surveyed were unaware of the possible connection between para-cresol and autism, as well as the therapeutic use of plasmapheresis. Some doctors had an idea about the topic, although most refrained from sharing information.

მარიამ მამულაშვილი, ანი კვარაცხელია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაკა ნატროშვილი
დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი

VACTERL ასოციაცია: შემთხვევის ანალიზი და ცნობიერების მნიშვნელობა

ვაქტერლის ასოციაცია თანდაყოლილი ანომალიების ერთობლიობაა. ვლინდება ხერხემლის, ანუსის, გულის, ტრაქეოეზოფაგური, თირკმლის და კიდურების დეფორმაციებით. დიაგნოზის დასასმელად პაციენტი უნდა აკმაყოფილებდეს მოცემული პათოლოგიებიდან მინიმუმ სამს, დეფორმაციები უნდა იყოს სხვადასხვა სისტემიდან. დაავადებისადმი ცნობიერება არც თუ ისე მაღალია, ჩავატარეთ კვლევა სხვადასხვა ჯგუფში მოცემული სინდრომის შესახებ, იმისათვის, რომ დავადგინოთ VACTERL-ის ასოციაციის ცნობადობა. რესპოდენტებს დავუსვით შეკითვები, რაც ჯერ კიდევ განხილვის საგანია კლინიცისტთა გარკვეულ ჯგუფებში. წარმოდგენილია 2 თვის ახალშობილის შემთხვევა, რომელიც შემოვიდა საერთო ჭირვეულობით, ადინამიით, სუნთქვის გაძნელებით, ანუსის ატრეზიით, მუცლის შებერილობით და ღებინებით. კლინიკურ/გენეტიკური კვლევების შედეგად გამოვლინდა ვაქტერლისთვის დამახასიათებელი მრავალფაქტორული ანომალიები და დაისვა შესაბამისი დიაგნოზი. მოცემული შემთხვევა აჩვენებს ვაქტერლის ასოციაციის კლინიკურ მრავალფეროვნებას. იგი საჭიროებს მულტისაფეხურიან მიდგომას, ადრეული დიაგნოსტიკიდან ქირურგიულ ჩარევამდე და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გენეტიკური ტესტირების მზარდ როლს თანამედროვე პრაქტიკაში. მულტიდისციპლინური მართვა და ინდივიდუალური მიდგომა უმნიშვნელოვანესია პაციენტის გადარჩენისა და ხარისხიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

Mariam Mamulashvil, Ani Kvaratskhelia
Caucasus International University
Undergraduate Studies/ One Step
Scientific Supervisor: Maka Natroshvili
PhD Candidate, Assistant Professor

VACTERL Association: Case Analysis and the Importance of Awareness

VACTERL association is a combination of congenital anomalies that does not have a single specific etiology. It includes the following anomalies: vertebral, anal, cardiac, tracheoesophageal, renal, and limb. To make a diagnosis the patient must present with at least three defects affecting different organ systems. Despite the seriousness of this condition, awareness remains relatively low. For this reason, we conducted a study across different groups to determine the level of awareness of the VACTERL association. We asked our respondents questions that are still a subject of discussion among certain groups of clinicians. We present the case of a 2-month-old newborn who was admitted to the clinic. The main symptom was difficulty of breath and poor feeding. Clinical and genetic investigations revealed multiple congenital anomalies characteristic of VACTERL. This case clearly illustrates the clinical diversity of the VACTERL association. It requires a multistep approach from early diagnosis to surgical intervention and once again highlights the growing role of genetic testing in modern pediatric practice. Multidisciplinary management and an individualized approach are essential for ensuring both the survival and quality of life of the patient.

ლიკა შენგელია, სალომე ვაშაკიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლიკა გუბელაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ფაგოთერაპია - ანტიბიოტიკრეზისტენტული ეპოქის ალტერნატიული გზა

ვარაუდები „ანტიბიოტიკამდელ ეპოქაში“დაბრუნების შესახებ სულ უფრო რეალური ხდება და ჯანმომ უკვე გამოაცხადა ანტიბიოტიკორეზისტენტობა საფრთხედ გლობალური ჯანმრთელობისთვის. მსოფლიოში მეთიცილინ-რეზისტენტული S. aureus (MRSA) ინფექციები უფრო მეტ სიკვდილს იწვევს, ვიდრე აივ/შიდსი და ტუბერკულოზი ერთად. მზარდი ანტიბიოტიკორეზისტენტობის ფონზე განვითარებულ ქვეყნებში ინტენსიურად მიმდინარობს კვლევები ალტერნატიული საშუალებების მოსაძიებლად. იმედისმომცემ შედეგებს იძლევა ბაქტერიის ვირუსები – ბაქტერიოფაგები. ისინი მიზანმიმართულად ანადგურებენ ბაქტერიებს, რომლებიც იშვიათად ხასიათდებიან ფაგორეზისტენტული მუტანტების განვითარებით.

ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია საქართველოში, ბაქტერიოფაგის მეორე სამშობლოში რამდენად პოპულარულია ისინი, რამდენად ხშირად ნიშნავენ ქართველი ექიმები მათ და რა შედეგით მთავრდება ფაგოთერაპია. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მოქალაქეების ერთ მესამედს სიცოცხლეში ერთხელ მაინც გამოუყენებია ფაგები ძირითადად სასუნთქი გზების ინფექციებისას და თერაპია ეფექტური იყო. ქართველი ექიმების უმრავლესობას კი არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, არ

იყენებს ან სკეპტიკურადაა განწყობილი მათ მიმართ. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მოხდეს ფაგოთერაპიის პოპულარიზაცია საზოგადოებაში, რაც გაზრდის ნდობას და მიმართვიანობას მათ მიმართ და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეაფერხებს ანტიბიოტიკორეზისტენტობას.

Lika Shengelia, Salome Vashakidze
Caucasus International University
Undergraduate Studies/ One Step
Scientific Supervisor: Lika Gubeladze
Doctor, Associate Professor

Phage Therapy - An Alternative Path in the Era of Antibiotic Resistance

Predictions about a return to the “pre-antibiotic era” are becoming increasingly realistic, and the WHO has already declared antibiotic resistance a threat to global health. Worldwide, methicillin-resistant S. aureus (MRSA) infections cause more deaths than HIV/AIDS and tuberculosis combined. Against the backdrop of growing antibiotic resistance, developed countries are actively conducting research to find alternative treatments. One of the most promising approaches involves bacteriophages—viruses that specifically target and destroy bacteria, and are rarely associated with the development of phage-resistant mutants. Our aim was to assess the popularity of bacteriophages in Georgia—the second homeland of phage therapy—to determine how frequently they are prescribed by Georgian doctors, and what outcomes phage therapy typically yields. It was found that one-third of surveyed citizens had used phages at least once in their lifetime, mainly for respiratory tract infections, and the therapy was effective. However, the majority of Georgian physicians either lack sufficient information, do not use phages in their practice, or remain skeptical about their effectiveness. We believe it is essential to promote phage therapy among the general population, which would increase trust and usage, and could to some extent slow the progression of antibiotic resistance.

სალომე წულეისკირი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ ერთსაფეხურიანი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ხარებაშვილი
დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

"გულის ტატუ": 3D ბიოპრინინგი და გულის პატჩები რეგენერაციული კარდიოქირურგიის ეპოქაში

ბიოინჟინერიისა და კარდიოქირურგიის ინტეგრაციამ გამოიწვია პარადიგმის ცვლილება მიოკარდიუმის დაზიანების მკურნალობაში, განსაკუთრებით გულის იშემიური დაავადების და გულის უკმარისობის კონტექსტში. ამ სფეროში ყველაზე პერსპექტიულ ინოვაციებს შორის არის ბიოპრინტირებული გულის პატჩები - ხშირად მოიხსენიება, როგორც "გულის ტატუ", რომლებიც შექმნილია მიოკარდიუმის სტრუქტურისა და ფუნქციის აღსადგენად ორგანოს სრული გადანერგვის აუცილებლობის გარეშე. ეს პატჩები წარმოადგენს ძირითად წინსვლას ქსოვილების ინჟინერიასა და

რეგენერაციულ მედიცინაში, გვთავაზობს ბიოლოგიურად აქტიურ და რეგულირებად თერაპიულ ალტერნატივას, რომელიც აერთიანებს ჭკვიან ბიომასალას, ღეროვან უჯრედებს და 3D ბიოპრინტინგის ტექნოლოგიებს. გულის პატჩები არის ინჟინერირებული ქსელები, რომლებიც ჩაშენებულია ცოცხალი უჯრედებით და ბიოაქტიური მოლეკულებით, რომლებიც იმპლანტირებულია პირდაპირ დაზიანებულ მიოკარდიუმზე, რათა ხელი შეუწყოს რეგენერაციას. პასიური იმპლანტებისგან განსხვავებით, ბიოპრინტირებული პატჩები იქმნება მაღალი სივრცითი სიზუსტით, ბიოინკების გამოყენებით, რომლებიც შედგება უჯრედგარე მატრიქსის კომპონენტებისგან, უჯრედული ელემენტებისგან (როგორებიცაა კარდიომიოციტები ან პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედები) და ზრდის ფაქტორები. ეს სტრუქტურები მიზნად ისახავს არა მხოლოდ მექანიკური სტაბილურობის მხარდაჭერას, არამედ ელექტრულ შეერთებას მიოკარდიუმის ბუნებრივ ქსოვილთან, რაც გადამწყვეტია არითმიების პროფილაქტიკისთვის და კონტრაქტული სინქრონიის გასაძლიერებლად. 3D ბიოპრინტინგის ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი ასპექტია მისი შესაძლებლობები პაციენტისთვის სპეციფიკური პერსონალიზაციური მოდელების შექმნისთვის.

მოწინავე ვიზუალიზაციის მოდელებით, როგორიცაა MRI და CT, პაციენტის გულის ანატომია შეიძლება იყოს რუქა და გადათარგმნილი იყოს ბიოპრინტინგის გეგმაში. ეს საშუალებას იძლევა შექმნას პერსონალიზებული გულის პატჩები, რომლებიც შეესაბამება ინდივიდის გულის ზუსტ გეომეტრიას და პათოლოგიას, აუმჯობესებს ინტეგრაციას და ეფექტურობას. გარდა ამისა, პაციენტისგან მიღებული ინდუცირებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედების (iPSCs) გამოყენება ამცირებს იმუნური უარყოფის რისკს და მხარს უჭერს რეალურ ბიოლოგიურ შეთვისებას და არა მხოლოდ მექანიკურ მხარდაჭერას.

ბოლოდროინდელმა პრეკლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბიოპრინტირებულ გულის პატჩებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მარცხენა პარკუჭის ფუნქცია, შეამცირონ ინფარქტის ზომა და გააააქტიურონ ანგიოგენეზი. მაგალითად, Nature Biomedical Engineering-ში გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა მღრღნელების მოდელების ფუნქციური გაუმჯობესება სისხლძარღვოვანი გულის კონსტრუქციების იმპლანტაციის შემდეგ, რომელიც შედგება ადამიანის iPSC-დან მიღებული კარდიომიოციტებისგან. ეს კვლევები ხაზს უსვამს ტექნოლოგიის პოტენციალს, თუმცა რამდენიმე კრიტიკული გამოწვევა რჩება ფართო კლინიკურ გამოყენებამდე და უშუალოდ პაცინეტებში დანაერგვამდე. ქირურგიული პერსპექტივიდან, გულის პატჩების განლაგება ნაკლებად ინვაზიურია გულის ტრანსპლანტაციასთან ან პარკუჭის დამხმარე მოწყობილობებთან შედარებით, რაც მას მიმზიდველ, ხელსაყრელ და შედარებით ბიუჯეტურ ვარიანტად აქცევს პაციენტებისთვის, რომლებიც არ არიან იდეალური კანდიდატები ოპერაციისთვის, ზოგადი ანამნეზიდან გამომდინარე. ასევე შესწავლილია მიწოდების მინიმალური ინვაზიური ტექნიკა, მათ შორის კათეტერზე დაფუძნებული სისტემები და რობოტული განთავსება. თუმცა, იმპლანტირებული პატჩების გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობა, არითმოგენეზის რისკი და მიოკარდიუმის სრული ინტეგრაციის სირთულე ჯერ კიდევ გამოკვლევის პროცესშია. ადამიანებში ბიოპრინტირებული ქსოვილების გამოყენების ეთიკური თვალსაზრისი ასევე მოითხოვს ყურადღებას. ბიოთავსებადობის, სისხლძარღვების და უჯრედების მოპოვების პროტოკოლების სტანდარტიზაცია რჩება მთავარ დაბრკოლებად. გარდა ამისა, პატჩების ფართომასშტაბიანი წარმოება კარგი წარმოების პრაქტიკის (GMP) პირობებში არის რთული და ძვირადღირებული საქმე. მიუხედავად ამისა, კლინიკური კვლევები თანდათან წინ მიიწევს. 2024 წლიდან, I ფაზის კვლევები დაიწყო პაციენტების შეზღუდულ პოპულაციაში, ადრეული უსაფრთხოების პერსპექტიული შედეგებით.

ეს მოხსენება ეხება მიოკარდიუმის ბიოპრინტირებულ პატჩების უახლეს განვითარებას, მათ შორის უახლესი წარმოების ტექნიკას, მატერიალურ ინოვაციებს (როგორებიცაა გამტარი ჰიდროგელები და დეცელულარული ქსელები) და მიმდინარე კლინიკურ კვლევებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ როგორ შეუძლია ამ ტექნოლოგიას გააძლიეროს მიმდინარე

კარდიოქირურგიული პრაქტიკა - როგორც ხიდი ტრანსპლანტაციისთვის, რევასკულარიზაციის პროცედურების დამატება, ან თუნდაც როგორც დამოუკიდებელი რეგენერაციული თერაპია.

დასკვნის სახით რომ ავღნიშნოთ, "გულის პატჩების" კონცეფცია - როგორც ბიოპრინტირებული გულის ქსოვილი - მეტაფორაზე მეტია; ეს სიმბოლოა ბიოლოგიურად ინტელექტუალური, პერსონალიზებული და ინტეგრირებულია გულ-სისხლძარღვთა ეპოქაში. მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევები რჩება, კარდიოქირურგიისა და ბიოინჟინერიის კონვერგენცია უზარმაზარ პოტენციალს გვთავაზობს არა მხოლოდ პაციენტის შედეგების გასაუმჯობესებლად, არამედ გულის უკმარისობის თერაპიული ლანდშაფტის ხელახლა განსაზღვრისთვის. მთარგმნელობითი კვლევების დაჩქარებასთან ერთად, ოცნება ცოცხალი, ფუნქციონალური ქსოვილით გულის აღდგენაზე შესაძლოა მალე გახდეს სტანდარტული პრაქტიკა - მომავლის დაწყება, სადაც გულის ფუნქციური შეკეთება აღარ ნიშნავს მის შეცვლას, არამედ მის აღდგენას შიგნიდან ნაკლებ ინვაზიური და რთული ტექნიკის გარეშე.

Salome Tsuleiskiri
Caucasus International University
Undergraduate Studies/ One Step
Scientific Supervisor: Maia Kharebashvili
Doctor, Assistant Professor

"Heart Tattoos": 3D Bioprinting and Cardiac Patches in the Era of Regenerative Cardiac Surgery

The integration of bioengineering and cardiac surgery has catalyzed a paradigm shift in the treatment of myocardial injury, especially in the context of ischemic heart disease and heart failure. Among the most promising innovations in this domain are bioprinted cardiac patches—often referred to as "heart tattoos"—which are designed to restore myocardial structure and function without necessitating full organ transplantation. These patches represent a major advancement in tissue engineering and regenerative medicine, offering a biologically active and customizable therapeutic alternative that merges smart biomaterials, stem cells, and 3D bioprinting technologies. Cardiac patches are engineered scaffolds embedded with living cells and bioactive molecules, which are implanted directly onto the damaged myocardium to promote regeneration. Unlike passive implants, bioprinted patches are created with high spatial precision using bioinks composed of extracellular matrix components, cellular elements (such as cardiomyocytes or pluripotent stem cells), and growth factors. These structures aim not only to support mechanical stability but also to electrically couple with native myocardial tissue, a feature crucial to the prevention of arrhythmias and enhancement of contractile synchrony. One of the most compelling aspects of 3D bioprinting is its capacity for patient-specific customization. With advanced imaging modalities such as MRI and CT, patient heart anatomy can be mapped and translated into a blueprint for bioprinting. This allows for the creation of personalized cardiac patches that conform to the exact geometry and pathology of the individual's heart, improving integration and efficacy. Furthermore, the use of induced pluripotent stem cells (iPSCs) derived from the patient reduces the risk of immune rejection and supports true biological repair rather than merely mechanical support. Recent preclinical studies have demonstrated that bioprinted cardiac patches can significantly improve left ventricular function, reduce infarct size, and stimulate angiogenesis. For example, research published in Nature Biomedical Engineering reported functional improvement in rodent models

In the landscape of modern technological progress, one of the most important areas is artificial intelligence (AI). AI encompasses systems that simulate human intelligence – such as learning, inference, decision-making and problem solving. It is based on data analysis, algorithmic processing and mechanisms that learn from experience. Artificial intelligence is developing in many directions: natural language processing (NLP),

computer vision, robotics, recommendations, predictive analytics, and more. Today, AI is widely used in fields such as healthcare, education, transportation, finance and business. For example, medical diagnostics are faster and more accurate than before, while learning platforms use personalized learning models, which increases the quality of learning. The introduction of AI has given encouragement to digital transformation and changed the working principles of many industries. Organizations are effectively using AI to automate processes, to improve customer interaction, and optimize decision-making. Technically, AI is based on analyzing large amounts of data and drawing conclusions from them. Special algorithms are often used that learn from experience. These technologies are most frequently encountered in programs such as Google Translate, Siri, or YouTube's recommendation system. Artificial intelligence is no longer just a technological innovation, but an inevitable stage on the path of digital development. Its capabilities are expanding daily and are expected to have an even deeper impact on our lives and professional activities in the future.

გიორგის ხატიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კაკაშვილი
დოქტორი, პროფესორი

განახლებადი ენერგია და მწვანე ტექნოლოგიები – გზა ეკოლოგიურად მდგრადი მომავლისკენ

21-ე საუკუნის გლობალურ გამოწვევებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კლიმატის ცვლილებას, ეკოლოგიურ კრიზისსა და ბუნებრივი რესურსების ამოწურვას. წიაღისეული საწვავის ინტენსიურმა გამოყენებამ, მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა, გამოიწვია მავნე ეკოლოგიური შედეგები და გაზარდა დედამიწის დაბინძურება. ასეთ ფონზე, განახლებადი ენერგიის წყაროები და მწვანე ტექნოლოგიები მიიჩნევა არამარტო ალტერნატივად, არამედ გარდაუვალ აუცილებლობად. განახლებადი ენერგიის ძირითადი წყაროები – მზის, ქარის, ჰიდროენერგია, ბიომასა და გეოთერმული ენერგია – ეფუძნება ბუნებრივად აღდგენად რესურსებს და უზრუნველყოფს ენერგიის წარმოების მდგრადობას. ამასთან ერთად, საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT) და ინტელექტუალური ენერგოსისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ენერგიის მოხმარების მონიტორინგში, ავტომატიზაციასა და ოპტიმიზაციაში. სოლარული პანელები, ქარის ტურბინები, ჭკვიანი ელექტრონული ქსელები, ენერგოეფექტური შენობების მართვის სისტემები, ელექტრომობილების ინფრასტრუქტურა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მართვის ალგორითმები ამ პროცესში ტექნოლოგიური პროგრესის უშუალო გამოხატულებაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონაცემთა ანალიტიკა და IoT ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს რეალურ დროში ვაკონტროლოთ ენერგომოხმარება, ვაწარმოოთ პროგნოზები და მივაღწიოთ რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას.

საქართველოსთვის ამ ტექნოლოგიური მიმართულებების განვითარება არა მხოლოდ ეკოლოგიური მდგრადობის, არამედ ენერგეტიკული დამოუკიდებლობის, ეკონომიკური ზრდისა და ინოვაციური გარემოს ჩამოყალიბებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

Giorgis Khatiashvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Kakashvili
Doctor, Professor

Renewable Green Technologies – the Path to an Ecologically Sustainable Future

Among the global challenges of the 21st century, particular importance is given to climate change, ecological crisis and the depletion of natural resources. Despite technological progress, the intensive use of fossil fuels has led to harmful ecological consequences and increased pollution of the Earth. Against this background, renewable energy sources and green technologies are considered not only an alternative, but also an inevitable necessity. The main sources of renewable energy – solar, wind, hydropower, biomass and geothermal energy – are based on naturally renewable resources and ensure the sustainability of energy production. Alongside this, information technologies (IT) and smart energy systems play an significant role in monitoring, automating and optimizing energy consumption. Solar panels, wind turbines, smart grids, energy-efficient building management systems, electric vehicle infrastructure, and artificial intelligence-based management algorithms are direct manifestations of technological progress in this process. Particularly note are data analytics and IoT technologies, which allow us to monitor energy consumption in real time, make predictions, and achieve maximum efficiency in resource use. For Georgia, the development of these technological directions is critically important not only for environmental sustainability, but also for energy independence, economic growth, and the formation of an innovative environment.

მარინა გობაძე, მარიამ ვერულიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კაკაშვილი
დოქტორი, პროფესორი

"ინოვაციური მიდგომა IT ინფრასტრუქტურაში – ღრუბლოვანი სერვისების გამოყენება

ღრუბლოვანი გამოთვლები წარმოადგენს ტექნოლოგიას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ინტერნეტის საშუალებით ვირტუალურ სერვერებზე შევინახოთ და ვმართოთ მონაცემები, პროგრამები და სხვა ციფრული რესურსები, ფიზიკური მოწყობილობების გარეშე. ტრადიციული ინფრასტრუქტურისგან განსხვავებით, ღრუბლოვანი ტექნოლოგია მომხმარებელს აძლევს მოქნილობას, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და ხარჯების შემცირებას, რადგან არ არის საჭირო სერვერებისა და მონაცემთა ცენტრების შეძენა და შენარჩუნება. ღრუბლოვანი გამოთვლები გამოიყენება სხვადასხვა მიზნით: მონაცემების სარეზერვო ასლების შექმნა, ვირტუალური სამუშაო სივრცეების შექმნა, პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება და განვითარება, დიდი მონაცემების

ანალიზი და ვებ-აპლიკაციების მართვა. ბიზნესს შეუძლია რამდენიმე წუთში განათავსოს აპლიკაციები გლობალურად და მოარგოს რესურსები საჭიროებისამებრ (ელასტიურობა).

ღრუბლოვანი სერვისები იყოფა სამ ძირითად მოდელად:

• IaaS (Infrastructure as a Service) – სთავაზობს მომხმარებელს სერვერებს, ქსელებსა და საცავ სივრცეს, რომლის მართვაც შესაძლებელია საჭიროებისამებრ.

• PaaS (Platform as a Service) – დეველოპერებს აძლევს შესაძლებლობას, კონცენტრირდნენ აპლიკაციის განვითარებაზე და არა ინფრასტრუქტურის მართვაზე.

• SaaS (Software as a Service) – უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის მზა აპლიკაციებზე წვდომას, როგორიცაა ელფოსტა ან დოკუმენტების მენეჯმენტი.

ამრიგად, ღრუბლოვანი გამოთვლები წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიურ გადაწყვეტას, რომელიც ამარტივებს ციფრული რესურსების მართვას, ზრდის სისტემის მოქნილობას და ამცირებს ხარჯებს. მისი გამოყენება საშუალებას აძლევს როგორც მცირე, ისე მსხვილ ორგანიზაციებს, ეფექტიანად გაუმკლავდნენ მონაცემთა ზრდას, უზრუნველყონ უსაფრთხოება და მუდმივი ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ციფრულ ეპოქაში წარმატებული საქმიანობისთვის.

Marina Gobadze, Mariam Verulidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Giorgi Kakashvili
Doctor, Professor

Innovative Approach in IT Infrastructure – Using Cloud Services

Cloud computing is a technology that allows us to store and manage data, applications, and other digital resources on virtual servers via the Internet, without the need for physical devices. Unlike traditional infrastructure, cloud technology provides users flexibility, optimal resource utilization, and cost reduction, as there is no need to purchase and maintain servers and data centers. Cloud computing is used for various purposes: creating backup copies of data, establishing virtual workspaces, testing and developing software, analyzing big data, and managing web applications. Businesses can deploy applications globally in just a few minutes and adjust resources as needed (elasticity).

Cloud services are divided into three main models:

• **IaaS (Infrastructure as a Service**) – offers users servers, networks, and storage space that can be managed as required.

• **PaaS (Platform as a Service)** – allows developers to focus on application development without having to manage the underlying infrastructure.

• **SaaS (Software as a Service)** – provides users access to ready-to-use applications, such as email or document management.

Thus, cloud computing represents a modern technological solution that simplifies the management of digital resources, increases system flexibility, and reduces costs. Its use enables both small and large organizations to effectively handle data growth, ensure security, and provide constant accessibility. Therefore, cloud technologies are becoming increasingly important for successful operations in the digital age.

სალომე დუმბაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ დონაძე
ასოცირებული პროფესორი

ფინანსური რისკების მართვის გადაწყვეტილებების ავტომატიზება Python-ის პლატფორმაზე

უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფინანსური რისკების მართვა ეკონომიკურ სივრცეში ისახება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად, ეს ყოველივე კი მიმდინარეობს ისეთი გარემოებების პარალელურად, როგორებიცაა: ბაზრის სიხშირის, არასტაბილურობისა და მასშტაბების ზრდა.

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფინანსური რისკების მართვის პროცესის ავტომატიზების მოდელის შემუშავება და აღნიშნულის პრაქტიკაში რეალიზება Python-ის პლატფორმის საშუალებით. ზემოთ აღნიშნული ხელშემწყობი ფაქტორია ფინანსური გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციისთვის და რისკების ეფექტურად შეფასებისთვის. მოცემული ნაშრომის კვლევისას გამოყენებულია სხვადასხვა მონაცემთა ანალიზის თანამედროვე მეთოდები, რისკის ანალიტიკური მოდელები და მანქანური დასწავლის მეთოდები.

პროექტის სამომავლო შედეგებს წარმოადგენს ის, რომ წარმატებით აღმოაჩინოს სხვადასხვა ფინანსური რისკი და მოახდინოს მოცემულის პრევენცია. აღსანიშნავია, რომ ფინანსური რისკების მართვის პროცესის ავტომატიზება Python-ის პლატფორმის საშუალებით, წარმოადგენს ეფექტურ და დროულ გადაწყვეტილებას ფინანსური სექტორისთის.

საკვანძო სიტყვები: მანქანური დასწავლა, Python, ფინანსური რისკები.

Salome Dumbadze
Batumi Shota Rustaveli State University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Mikheil Donadze
BSU Associate Professor

Automation of Financial Risk Management Decisions on the Python Platform

First and foremost, it is important to note that financial risk management has emerged as one of the key factors in the economic sphere. This process is evolving in parallel with circumstances such as increased market volatility, frequency, and scale. The main objective of this paper is to develop a model for the automation of financial risk management processes and to implement it in practice using the Python platform. The aforementioned approach contributes to the optimization of financial decision-making and the effective assessment of risks. This research employs modern data analysis techniques, analytical models for risk evaluation, and machine learning methods. The anticipated outcome of the project is the successful detection and prevention of various financial risks. It is worth emphasizing that automating financial risk management process using the Python platform is an efficient and timely solution for the financial sector.
Keywords: Machine Learning, Python, Financial Risks.



სექცია
SECTION

ბიზნესი და ტექნოლოგიები
BUSINESS AND TECHNOLOGY

ქვესექცია ტურიზმი
SUBSECTION TOURISM

მოხსენებათა რაოდენობა: 9
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: 13
The Number of Reporters:

ნინო ცისკარაძე, ანანო აბაშიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გასტრონომიული ტურიზმის ტენდენციები საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმი მხოლოდ ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას აღარ მოიცავს. მოგზაურებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანია ახალი კულტურის შეგრძნება, რაშიც გასტრონომიაც დიდ როლს ასრულებს. ეროვნულ კერძებისა და ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა ტურისტს ეხმარება უკეთ აღიქვას ქვეყნის ტრადიციები, ყოველდღიური ცხოვრება და ტრადიციული კერძების გემოები. საქართველო ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა, უძველესი ღვინის კულტურა, მრავალფეროვანი რეგიონული სამზარეულო და მასპინძლობის ტრადიცია ქვეყანას მიმზიდველს ხდის გურმანი მოგზაურებისთვის.

გასტროტურიზმი უკვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყნის ტურისტულ განვითარებაში. საქართველო გამორჩეულია თავისი მრავალფეროვანი სამზარეულოთი: რეგიონული კერძები, ტრადიციული ღვინის წარმოება, უნიკალური პროდუქცია და სტუმარმასპინძლობის კულტურა ქვეყანას მიმზიდველს ხდის გემოს მაძიებელი ტურისტებისთვის. თუმცა ამ სფეროს განვითარებასთან ერთად არსებობს რიგი პრობლემები და გამოწვევები: ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, პროდუქციის სტანდარტიზაცია და სანიტარული პირობები, ავთენტურობის დაკარგვის საფრთხე, მომსახურების ხარისხი და მცირე ცნობადობა, სუსტი მარკეტინგი – ქართული გასტრონომიული ტურიზმის პოპულარიზაცია არ ხდება აქტიურად.

გასტრომომიული ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან. მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების და ტრენინგების გაძლიერება, სანიტარული და ხარისხის სტანდარტების დანერგვა, ციფრული მარკეტინგის გამოყენება და ა. შ გასტრონომიული ტურიზმი საქართველოსთვის არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების, არამედ კულტურული იდენტობის გაძლიერების საშუალებაა. არსებული პრობლემების დაძლევით ქვეყანას შეუძლია მსოფლიო რუკაზე დაიკავოს ღირსეული ადგილი, როგორც გურმანული ტურიზმის ცენტრმა.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, გასტრონომია, სტანდარტები, მომსახურება, ხარისხი.

Nino Tsiskaradze, Anano Abashidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Lali Mikeladze
Doctor, Associate Professor

Gastronomic Tourism Trends in Georgia

In the modern world, tourism is no longer just about sightseeing. It is increasingly important for travelers to experience a new culture, and gastronomy plays a significant role in this process. Discovering national dishes and local cuisine helps tourists better understand the country's traditions, daily life, and authentic flavors.

Georgia is one of the most distinctive countries in this regard — its ancient wine culture, diverse regional cuisine, and tradition of hospitality make the country attractive to gourmet travelers. Gastronomic tourism has already become one of the important directions in the country's tourism development. Georgia is distinguished by its diverse cuisine: regional dishes, traditional wine production, unique products, and a culture of hospitality make the country attractive to taste-seeking tourists. However, along with the development of this sector, there are a number of problems and challenges: lack of infrastructure, standardization of products and sanitary conditions, the threat of loss of authenticity, poor service and low awareness, weak marketing - gastronomic tourism in Georgia is not being promoted actively. For the development of gastronomic tourism, it is necessary to take deliberate steps from both the state and the private sector. It is important to strengthen vocational education and training, introduce sanitary and quality standards, use digital marketing, etc. Gastronomic tourism is not only a means of economic development for Georgia, but also a way to strengthen its cultural identity. By overcoming existing problems, the country can take a worthy place on the world map as a center of gourmet tourism.

Keywords: tourism, gastronomy, standards, service, quality

ანი ჟუჟუნაშვილი, ეკა ბებია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ეროვნული სტატუსის არამატერიალურ ძეგლთა მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებაში

საქართველოს უნიკალური არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციული დღესასწაულები, რეწვის ტექნიკები, ფოლკლორი და კულინარია მსოფლიო მასშტაბით აღიარებას იმსახურებს. ამ რესურსების ეფექტური მართვა და მათი ინტეგრირება ტურისტულ სექტორში ქმნის შესაძლებლობას ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებისა და შემოსავლების გაზრდის მიმართულებით. საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ენიჭებათ როგორც ეროვნული, ასევე მსოფლიო მნიშვნელობის სტატუსი, რაც მათ დაცვასა და პოპულარიზაციას ემსახურება. აღნიშნული ძეგლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის განვითარებაში, როგორც ქვეყნის კულტურული იდენტობის, ასევე ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულსტატუსმინიჭებული არამატერიალური ძეგლების ტურისტულ პაკეტებში, რომლებიც დღევანდელი მდგომარეობით 72-ია, ინტეგრაციას ჯერ კიდევ სირთულეები ახლავს. ტურიზმის სფეროში მათი გამოყენება ხშირად ფრაგმენტულია და ზოგიერთ შემთხვევაში არც თუ ისე ეფექტური.

თანამედროვე ცხოვრების რიტმი და ურბანიზაცია ტრადიციული კულტურის დავიწყებას უწყობს ხელს. დაფინანსების ნაკლებობა ბევრ უნიკალურ ტრადიციას გადაშენების საფრთხეს უქმნის. ფიქსირდება ამ მიმართულებით ახალგაზრდების დაინტერესების დაბალი დონე. ამ გამოწვევების

დასაძლევად მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაფართოება - პოპულარიზაციის მიმართულებით გააქტიურება, საჭიროა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ჩართულობა, რათა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა არა მხოლოდ შენარჩუნდეს, არამედ განვითარდეს და მომავალი თაობებისთვისაც აქტუალური გახდეს.

წარმოდგენილ თემაში გაანალიზებულია საქართველოში ეროვნული სტატუსის მქონე არამატერიალური ძეგლების გავლენა ტურიზმზე. განხილულია წარმატებული შემთხვევები, სადაც მსგავსი ძეგლები ტურისტული პროდუქტების განვითარების საფუძველი გახდა (მაგალითად, ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიცია, ქართული მრავალხმიანობა და სხვა). ასევე, შეფასებულია არსებული გამოწვევები, როგორებიცაა არასაკმარისი მარკეტინგული აქტივობები, ინფრასტრუქტურული პრობლემები და განათლების საჭიროება ადგილობრივ მოსახლეობაში. არამატერიალური ძეგლების სწორად გამოყენება ტურისტული სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს. საჭიროა სახელმწიფოსი და კერძო სექტორის თანამშრომლობა, ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება და ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი არამატერიალური მემკვიდრეობის სრულფასოვანი ინტეგრირება ტურისტულ ინდუსტრიაში და მისი გრძელვადიანი სარგებლის მიღება.

საკვანძო სიტყვები: არამატერიალური, ტურიზმი, კულტურული, იდენტობა, სახელმწიფო.

Ani Zhuzhunashvili, Eka Bebia
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Lali Mikeladze
Doctor, Associate Professor

The Importance of National Status for Intangible Cultural Heritage in Tourism Development

Georgia's unique intangible cultural heritage, traditional holidays, craft techniques, folklore, and cuisine deserve worldwide recognition. Effective management of these resources and their integration into the tourism sector create opportunities to improve the country's international image and increase revenue.

In Georgia, intangible cultural heritage sites are granted the status of both national and world importance, which serves their protection and popularization. These monuments play an important role in the development of tourism, contributing to both the country's cultural identity and economic growth. Despite the fact that intangible cultural heritage sites have been granted national status, which currently number 72, their integration into tourism packages is still fraught with difficulties. Their use in the tourism sector is often fragmented and, in some cases not very effective.

The fast pace of modern life and urbanization contribute to the forgetting of traditional culture. Lack of funding puts many unique traditions at risk of extinction. There is a low level of interest among young people in this direction. To overcome these challenges, it is essential to expand efforts to promote intangible cultural heritage. Both local and international engagement are needed so that Georgia's cultural heritage is not only preserved, but also developed and made relevant for future generations.

The presented topic analyzes the impact of intangible cultural heritage sites with national status on tourism in Georgia. Successful cases are discussed where such sites have become the basis for the development of tourism products (For example, the tradition of qvevri winemaking, Georgian polyphony, etc.) Also, existing challenges are assessed, such as insufficient marketing activities, infrastructure issues, and the need for education among the local population.

Proper use of intangible heritage represents significant potential for the development of the tourism sector. It requires cooperation between the state and the private sector, development of effective marketing strategies, and diversification of tourism products. Only through this approach will it be possible to fully integrate intangible heritage into the tourism industry and ensure its long-term benefits.

Keywords: intangible, tourism, cultural, identity, state.

ლევან თოდუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გივი ყუფარაძე
პროფესორი

ქართული სათხილამურო კურორტები და მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკები

სამთო-სათხილამურო ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და მოთხოვნადი მიმართულებაა მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე. იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს უქმნის როგორც ტურისტულ ინდუსტრიას, ისე მთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას. საქართველო, როგორც კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული მიმართულება, დიდი პოტენციალით გამოირჩევა ზამთრის ტურიზმის განვითარებისთვის. სათხილამურო კურორტები – გუდაური, ბაკურიანი, მესტია და გოდერძი – ქმნიან ქვეყნის ზამთრის ტურიზმის ბირთვს და იქცევენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურისტების მზარდ ინტერესს. მიუხედავად ბუნებრივი პირობებისა და კლიმატური რესურსების სიმრავლისა, აღნიშნულ კურორტებს ჯერ კიდევ სჭირდება გაუმჯობესება ინფრასტრუქტურის, მომსახურების ხარისხის და მდგრადი განვითარების მიმართულებით. მსოფლიოს სამთო-სათხილამურო კურორტებს მრავალწლიანი გამოცდილება, მაღლი ინფრასტრუქტურული სტანდარტები და ფართო ტურისტული სერვისები გააჩნიათ. აუცილებელია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გადმოტანა და მათი ინტეგრირება ქართულ რეალობაში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი კურორტების განვითარებასა და მათი კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას გლობალურ ტურისტულ ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: კურორტები, საქართველო, მსოფლიო, ტურიზმი, რესურსები.

Levan Todua
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Givi Kuparadze
Professor

Georgian Ski Resorts and the World's Best Practices

Mountain-ski tourism is one of the most developed and in-demand sectors in the global tourism market. It brings significant economic benefits both to the tourism industry and to the populations living in mountainous regions. Georgia, as one of the most prominent tourist destinations in the Caucasus region, holds great potential for the development of winter tourism. Ski resorts such as Gudauri, Bakuriani, Mestia, and Goderdzi form the core of the country's winter tourism sector and attract increasing interest from both local and international tourists. Despite the abundance of natural conditions and climatic resources, these resorts still require improvements in infrastructure, service quality, and sustainable development. Ski resorts around the world have decades of experience, high infrastructural standards, and a wide range of tourist services. It is essential to adopt and integrate the best practices from global destinations into the Georgian context, which will support the development of local resorts and strengthen their competitiveness in the global tourism market.

Keywords: resorts, Georgia, world, tourism, resources.

მარიამ ლუკავა, დავით დოღონაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ინოვაციური სასტუმროს კონცეფცია მცხეთის ტურისტულ რეგიონში.

ინოვაციური კონცეფციები სასტუმრო ინდუსტრიაში მუდმივად ვითარდება, რათა დააკმაყოფილოს სტუმრების მზარდი მოლოდინები, ტექნოლოგიური პროგრესი და მდგრადი განვითარების მიზნები. საქართველოში სასტუმრო მომსახურებაში ინოვაციური მომსახურების სიმწირეა, შესაბამისად, საკონფერენციო თემაში წარმოდგენილია ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი – სასტუმრო კონცეფცია ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანებისთვის, რომლის განთავსებაც განისაზღვრა დედაქალაქთან ახლოს - მცხეთაში, თეატრონის ტერიტორიაზე. იდეა ეფუძნება პოტენციურ ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებთან განხორციელებულ კვლევის ანალიზს. თერაპიული ინოვაციური სასტუმროს („ჰარმონია“ კონცეფციის მიზანს წარმოადგენს სტრესისგან, დეპრესიისგან, შფოთვითი აშლილობისგან ან ემოციური გადატვირთვისგან დაზარალებული ადამიანებისთვის უსაფრთხო, დამამშვიდებელი და მკურნალობაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

მომსახურების ძირითადი მახასიათებლებია: მინიმალისტური დიზაინი – ფერების ფსიქოლოგიური გავლენა (მშვიდი, ბუნებრივი ტონალობები). სენსორული თერაპია – არომათერაპია, რბილი განათება, მუსიკალური ფონური ხმები (ნაკადული, ფრინველების ხმა). სპეციალიზებული პერსონალი, ყოველდღიური ჯგუფური სეანსები (არტ-თერაპია, მინდვრის თერაპია, მედიტაცია); მცხეთის კულტურულ-ბუნებრივ გარემოში- ჩართულობა-ტყის სეირნობა, ნელ სუფთა ჰაერზე, სუნთქვის სეანსები (Forest Bathing) აგროთერაპია; ფუნქციური კვება – დოპამინის და სეროტონინის დონის გამაძლიერებელი მენიუ.

ფსიქოლოგიურ პრობლემებზე ორიენტირებული, თერაპიული ტიპის ინოვაციური სასტუმრო „ჰარმონის“ კონცეფცია საქართველოსთვის შეიძლება გახდეს ერთდროულად სოციალური, ეკონომიკური და ტურიზმის განვითარების განმაპირობებელი ფაქტორი.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, კონცეფცია, ინოვაცია, თერაპია, მცხეთა.

Mariam Lukava, Davit Doghonadze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Lali Mikeladze
Doctor, Associate Professor

Innovative Hotel Concept in the Tourist Region of Mtskheta

Innovative concepts in the hotel industry are constantly evolving to meet the growing expectations of guests, technological advancements, and sustainable development goals. In Georgia, there is a lack of innovative services in the hospitality sector. Therefore, this conference topic presents a very important and interesting idea — a hotel concept designed specifically for individuals with psychological difficulties. The chosen location is near the capital, in the Theatron area of Mtskheta. The concept is based on the analysis of research conducted among both local and international potential visitors. The purpose of the therapeutic and innovative hotel — the "Harmony" concept — is to create a safe, calming, and treatment-focused environment for individuals suffering from stress, depression, anxiety disorders, or emotional burnout. Key features of the service include: **Minimalist design**– using the psychological impact of colors (calm, natural tones) **Sensory therapy**– aromatherapy, soft lighting, and soothing background sounds (e.g., stream water, birdsong) **Specialized staff** – **daily group sessions** (art therapy, nature-based therapy, meditation) **Connection with Mtskheta's natural and cultural environment**– forest walks, slow breathing sessions in fresh air (forest bathing), agrotherapy **Functional nutrition** – a menu designed to support and boost dopamine and serotonin levels

This therapeutic, psychology-focused hotel -the "Harmony" concept — has the potential to become a key driver for social, economic, and tourism development in Georgia.

Keywords: Tourism, Concept, Innovation, Therapy, Mtskheta.

ლალი პოღოსოვი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ახალაია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ციფრული ინოვაციები MICE ტურიზმში: ვირტუალური და ჰიბრიდული ფორმატების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

MICE ტურიზმი თანამედროვე ციფრული ეპოქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ყალიბდება, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ღონისძიებების დაგეგმვასა და მართვაში. ციფრული ტრანსფორმაცია MICE ინდუსტრიაში არა მხოლოდ პროცესების ავტომატიზაციასა და მოქნილობას უზრუნველყოფს, არამედ ქმნის ახალ სტანდარტებს მომხმარებელთა გამოცდილებისა და ინკლუზიურობის კუთხით. ვირტუალური და ჰიბრიდული ფორმატები ხელს უწყობს გლობალური აუდიტორიის ჩართულობას, ხარჯების შემცირებასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ტექნოლოგიები, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტი, ვირტუალური და გაფართოებული რეალობა, ბლოკჩეინი და დიდი მონაცემების ანალიზი, MICE ტურიზმს ახალი შესაძლებლობებით ამდიდრებს. პლატფორმები, როგორებიცაა Zoom და Microsoft Teams, უზრუნველყოფენ ინტერაქტიულ სივრცეებს, რაც აუმჯობესებს მონაწილეთა ჩართულობას. ამასთან, ჩატბოტები და ვირტუალური ასისტენტები ზრდიან მომსახურების ეფექტურობას. საქართველოში, მიუხედავად ინფრასტრუქტურული გამოწვევებისა, აქტიურად ვითარდება ჰიბრიდული ღონისძიებების პრაქტიკა, რაც ქვეყანაში ტურიზმის სექტორის გლობალურ ინტეგრაციასა და ციფრული ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. ვირტუალური გამოფენები, ონლაინ ინფოტურები და ჰიბრიდული ფორუმები ახალი სტრატეგიული მიმართულებების საფუძველს ქმნის, რაც MICE ინდუსტრიას არა მხოლოდ ადაპტაციას, არამედ პროგრესს და კონკურენტუნარიანობასაც ანიჭებს.

საკვანძო სიტყვები: MICE, ინდუსტრია, ციფრული, მართვა, ტრანსფორმაცია.

Lali Poghosovi
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nana Akhalaia
Doctor, Associate Professor

Digital Innovations in MICE Tourism: Opportunities for the Development of Virtual and Hybrid Formats in Georgia

MICE tourism is becoming one of the key sectors of the modern digital era, where technological progress plays a crucial role in the planning and management of events. Digital transformation in the MICE industry not only ensures process automation and flexibility but also establishes new standards in terms of customer experience and inclusivity. Virtual and hybrid formats promote global audience engagement, cost reduction, and the achievement of sustainable development goals. Technologies such as artificial intelligence, virtual and augmented reality, blockchain, and big data analysis enrich MICE tourism with new opportunities.

Platforms like Zoom and Microsoft Teams provide interactive spaces that enhance participant engagement. Additionally, chatbots and virtual assistants improve the efficiency of service delivery. Despite infrastructural challenges, the practice of hybrid events is actively developing in Georgia, contributing to the global integration of the tourism sector and the advancement of digital tourism. Virtual exhibitions, online info tours, and hybrid forums form the basis for new strategic directions, making the MICE industry not only adaptive but also progressive and competitive.

Keywords: MICE, industry, digital, management, transformation.

მარიამ შენგელია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ახალაია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

MICE ტურიზმში ღონისძიებების ორგანიზების გამოწვევები და მომავლის პერსპექტივები

MICE ტურიზმი (Meetings, Incentives, Conferences, Exhibitions) წარმოადგენს ბიზნეს ტურიზმის ერთ-ერთ წამყვან და სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, მათ შორის კონფერენციებს, გამოფენებს, ინცენტივების ტურებსა და საქმიან შეხვედრებს. ბოლო წლებში თბილისი აქტიურად ვითარდება ამ სექტორში და ცდილობს მიაღწიოს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან პოზიციას, შექმნას თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მობილიზება მოახდინოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებზე.

კვლევის მიზანია გააანალიზოს თბილისში ჩატარებული საერთაშორისო MICE ღონისძიებების პრაქტიკული მაგალითები, გამოავლინოს მენეჯმენტის პროცესში არსებული ძირითადი გამოწვევები, როგორებიცაა ინფრასტრუქტურის შეზღუდვები, საკომუნიკაციო და საორგანიზაციო ხარვეზები, ასევე კადრების კვალიფიკაციის დეფიციტი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ღონისძიებების ეფექტურობას და საერთაშორისო დონეზე კონკურენციის უნარს. პრობლემების ფონზე, აუცილებელია თანამედროვე მიდგომებისა და სტრატეგიების დანერგვა, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო მენეჯმენტის სტანდარტებს და, რომლებიც შეძლებენ უფრო ეფექტურად შეეხამონ ლოკალურ რეალობასა და გლობალურ მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადამიანური რესურსების კვალიფიკაციასა და კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს MICE ტურიზმის განვითარებას როგორც თბილისის, ასევე საქართველოსთვის. ამ თემის გააზრება დაეხმარება არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი საქართველოს MICE სექტორის მდგრად განვითარებას, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს ქვეყნის პოზიციონირებას გლობალურ ტურისტულ ბაზარზე და ხელს შეუწყობს ეკონომიკური და კულტურული წვლილის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო, კონკურენტუნარიანი, ტურიზმი, MICE, სტრატეგიები.

Mariam Shengelia
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nana Akhalaia
Doctor, Associate Professor

Challenges and Future Prospects of Organizing Events in MICE Tourism

MICE tourism (Meetings, Incentives, Conferences, Exhibitions) is one of the leading and strategic sectors of business tourism, encompassing a wide variety of events including conferences, exhibitions, incentive tours, and corporate meetings. In recent years, Tbilisi has been actively developing in this field, aiming to establish itself as a competitive destination in the international market by creating modern infrastructure and mobilizing both local and international organizations. The purpose of this study is to analyze practical examples of international MICE events held in Tbilisi, highlighting the key challenges faced in event management, such as infrastructure limitations, communication and organizational flaws, as well as a shortage of qualified personnel, which significantly hampers the effectiveness of events and the city's ability to compete on a global scale. In light of these challenges, it is crucial to introduce modern approaches and strategies based on international management standards, while also aligning them with local realities. Particular attention should be given to the development of infrastructure, the qualification of human resources, and enhancing communication systems, which will facilitate the growth of MICE tourism in Tbilisi and Georgia as a whole. Understanding this topic will contribute to the sustainable development of the MICE sector, not only in Tbilisi but throughout Georgia, ensuring the country's positioning in the global tourism market and enhancing its economic and cultural influence.

Keywords: international, competitive, tourism, MICE, strategies.

ქეთი ქარქაშაძე, მარიამ მედოიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ინკლუზიური ტურიზმის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში

ინკლუზიური ტურიზმი 21-ე საუკუნეში ერთ-ერთი მთავარი ტენდენციაა, რომელიც ტურისტულ ინდუსტრიას უფრო ხელმისაწვდომს და თანასწორს ხდის ყველასთვის, მათ შორის სსმპ, შშმ პირებისთვის, ხანდაზმულებისთვის, ბავშვებისთვის. ინკლუზიური ტურიზმი გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ყველას საშუალებას აძლევს თავისუფლად იმოგზაუროს, დამოუკიდებლად გადაადგილდეს და სრულფასოვნად ისარგებლოს ტურისტული სერვისებით. ეს მოიცავს ინფრასტრუქტურას, ტრანსპორტს, სასტუმროებს, ტურისტულ ატრაქციონებს და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამარტივებს გადაადგილებასა და კომუნიკაციას.

საქართველოში ინკლუზიურ ტურიზმს რამდენიმე ძირითადი გამოწვევა აქვს, რომლებიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ტურისტული გარემოს სრულყოფილად ადაპტირებას. ეს გამოწვევები მოიცავს ინფრასტრუქტურულ ბარიერებს, ნაკლებადადაპტირებულ ტურისტულ სერვისებს, ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა ნაკლებ ცნობიერებას და ასევე მნიშვნელოვანია კანონმდებლობის შესრულების პრობლემები – მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვას, რეალობაში ნორმების აღსრულება ხშირად არაეფექტურია. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ინკლუზიური ტურიზმის განვითარება არა მხოლოდ ამცირებს დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს თანასწორ პირობებს, არამედ ეკონომიკურადაც მომგებიანია, რადგან ტურისტული ინდუსტრია უფრო ფართო აუდიტორიას მოიცავს.

კვლევაში გაანალიზებულია პოლიტიკის, ტექნოლოგიისა და ინოვაციების როლი, რომლებიც ხელს უწყობენ ინკლუზიურ გარემოს. 21-ე საუკუნეში ტურიზმი უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, რაც ერთდროულად ჰუმანური, ეკონომიკურად მომგებიანი და გლობალური განვითარების ნაწილი გახდება. საქართველოში ინკლუზიური ტურიზმის გაძლიერებისთვის აუცილებელია მრავალმხრივი თანამშრომლობა – სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და საზოგადოების ჩართულობა. შემუშავებული რეკომენდაციები მოიცავს ტურისტული ობიექტების ადაპტირებას, პერსონალის სწავლებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური ტურიზმის მდგრად განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის, მდგრადი, ინკლუზიური, პოლიტიკა, ადაპტირებული.

Ketevan Karkashadze, Mariam Medoidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Lali Mikeladze
Doctor, Associate Professor

Challenges and Perspectives of Inclusive Tourism in Georgia

Inclusive tourism has become a significant trend in the 21st century, aiming to make the tourism industry more accessible and equitable for everyone, including individuals with disabilities, the elderly, children and individuals with special needs. This approach focuses on creating environments that allow all individuals to travel freely, move independently, and fully enjoy tourism services. It encompasses infrastructure, transportation, hotels, tourist attractions, and technological solutions that facilitate mobility and communication. In Georgia, the development of inclusive tourism faces several key challenges that hinder the full adaptation of the tourism environment for people with disabilities. These challenges include infrastructural barriers, a lack of adapted tourist services, a lack of awareness among tourism sector employees, and issues with the enforcement of legislation. Although Georgian law provides for the protection of the rights of people with disabilities, the implementation of these norms is often ineffective. Research indicates that the development of inclusive tourism not only reduces discrimination and ensures equal conditions but is also economically beneficial, as it broadens the tourism industry's audience. The role of policy, technology, and innovation is analyzed in promoting an inclusive environment. In the 21st century, tourism should be accessible to all, becoming simultaneously humane, economically advantageous, and part of global development. Strengthening inclusive tourism in Georgia requires multi-faceted cooperation

between the state, private sector, and society. The developed recommendations include adapting tourist facilities, training personnel, and improving information accessibility, all of which will contribute to the sustainable development of inclusive tourism.

Keywords: tourism, sustainable, inclusive, policy, adapted.

ალექსანდრე ახალკაციშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ახალაია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

MICE ტურიზმი საქართველოში

ნაშრომი მოიცავს MICE ანუ საქმიანი ტურიზმის ახლანდელ მდგომარეობას და ამ სექტორის განვითარების პოტენციალს საქართველოში. განხილულია ძირითადი ინფრასტრუქტურა, მათ შორის საკონფერენციო ცენტრები, სასტუმროები და ტრანსპორტი. კვლევის ფარგლებში შესწავლილია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოთხოვნის ტენდენციები, ტურისტული ნაკადების ზრდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. შედეგები მოწმობს, რომ საქართველომ ბოლო წლებში მიიპყრო ყურადღება როგორც მიმზიდველმა MICE მიმართულებამ, თუმცა კვლავ არსებობს სუსტი მხარეები, როგორებიცაა ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, მარკეტინგის სიმცირე, ცნობადობა და ა.შ. ნაშრომში განხილულია MICE ტურიზმის გავლენა რეგიონულ ეკონომიკაზე. მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურისტული სექტორის სტრატეგიულ განვითარებას და პოზიციონირებას, როგორც კონკურენტუნარიანი MICE დესტინაცია.

დღეს საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი, რომ ჩამოყალიბდეს, როგორც რეგიონული MICE (Meetings, Incentives, Conferences, and Exhibitions) ჰაბი, რასაც განაპირობებს სტრატეგიული მდებარეობა – ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს ხიდს ევროპასა და აზიას შორის, რაც მას რეგიონული და საერთაშორისო ღონისძიებებისთვის ხელსაყრელ ლოკაციად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, MICE, ჰაბი, დესტინაცია, ინოვაციური.

Aleksandre Akhalkatsishvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nana Akhalaia
Doctor, Associate Professor

MICE Tourism in Georgia

The research covers the current state of MICE (Meetings, Incentives, Conferences, Exhibitions) tourism and its development potential in Georgia. It discusses the key infrastructure, including conference centers, hotels,

and transportation. The research examines both local and international demand trends, as well as the positive and negative aspects of growing flows of tourist. The findings show that Georgia has recently attracted attention as a promising MICE destination, but there are still weaknesses, such as a lack of infrastructure, marketing shortcomings, and low visibility. Content also examines the impact of MICE tourism on the regional economy. Recommendations are provided to support strategic development of the tourism sector in the country and help position Georgia as a competitive MICE destination.

Today, Georgia has great potential to emerge as a regional MICE (Meetings, Incentives, Conferences, and Exhibitions) hub, driven by its strategic location – Georgia is a bridge between Europe and Asia, making it a favorable location for regional and international events.

Keywords: tourism, MICE, hub, destination, innovative.

ნინო კარტოზია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ტურიზმი ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყაროა საქართველოს ეკონომიკისთვის. ტურისტები ხარჯავენ ფულს სასტუმროებში, რესტორნებში, ტრანსპორტზე, ექსკურსიებზე და სხვა სერვისებზე, რაც ქმნის შემოსავალს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორისთვის (მაგ. გადასახადების მეშვეობით). ტურიზმის ეროვნული ადნიმისტრაციის 2024 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 7.4 მილიონი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა. ზრდა წინა წელთან შედარებით 4.2%. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა რეკორდულ მაჩვენებელს 4.4 მილიარდ აშშ. დოლარს მიაღწია, რაც 2023 წლის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია 7.3%-ით. ტურიზმის სექტორი ქმნის ათასობით სამუშაო ადგილს, განსაკუთრებით ქვეყნის რეგიონებში, სადაც ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობა ნაკლებად განვითარებულია. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდობის და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მიგრაციის შესუსტებას.

ტურიზმი საქართველოს კულტურის, ტრადიციების, სამზარეულოსა და სტუმართმოყვარეობის მსოფლიო არენაზე პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ეს ზრდის ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს და გავლენას. კმაყოფილი საერთაშორისო ვიზიტორები ხშირად ხდებიან ქვეყნის "ელჩები", ისინი თავიანთ გამოცდილებას სხვებს უზიარებენ, რაც ზრდის საქართველოს პოპულარობას. თუ ტურიზმი სწორად დაიგეგმება და განხორციელდება, ის შეიძლება გახდეს ქვეყნის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი, დაეხმარება გარემოს დაცვას, კულტურის შენარჩუნებას და ეკონომიკის დაბალანსებულ ზრდას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ვიზიტორები, სტატისტიკა, იმიჯი, ეკონომიკა.

Nino Kartozia
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Lali Mikeladze
Doctor, Associate Professor

Prospects for Tourism Development in Georgia

Tourism is one of the main sources of income for Georgia's economy. Tourists spend money in hotels, restaurants, transport, excursions and other services, which generates income for both the private and public sectors (e.g. through taxes). According to the National Tourism Administration, 7.4 million international travelers visited Georgia in 2024. This is an increase of 4.2% compared to the previous year. Revenue from international travel reached a record high of 4.4 billion USD, which is an increase of 7.3% compared to 2023. The tourism sector creates thousands of jobs, especially in regions of the country where alternative economic activities are less developed. This contributes to the employment of youth and the local population and reduces migration.

Tourism contributes to the promotion of Georgian culture, traditions, cuisine and hospitality on the world stage. This increases the country's international image and influence. Satisfied international visitors often become "ambassadors" of the country, sharing their experiences with others, which increases Georgia's popularity. If properly planned and implemented, tourism can become an important part of a country's sustainable development, helping to protect the environment, preserve culture, and achieve balanced economic growth.

Keywords: Georgia, visitors, statistics, image, economy.



სექცია
SECTION

ბიზნესი და ტექნოლოგიები
BUSINESS AND TECHNOLOGY

ქვესექცია ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრები)
SUBSECTION BUSINESS ADMINISTRATION (UNDERGRADUATE PROGRAMS)

მოხსენებათა რაოდენობა:
The Number of Reports: **14**

მომხსენებელთა რაოდენობა:
The Number of Reporters: **18**

თამარ გოგოლაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა მჭედლიშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ხელოვნური ინტელექტის გავლენა ბუღალტრულ აღრიცხვაზე

ბუღალტრული აღრიცხვა ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რის შედეგადაც ხელოვნური ინტელექტი (AI) ერთ-ერთი მთავარი იარაღი გახდა ფინანსური პროცესების ოპტიმიზაციისთვის. მისი გამოყენება ამარტივებს მონაცემთა დამუშავებას, ამცირებს შეცდომების რაოდენობას და ზრდის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეს. AI-ის დანერგვით შესაძლებელია დოკუმენტების ავტომატური სკანირება და კლასიფიცირება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხელით შრომას და ზრდის მონაცემთა დამუშავების სისწრაფეს. ასევე, ალგორითმები ახორციელებენ ფინანსურ პროგნოზირებასა და რისკების მართვას, რაც კომპანიებს ეხმარება უკეთესად შეაფასონ მომავალი ფინანსური ტრენდები და მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებები.

თანამედროვე AI სისტემები ავტომატურად ამზადებენ ფინანსურ ანგარიშებს, რაც ამარტივებს ბიუჯეტირებას და აუმჯობესებს ფინანსური დაგეგმვის პროცესს. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი ეფექტურად გამოიყენება გადასახადების მართვაში, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილონ გადასახადებთან დაკავშირებული შეცდომები და ზედმეტი ხარჯები. AI ასევე აქტიურად გამოიყენება ბლოკჩეინ ტექნოლოგიებთან ერთად, რაც ზრდის ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობას და უსაფრთხოებას. ბუღალტრული პროგრამები, როგორიცაა QuickBooks, უკვე იყენებენ AI-ს ტრანზაქციების ავტომატური კატეგორიზაციის, გადასახადების მართვისა და მომხმარებლის დახმარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა ამ მიმართულებით, AI-ს დანერგვის პერსპექტივა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის განსაკუთრებით დიდ შესაძლებლობებს ქმნის. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბუღალტრული აღრიცხვა უფრო მოქნილი, სწრაფი და ზუსტი ხდება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობას.

Tamar Gogoladze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Manana Mchedlishvili
Doctor, Associate Professor

The Impact of Artificial Intelligence on Accounting

Accounting is undergoing significant transformation in parallel with technological progress, making Artificial Intelligence (AI) one of the key tools for optimizing financial processes. Its application simplifies data processing, reduces errors, and enhances the accuracy of financial reporting. The implementation of AI allows for the automatic scanning and classification of documents, which significantly reduces manual labor and accelerates data processing. Furthermore, algorithms enable financial forecasting and risk management, helping companies to better assess future financial trends and make more informed decisions. Modern AI systems automatically generate financial reports, streamlining budgeting and improving the overall financial

planning process. Additionally, AI is effectively utilized in tax management, allowing companies to avoid errors and unnecessary expenses related to taxes. AI is also increasingly integrated with blockchain technologies, which enhances the transparency and security of financial transactions. Accounting software, such as QuickBooks, already employs AI for automatic transaction categorization, tax management, and customer assistance. Although Georgia is still in the developmental phase in this area, the prospects of AI adoption present significant opportunities for small and medium-sized businesses. By utilizing modern technologies, accounting becomes more flexible, faster, and more accurate, significantly improving the efficiency of financial management.

თამუნა შაინიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ დუდაური
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ინოვაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობა კომპანიის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესებაში

ინოვაციური ეკონომიკა გახდა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება. იგი უნდა განხორციელდეს გლობალიზაციისა და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული კომპანიების სულ უფრო მზარდი რაოდენობის შესვლის პირობებში. ამავდროულად, 21-ე საუკუნეში საქართველოში ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი ფაქტორია სამეცნიერო ცოდნის, ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და სერვისების განვითარება. ამასთან დაკავშირებით, აშკარა ხდება, რომ ქართული კომპანიების წარმატებით განვითარების უპირველესი ამოცანაა, პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად, ფუნდამენტურად ახალი წარმოებისა და ინოვაციური მიდგომის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურ-ეკოლოგიურ ეფექტებს ინოვაციური ეკონომიკის პირობებში. აღნიშნული მიდგომის საფუძველია კომპანიის ეფექტიანი საწარმოო და ინოვაციური საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკურ სახეს, რომელიც მიმართულია ინოვაციების შექმნაზე, განხორციელებაზე, განაწილებაზე, მოხმარებაზე და განახლებაზე. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში ქართული კომპანიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას.

Tamuna Shainidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tamar Dudauri
Doctor, Associate Professor

The Importance of Innovative Technologies in Improving the Efficiency of Company Management

Innovative economy has become an important direction of Georgia's economic policy. It must be implemented in the context of globalization and the entry of an increasing number of Georgian companies into international markets. At the same time, the development of scientific knowledge, new technologies, products, and services is a determining factor in the formation of a new model of economic growth in Georgia in the 21st century. In this regard, it becomes clear that the primary task for the successful development of Georgian companies is to develop a fundamentally new production and innovative approach aimed at solving practical problems, which will ensure socio-economic, financial, and socio-ecological effects in the conditions of an innovative economy. The basis of this approach is the company's effective production and innovation activities, which are a specific type of economic activity aimed at the creation, implementation, distribution, consumption and renewal of innovations. Therefore, under modern conditions, the use of innovative technologies holds particular importance in improving the efficiency of company management in Georgia.

ნინო სიხარულიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ დუდაური
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ხარისხის მენეჯმენტის სისიტემის როლი და მნიშვნელობა კომპანიის მართვის პროცესში

პროდუქციის ხარისხზე მოთხოვნების უწყვეტი ზრდის, მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე ორიენტირების თანამედროვე პირობებში წარმოიშვება კომპანიის მმართველობის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობისა და დასაბუთებულობის გაზრდის მოთხოვნილება. ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორებიცაა იაპონია, აშშ და გერმანია, დამაჯერებლად მეტყველებს ხარისხის მართვის სისტემების დანერგვის წარმატებაზე, რომლებიც დაფუძნებულია ხარისხისა და ეფექტურობის გაზრდის მუდმივ გაუმჯობესებაზე. თანამედროვე ეტაპზე, კომპანიის სტაბილურობის, სანდოობისა და პერსპექტივის დამადასტურებელ დოკუმენტებს, როგორებიცაა ფინანსური ანგარიშგება და სტრატეგიული ბიზნეს-გეგმა, დაემატა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობის ISO სერტიფიკატი.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ძირითად მიზანს წარმოადგენს დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მიმდინარე და მოსალოდნელი მოთხოვნილებები კომპანიის ყველა თანამშრომლის მონაწილეობითა და კომპანიის ხელმძღვანელობის წამყვანი როლით ხარისხის მართვის სისტემაში. ეს სისტემა ეხმარება კომპანიებს დარჩნენ კონკურენტუნარიანი და წარმატებული არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო ბაზრებზეც.

Nino Sikharulidze
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tamar Dudauri
Doctor, Associate Professor

The Role and Importance of the Quality Management System in the Company's Management Process

In modern conditions of continuous growth of requirements for product quality, and orientation towards maximum satisfaction of consumer needs, there is a need to increase the efficiency and justification of decisions made in the field of company management. The experience of countries such as Japan, the USA, and Germany convincingly demonstrates the success of implementing quality management systems based on increasing quality, efficiency, and continuous improvement. At the current stage, documents confirming the stability, reliability and prospects of the company, such as financial statements and a strategic business plan, have been supplemented by an ISO certificate of compliance of the quality management system with the requirements of international standards. The primary goal of the quality management system is to meet the current and expected needs of customers with the participation of all company employees and the leading role of the company's management in the quality management system. This system helps companies remain competitive and successful not only in the Georgian but also internationally.

სალომე ასათიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ზაზაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ხელოვნური ინტელექტის როლი ბიზნესში

ბიზნესის ცნებამ ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ევოლუციური ცვლილებები განიცადა. თანამედროვე ეპოქაში ბიზნესის განვითარებაში გარდამტეხ როლს ასრულებს ხელოვნური ინტელექტი (AI). თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ხელოვნური ინტელექტი (AI) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური მიღწევაა, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება. მისი შესაძლებლობები ყოველდღიურად ფართოვდება და გარდაქმნის ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ინდუსტრია, ფინანსები, განათლება, მედიცინა, მედია და სამართლებრივი სისტემები. მიმდინარე ტექნოლოგიური პროგრესი ჩამოთვლილ სტრუქტურებში მნიშვნელოვან ცვლილებებს განაპირობებს.

ოცდამეერთე საუკუნეში AI-ის როლი უკიდურესად გაიზარდა. დღევანდელი სამყარო ხელოვნური ინტელექტის გარეშე წარმოუდგენელია. იგი ჩვენი არსებობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამაზე მეტყველებს AI-ის გლობალური ბაზარი, რომელიც დღეს მილიარდობით დოლარს შეადგენს.

ნაშრომის აქტუალობა: ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა განვითარებამ და მისი ინტეგრაციით გამოწვეულმა ცვლილებებმა საფუძვლიანად გარდაქმნა თანამედროვე ბიზნეს გარემო. ტექნოლოგიური პროგრესი ქმნის როგორც ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის, ისე ახალ გამოწვევებს ადამიანური კაპიტალის, ეთიკისა და ეკოლოგიის მიმართულებით. ამ კონტექსტში, აქტუალურია გაანალიზდეს, თუ როგორ ცვლის AI ეკონომიკურ პროცესებს ბიზნესში, რაც დაკავშირებულია ავტომატიზაციასთან, მომხმარებელთან ურთიერთობასთან, კიბერუსაფრთხოებასა და ხარჯების ოპტიმიზაციასთან. ნაშრომში ასევე იდენტიფიცირებულია ის გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს AI-ის მასობრივ დანერგვას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კომპანიების სტრატეგიულ განვითარებაზე. ნაშრომის კვლევის მიზანია შეისწავლოს ხელოვნური ინტელექტის გავლენა ბიზნეს-პროცესებზე, მისი პრაქტიკული გამოყენების ფორმები და ბიზნესში AI-ის გამოყენების დადებითი და უარყოფითი შედეგები. წარმოდგენილი საკონფერენციო ნაშრომის კვლევის საგანია ხელოვნური ინტელექტის (AI)-ის გავლენა ბიზნეს-სექტორზე. კვლევის დროს ნაშრომში განხილულია წარმატებული კომპანიების მაგალითები (Starbucks, Netflix, Tesla, Google), გაანალიზებულია უახლესი სტატისტიკური მონაცემები, ლიტერატურა და ექსპერტთა შეფასებები. დასკვნის სახით, კვლევამ აჩვენა, რომ AI ბიზნესისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც ამაღლებს ბიზნეს საქმიანობის ეფექტიანობას, ზრდის მომხმარებელთა კეთილდღეობას და აძლიერებს კონკურენტულ უპირატესობას. ამავდროულად, არსებობს რისკი, რაც დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტით ადამიანური რესურსების ჩანაცვლებასთან, კერძოდ კი სამუშაო ადგილების შემცირების საფრთხესთან.

რეკომენდაციის სახით, მნიშვნელოვანია პრობლემისადმი პასუხისმგებლიანი მიდგომა, რათა მოხდეს მომავალში ადამიანური რესურსების ეფექტიანი გადამზადება და მათი ინტელექტის სწორი მიმართულებით გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ზეგავლენის ეკოლოგიური კონტროლი და ბიზნესის ეთიკური სტანდარტების შენარჩუნება. უნდა გვახსოვდეს, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების კეთილდღეობას და ბიზნესის მდგრად განვითარებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება AI-ის გამოყენება სასარგებლო.

Salome Asatiani
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nana Zazadze
Doctor, Associate Professor

The Role of Artificial Intelligence in Business

The concept of business has undergone significant evolutionary changes over time, especially with the development of industry—evolving from primitive barter-based exchanges to organized, structured, and profit-oriented economic activities involving the production, marketing, and sale of goods and services. In today's modern era, artificial intelligence (AI) plays a transformative role in business development. In contemporary civilized society, AI is one of the most important technological achievements, rapidly evolving and reshaping various sectors such as industry, finance, education, medicine, media, and legal systems. Ongoing technological progress is leading to significant changes within these structures. In the 21st century,

the role of AI has grown immensely. The world today is unimaginable without artificial intelligence—it has become an inseparable part of our existence, evidenced by its global market value, which currently amounts to billions of dollars.

Relevance of the study: The rapid development of artificial intelligence and the changes triggered by its integration have fundamentally transformed the modern business landscape. Technological advancements bring both new opportunities and challenges for businesses, particularly regarding human capital, ethics, and ecology. Within this context, it is relevant to analyze how AI is changing economic processes in business, including automation, customer interaction, cybersecurity, and cost optimization. The paper also identifies the challenges associated with the widespread implementation of AI, which significantly impact companies' strategic development. Research Objective: The aim of this research is to explore the impact of artificial intelligence on business processes, the practical applications of AI, and the positive and negative outcomes of its use in business. Research Subject: This conference paper focuses on the influence of artificial intelligence (AI) on the business sector. Methodology: The research analyzes examples from successful companies (Starbucks, Netflix, Tesla, Google), evaluates the latest statistical data, reviews relevant literature, and includes expert assessments. Conclusion: The study shows that AI serves as a powerful tool for businesses, enhancing operational efficiency, improving customer satisfaction, and strengthening competitive advantage. However, risks remain—particularly the potential for AI to replace human resources, leading to job displacement. It is therefore recommended that businesses take a responsible approach to this issue by investing in effective retraining programs and utilizing human intelligence in a meaningful way. Moreover, it is essential to control the ecological impact of technology and uphold ethical business standards. It must be remembered that technological progress should promote societal well-being and sustainable development of business. Only under such conditions can AI usage be truly beneficial.

თამუნა ხაჩიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანდრია თურვანდიშვილი
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ბარიერები მცირე და საშუალო ლოგისტიკურ კომპანიებში

ლოგისტიკურ კომპანიებში ციფრული ტრანსფორმაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია ოპერაციების ოპტიმიზაციისთვის, დანახარჯების შემცირებისთვისა და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. იმისთვის, რომ მცირე და საშუალო ლოგისტიკურმა კომპანიებმა ბაზარზე ეფექტიანად ოპერირება შეძლონ, საჭიროა ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა. გასათვალისწინებელია, რომ დიგიტალიზაციის პროცესს თან ახლავს ბარიერები, რომელთა გადალახვით კომპანია მიიღებს მაქსიმალურ საოპერაციო ეფექტიანობას საოპერაციო ხარჯების შემცირებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ბარიერების იდენტიფიცირება და გაანალიზება მცირე და საშუალო ლოგისტიკურ კომპანიებში. სამაგიდე კვლევაში იდენტიფიცირდა და გაანალიზდა ბარიერები, რომლებიც წარმოიქმნება ციფრული

ტრანსფორმაციისას მცირე და საშუალო ლოგისტიკურ კომპანიებში, ესენია: ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა და შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიის შერჩევა. ზემოაღნიშნულ ბარიერებთან ერთად, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ფაქტორებზე, რომლებიც ლოგისტიკურ კომპანიებს დაეხმარა წარმატების მიღწევაში, ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაციის ბარიერები, ლოგისტიკური კომპანიები, მცირე და საშუალო საწარმოები, ბაზარზე ეფექტიანი ოპერირება.

Tamuna Khachidze
Ilia State University
Undergraduate Studies **Scientific**
Supervisor: Andria Turvandishvili
Master, Visiting Lecturer

Barriers to Digital Transformation in Small and Medium-Sized Logistics Companies

Digital transformation is essential for logistics companies to optimize operations, reduce costs, and maintain competitiveness. For small and medium-sized logistics companies, implementing digital technologies is particularly crucial for sustaining market position. However, this transformation process faces significant barriers that must be overcome to achieve operational efficiency.

This study aims to identify and examine the barriers associated with digital transformation in small and medium-sized logistics companies. Through a desk research methodology, the study identifies and evaluates key obstacles, including insufficient financial and human resources, resistance to change, and difficulty of selecting appropriate digital technologies. Additionally, the research examines success factors that enabled logistics companies to implement digital transformation effectively.

Keywords: barriers in digital transformation, logistics companies, small and medium-sized enterprises, effective market operations.

სოფო კახნიაშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემისა
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან დალაქიშვილი-ქიქინაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

„ემოციური ინტელექტი და ლიდერობა: სამხედრო და ბიზნეს ლიდერების შიდა მოტივაცია და გუნდის ემოციური მართვა“

ნაშრომის შექმნის წინაპირობა იყო, სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსის კარლ კლაუზევიცის, სამხედრო თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის სუნ ძი-ს და მსოფლიოში ცნობილი სტრატეგების ელ რაისისა და ჯეკ ტრაუტის ნაშრომები, რომელთა ძირითად ლაიტმოტივს წარმოადგენს სამხედრო და ბიზნეს სფეროების მჭიდრო კავშირი.

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც მმართველობის სტილი მუდმივად ვითარდება და სრულყოფის პროცესშია, ემოციური ინტელექტის კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ტრადიციული მმართველობის მოდელში, რომელიც ემყარება მკაცრად განსაზღვრულ წესებსა და სტრუქტურებს, ორგანიზაციული მიზნების პრიორიტეტულობა მომუშავე სუბიექტებზე მაღლა დგას. ასეთ მოდელში ცვლილებების პირობებში ადამიანები თავად ერგებიან ორგანიზაციული პროცესების მოთხოვნებს, მაშინ, როდესაც ახალი მიდგომები სწორედ პიროვნების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებას ემყარება.

ნაშრომი ფოკუსირებულია ახსნას და დაადგინოს, თუ რა როლი აქვს ემოციური ინტელექტის უნარს როგორც სამხედრო, ისე ბიზნეს ლიდერისთვის, რა საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები აქვთ მათ. საერთო მასახიათებლებში გამოკვეთილია ყველა ის მიმართულება, რომლებმაც შესაძლოა დადებითად იმოქმედოს ორგანიზაციის საქმიანობების პროდუქტიულობაზე. ნაშრომში გამოყენებულია დანიელ გოლმანის მოსაზრებები, რომლის მიერ 1995 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა "Emotional Intelligence: Why It Can Matter More Than IQ" ფართო საზოგადოებრივი და აკადემიური გამოხმაურება ჰპოვა.

ნაშრომში განხილული იქნება თითოეული უნარის გავლენა სამხედრო თუ ბიზნეს ლიდერსა და მათ გადაწყვეტილებებზე. ლიდერები, რომლებიც წინ უძღვებიან გუნდს, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თვითცნობიერების უნარი, რომელიც მოიცავს ადამიანის უნარს, სწორად აღიქვას და შეაფასოს საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ფასეულობები და ქცევები.

საკვანძო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, ლიდერობა, ემოციური მართვა, სამხედრო ლიდერები, ბიზნეს ლიდერები

Sopho Kahkniashvili
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Rusudan Dalakishvili-Chichinadze
Doctor, Associate Professor

"Emotional Intelligence and Leadership: Internal Motivation and Emotional Management of the Team by Military and Business Leaders"

The motivation behind creating this work was the writings of various prominent figures across different eras — the German military theorist Carl von Clausewitz, one of the founders of military theory Sun Tzu, and world-renowned strategists Al Ries and Jack Trout. It is still regarded as one of the best guides on military tactics and strategies. In the modern world, where leadership styles are constantly evolving and in the process of refinement, the concept of emotional intelligence has gained particular significance. The traditional model of governance, which relies on strictly defined rules and structures, prioritizes organizational goals over the individuals within it. In such a model, during periods of change, people are expected to adapt to the demands of organizational processes. In contrast, new approaches focus on the needs and capabilities of the individual. Against the backdrop of globalization and technological advancement, management practices are entering a transformative phase, in which traditional approaches are gradually being replaced by the modern so-called Agile management model. This paper examines the influence of each of these competencies on both military and business leaders, as well as how they impact their decision-making processes. Leaders who guide teams must possess self-awareness the ability to accurately perceive and assess their own emotions, strengths and weaknesses, values, and behaviors.

ნიკა ღუღუნიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

„ნარჩენების მენეჯმენტი და განახლებადი ენერგია: ბიოგაზის როლი მწვანე ეკონომიკაში“

დღევანდელ მსოფლიოში, ნარჩენების ზრდისა და ენერგეტიკული კრიზისის ფონზე, მწვანე ეკონომიკის კონცეფცია ხდება განვითარების აუცილებელი გზა. ნარჩენების მენეჯმენტი და განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება წარმოადგენს ამ პროცესის ცენტრალურ ელემენტებს.

წარმოდგენილი თემა ეხება ბიოგაზის ტექნოლოგიას, როგორც ეკოლოგიური და ეკონომიკურად მდგრადი გადაწყვეტილების საშუალებას. ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ბიოგაზის წარმოება გახდეს ნარჩენების შემცირების, სუფთა ენერგიის მიღებისა და სოფლის მეურნეობის გაძლიერების გზამკვლევი. ანალიზი გაკეთებულია როგორც გლობალურ ტენდენციებზე, ისე საქართველოს პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.

მოხსენება მიზნად ისახავს გააძლიეროს ინტერესი ბიოენერგიის მიმართ და წარადგინოს რეკომენდაციები მწვანე ეკონომიკის მიმართულებით ქვეყნის განვითარების კონტექსტში.

Nika Ghughunishvili
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tea Lazarashvili
Doctor, Associate Professor

"Waste Management and Renewable Energy: The Role of Biogas in a Green Economy"

In today's world, with the growth of waste and the energy crisis, the concept of a green economy is becoming an essential path to development. Waste management and the development of renewable energy sources are central elements of this process.

The presented topic concerns biogas technology as an ecologically and economically sustainable solution. It is shown how biogas production can become a guide to waste reduction, clean energy generation and agricultural strengthening. The analysis is based on both global trends and practical examples from Georgia.

The report aims to strengthen interest in bioenergy and present recommendations for the direction of a green economy in the context of the country's development.

ეთერ ხვისტანი, ანა კაპანოვი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, არსებული მდგომარეობა და მისი გამოწვევები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის გადანაწილებას ინვესტორებსა და კომპანიებს შორის. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.

კვლევა მიმოიხილავს ბაზრის ამჟამინდელ სტრუქტურას, ძირითად მონაწილეებს, მარეგულირებელ ჩარჩოსა და მოქმედ მექანიზმებს. ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ძირითადი პრობლემები, როგორებიცაა ბაზრის დაბალი ლიკვიდურობა, ინსტიტუციური ინვესტორების სიმცირე, საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა და არასაკმარისი საინფორმაციო გამჭვირვალობა. ასევე განიხილება საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები და განისაზღვრება რეკომენდაციები ბაზრის განვითარებისთვის, მათ შორის ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა, საგანმანათლებლო კამპანიები და უცხოური კაპიტალის მოზიდვის სტიმულირება.

კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს კაპიტალის ბაზრის გაძლიერებას და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

Eter Khvistani, Anna Kapanovi
Caucasus International University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Tea Lazarashvili
Doctor, Associate Professor

The Securities Market in Georgia, its Current State and Challenges

The securities market is an important component of the country's financial system, ensuring the allocation of capital between investors and companies. In Georgia, the securities market is still at a developmental stage and faces numerous challenges. This study reviews the current structure of the market, its key participants, the regulatory framework, and the functioning mechanisms. Based on the analysis, several key issues are identified, such as low market liquidity, a shortage of institutional investors, low public awareness, and insufficient information transparency. The research also examines examples of international practice and outlines recommendations for market development, including the introduction of technological innovations, educational campaigns, and incentives for attracting foreign capital. The aim of the study is to strengthen Georgia's capital market and promote sustainable economic growth.

გიორგი ხუციშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნაზირა კაკულია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

შუა დერეფნის ეკონომიკური მულტიპლიკატორები საქართველოსთვის: მაკროეკონომიკური ზრდის პერსპექტივები

შუა დერეფანი, როგორც ევროპასა და აზიას შორის ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტი, საქართველოსთვის წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტს. მისი ეკონომიკური მულტიპლიკატორები მოიცავს როგორც პირდაპირ სარგებელს (სატრანზიტო მოსაკრებლები, საბაჟო შემოსავლები, ლოგისტიკურ სექტორში დასაქმება), ასევე არაპირდაპირ ეფექტებს, რომლებიც ვლინდება სხვადასხვა სექტორში ვაჭრობის, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს გააქტიურებით. ნაშრომში წარმოდგენილია ეკონომიკური მულტიპლიკატორების თეორიული საფუძვლები და მათი შეფასების მეთოდოლოგია საქართველოს კონტექსტში. ანალიზი ცხადყოფს, რომ შუა დერეფნის სრული ამოქმედება იწვევს ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას მრავალ დაკავშირებულ სექტორში, რაც ქმნის ჯაჭვურ ეფექტს და აფართოებს ეკონომიკური სარგებლის არეალს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია მაკროეკონომიკური სტაბილურობის გამოწვევები, როგორებიცაა სავალუტო რისკები, ინფლაციური ზეწოლა და გეოპოლიტიკური ფაქტორების

გავლენა. შემოთავაზებულია რეკომენდაციები პოლიტიკის მიმართულებით მულტიპლიკაციური ეფექტების გასაძლიერებლად, მათ შორის ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება, ადგილობრივი წარმოების ინტეგრაცია და ადამიანური კაპიტალის განვითარება. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ შუა დერეფანს აქვს პოტენციალი, მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი საქართველოს მაკროეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში, თუმცა ამ პოტენციალის სრული რეალიზება მოითხოვს მიზანმიმართულ სახელმწიფო პოლიტიკას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

Giorgi Khutsishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nazira Kakulia
Doctor, Associate Professor

Middle Corridor Economic Multipliers for Georgia: Macroeconomic Growth Perspectives

The Middle Corridor, as an alternative transport route between Europe and Asia, represents a project of strategic importance for Georgia. Its economic multipliers include both direct benefits (transit fees, customs revenues, employment in the logistics sector) and indirect effects, which manifest in various sectors through increased trade, tourism, and service activities. The paper presents the theoretical foundations of economic multipliers and their assessment methodology in the Georgian context. The analysis demonstrates that the full implementation of the Middle Corridor leads to enhanced economic activity across many interconnected sectors, creating a chain effect and expanding the area of economic benefits throughout the country. The paper also analyzes macroeconomic stability challenges, such as currency risks, inflationary pressures, and the impact of geopolitical factors. Recommendations are proposed to enhance multiplicative effects, including improvement of the institutional environment, integration of local production, and human capital development. The research results indicate that the Middle Corridor has the potential to significantly contribute to Georgia's macroeconomic growth in the long term; however, the full realization of this potential requires targeted state policies and deepened international cooperation.

დავით მამულაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნაზირა კაკულია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საჰაერო ჰაბი და რკინიგზის მაგისტრალის განვითარება საქართველოში: მაკროეკონომიკური პერსპექტივები და ინტეგრირებული ლოჯისტიკური სისტემის ფორმირება შუა დერეფნის ფარგლებში

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას ქვეყნის, როგორც შუა დერეფნის მნიშვნელოვანი რგოლის, განვითარებისთვის. წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს საჰაერო ჰაბისა და რკინიგზის მაგისტრალის ინტეგრირებული განვითარების პოტენციურ მაკროეკონომიკურ ეფექტებს საქართველოში. ანალიზი ფოკუსირებულია ინვესტიციების მულტიპლიკატორის ეფექტზე, დასაქმების ზრდის პოტენციალსა და მშპ-ზე მოსალოდნელ დადებით გავლენაზე.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაზრდის ექსპორტს მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში. ნაშრომში წარმოდგენილი ინოვაციური მიდგომა გულისხმობს საჰაერო და სარკინიგზო სისტემების სინერგიულ განვითარებას, რომელიც მიღწევადია ციფრული ლოჯისტიკური პლატფორმის შექმნით. ეს პლატფორმა გააერთიანებს სატრანსპორტო დერეფნის ყველა მონაწილეს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონული ჰაბის ჩამოყალიბებას და დააკავშირებს ევროპულ, აზიურ და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებს მდგრადი ლოჯისტიკური ჯაჭვის ფორმირებით. ნაშრომი ასკვნის, რომ ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის განვითარება გაზრდის საქართველოს ეკონომიკურ მდგრადობას, შეამცირებს რეგიონულ ასიმეტრიას და გააძლიერებს ქვეყნის პოზიციას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიან მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

Davit Mamulashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nazira Kakulia
Doctor, Associate Professor

Air Hub and Railway Mainline Development in Georgia: Macroeconomic Perspectives and Formation of an Integrated Logistics System within the Middle Corridor Framework

Georgia's geopolitical location presents a unique opportunity for the country's development as an important link in the Middle Corridor. This paper examines the potential macroeconomic effects of integrated development of an air hub and railway mainline in Georgia. The analysis focuses on the investment multiplier effect, employment growth potential, and the expected positive impact on GDP. Investments in transport infrastructure will significantly increase exports in the short and medium term. The innovative approach presented in the paper envisions synergistic development of air and railway systems, achievable through the creation of a digital logistics platform. This platform will unite all participants of the transport corridor, facilitating the establishment of a regional hub and connecting European, Asian, and Middle Eastern markets

through the formation of a sustainable logistics chain. The paper concludes that the development of an integrated transport system will increase Georgia's economic resilience, reduce regional asymmetry, and strengthen the country's position in international trade relations, contributing to long-term macroeconomic stability.

მერაბ გაგნიძე, ამირან ბაბუციძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მომხმარებლის ქცევა - რა იმალება ყოველდღიური არჩევანის მიღმა?

მომხმარებლის ქცევა თანამედროვე ბიზნეს სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტორია. თუ კომპანიებს და ბრენდებს სურთ წარმატების მიღწევა, მათ უნდა შეძლონ არა მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნილებების აღქმა, არამედ იმის გაგებაც, თუ რა ამოძრავებს მას არჩევანის მიღების პროცესში. დღევანდელი გარემოსა და სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე, მნიშვნელოვნად იზრდება საჭიროება იმის გააზრებისთვის, თუ რა იმალება მომხმარებლის ყოველდღიური არჩევანის მიღმა.

ნაშრომი მიზნად ისახავს, ჩავუღრმავდეთ აღნიშნულ საკითხებს და გავაანალიზოთ, თუ რა ფაქტორები მოქმედებს მომხმარებლების არჩევანზე, როგორ იღებენ ისინი გადაწყვეტილებას ყიდვისას. რა ხდება მათ გონებაში, როდესაც სურვილი უჩნდებათ, შეიძინონ პროდუქტი.

ციფრული საშუალებები ზეგავლენას ახდენს ყოველდღიურ არჩევანზე, რამაც შექმნა მომხმარებლის ქცევის ახალი ტიპი, სადაც ის უფრო მეტად ეყრდნობა კომუნიკაციას და ტექნოლოგიურ პლატფორმებს. ქცევითი ეკონომიკა გვთავაზობს ახალ გზებს იმ ფსიქოლოგიურ პროცედურებზე მორგებული სტრატეგიებისთვის, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ მოტივაციებზეც. კომპანიები უფრო მეტად იყენებენ ამ მოდელებს, რათა დაარწმუნონ მომხმარებელი, რომ მათი გადაწყვეტილება მიზანშეწონილია და ხელს უწყობს მათ კეთილდღეობას. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ ეთიკური ასპექტები. როდესაც ბიზნესი და ბრენდები იყენებენ ქცევითი ფსიქოლოგიის ტექნიკებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს მანიპულირება მომხმარებლის ემოციებით, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მორალურად გაუმართლებელი იყოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიები დარწმუნდნენ, რომ მათი სტრატეგიები თანასწორ და სამართლიან პირობებში მოქმედებს, სადაც მომხმარებლის კეთილდღეობა პირველ ადგილზეა.

მომხმარებლის ქცევა არის რთული და მრავალმხრივი ფენომენი, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალური და გლობალური ფაქტორების ურთიერთქმედებასთან. კომპანიები, რომლებიც ხვდებიან, თუ რა იმალება მომხმარებლის ყოველდღიურ არჩევანში, შეძლებენ უფრო ეფექტური და პასუხისმგებლიანი სტრატეგიების გამოყენებას. რადგანაც მომხმარებელი მუდამ ხვდება ახალ სიტუაციებში და სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, მარკეტინგული სტრატეგიები უნდა ერგებოდეს და მართავდეს ამ პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებლის ქცევა, თანამედროვე ბიზნესი, მომხმარებლის გადაწყვეტილება, ციფრული საშუალებები

Merab Gagnidze, Amiran Babutsidze
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Rusudan Dalakishvili-Chichinadze
Doctor, Associate Professor

Consumer Behavior - What Lies behind Everyday Choices?

Consumer behavior is one of the most important and attention-worthy factors in today's business world. If companies and brands aim for success, they must be able not only to perceive customer needs but also to understand what drives them during the decision-making process. In the context of today's fast-paced environment and rapid technological advancements, the necessity of understanding what underlies daily consumer choices becomes increasingly significant. This thesis aims to delve into these issues and analyze the factors influencing consumer decisions—how they decide when purchasing and what happens in their minds when they feel the urge to buy a product. As we know, in most cases, the consumer is highly influenced by individual, social, cultural, and other factors.

When making decisions, it is crucial to clarify what determines consumer behavior. This behavior depends on various factors, including personal motivations, psychological aspects, social pressures, and marketing strategies implemented by brands. There is no single factor that can "decode" human decisions—it is a complex approach encompassing both conscious and unconscious elements. While consumer behavior often originates from personal desires, it is also shaped by external circumstances such as peer pressure, social influence, and cultural norms.

Digital tools influence everyday choices by enabling consumers to make decisions more quickly and with less effort than before—what used to take hours or even days can now happen in minutes. These changes have created a new type of consumer behavior, one that heavily relies on communication and digital platforms.

Behavioral economics offers new pathways for creating strategies tailored to psychological processes that influence not just economic but also social motivations.

At the same time, ethical considerations must not be overlooked. When businesses and brands use behavioral psychology techniques, this can sometimes lead to emotional manipulation, which may be morally questionable. Therefore, it is essential for companies to ensure their strategies operate under fair and ethical conditions where the consumer's well-being comes first.

In conclusion, consumer behavior is a complex and multifaceted phenomenon influenced by the interplay of individual and global factors. Companies that understand what drives daily consumer choices will be able to implement more effective and responsible strategies. As consumers constantly face new situations and make decisions quickly, marketing strategies must adapt to and guide these processes.

ანა ლაფაჩი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მიქიაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს კვლევა და ქცევითი ეკონომიკა

ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური გარემოს შესწავლა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ყველაზე უკეთ ქცევითი მახასიათებლებით აიხსნება. ქცევითი ვარაუდები, ასევე, საჭიროა ეკონომიკურ შოკზე რეაგირების პროგნოზირებისთვის. ქცევით მოდელებში კარგად ვლინდება ჰიპერეკონომიკის შესაძლებლობები, როცა ეკონომიკა სხვა დარგების, უპირატესად, შემეცნებითი ფსიქოლოგიის მიღწევებით სარგებლობს. ძირითად მაკროეკონომიკურ პრობლემატიკაში (ეკონომიკური რყევა, დანაზოგი, უმუშევრობა და ა.შ.) კომპლექსურად ასახულია ქცევითი ეკონომიკის შედეგები. მსგავსი პრობლემების და პროცესების შესწავლის თავისებურება და სირთულე ადამიანების ქცევის კომპლექსურობას უკავშირდება.

ბიზნესისთვის აქტუალურია გამოშვებაზე მიმდინარე და მოსალოდნელი ინფლაციის, ნომინალური და რეალური საპროცენტო განაკვეთის გავლენის შეფასება. ასევე, მოხმარების, მოლოდინის, ნომინალური ხელფასისა და ფასების სისტემის გათვალისწინება. შეზღუდული შესაძლებლობებისა და ნებისყოფის პირობებში რაციონალური გადაწყვეტილებები დამოკიდებულია პირად ინტერესზე, საქმიანობასა და პატიოსნებაზე, რასაც ყოველი ინდივიდი თავისებურად აღიქვამს. შეზღუდული რაციონალურობის, სოციალური არჩევანის და თვითკონტროლის ნაკლებობა გავლენას ახდენს ინდივიდების გადაწყვეტილებებსა და, მთლიანობაში, საბაზრო ეკონომიკაზე. ქცევის, როგორც აბსტრაქტული, ასევე, ემპირიული საფუძვლების გათვალისწინება თანამედროვე კვლევებში აუმჯობესებს არსებულ თეორიებს და ემპირიულ ტესტებს.

Ana Lapachi
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nino Mikiashvili
Doctor, Associate Professor

Research on the Macroeconomic Environment of Business and Behavioral Economics

For the success of business, it is important to study the macroeconomic environment, which, in some cases, is best explained by behavioral characteristics. Behavioral assumptions are also needed to predict the response to economic shocks. Behavioral models clearly demonstrate the possibilities of hypereconomics, when the economy benefits from the achievements of other fields, primarily cognitive psychology. The results of behavioral economics are reflected in a complex way in the main macroeconomic problems (economic fluctuations, savings, unemployment, etc.). The peculiarity and difficulty of studying such problems and processes are related to the complexity of human behavior. For business, it is relevant to assess the impact of current and expected inflation, nominal and real interest rates on output. Also, taking into account

consumption, expectations, nominal wages and the price system. Rational decisions under conditions of limited capacity and will depend on self-interest, activity, and honesty, which each individual perceives in his own way. The lack of bounded rationality, social choice, and self-control affects the decisions of individuals and, as a whole, the market economy. The consideration of both abstract and empirical bases of behavior in modern research improves existing theories and empirical tests.

სალომე მიქელაძე, გიგა თავდგირიძე
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: რომან მამულაძე
დოქტორი, პროფესორი

საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო სისტემის კონკურენტუნარიანობა

საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა და მისი საზღვაო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობაში. თუმცა, თანამედროვე გლობალურ ბაზარზე კონკურენციის ზრდა საჭიროებს სისტემის სიღრმისეულ ანალიზს და განვითარების სტრატეგიების განსაზღვრას.

მოცემული კვლევა ეფუძნება მაიკლ პორტერის „ეროვნული კონკურენტუნარიანობის ალმასის“ მოდელს, რომლის მეშვეობითაც განიხილება საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო სისტემის კონკურენტული უპირატესობები და გამოწვევები. ანალიზში ყურადღება გამახვილებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, ლოგისტიკური სერვისების ხარისხი, საწარმოო ფაქტორები, ადგილობრივი მოთხოვნა, მომარაგებისა და მხარდამჭერი ინდუსტრიები, ასევე სახელმწიფო პოლიტიკისა და საერთაშორისო ტენდენციების გავლენა. კვლევის შედეგები ასახავს იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებიც საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო სისტემის კონკურენტუნარიანობას აფერხებს და წარმოსახავს შესაძლო სტრატეგიებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მისი პოზიციების გაძლიერებას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში. აღნიშნული დასკვნები შესაძლოა იყოს გამოსაყენებელი როგორც პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს, როგორც საზღვაო სატრანსპორტო ჰაბის, განვითარების პერსპექტივებით.

Salome Mikeladze, Giga Tavdgiridze
Batumi State Maritime Academy
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Roman Mamuladze
Doctor, Professor

"Competitiveness, Advantages and Challenges of Georgia's Maritime Transport System"

Competitiveness of Georgia's Maritime Transport System: An Analysis Based on Porter's Model Georgia's Geostrategic Location and Maritime Transport Infrastructure in Economic Development and International Trade Georgia's geostrategic location and its maritime transport infrastructure play a significant role in the country's economic development and the facilitation of international trade. However, the increasing competition in the modern global market necessitates an in-depth analysis of the system and the formulation of development strategies.

This research is based on Michael Porter's ''Diamond Model'' of national competitiveness, through which the competitive advantages and challenges of Georgia's maritime transport system are examined. The analysis focuses on factors such as infrastructure conditions, the quality of logistics services, production factors, local demand, supply and supporting industries, as well as the influence of government policies and international trends. The research findings highlight the key challenges hindering the competitiveness of Georgia's maritime transport system and propose potential strategies to strengthen its position in the global logistics network. These conclusions may be useful both for policymakers and private sector representatives interested in Georgia's development prospects as a maritime transport hub.

თამუნა კაკრიაძე, ხატია ვახტანგიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ალადაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დეპოზიტების დაზღვევა საქართველოში და მისი როლი ეკონომიკაში

დაზღვევა არის ფინანსური ინსტრუმენტი იმისათვის, რომ დაგიცვათ თქვენ, თქვენი ოჯახი ან თქვენი ბიზნესი გაუთვალისწინებელი ფინანსური დანახარჯებისაგან. დაზღვევის დახმარებით შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება, ან მისი შემცირება. საქართველოში დაზღვევის უახლესი ფორმა არის დეპოზიტების დაზღვევა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკში განთავსებული ანაბრების გარანტირებულად ანაზღაურებას, თანხის კონკრეტული ოდენობით, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა საქართველოში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებს. ის საქართველოში 2018 წლიდან ამოქმედდა.

ეფექტურად ფუნქციონირებადი დეპოზიტების დაზღვევის სისტემას მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა შეუძლია. კერძოდ:

- უზრუნველყოს მისი წევრების და მთლიანად საბანკო სისტემის მდგრადობა;

- შეუქმნას მეანაბრეებს, უპირველეს ყოვლისა, მცირე მოცულობის თანხების მქონე მეანაბრეებს, გარანტიები ბანკის გაკოტრების შემთხვევაშიც კი და, მესამე - აამაღლოს საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის და მეწარმე სუბიექტების ნდობის ხარისხი. თუმცა, ერთ კომერციულ ბანკში, ერთ მეანაბრეზე თანხის დაზღვევის ლიმიტი მხოლოდ 30000 ლარს შეადგენს, რის გამოც მეანაბრეებს მოუწევთ სხვადასხვა ბანკში მათი განთავსება, თუმცა საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს თქმით, დაწესებული ზღვარი ეტაპობრივად გადაიხედება და ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით გაიზრდება.

Tamuna Kakriadze, Khatia Vakhtangishvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Maia Aladashvili
Doctor, Associate Professor

The Insurance of Deposits in Georgia and its Role in the Economy

Insurance serves as a vital financial instrument designed to safeguard individuals, families, and businesses from unforeseen financial burdens. By transferring the risk of potential financial losses to insurance providers, individuals and entities can mitigate the impact of unexpected events. One of the most recent developments in Georgia's insurance landscape is deposit insurance, a system established to provide depositors with guaranteed compensation for their bank deposits, up to a specified limit, in the event of a bank failure. Georgia's deposit insurance system, which has been operational since 2018, is structured in alignment with international best practices and standards. Its effective functioning plays a key role in addressing several significant issues in the financial system. Firstly, deposit insurance enhances the stability of banks and the broader financial sector. Secondly, it offers peace of mind to depositors—particularly those with modest savings—by ensuring that their deposits are protected even in the event of a bank's insolvency. Lastly, the system fosters trust among the public and business owners, thereby increasing confidence in the banking system. In conclusion, deposit insurance in Georgia is a critical tool for promoting financial stability, protecting depositors, and building trust in the banking system. Its ongoing development and adaptation to market conditions will be essential in ensuring it continues to meet the needs of depositors and the economy.





სექცია
SECTION

ბიზნესი და ტექნოლოგიები
BUSINESS AND TECHNOLOGY

ქვესექცია ბიზნესის ადმინისტრირება (მაგისტრანტები / დოქტორანტები)

SUBSECTION BUSINESS ADMINISTRATION (MASTER'S AND DOCTORAL PROGRAMS)

მოხსენებათა რაოდენობა: **7**
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: **9**
The Number of Reporters:

ლუკა ნადირაშვილი, ანა ლიპარტელიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თემურ გოგოხია
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნეირომარკეტინგი გაყიდვებში: როგორ იყენებენ ბრენდები ტვინის აქტივობას მომხმარებელთა ქცევის პროგნოზირებისთვის

ნეირომარკეტინგი თანამედროვე გაყიდვების სტრატეგიებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან იგი აერთიანებს ნეირომეცნიერებას, ფსიქოლოგიას და მარკეტინგს მომხმარებელთა ქცევის უკეთ გასაგებად. ბრენდები იყენებენ ტვინის აქტივობის კვლევებს, მათ შორის fMRI (ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია) და EEG (ელექტროენცეფალოგრაფია), რათა განსაზღვრონ, როგორ რეაგირებენ მომხმარებლები სხვადასხვა სარეკლამო მესიჯებზე, შეფუთვაზე და პროდუქტებზე.

ამ მეთოდებით კომპანიებს შეუძლიათ უფრო ეფექტურად მოახდინონ ემოციური კავშირის ფორმირება და გაყიდვების ზრდა. ნეირომარკეტინგი ასევე ეხმარება ბიზნესებს მომხმარებელთა უგონო გადაწყვეტილებების პროგნოზირებაში, რაც აძლიერებს რეკლამის ზემოქმედებას და ბრენდების ლოიალურობას. თუმცა, ამ ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად ჩნდება ეთიკური კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებელთა პირადი ინფორმაციის დაცვასთან და ქცევის მანიპულირების რისკებთან. ამ თემაზე კვლევა უმნიშვნელოვანესია, რადგან ნეირომარკეტინგი არა მხოლოდ გაყიდვების სტრატეგიებს ცვლის, არამედ მთლიანად გარდაქმნის მარკეტინგის მიდგომებს მომხმარებელთან ურთიერთობისას.

Luka Nadirashvili, Anna Liparteliani
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Temur Gogokhia
Doctor, Associate Professor

Neuromarketing in Sales: How Are Brands Using Brain Activity to Predict Customer Behavior?

Neuromarketing plays a crucial role in modern sales strategies by integrating neuroscience, psychology, and marketing to better understand consumer behavior. Brands utilize brain activity research, including fMRI (Functional Magnetic Resonance Imaging) and EEG (Electroencephalography), to determine how consumers react to various advertising messages, packaging, and products. These methods allow companies to create stronger emotional connections and drive sales growth. Neuromarketing also helps businesses predict subconscious consumer decisions, enhancing advertising impact and brand loyalty. This study will explore the core principles of neuromarketing, the technologies involved, and their influence on sales strategies. The research will analyze successful case studies of companies that have used neuromarketing to predict consumer behavior. Additionally, it will address the ethical challenges associated with neuromarketing and its potential future developments. The study is based on a review of scientific literature, analysis of real-world business cases, and an evaluation of neuromarketing methods in the context of sales effectiveness.

ნინო ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გაიოზ ფარცხალაძე
პროფესორი

მშენებლობის ბიზნეს სექტორი ეკონომიკაში და ხარჯების შემცირების გავრცელებული ტექნოლოგიების დეკომპოზიცია

სამშენებლო ბიზნესი ერთ–ერთი მზარდი სექტორია. ეკონომიკის სხვა სფეროების ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ფიზიკური გარემო, რომლის ფორმირებასაც მშენებლობის გზით ვაღწევთ. ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია ინფრასტრუქტურის, სასტუმროების, კაფეების და ა.შ. მშენებლობა. საქალაქთაშორისო გადაადგილებისთვის, საერთაშორისო ვაჭრობისთვის დღის წესრიგში დგება მაგისტრალების, პორტების/აეროპორტების მშენებლობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში, მშენებლობას 2024 წელს 12.9%–იანი წილი ჰქონდა მშპ–ის გამოშვებაში, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო წლების მანძილზე დანახარჯები მზარდია (≈15%), რაც წარმოადგენს ნაშრომის მთავარ ამოცანას, ხოლო მისი გადაჭრის გზები ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ კვლევის მეთოდებს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე მიღწევები სამშენებლო სექტორშიც ფართოდ შეიჭრა, რაც საშუალებას იძლევა უკეთ ავითვისოთ ფიზიკური გარემო, გავხადოთ მეტად საიმედო, ხანმედეგი და უსაფრთხო. ამასთან, ამ ყველაფრის ცოდნა გვეხმარება შევამციროთ დანახარჯები და მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილებები. ამას შეიძლება მივაღწიოთ, მაგ: ტიპიზაციით, კონვეირული მეთოდის დანერგვით, საკედლე პანელების ზემოთ 45°–იანი დახრის კუთხით მოწყობილი შემინვით, ვინაიდან ამ გზით მზის სინათლის შედინება შენობაში მაქსიმალურია. ასევე, შეგვიძლია გამოვიყენოთ არმატურით წინასწარი დაძაბვის მეთოდი, რომელიც შენობის წონას 30%–ით ამცირებს.

Nino Putkaradze
Batumi Shota Rustaveli State University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Gizo Partskhaladze
Professor

The Construction Business Sector in the Economy and Decomposition of Common Cost-cutting Technologies

The construction business is one of the growing sectors. The functioning of other sectors of the economy requires a physical environment, which we achieve through construction. The development of tourism requires the construction of infrastructure, hotels, cafes, etc. For long-distance travel or international trade is important construction issue of highways, ports/airports. It is noteworthy that in Georgia, construction had a 12.9% share in GDP output in 2024, however, it is also important to note that costs have been increasing in recent years (≈15%). This is the main objective of the report, and the ways to solve it are based on both quantitative and qualitative research methods. As is known, modern achievements have also penetrated the construction sector, allowing for better utilization of the physical environment, making it more reliable,

durable, and safe. However, knowing all this helps us reduce costs and make optimal decisions. This can be achieved, for example, by typification, by introducing a conveyor method, by glazing arranged at a 45° angle above the wall panels, since this way the inflow of sunlight into the building is maximized. We can also use the pre-stressing method with armature, which reduces the weight of the building by 30%.

სერგი ფიფია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი

ცირკულარული ეკონომიკა და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში

2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), რომლებიც 17 ურთიერთდაკავშირებულ მიზანს აერთიანებს, მოიცავს ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობასაც. კერძოდ, მე-12 მიზანი სახელწოდებით - „მდგრადი მოხმარება და წარმოება“ მჭიდროდ უკავშირდება ცირკულარული ეკონომიკის კონცეფციას. ცირკულარული ეკონომიკა ევროპარლამენტის მიერ განისაზღვრება, როგორც წარმოებისა და მოხმარების მოდელი, რომელიც გულისხმობს ხელახლა გამოყენებას, შეკეთებას, განახლებას და არსებული რესურსების და პროდუქტების რაც შეიძლება დიდხანს გადამუშავებას დარგების დაახლოების გზით, რითაც საბოლოოდ მიიღწევა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ზრდა.

ცირკულარული ეკონომიკის განვითარება გლობალური გამოწვევაა. საქართველო მსოფლიო ეკონომიკის ცირკულარობის მაჩვენებელს, რომელიც დაახლოებით 7 პროცენტია, 6-ჯერ ჩამორჩება. ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად და ცირკულარული ეკონომიკის განვითარების მხარდასაჭერად საქართველომ დაიწყო ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყანაში ცირკულარული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით.

Sergi Pipia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Tea Lazarashvili
Doctor of Economics, TSU Visiting Lecturer

Circular Economy and Prospects for its Application in Georgia

The Sustainable Development Goals (SDGs), also known as the Global Goals, were adopted by the United Nations (UN) in 2015. Circular economy concept was also repeatedly mentioned as a key solution in the Expert Group Meeting and in-depthreview of SDG 12 on Sustainable Consumption and Production (SCP).

According to the European Commission the circular economy is a model of production and consumption, which involves sharing, leasing, reusing, repairing, refurbishing and recycling existing materials and products as long as possible. In this way, the life cycle of products is extended.

The development of a circular economy is a global challenge. The circularity index of the Georgian economy does not exceed 1.3 percent, which is significantly lower than the global index (7.2 percent). Georgia has begun developing a national circular economy strategy, which we believe is an important step towards developing a circular economy in the country.

თეა თავდგირიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ ბერიძე
ასისტენტი

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პერსპექტივები სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამოწვევები და შესაძლებლობები

ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების ინტეგრაცია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას თანამედროვე მმართველობით პრაქტიკაში. AI-ს საშუალებით შესაძლებელი ხდება ისეთი პროცედურების გაუმჯობესება, როგორიცაა ტენდერების ავტომატიზებული შეფასება, დოკუმენტების კლასიფიკაცია, წინასწარი რისკების გამოვლენა და კორუფციული ნიშნების იდენტიფიცირება. ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად იკვეთება რიგი გამოწვევები: მონაცემთა კონფიდენციალურობა, ეთიკური სტანდარტები, სამართლებრივი შესაბამისობა და სისტემებისადმი ზედმეტი დამოკიდებულების რისკი. ამ გარემოში მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ ტექნოლოგიის არსებობა, არამედ მისი სწორად მართვა და ადაპტაცია კონკრეტული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მოთხოვნების შესაბამისად.

ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და სუსტი მხარეები სახელმწიფო შესყიდვებში. შეაფასოს არსებული გამოცდილება და შემოგვთავაზოს რეკომენდაციები AI-ს ინტეგრაციისთვის საჯარო სექტორში.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, სახელმწიფო შესყიდვები, ეფექტიანობა, გამჭვირვალობა.

Tea Tavdgiridze
Batumi Shota Rustaveli State University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Besik Beridze
BSU Assistant

Prospects for the Use of Artificial Intelligence in the Public Procurement System: Challenges and Opportunities

The integration of Artificial Intelligence (AI) technologies into the field of public procurement represents one of the most promising directions in contemporary governance practices. AI enables the improvement of procedures such as automated tender evaluation, document classification, early risk detection, and the identification of potential corruption indicators. Alongside technological progress, a number of challenges emerge: data privacy, ethical standards, legal compliance, and the risk of over-reliance on automated systems. In this context, what becomes crucial is not only the presence of advanced technologies, but their proper management and adaptation to specific legislative and administrative requirements. The aim of this paper is to analyze the capabilities and limitations of artificial intelligence in public procurement, evaluate current practices, and to offer recommendations for the integration of AI in the public sector. Keywords: Artificial Intelligence, Public Procurement, Efficiency, Transparency.

ნათია ლაკია, ლიანა ქიქაყუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა კასრაძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს კაპიტალის ბაზრის გამოწვევები და პერსპექტივები

გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციისა და ბაზრების ლიბერალიზაციის პირობებში, კაპიტალის ბაზრების განვითარება განვითარებადი ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ეკონომიკური ლიტერატურა თანმიმდევრულად უსვამს ხაზს კაპიტალის ბაზრების გავლენას ინვესტიციების მოზიდვაზე, დანაზოგების მობილიზებასა და ეკონომიკურ ზრდაზე. ამ თვალსაზრისით, საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარების დონე დაბალია, ხოლო საფონდო ბირჟის ფუნქცია პრაქტიკულად ნომინალური. შედეგად, ინვესტიციების ალტერნატიული წყაროების ნაკლებობა ართულებს კერძო სექტორის წვდომას გრძელვადიან ფინანსურ რესურსებზე, რაც საბოლოოდ ზღუდავს ეკონომიკური ზრდის პოტენციალს.

ნაშრომი მიზნად ისახავს გააანალიზოს კაპიტალის ბაზრის განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში, გამოავლინოს მისი ჩამორჩენის მიზეზები და გააკეთოს შედარებითი ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკასთან. ამის საფუძველზე წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, რომლებიც განაპირობებენ ბაზრის რეფორმირებასა და გაძლიერებას. კვლევა ეფუძნება შერეულ

კვლევით დიზაინს (mixed methods research design), რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ (quantitative) და თვისობრივ (qualitative) კვლევის მიდგომებს. აღნიშნული კომბინაცია საშუალებას იძლევა, ერთდროულად შეფასდეს როგორც კაპიტალის ბაზრის ციფრებით გაზომვადი მახასიათებლები, ისე ღრმად გავიაზროთ მისი განვითარების პროცესზე მოქმედი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ფაქტორები.

Natia Lakia, Liana Chichakua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Tea Kasradze
Doctor, Associate Professor

Challenges and Perspectives of the Capital Market in Georgia

In the context of global economic integration, the development of capital markets is of crucial importance for countries with transitional economies. Georgia, with its underdeveloped capital market and dominant banking sector, faces numerous obstacles in mobilizing long-term financial resources for economic growth. This paper analyzes the current state of Georgia's capital market, investigates the causes of its underdevelopment, and draws comparisons with international best practices, particularly those of Western Balkan countries. The study applies a mixed-method research design, combining quantitative analysis of secondary data with qualitative expert interviews. The findings are expected to highlight the key institutional, legislative, and economic barriers hindering market development. The study concludes with policy recommendations aimed at enhancing the role of the capital market in Georgia's economic development and increasing investor participation.

ბექა სხირტლაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბერულავა
დოქტორი, პროფესორი

სოციალური მედია მარკეტინგის როლი ტურიზმსა და სასტუმრო ინდუსტრიაში

საქართველოში ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია. ამასთანავე, სოციალური მედიის აქტივობისა და მოხმარების ზრდასთან ერთად, პროდუქტების წარმოდგენიდან მომხმარებელთა წახალისებამდე ბიზნესის მარკეტინგული ტაქტიკაც შეიცვალა. სოციალური მედია ძალიან დიდ როლს ასრულებს ტურიზმის ბიზნესში, რამდენადაც სოციალური მედია არის ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყარო ტურისტებისთვის, რომლებიც ეძებენ კონკრეტულ ინფორმაციას დანიშნულების ადგილის, ძირითადი და დამატებითი მომსახურების, სხვადასხვა

სერვისებისა თუ ფასების შესახებ. აღნიშნულ საკითხთან მიიმართებით, ჩატარდა ხარისხობრივი კვლევა, რომელიც ასახავს და განიხილავს სოციალური მედია მარკეტინგის როლს, თუ როგორ მუშაობს ის ტურიზმისა და სასტუმროების ინდუსტრიაში.

საქართველოში სასტუმრო მომსახურების თანამედროვე ბაზარს შეუძლია დააკმაყოფილოს ტურისტთა გარკვეული მოთხოვნილებები, რის საშუალებასაც არსებული რესურსები და განთავსების საშუალებათა მრავალფეროვნება იძლევა. ტურისტთა ნაწილში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საოჯახო ტიპის სასტუმროები, რისი განვითარებისთვისაც საჭიროა რესურსების სწორი და მიზანმიმარული გამოყენება, მომსახურების ხარისხის სწორი მართვა და ინვესტირება ამ მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, სასტუმრო ინდუსტრია, სოციალური მედია, მარკეტინგი.

Beka Skhirtladze
Sokhumi State University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: George Berulava
Doctor, Professor

The Impact of Social Media in Tourism and Hotel Industry (The Case of Georgia)

In the modern world, where technologies are very popular, social media is one of the most important sources of information dissemination and it can be considered as the main driving force for companies to get closer (establish communication) to customers. Digital technologies have completely changed the form of communication between companies and consumers in the tourism sector. At the same time, the decision-making process of consumers has changed and their involvement in social media in the field of tourism is very high. Most people today plan their vacation with the help of travel apps, use a virtual guide and organize transportation directions. The tourism market is quite diverse, there are many suppliers in the market that offer tourists a fairly wide choice of products and services, and consumers are faced with a dilemma, they are influenced by many factors, one of the factors that can play an important role in decision making. Is the marketing activities planned by the company and properly selected advertising, which maximizes the strengths of the product or service and emphasizes its competitiveness. Among many other areas, social media plays an important role in the tourism industry, in particular, users of social networks have.

თამარ ჯანგულაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თემურ შენგელია
დოქტორი, პროფესორი

AI შესაძლებლობები და გამოწვევები ღია ინოვაციებში ბიზნესისთვის

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის ეფექტიანობაში, ინოვაციური და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში. აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, ბიზნესმა შეიძლება უპირატესობა მოიპოვოს კონკურენტებზე და მიაღწიოს საოპერაციო ეფექტიანობას, მოახდინოს რიგი პროცესების ავტომატიზირება, რაც შეამცირებს ხარჯებს და გაზრდის პროდუქტიულობას. ამასთან, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მენეჯმენტი ზრდის გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეს, რაც უზრუნველყოფს მონაცემებზე დაყრდნობით უკეთესი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას. აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვამდე მათ ტესტირებას, რაც ხელს უწყობს სწრაფად სიახლეების და ინოვაციების დანერგვას და ამასთან ახალი პროდუქტები და სერვისები, რომლებიც სწრაფად ინერგება, ზრდის შემოსავლებს. იცვლება მომხმარებელთა დამოკიდებულება და გამოცდილება პროდუქციისა და სერვისის მიმართ, ვინაიდან ისინი სწრაფად იღებენ, რაც იმ მომენტში სჭირდებათ, ხელოვნური ინტელექტის საშუალებით კომპანიები ახდენენ პერსონალიზაციას და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ზრდის მათ კმაყოფილებას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაცია ლოჯისტიკის გაუმჯობესებით, მოთხოვნის პროგნოზირებითა და მარაგების კონტროლით.

AI-ს გამოყენებით შესაძლებელია ხარჯების შემცირება, კერძოდ, პროცესების ოპტიმიზაციის შედეგად მცირდება აღჭურვილობების მწყობრიდან გამოსვლის და მათი ჩანაცვლების ალბათობა. ამასთან, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ამცირებს რისკებს და თაღლითობას, ვინაიდან AI დროულად აღმოაჩენს საფრთხეებს. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მენეჯმენტს ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შეუძლია ბევრი მონაცემების სწრაფად გადამუშავება, რაც ამცირებს შეცდომების დაშვების ალბათობას და ხელს უწყობს ცვლილებების სწრაფ მენეჯმენტს. AI ეხმარება ბიზნესს სწრაფად მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ინოვაციების დანერგვით და გაზარდოს მასშტაბურობა, რაც ხელს უწყობს ბიზნესის ზრდას ხარჯების პროპორციული ზრდის გარეშე.

Tamar Jangulashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Temur Shengelia
Doctor, Professor

AI Opportunities and Challenges in Open Innovations for Businesses

Artificial intelligence plays an important role in business efficiency, in gaining innovative and competitive advantage. It is worth noting that through artificial intelligence, a business can gain an advantage over

competitors and achieve operational efficiency, automate a number of processes, which will reduce costs and increase productivity. In addition, using artificial intelligence, management increases the speed of decision-making, which ensures better strategic decision-making based on data. It is worth noting that artificial intelligence helps to test innovations before they are introduced, which contributes to the rapid introduction of innovations and new products and services, which quickly increase revenues. The attitude and experience of consumers towards products and services is changing, as they quickly get what they need at that moment, companies using artificial intelligence personalize and improve the quality of customer service, which increases their satisfaction. Using artificial intelligence, it is possible to optimize the supply chain by improving logistics, forecasting demand and controlling inventories. Using AI, it is possible to reduce costs, in particular, as a result of optimizing processes, the probability of equipment failure and their replacement is reduced. In addition, the use of artificial intelligence reduces risks and fraud, since AI detects threats in a timely manner. It is worth noting that with the help of artificial intelligence, company management can quickly process a lot of data, which reduces the likelihood of making mistakes and at the same time facilitates rapid change management. AI helps businesses quickly gain a competitive advantage by introducing innovations and increase scalability, which helps businesses grow without a proportional increase in costs.



სექცია
SECTION

მევენახეობა-მეღვინეობა
VITICULTURE AND WINEMAKING

მოხსენებათა რაოდენობა: **14**
The Number of Reports:

მომხსენებელთა რაოდენობა: **14**
The Number of Reporters:

შალვა ბატიაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გაგა ბუიშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ვაზის ჯიში "ახმეტის წითელი"

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ექვს რეგიონში: კახეთში, ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შავიზღვისპირა ზონასა და მესხეთში, დადასტურებულია 500-ზე მეტი ჯიშის არსებობა. ქართული ვაზის უძველესი ჯიშების მოძიება-შესწავლა ხანგრძლივი ისტორიის მქონე პროცესია. ჩვენი ყურადღება გამახვილდა ჯიშ "ახმეტის წითელზე", რომელიც შერჩეულ იქნა კახეთის ადგილობრივ ჯიშებს შორის.

კვლევის მიზანია მივიწყებული ვაზის ჯიშის, "ახმეტის წითლის", შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მისი სამეურნეო-ტექნოლოგიური მახასიათებლების დადგენა. ამ მიზნით, კვლევა ჩატარდა ყურძნის მაგარ ნაწილებზე (კლერტი, წიპწა, კანი), აგრეთვე ყურძნის წვენსა და სხვადასხვა სტილში დაყენებულ ღვინოზე.

კვლევის პროცესში განისაზღვრა შემდეგი პარამეტრები: ყურძნის მტევნისა და მარცვლის საშუალო წონა და ზომები, წვენის გამოსავლიანობა, შაქრიანობა და მჟავიანობა. ასევე, შესწავლილ იქნა "ახმეტის წითლიდან" მიღებული სხვადასხვა ტიპის ღვინის (ჭაჭაზე დუღილი, წვენის დადუღება მაგარი ნაწილების გარეშე) ქიმიური პარამეტრები.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ჯიში საჭიროებს დამატებით კვლევას.

Shalva Batiashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Gaga Buishvili
Doctor, Associate Professor

The Grape Variety "Akhmetis Tskiteli""

In the six wine-growing regions of Georgia: Kakheti, Kartli, Imereti, Racha-Lechkhumi, the Black Sea coastal zone, and Meskheti, the existence of over 500 grape varieties has been confirmed. The search for and study of ancient Georgian grape varieties has been an ongoing process for a long time. Our attention is focused on the variety "Akhmetis Tskiteli," which was selected from local Kakhetian varieties.

The aim of the research is to study the forgotten grape variety "Akhmetis Tskiteli." Primarily, to determine its agricultural and technological characteristics. For this purpose, research was conducted on the solid parts of the grape (rachis, seeds, skin), as well as on the grape juice and wine made using different methods.

During the research process, the following parameters were determined: the average weight and size of grape bunches and berries, juice yield, sugar content, and acidity. Additionally, the chemical parameters of various types of wine obtained from "Akhmetis Tsiteli" (Fermentation on chacha (pomace), fermentation of juice without solid parts) chemical parameters.

In conclusion, we will say that this variety requires further research.

ანა ცეცხლაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კიკვაძე
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

აჭარის მევენახეობის ისტორია

აჭარის მევენახეობა არის საქართველოს მევენახეობის განუყოფელი ნაწილი. ოდითგანვე ვაზის კულტურას დიდი ყურადღება ექცეოდა აჭარაში, რასაც ადასტურებს წინა ანტიკური და ანტიკური ხანის სხვადასხვა ორნამენტებით შემკული კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, შუასაუკუნეების სასმისები, დოქები, ფიალები, 2012 წელს ჩაქვისწყლის ხეობაში აღმოჩენილია უძველესი მარანი და 40-ზე მეტი ავტოქტონური ვაზის ჯიში.

ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფიაში ვკითხულობთ: ,, არს აჭარის ხეობა ვენახიანი, ხილიანი, მოსავლიანი“. თურქთა სამას წლიანმა ბატონობამ, მოსახლეობის გამაჰმადიანებამ, ბაღ-ვენახების აჩეხვამ დააკნინა ამ რეგიონში მევენახეობის განვითარება. აქ 1930-1931 წლამდე მევენახეობა მეორეხარისხოვან დარგად იყო მიჩნეული და ადგილს უთმობდა სხვა კულტურებს: ჩაის, თამბაქოს, ციტრუსებს.

1956 წლის აღწერით ვენახების ფართობი აჭარაში იყო 332,8ჰა. ერ.ნაკაშიძის მიხედვით, აჭარაში მე-20 საუკუნის დასაწყისში ვენახიანი ხეები, როგორც ხეხილი, გაფანტული იყო თითო-ოროლა ეზოში. მოსახლეობა ყურძენს ხილად ხმარობდა, აკეთებდნენ ბექმეზს, ხარდალს, ძმარს, ფელამუშს და ჩურჩხელებს. რამიშვილის მიერ შესწავლილ იქნა აჭარის მევენახეობა, ადგილობრივი ჯიშები, მათი გავრცელება. საქართველოს ამპელოგრაფიაში კი მოცემულია სრული სია ვაზის აჭარული ჯიშებისა. აჭარაში მევენახეობის ისტორიულ კერად მიჩნეულია ქედის მუნიციპალიტეტი. ყველაზე გავრცელებული ვაზის ჯიშებია ცოლიკოური და ჩხავერი, თუმცა რეგიონში უკანასკნელ წლებში დაიწყეს ძველი ჯიშების აღდგენა კოლექციების შექმნით და ვითარდება საოჯახო მარნები.

Ana Tsetskhladze
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Maia Kikvadze
Doctor, Assistant Professor

The History of Viticulture in Adjara

Viticulture in Adjara is an integral part of Georgian viticulture. Since ancient times, vine cultivation has been highly valued in Adjara, as evidenced by fragments of Colchian ‘Qvevri’-s decorated with various ornaments of the pre-antique and antique periods, as well as medieval goblets, pitchers, bowls and discovered in 2012 an ancient wine cellar with over 40 autochthonous grape varieties in the Chakvistskali Valley. In Vakhushti Batonishvili's “Geography of Georgia,” we read: "The valley of Adjara is vineyard-covered, fruitful, and productive." Three centuries of Turkish rule, the Islamization of the population, and the destruction of gardens and vineyards hindered the development of viticulture in the region. Until 1930–1931, viticulture was considered a secondary field in Adjara, giving way to other crops such as tea,

tobacco, and citrus fruits. According to the 1956 census, vineyard area in Adjara was 332.8 hectares. According to E. Nakashidze, at the beginning of the 20th century, vineyard-covered trees in Adjara were scattered in a few household yards like fruit trees. The population used grapes as fruit and produced the following products such as Bekmezi, Mustard, Vinegar, Pelamushi, and Churchkhela. The research conducted by Ramishvili studied viticulture in Adjara, the local grape varieties, and their distribution. The complete list of Adjarian grape varieties is presented in the "Ampelography of Georgia." Keda Municipality is considered the historical center of viticulture in Adjara. The most widespread grape varieties are Tsolikouri and Chkhaveri. However, in recent years, some efforts have been made to revive and restore old grape varieties by creating collections, and for developing family wineries.

ალექსანდრე შამუგია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაღრაძე
დოქტორი, პროფესორი

აფხაზეთის ავტოქტონური ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული აღწერა და ენო-კარპოლოგიური დახასიათება

აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს მევენახეობის განუყოფელი ნაწილი მისი გამორჩეული ისტორიითა და ვაზის ჯიშების უნიკალური გენოფონდით, რაზეც მეტყველებს გასული საუკუნის მეცნიერთა ნაშრომების სიმრავლე.

მე-20 საუკუნის ბოლოს იქ განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო ამ კუთხის მევენახეობის თემატიკაზე წლების მანძილზე კვლევები აღარ განხორციელებულა. ეს ნაშრომი გვაძლევს ინფორმაციას აფხაზეთის მევენახეობის მოკლე ისტორიაზე და ჯიღაურას საკოლექციო ნარგაობაში დაცული 7 აფხაზური ჯიშის - აგბიჟ, აძნიჟ, აციმლიჟ, ლაკაიაჟ, აჩკიკიჟ, ანსაპჟ და აცპიჟ - ამპელოგრაფიული დახასიათების შესახებ, რომელთა აღწერა ჩატარდა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) 34 დესკრიპტორის მიხედვით 2024 წელს.

ჯიშების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად საერთო გეოგრაფიული წარმოშობისა და რიგი ნიშნების მსგავსებისა, საკვლევი ნიმუშები ხასიათდებიან ამპელოგრაფიული მახასიათებლების მრავალფეროვნებით - მათ შორის ზრდასრული ფოთლის ფირფიტის შებუსვის მაღალი ინტენსივობით, სიმწიფის საგვიანო პერიოდით, ნაკლებად კუმსი მტევნებით, რაც ზოგადად დამახასიათებელია კოლხეთის კერიდან გავრცელებული ჯიშებისთვის. ჩამოთვლილი ყურძნის ჯიშებისგან კლასიკური ტექნოლოგიით დამზადდა ღვინოები და განისაზღვრა მათი ქიმიური მახასიათებლები. კვლევამ აჩვენა, რომ შესწავლილი ფორმები მტევნისა და მარცვლის ზომებით, ენოქიმიური მაჩვენებლებით მიეკუთვნებიან საღვინე ტიპის ვაზის ჯიშებს და ღვინის ქიმიური ანალიზები შესაბამისობაშია დარგში არსებულ სტანდარტთან.

Aleksandre Shamugia
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: David Maghradze
Doctor, Professor

Ampelographic Description and Eno-carpological Characterization of Autochthonous Grape Varieties of Abkhazia

Abkhazia has always been an integral part of Georgian viticulture with its particular history and unique germplasm of grape varieties. Due to the political situation of the end of the 20th century, Georgian ampelography was separated from the Abkhazian grape varieties. Because of this reason, research of the viticulture in this region of Georgia has not been conducted for many years. This presented work provides brief information about the history of Abkhazian viticulture and the results of ampelographic description of 7 Abkhazian autochthonous grapevine varieties named as Agbizh, Adznizh, Atsimlizh, Lakaiazh, Achkikizh, Ansapzh and Atspizh. These varieties are preserved in the Jighaura collection of the Scientific-Research Center of Agriculture. The description was provided based on the OUV 34 ampelographic descriptors during 2024. This study demonstrated that despite similar geographic origin and homogeneity of several traits, the varieties demonstrated diversity of ampelographic characters such as high intensity of lower leaf hairs, a late ripening period and less dense bunches, which are typical traits for grape varieties originated from the Kolkheti sub-center of Georgian grape origin. Wines were produced from the selected grape varieties using classical vinification methods, and their chemical properties were subsequently analyzed. The results of the study indicated that the investigated varieties, based on cluster and berry morphology as well as enochemical parameters, are classified as wine grape types. Furthermore, the chemical composition of the wines aligns with the established industry standards.

შალვა დავრაშელიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ხოსიტაშვილი
დოქტორი, პროფესორი

ცქრიალა ღვინის წარმოების პოტენციალი ქარელის რაიონში: ღვინის ხარისხი და წარმოების პერსპექტივა

ყოველწლიურად საქართველოში მნიშვნელოვნად იზრდება დაინტერესება მეღვინეობის მიმართ, რაც თვალსაჩინოდ აისახება როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზე. ტრადიციული ღვინოებისადმი მოთხოვნის პარალელურად, იზრდება ინტერესიც ცქრიალა ღვინის მიმართულებით — როგორც მწარმოებელთა, ასევე მომხმარებელთა მხრიდან. წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს ქარელის რაიონში ცქრიალა ღვინის წარმოების შესაძლებლობის შეფასებას. პირველ ეტაპზე განიხილება, რამდენად ხარისხიანი ღვინის მიღებაა შესაძლებელი აღნიშნულ რეგიონში მოყვანილი ყურძნისგან. პარალელურად, მიღებული ნიმუშები შედარებულია ატენის მევენახეობა-მეღვინეობის მიკროზონაში მოყვანილი ყურძნისგან დამზადებულ ცქრიალა ღვინოებთან, რაც შესაძლებელს ხდის რეგიონთაშორისი შედარებითი ანალიზის

განხორციელებას. ღვინის ხარისხობრივი მახასიათებლების ანალიზთან ერთად კვლევა ასევე მიზნად ისახავს ქარელის რაიონის ვენახების მასშტაბური განვითარების პოტენციალის განსაზღვრას.

შემდგომი ანალიზის მეშვეობით გამოიკვეთება, შეუძლია თუ არა ქარელს ჩამოყალიბდეს ახალ პერსპექტიულ მიკროზონად ცქრიალა ღვინის წარმოებისთვის საქართველოში.

Shalva Davrashelidze
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Mariam Khositashvili
Doctor, Professor

Sparkling Wine Production Potential in Kareli District: Wine Quality and Production Perspective

Every year, the interest in viticulture and winemaking in Georgia, grows significantly, which is clearly reflected in both local and export markets. Alongside the increasing demand for traditional wines, there is a rising interest in sparkling wine production—both from producers and consumers. This study aims to assess the potential for sparkling wine production in the Kareli region. The first stage of the research focuses on evaluating the quality of wine that can be produced from grapes grown in this area. Simultaneously, the obtained samples are compared to sparkling wines made from grapes cultivated in the Ateni viticulture and winemaking microzone, enabling a comparative analysis between regions. In addition to analyzing the qualitative characteristics of the wine, the research also seeks to determine the potential for large-scale vineyard development in the Kareli region. Through further analysis, the study will explore whether Kareli can emerge as a new and promising microzone for sparkling wine production in Georgia.

თამარ რიჟამაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან უჯმაჯურიძე
დოქტორი, პროფესორი

ტერასული მევენახეობა მესხეთში

ტერასული მევენახეობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ოდითგანვე უნიკალურობით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, რომლებიც რთული კლიმატური პირობებით და მთაგორიანი რელიეფით ხასიათდება. ტერასული მევენახეობა უძველესი დროიდან გამოიყენებოდა და დღემდე ინარჩუნებს პოპულარობას ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: საქართველო, ჩინეთი, იტალია, საფრანგეთი, პერუ, არგენტინა და ა.შ საქართველოში კი ტერასული მევენახეობის ძირძველი და ნათელი მაგალითია მესხეთი, სადაც ვაზი გაშენებულია ზღვის დონიდან 900- 1400 მეტრის სიმაღლეზე.

მესხეთის რეგიონი პირდაპირ დაკავშირებულია ტერასული ტიპის მევენახეობასთან. ტერასები უნიკლაურია თავისი მნიშვნელობით და მსგავსი ტიპის განაშენიანებას საქართველოს სხვა კუთხეში ნაკლებად ვხვდებით. რეგიონის მთაგორიანობისა და ასევე ნაყოფიერი მიწის სიმცირის გამო, აქაურმა მევენახეობამ თავიდანვე ტერასული მიმართულება მიიღო, რასაც არაერთი ლიტერატურული წყარო გვიდასტურებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტერასული მეურნეობის მშენებლობა მშრალი წესით მიმდინარეობდა. მესხეთში ვენახის ძირითადი მასივები გაშენებული ყოფილა ასპინძის რაიონში მდინარე მტკვრის ხეობაში, რასაც ადასტურებს დიდი რაოდენობით დაბაქნებული მესხური ტერასები, რომლებსაც ადგილობრივები ასევე „ოროკოს“, „დარიჯებს“, „საქვესა“ და „ბაქანს" უწოდებდნენ (ჯავახიშვილი, 1934).

ტერასები დღეისათვის შემორჩენილია სხვადასხვა ლოკაციაზე თითქმის პირვანდელი სახით: ასპინძის, ხიზაბავრის, საროს, ვარძიის, გოგაშენის, ჭაჭკარის და აწყურის მიდამოებში. დღეისათვის ასპინძის რაიონში (ვარძიის, ასევე საროს და ხიზაბავრის ტერიტორიაზე) 50 სართულიან ტერასებს ვხვდებით, რომელიც 200 მეტრამდეა აღმართული და თითქმის პირვანდელი სახით არის შემორჩენილი, სადაც 20-ზე მეტი ადგილობრივი მესხური ვაზის ჯიშია გაშენებული.

Tamar Rijamadze
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Levan Ujmajuridze
Doctor, Professor

Terraced Viticulture in Meskheti

Terrace viticulture has stood out for its uniqueness across many countries throughout history, especially in regions characterized by challenging climatic conditions and mountainous terrain. Terrace cultivation of vineyards has been practiced since ancient times and remains popular to this day in countries such as Georgia, China, Italy, France, Peru, Argentina, and others. In Georgia, the oldest and prime, vivid example of terrace viticulture is found in the Meskheti region, where vineyards are cultivated at altitudes ranging from 900 to 1400 meters above sea level. The Meskheti region is closely associated with terrace-style viticulture. These terraces are unique in their significance and are rarely encountered in other parts of Georgia. Due to the region's mountainous terrain and the scarcity of fertile land, viticulture in this area naturally adopted the terrace method from the outset, which is confirmed by numerous literary sources. It is noteworthy that the construction of these terraces was carried out using dry masonry techniques. In Meskheti, the primary vineyard clusters were located in the Aspindza district along the Mtkvari River gorge, as evidenced by the extensive presence of ancient Meskhetian terraces, which locals referred to as “oroko,” “darijebi,” “sakve,” and “bakani” (Javakhishvili, 1934). Today, terraces are preserved in various locations, almost in their original state, including the vicinities of Aspindza, Khizabavra, Saro, Vardzia, Gogasheni, Chachkari, and Atskuri. Currently, in the Aspindza district (particularly in the areas of Vardzia, as well as Saro and Khizabavra), there are terraces with up to 50 levels, rising as high as 200 meters. These terraces have survived almost intact, and they continue to house over 20 indigenous Meskhetian grape varieties.

ანა იოსელიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ღვინის ზადი და ნაკლი - გამომწვევი მიზეზები და პრევენცია

ღვინის წარმოების 8000-წლოვანი ისტორია, ნეოლითის ხანიდან დღემდე მეღვინეობის მეცნიერულად დადასტურებული უწყვეტი ტრადიცია, თაობების მიერ შენარჩუნებული ქართული ვაზის უნიკალური 525 ჯიში და წინაპართა გამოცდილებაზე დაფუძნებული ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგია დღეს განსაკუთრებული ინტერესის ობიექტია.

მოხმარების გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ხარისხიანი ღვინის წარმოება ტრადიციებისა და თანამედროვეობის შერწყმის გზით. ღვინო ჩამოყალიბების, დავარგების და დამწიფების ცოცხალ პროცესში მთელ რიგ რთულ ცვლილებებს განიცდის. არსებობს ნივთიერებები, რომლებიც მის საუკეთესო გემოებსა თუ სიხალისეზე, ხავერდოვნებასა და სინაზეზე ზრუნავენ და ნივთიერებები, რომლებიც არღვევენ მის შემადგენლობას და ღვინოს ზადს თუ ნაკლს სძენენ.

ნაშრომში განხილულია ღვინის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარე არასასურველი ქიმიური რეაქციებისა და მიკრობიულოგიური პროცესების შედეგი, რის გამოც უარესედება ღვინის გემოვნური თვისებები, კარგავს ღირსებას და სამომხმარებლო ღირებულებას, ასევე პრევენციის სახეები,რომლებიც მისცემს მეღვინეებს საშუალებას თავიდან აიცილონ ზემოთხსენებული და შექმნან ხარისხიანი პროდუქტი.

საკვანძო სიტყვები: ღვინო, ზადი, ნაკლი.

Ana Ioseliani
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Olani Gotsiridze
Doctor, Associate Professor

Wine Faults and Defects. Their Causes and Prevention

Georgia's 8,000-year-old winemaking tradition scientifically verified since the Neolithic era alongside 525 unique indigenous grape varieties preserved across generations and ancestral artisanal techniques, has become a focus of global interest. As demand rises, merging this heritage with modern enological practices is essential to secure high-quality production. Throughout fermentation, aging, and maturation, wine undergoes complex biochemical and microbiological changes: There some compounds that enhance aroma, vibrancy, mouthfeel, and finesse, while others induce faults that compromise sensory attributes and consumer value. This work examines the key adverse chemical reactions and microbiological processes at each production stage due to this wine loses its flavor and value. The paper proposes preventive strategies for winemakers to avoid defects and ensure superior wine quality

საბა ქიტიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საღვინე მიმართულების ვაზის სელექციური ჯიშების აგრონომიული და ენოლოგიური შესწავლა

საქართველო ცნობილია მეღვინეობის უძველესი ტრადიციებით, 8000 - წლიანი უწყვეტი მეღვინეობის ისტორიითა და ვაზის ჯიშთა მდიდარი გენოფონდით.

მე-20 საუკუნეში ქართველი სელექციონერების მხრიდან მნიშვნელოვანი კვლევები განხორციელდა ასორტიმენტის გასამდიდრებლად, რაც ენოლოგიური, ორგანოლეპტიკური, აგრონომიული მახასიათებლებისა და რეზისტენტული ჯიშების შექმნას ისახავდა მიზნად. ქართველი სელექციონერების მიერ შექმნილი ჯიშებიდან შეგვიძლია გამოვყოთ საღვინე მიმართულების ისეთი ჯიშები, როგორებიცაა: დაისი, კახური თეთრი და ტაბიძისეული. ამ ჯიშების არსებობა ხელს უწყობს არა მხოლოდ მემკვიდრეობისა და გენოფონდის გამრავალფეროვნებას, არამედ ქმნის შეცვლილ აგროკლიმატურ პირობებთან წარმატებულად გამკლავების საშუალებას. კვლევა მიმდინარეობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

ჯიშების კულტივირების არეალს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზა სოფელ ჯიღაურაში (მცხეთის რაიონი).

კვლევა მოიცავს შერჩეული სამი სელექციური ჯიშის - დაისი, ტაბიძისეული, კახური თეთრის 2024 სავეგეტაციო წლის ენო-კაროპოლოგიურ და ენოქიმიურ მონაცემებს. ყურძენი მოიკრიფა 10 სექტემბერს, ამ პერიოდისთვის დაისის შაქრიანობა შეადგენდა 22.5 %, საერთო მჟავიანობა 5.4 გრ/ლ, ტაბიძისეულის შაქრიანობა შეადგენდა 18.8 %, საერთო მჟავიანობა კი 7.5 გრ/ლ, კახური თეთრის შაქრიანობა შეადგენდა 18.5 %, საერთო მჟავიანობა 6.8 გრ/ლ. მიმდინარე კვლევის ფარგლებში ყველაზე მაღალი მტევნის წონა დაფიქსირდა „ტაბიძისეულში“ 352.4 გრ, მარცვლის წონის მიხედვით კი ჯიში „დაისი“ გამოირჩეოდა – 30.2 გრ ასევე განისაზღვრა საერთო ფენოლების შემცველობა ყურძენში, რომლის მიხედვითაც ყველაზე მაღალი მონაცემი დაფიქსირდა ჯიშში „დაისი“ - 1202.3 მგ/კგ, „კახურ თეთრში“ - 848 მგ/კგ, ხოლო ყველაზე დაბალი შემცველობა „ტაბიძისეულში“ – 810.6 მგ/კგ.

Saba Kitiashvili
Caucasus International University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: Olani Gotsiridze
Doctor, Associate Professor

Agronomic and Enological Study of Selected Wine Grape Varieties

Georgia is renowned for its ancient winemaking traditions, with an unbroken history of viticulture spanning 8,000 years and a rich gene pool of grape varieties. In the 20th century, significant research was carried out by Georgian breeders to enrich the assortment of grape varieties, aiming to develop types with improved enological, organoleptic, and agronomic characteristics, as well as resistance to various stress factors. Among the varieties created by Georgian breeders, several notable wine grape varieties can be

highlighted, such as Daisi, Kakhuri Tetri (Kakhetian White), and Tabidziseuli. These varieties not only contribute to the diversification of heritage and the genetic pool, but also offer effective adaptation to changing agro-climatic conditions. The research is being conducted at the Caucasus International University. The cultivation area for the varieties is located at the base of the Agricultural Scientific-Research Center in the village of Jighaura (Mtskheta region). The study includes enocarpological and enochemical data from the 2024 growing season for three selected varieties: Daisi, Tabidziseuli, and Kakhuri Tetri. Grapes were harvested on September 10. At that time, Daisi had a sugar content of 22.5%, and total acidity of 5.4 g/L. Tabidziseuli had a sugar content of 18.8% and total acidity of 7.5 g/L, while Kakhuri Tetri had a sugar content of 18.5% and total acidity of 6.8 g/L. Within the ongoing study, the highest bunch weight was recorded in Tabidziseuli at 352.4 grams, while in terms of berry weight, Daisi stood out with 30.2 grams. The total phenolic content in the grapes was also determined. The highest value was recorded in the Daisi variety – 1202.3 mg/kg, followed by Kakhuri Tetri – 848 mg/kg, and the lowest was found in Tabidziseuli – 810.6 mg/kg.

ლია მეგრელიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მირველაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მევენახეობა – მეღვინეობის საწარმოო პოტენციალის შესწავლა სამეგრელოში

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები და ვაზის ადგილობრივ ჯიშთა სიუხვე (525) დიდ შესაძლებლობას იძლევა მევენახეობის ცალკეულ რეგიონებში მეღვინეობის განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული სამეგრელოს რეგიონია 60-მდე ენდემური ჯიშით. მევენახეობას სამეგრელოში ძველთაგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რაც დასტურდება მკვლევართა და მოგზაურთა (ლამბერტი, დიებუა..) ჩანაწერებით; არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული აღმოჩენებით; აქ თითქმის ყველა სოფელში შეიძლება ნახოთ ქვითკირის საწნახელის ნაშთები, - არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ინვენტარი ვაზის სასხლავი დანები, საღვინე ჭურჭელი, რაც დარგის ინტენსიურ განვითარებაზე მიუთითებს.

სამეგრელოს ტერიტორიაზე ვერტიკალური ზონალობის მიხედვით გამოყოფენ მევენახეობის სამ მთავარ ზონას: 1. ზღვის სანაპირო და დაბლობი; 2. მთისპირა; 3. მაღალმთიანი; მათ შორის, მაღალხარისხიანი ღვინის წარმოების თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესოა მთისპირა ზონა, სადაც ოჯალეშის ჯიშიდან იწარმოება სხვადასხვა ტიპის ღვინო (ბუნებრივად ნახევრადტკბილი, მშრალი, ნახევრადმშრალი, ქვევრის) და ასევე, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო ,,სალხინოს ოჯალეში''. სულ ვაზით დაკავებული ტერიტორიის ფართობი სამეგრელოს ტერიტორიაზე 149 ჰექტარს შეადგენს. დანარჩენ გავრცელებულ ჯიშებს სამეგრელოში ჯერჯერობით მხოლოდ მიკროწარმოების დანიშნულება აქვთ. მათ შორის პერსპექტიულია პანეში, ჭვიტილური, ჩეჭითეში, შხუჩეში, ეგუძგური და სხვა მრავალი.

ჩვენი კვლევის მიზანია, სამეგრელოს რეგიონში ვაზის გავრცელების არეალის, მისი თანმდევი კულტურების და მევენახეობა-მეღვინეობის საწარმოო პოტენციალის შესწავლა.

Lia Megrelishvili
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Maia Mirvelashvili
Doctor, Associate Professor

Exploring the Viticulture and Winemaking Production Potential in the Samegrelo Region

The natural conditions of our country and the abundance of local grapevine varieties (525) provide great potential for the development of winemaking in specific viticulture regions. In this regard, one of the most remarkable regions is Samegrelo, with around 60 endemic varieties. Viticulture has held an important place in Samegrelo since ancient times, as evidenced by the notes of researchers and travelers such as Lambert and Diebois, as well as by archaeological and ethnographic discoveries. Remains of stone wine presses can still be found in nearly every village of the region. Archaeological excavations have uncovered some tools such as vine-pruning knives and traditional winemaking vessels, indicating the long-standing and intensive development of viticulture in the region. According to the perspective of vertical zoning, the territory of Samegrelo is divided into three main zones: 1. Coastal and plain zone; 2. Mountainous zone; 3. High-mountainous zone. Among these zones, the mountainous zone is the most promising in terms of high-quality wine production. This is where the Ojaleshi grape variety is used to produce various types of wine (including naturally semi-sweet, dry, semi-dry, and qvevri wine) and also the one that is named by its origin of location as " Salkhino Ojaleshi." The total area under vine in the Samegrelo region amounts to 149 hectares. Other grape varieties currently cultivated in the region are used primarily for small-scale (micro) production, though several of them show strong potential. These include Paneshi, Chvitiluri, Chechipeshi, Shkhucheshi, Egudzguri, and many others. The aim of our research is to examine the distribution of grapevines across the Samegrelo region, the accompanying crops, and the production potential of viticulture and winemaking.

ნანა გიორგელაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ვეფხვიშვილი
დოქტორი, პროფესორი

ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების გამდიდრება ანტიოქსიდანტური ნივთიერებებით

ანტიოქსიდანტები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვითი პროცესების რეგულირებაში. მათი უნარი - მოახდინონ თავისუფალი რადიკალების განეიტრალება - ხელს უწყობს ორგანიზმის იმუნიტეტის გაძლიერებას და სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების შესუსტებას. ანტიოქსიდანტების წყაროა მცენარეული წარმოშობის პროდუქტები.

პრეზენტაციაში, ძირითადად, განხილულია ვიტამინების, პოლიფენოლებისა და ფლავონოიდების გამოყენების პერსპექტივები სურსათის თანამედროვე ტექნოლოგიაში.

ყურადღება გამახვილებულია ქართულ ტრადიციულ საკვებ პროდუქტ ჩურჩხელაზე, რომელიც, ყურძნის ტკბილის წყალობით, ისედაც, მდიდარია ანტიდამჟანგველებით. ანტიოქსიდანტური პოტენციალის კიდევ უფრო გასაზრდელად გამოყენებულია ყურძნის წიპწისა და კავკასიური ცაცხვის ყვავილის ნაფქვავი. აღნიშნული მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, ტრადიციული ქართული პროდუქტი გარდაიქმნას ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან ფუნქციურ საკვებად. პრეზენტაციაში, ასევე, წარმოდგენილია ინოვაციურად დამზადებული ცქრიალა და ლიქიორული ტიპის ღვინო, რომლებიც სპეციალური მეთოდებით გამდიდრებულია ანტიოქსიდანტური ნივთიერებებით - ფენოლური ნაერთებით.

Nana Giorgelashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
Undergraduate Studies
Scientific Supervisor: Nino Vepkhvishvili
Doctor, Professor

Enrichment of Grape-derived Products with Antioxidant Compounds

Antioxidants are biologically active compounds that play a crucial role in regulating oxidative processes within the human body. Their ability to neutralize free radicals contributes to enhancing immune system and alleviating the effects of various pathological conditions. Plant-based products serve as the primary sources of these compounds(antioxidants). This presentation explores the potential applications of vitamins, polyphenols, flavonoids and their perspectives in the context of modern food technologies. Particular attention is devoted to the traditional Georgian product — Churchkhela, which is naturally rich with antioxidants due to its grape juice content. To further increase its antioxidant potential, grape seed powder and grounded flowers of Caucasian Linden have been incorporated into its composition. This innovative approach allows the transformation of a traditional Georgian product into a functional and valuable product that holds the potential to support and improve health. In addition, the presentation demonstrates two specially processed wines — sparkling and liqueur — both of which have been enriched with phenolic compounds using targeted techniques aimed to enhance their bioactivity.

ანი ჩუთლაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაღრაძე
დოქტორი, პროფესორი

ველური და კულტივირებული ვაზის წიპწის გაღივების პოტენციალი: ნედლი, ფერმენტირებული, დეჰიდრატირებული ყურძნიდან

ვაზი მიეკუთვნება იმ მცენარეთა ჯგუფს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან, ეკონომიკასთან და კულტურასთან. ქართული ვაზის ჯიშური

მრავლაფეროვნების შექმნის პროცესები იწყება ველური ვაზის Vitis sylvestris დომესტიკაციით და ვითარდება მრავლფეროვნად, შესაბამისად, მცენარეთა გამრავლების წარმოშობა იწყება ადრეული ადამიანების მომთაბარე არსებობიდან დასახლებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებზე გადასვლისა და მათი კვების წყაროების კულტივირების მომენტიდან. კვლევა მიმდინარეობდა 2024 წელს. შერჩეული იყო ველური ვაზის 5 ფორმა და კულტურული ვაზის 7 ჯიში საგურამოს კოლექციიდან. კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ველური და კულტურული ვაზის ნედლი, ფერმენტირებული და დეჰიდრატირებული წიპწების გაღივების პოტენციალი.

კვლევამ გვაჩვენა შემდეგი: ფერმენტირებულის შემთხვევაში ველური 30%, კულტურულში 70%, ნედლი ველური 35%, კულტურული 65%, დეჰიდრატირებული ველური 40%, კულტურული 60%. ასევე კვლევის დროს შევისწავლეთ დეჰიდრატაციის პროცესი, რომელიც ველური ყურძის შემთხვევაში დაკარგა მთლიანი მასის 144,4გრ, ხოლო კულტურული საღვინე ყურძნის შემთხვევაში 231,5გრ.

Ani Chutlashvili
Caucasus International University
Doctoral Studies
Scientific Supervisor: David Maghradze
Doctor, Professor

The Germination Potential of Wild and Cultivated Grapevine Cuttings: from Raw, Fermented, and Dehydrated Grapes

The vine belongs to a group of plants that is closely connected to the history, economy, and culture of our country. The processes of creating the varietal diversity of Georgian vineyards begin with the domestication of wild grapevine Vitis Sylvestris and develop into diversity. Consequently, the emergence of plant propagation starts from the transition of early humans from a nomadic existence to settled agricultural societies and the moment of cultivating their food sources. The research was conducted in 2024. 5 forms of wild grapevine and 7 varieties of cultivated grapevine were selected from the Saguramo collection. Within the framework of the study, we examined the germination potential of wild and cultivated grapevines using raw, fermented, and dehydrated seeds. The study revealed the following results: in the case of fermented wild grapes showed a 30% germination rate, while cultivated grapes showed 70%; for raw grapes, wild grapes had a 35% germination rate, and cultivated grapes had 65%; in the case of dehydrated grapes, wild grapes showed a 40% germination rate, while cultivated grapes showed 60%. Additionally, during the research, we examined the dehydration process, which resulted in a total mass loss of 144.4g for wild grapes and 231.5g for cultivated wine grapes.

თეონა რეხვიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ზადიანი და დაავადებული ღვინოების ოპტიმალური დამუშავების მეთოდების კვლევა და სქემების შედგენა

უძველესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, ღვინოს საქართველოში 8000 წლიანი ისტორია გააჩნია, რომელიც დღემდე არსებობს და ვითარდება. ღვინო არის საკმაოდ მრავალფეროვანი და რთული პროდუქტი, რომელიც ყურძნის გადამუშავების შედეგად მიიღება. ღვინოებში ხშირი და გავრცელებულია სხვადასხვა სახის დაავადები, რომლებიც ღვინოს მოსახმარად გამოუსადეგარს ხდის. ღვინის დაავადებებს გააჩნია მიკრობიოლოგიური წარმომლობა, სწორედ ეს მიკრობიოლოგიური ცვილებები იწვევს საბოლოოდ ღვინის ქიმიური შემადგენლობის მნიშვნელოვან ცვლილებებს. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ღვინის დაავადება, უნდა მოხდეს ღვინის დამზადების პროცესში სანიტარული ნორმების მკაცრი დაცვა. დაავადებული ღვინის გამოსწორება არც ისე მარტივი პროცესია, თუმცა არა შეუძლებელი.

სხვადასხვა დაავადებას სხვადასხვაგვარი დამუშავების წესი აქვს, რითაც შესაძლებელია ღვინის გამოსწორება და ნაწილობრივი ხარისხის შენარჩუნება. ღვინის დამუშავების სხვადასხვა გზა არსებობს, რომელიც ეხმარება ღვინოს შეინარჩუნოს ხარისხი. მთავარია დაავადების აღმოჩენა საწყის ეტაპზე მოხდეს. დაავადებული ღვინის დამუშავება აუცილებლად უნდა მოხდეს სწორად. დაავადებული ღვინო შესაძლოა დამუშავდეს სხვადასხვა პრეპარატით, დამუშავების შემდგომ მიღებული შედეგის მიხედვით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომელი დაავდების რომელი პრეპარატით დამუშავებაა საჭირო იმისთვის, რომ ღვინოს შევუნარჩუნოთ ხარისხი.

Teona Rekhviashvili
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Olani Gotsiridze
Doctor, Associate Professor

Research and Development of Optimal Processing Methods for Zadiani-infected Wines

According to ancient archaeological discoveries, wine has an 8,000-year history in Georgia — a tradition that continues to this day and keeps evolving. Wine is a highly diverse and complex product made through the processing of grapes. Various types of diseases are common in wine, which can make it unsuitable for consumption. Wine diseases are of microbiological origin. These microbial changes are what ultimately cause significant alterations in the chemical composition of wine. To prevent such diseases, strict adherence to sanitary norms is essential during the winemaking process. Treating spoiled wine is not a simple task, but it is not impossible. Each disease requires a specific treatment method that can improve the wine and partially preserve its quality. There are several treatment approaches that help maintain wine quality, but it is crucial to detect the disease at an early stage. Spoiled wine must be treated properly. It can be treated with various agents, and based on the outcome, it becomes possible to determine which agent is suitable for which disease in order to preserve the wine's quality.

სალომე ქართველიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ხოსიტაშვილი
დოქტორი, პროფესორი

ორგანული მჟავების დაგროვების დინამიკა ყურძენში და გავლენა ღვინის ხარისხზე

ღვინის ინდუსტრიისთვის გადამწყვეტი ასპექტია ყურძნისა და ღვინის შემადგენლობა, როგორც ვიცით, ღვინის ხარისხს განსაზღვრავს არაერთი კომპონენტი, თუმცა პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ორგანული მჟავებისა და შაქრის პროპორცია ღვინოში. მიუხედავად იმისა, რომ შაქართან შედარებით ორგანული მჟავები უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება, ის მაინც ზეგავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე, გემოვნურ და სურნელოვან თვისებებზე, ფერზე და ა.შ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ორგანული მჟავების დაგროვების დინამიკის განსაზღვრა ყურძენში და მისი გავლენა ღვინის ხარისხზე. საკვლევ ობიექტს წარმოადგენს რქაწითელი, კახური მწვანე, ჩინური, გორული მწვანე, საფერავი და საფერავი ბუდეშურისებური, ხოლო საკვლევი მასალაა: ღვინის მჟავა, ძმარმჟავა, ლიმონმჟავა, ვაშლმჟავა და რძემჟავა.

კვლევა დაიწყება ისრიმობის პერიოდიდან, ამ დროის განმავლობაში დავაკვირდებით ყურძენში ორგანული მჟავების ცვლილებას, ამისთვის კი გამოვიყენებთ სხვადასხვა კვლევით მეთოდებს, საბოლოოდ კი სენსორულ ანალიზსაც, რათა ზუსტად დავადგინოთ ორგანული მჟავების ზემოქმედება ღვინოზე.

Salome Qartvelishvili
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Mariam Khositashvili
Doctor, Professor

Dynamics of Organic Acid Accumulation in Grapes and its Impact on Wine Quality

The composition of grapes and wine is a crucial aspect for the wine industry. As we know, the quality of wine is determined by a number of components, but the first and most important is the proportion of organic acids and sugar in wine. Despite the fact that organic acids are found in smaller quantities compared to sugar, they still affect the quality of wine, its taste and aroma, color, etc. The purpose of the study is to determine the dynamics of the accumulation of organic acids in grapes and its impact on the quality of wine. The objects of the study are: Rkatsiteli, Kakhuri Mtsvane, Chinuri, Goruli Mtsvane, Saperavi and Saperavi Budeshuri. The research materials are: tartaric acid, acetic acid, citric acid, malic acid and lactic acid. The research will begin with the ripening period, during this time we will observe the changes in organic acids in the grapes, using various research methods, and ultimately sensory analysis, to accurately determine the impact of organic acids on the wine.

შოთა ბარნოვი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ხოსიტაშვილი
დოქტორი, პროფესორი

გამომშრალი ყურძნიდან მშრალი ღვინის წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება

ჩვენ მიერ საკვლევი ობიექტი გახლავთ გამომშრალი ყურძნის მარცვლისაგან დამზადებული წითელი, მშრალი ღვინის მიღება/ტექნოლოგიების დამუშავება, ვალპოლიჩელა დელლა ამარონეს ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

კვლევის მიზანია, ქართული ადგ. ჯიშების, კერძოდ, ბუდეშურისებრი საფერავისა და საფერავის:

I - ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებზე დაკვირვება, ყურძნის კანის, ეპიდერმისის, ჰიპოდერმის, ეგზოკარპის, ცვილოვანი ფენის პოტენციალის გამორკვევა, თუ რამდენად კარგად გაივლის მარცვალი ნელი გამოშრობის პროცესს.

II - დავაკვირდებით მარცვალში ნივთიერების დაგროვების დინამიკას (ისრიმობიდან რთველამდე, რთველიდან გადამუშავებამდე). შაქრიანობის მომატებას (კონცენტრაცია), მჟავიანობის კლებას, წყლის აორთქლების დინამიკას, კრებსის ციკლის შემცირებას, არომატული ნივთიერებების რთულ და ღრმა გარდაქმნის პროცესებს.

III - ვინიფიკაცია, საფუვრების სწორად შერჩევა, საფუვრის კვების სწორი შერჩევა, So2-ის სწორი, მიზანმიმართული გამოყენება, მაცერაცია, მიღებული ღვინის ხარისხზე ასახული, ყველა ამ ფაქტორის გავლენის შესწავლა.

Shota Barnovi
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Mariam Khositashvili
Doctor, Professor

Technological Processing for Production Dry Wine from Dried Grapes

The object of our research is the production of red, dry wine made from dried grape berries, taking into account the technology of Valpolicella Della Amarone.

The goal of the research is to study the Georgian varieties, namely Budeshuriserbi Saperavi and Saperavi:

I - observation of the physicochemical characteristics, determination the potential of the grape skin, epidermis, hypodermis, exocarp, and waxy layer, to find out how well the berries will undergo the slow drying process.

II - We will observe the dynamics of substance accumulation in the berries (from picking to harvest, from harvest to processing). Increase of sugar content (concentration), decrease in acidity, dynamics of water evaporation, decrease in the Krebs cycle, complex and deep transformation processes of aromatic substances.

III - Vinification (i.e. grape fermentation for wine making), proper selection of yeasts, and yeast nutrients, properly targeted application of So2, maceration, studying the influence of all above mentioned factors on the quality of the final product of wine.

დავით ბოხუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მირველაშვილი
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი


სამეგრელოს ენდემური ჯიშების აგრო-ეკოლოგიური პოტენციალის შესწავლა მარტვილის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ქვეყანაა, რასაც ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ლიტერატურული წყაროები, არქეოლოგიური ნაშთები, ეთნოგრაფიული მასალები და ადგილობრივი კულტურული ჯიშების სიმრავლე (525), რომლებიც, რეგიონების მიხედვით, დაყოფილია ენდემურ ჯგუფებად: ქართლის, კახეთის იმერეთის, სამეგრელოს. ჩამოთვლილ რეგიონებში ზოგიერთი მათგანი დღეს მხოლოდ საკოლექციო ნარგაობის სახითაა შემორჩენილი და უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, ნაწილი კი დაკარგულად ითვლება. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მცირედ გავრცელებული მეგრული ჯიშების (პანეში, მაჭყვატური) აგრო-ეკოლოგიური პოტენციალის შესწავლა მარტვილის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, საკოლექციო ნაკვეთებში, კერძოდ, ნახუნაოში ენთუზიასტი მევენახის ზაზა ხარებავას ნაკვეთში.

Davit Bokhua
Caucasus International University
Postgraduate Studies
Scientific Supervisor: Maia Mirvelashvili
Doctor, Associate Professor

Study of the Agroecological Potential of Endemic Varieties in the Samegrelo Region Using the Example of Martvili Municipality

Georgia is an ancient country of viticulture and winemaking. This is evidenced by surviving literary sources, archaeological remains, ethnographic materials, and the abundance of local grape varieties (525), which are grouped into endemic categories according regions: Kartli, Kakheti, Imereti, and Samegrelo. In these regions, some varieties have survived only as collectible plantings and remain mostly unknown to the public, while others are considered lost. Therefore, the aim of our research is to study the agro-ecological potential of less known Megrelian varieties (Paneshi, Matschkvaturi), using specifically, the collectible land(plot) belonging to the enthusiast vine-grower Zaza Kharebava in Nakhunao village in Martvili municipality.



სექცია
SECTION

მომავალი სტუდენტები
PROSPECTIVE STUDENTS

მოხსენებათა რაოდენობა:
The Number of Reports: **10**

მომხსენებელთა რაოდენობა:
The Number of Reporters: **15**

ნინო გაჩეჩილაძე
შპს „ღონე ქვეყნისა“
მე-11 კლასი
ხელმძღვანელი: მარი ნარჩემაშვილი
შპს „ღონე ქვეყნის“ მასწავლებელი

ახალი თაობა მდგრადი განვითარებისათვის

21-ე საუკუნეში კაცობრიობას გლობალური მასშტაბის მრავალი სერიოზული პრობლემა დაუდგა წინ, მათ შორის კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების შემცირება და, ზოგ შემთხვევაში, ამოწურვა, გარემოს დაბინძურება, სოციალური უთანასწორობა და გლობალური სიღარიბე. ეს გამოწვევები არ შემოიფარგლება ერთი ქვეყნის ირგვლივ - ისინი გავლენას ახდენენ მთელ მსოფლიოზე და პირდაპირ უკავშირდებიან ადამიანური ცივილიზაციის გადარჩენის საკითხს. აღნიშულ პრობლემათა მოგვარება კი შესაძლებელია მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმებების ხელმოწერით შეუძლებელია, თუ პროცესში აქტიურად არ ჩაერთო საზოგადოება. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ახალგაზრდა თაობა. მათი ენერგია, ახალი ხედვა და ინიციატივა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს ისეთი სამყაროს შესაქმნელად, რომელშიც ეკოლოგიური ბალანსი, სოციალური თანასწორობა და ეკონომიკური განვითარება ჰარმონიაში იქნება.

მდგრადი განვითარება იწყება იმ წუთიდან, როდესაც ახალგაზრდა აცნობიერებს, რომ მისი ყოველდღიური მცირე ქმედებაც კი მნიშვნელოვნად ცვლის სამყაროს. საზოგადოების მხრიდან მათი მხარდაჭერა და განათლება გადამწყვეტია, რათა ამ თაობამ არა მხოლოდ იოცნებოს უკეთეს მომავალზე, არამედ აქტიურად შექმნას იგი.

Nino Gachechiladze
“School Ghone Kveknisa” LTD
11th grade
Supervisor: **Mari Narchemashvili**
Teacher at “School Ghone Kveknisa” LTD

New Generation for Sustainable Development

In the 21st century, humanity faces numerous serious global challenges, including climate change, the depletion and, in some cases, exhaustion of natural resources, environmental pollution, social inequality, and global poverty. These challenges are not confined within the borders of any one country — they affect the entire world and are directly connected to the survival of human civilization. Addressing these issues is possible through the pursuit of sustainable development goals.

However, achieving these goals cannot be accomplished solely through the signing of international agreements unless society actively engages in the process. In this process, the younger generation plays a particularly important role. Their energy, fresh perspectives, and initiative represent a powerful force in creating a world where ecological balance, social equality, and economic growth exist in harmony.

Sustainable development begins the moment a young person realizes that even their small, everyday actions can significantly change the world. The support and education provided by society are crucial so that this generation not only dreams of a better future but actively works to create it.

ნინი გაბელაია
წმ. ალექსი შუშანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია
მე-11 კლასი
ხელმძღვანელი: რუსუდან მურღულია
წმ. ალექსი შუშანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მასწავლებელი

კონფლიქტი და კონტრასტები ლიტერატურის, პროზისა და პოეზიის გზაზე

რა ხდის წიგნს საინტერესოს? რა გიბიძგებთ, რომ გააგრძელოთ კითხვა, რათა გაიგოთ, რეალურად რა ხდება ნაწარმოებში? კონფლიქტი. დიახ, კონფლიქტი. ეს არის ნებისმიერი სიუჟეტის აუცილებელი ელემენტი, რომელიც წინ უძღვის თხრობას და აიძულებს მკითხველს მთელი ღამე გაათენოს ჭეშმარიტების ძიებაში. მსოფლიო ლიტერატურა სავსეა ისეთი შემოქმედებებით, სადაც ვხვდებით მძაფრ შინაგან დაპირისპირებას, რომელიც ხდება ერთ პერსონაჟში.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის არც ერთ ნაწარმოებს არ გამოუწვევია აზრთა ისეთი სხვადასხვაობა, როგორც „განდეგილს“. ეს ფაქტიც ადასტურებს ნაწარმოების დიდ ღირსებას. განდეგილისა და მწყემსი ქალის შეხვედრა მოხდა ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის პირველ საფეხურზე, როცა განდეგილი ჯერ გაორებული იყო. ამიტომ, მწყემსი ქალი სხვა არა არის რა, თუ არა განდეგილის მიერ უარყოფილი მიწიერი სინამდვილე, რომელიც ჯერ კიდევ ეძახდა ბერს.

ნაშრომში განხილული იქნება პოემაში არსებული კონფლიქტი და ჩემი თვალით დანახული ,,განდეგილი''. ცხადია, ამ ნაწარმოებში არის რაღაც ისეთი, რაც მკითხველს და კრიტიკულ აზრს დღესაც არ აძლევს ნებას აქციოს იგი მივიწყებული ისტორიის კუთვნილებად.

Nini Gabelaia
Orthodox School Gymnasium
Named After St. Aleksi Shushania
11th grade
Supervisor: Rusudan Murghulia
Teacher at Orthodox School Gymnasium
Named After St. Aleksi Shushania

Conflict and Contrasts on the Path of Literature, Prose, and Poetry

What makes a book interesting? What makes you want to continue reading to find out what is really happening in the work? Conflict. Yes, conflict. This is a necessary element of any plot, which precedes the narrative and forces the reader to stay up all night in search of the truth. World literature is full of works where we encounter intense internal conflict that occurs in one character. It is known that none of Ilia Chavchavadze's works has caused such a difference of opinion as "The Hermit". This fact also confirms the great dignity of the work. The meeting of the hermit and the shepherdess took place at the first stage of the relationship between man and God, when the hermit was still doubled. Therefore, the shepherdess is nothing other than the earthly reality rejected by the hermit, who still called himself a monk. The work will discuss the conflict in the poem and the "hermit" seen through my eyes. Clearly, there is something in this work that even today does not allow readers and critical thought to make it a part of history.

ნიკოლოზ ბეწუნაიძე
ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ალვანის საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
ხელმძღვანელი: ნანა პაპუნაშვილი
ენის ცენტრი ზემო ალვანში და იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

მოხალისეების როლი განათლებაში

განათლება მომავლის ფორმირებისთვის აუცილებელია, ხოლო მოხალისეები ამ პროცესს მნიშვნელოვნად აძლიერებენ. ისინი უზრუნველყოფენ აკადემიურ მხარდაჭერას, ახორციელებენ კლასგარეშე აქტივობებს, ეხმარებიან სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს და აძლიერებენ სკოლასა და საზოგადოებას შორის კავშირს. მოხალისეები ავსებენ რესურსების ნაკლებობას, უზრუნველყოფენ დამატებით გაკვეთილებს, მენტორობას და სტუდენტების მოტივაციას ზრდიან. სპორტული და კულტურული აქტივობები ავითარებს ბავშვებში ლიდერობასა და გუნდურობას. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობით მოხალისეები ხელს უწყობენ ინკლუზიურ გარემოს. ისინი აორგანიზებენ თემატურ ღონისძიებებს, აძლიერებენ საერთო პასუხისმგებლობის გრძნობას. მოხალისეობას სარგებელი მოაქვს თავად მოხალისეებისთვისაც, ავითარებს პროფესიულ და სოციალურ უნარებს. გამოწვევების გადასალახად საჭიროა გადამზადება და სტრუქტურირებული პროგრამები.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მხარდაჭერას შეუძლია თავდაჯერებულობისა და მოტივაციის ამაღლება. მოხალისეები განათლების სისტემის განუყოფელი და ღირებული ნაწილია.

Nikoloz Betsunaidze
Akhmeta Municipality Village Kvemo Alvani Public School
11th grade
Supervisor: Nana Papunashvili
Teacher at Language Centre in Zemo Alvani
and Iakob Gogebashvili Telavi State University

The Role of Volunteers in Education

Education shapes the future, and volunteers enhance it by offering academic support, leading extracurriculars, assisting special needs students, and fostering community ties. Volunteers help bridge learning gaps through tutoring and mentorship, making education more inclusive. They organize activities like sports and arts, developing students' leadership and creativity. Volunteers support special needs students with personalized strategies, promoting participation and empathy. They also strengthen school-community connections through events and initiatives, inspiring civic pride. Volunteers themselves gain skills, fulfillment, and valuable experience. Challenges like lack of training and inconsistent commitment can be addressed through workshops, flexible programs, and clear communication. Personally, mentorship helped me overcome fear in English, showing the deep impact volunteers can have. Overall, volunteerism enriches education, builds stronger communities, and nurtures a more equitable future.

ლელა წიქარიშვილი
ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ალვანის N1 საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
ხელმძღვანელი: ნანა პაპუნაშვილი
ენის ცენტრი ზემო ალვანში და იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

უცხო ენა: პირადი წარმატების გასაღები

ჩვენ განვიხილეთ, რომ არსებობს სამი ტიპის ენა: პირველი ენა, მეორე ენა და უცხო ენა. სამივე ენას აქვს თავისი დადებითი მხარეები, მახასიათებლები, რომლებიც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს. უცხო ენის შესწავლას ბევრი უპირატესობა და სარგებელი მოაქვს ადამიანისთვის და მისი განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტია და ჩამოვთვალეთ უცხო ენის შესწავლის ათი მნიშვნელოვანი მაგალითი. ენა, უბრალოდ, კომუნიკაციის ინსტრუმენტზე მეტია.

უცხო ენის შესწავლის დამატებითი სარგებელი: სოციალური კავშირების დამყარება, ინდივიდუალური სარგებელი, სამუშაო შესაძლებლობები, საზოგადოებისთვის სარგებელი და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობა. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გავხადოთ, შევიტანეთ რჩევები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სასწავლო პროცესში. პირველ რიგში დავაყენე მიზნის დასახვა, შემდეგ - რეგულარული პრაქტიკა, რათა არ დაგვავიწყდეს შესწავლილი მასალა, აუდიოვიზუალურ მასალებთან მუშაობა, საუბარში ვარჯიში, შეცდომების დაშვება. თუმცა, არ უნდა დავიხიოთ უკან და არ გადავუხვიოთ მიზანს, მოთმინება და თვითშეფასება, კულტურის გაგება მხოლოდ გრამატიკით და პრაქტიკით შეიძლება მოსაწყენი გახდეს, მაგრამ კულტურის შესწავლა გაამარტივებს და გააცოცხლებს სასწავლო პროცესს.

Lela Tsikarishvili
Akhmeta Municipality Village Zemo Alvani Public School N1
11th grade
Supervisor: Nana Papunashvili
Teacher at Language Centre in Zemo Alvani
and Iakob Gogebashvili Telavi State University

Foreign Language: Key to Personal Success

I discussed that there are three types of languages, these are: first language, second language and foreign language. All three languages have their positive sides, features that distinguish them from each other. I have emphasized that English is one of the most widely studied second languages in the world.Learning a foreign language has many advantages and benefits for a person and is an important aspect of his development, and I have listed ten significant examples of learning a foreign language. Language is more than just a communication tool. additional benefits of learning a foreign language: establishing social connections, individual benefits, job opportunities, benefits for societies, and promoting social justice. In order to make the learning process more interesting, I have included tips that play a major role in the learning process. I put goal setting in the first place, then regular practice so as not to forget the learned material, working with audio-visual materials, practicing in conversation, allowing for mistakes.However, we should not back down and not deviate from the goal, patience and self-esteem, understanding the culture only grammar and practice can become boring, but studying the culture will simplify and enliven the learning process.

მარიამ კინწურაშვილი
მოსე ხონელის სახელობის ქ. ხონის N1 საჯარო სკოლა
მე-10 კლასი
ხელმძღვანელი: შორენა კაკაბაძე
სსიპ მოსე ხონელის სახელობის
ქ.ხონის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

ტექნოლოგიების ერა

ტექნოლოგიებს ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩემი აზრით, ისინი ცხოვრებას ამარტივებენ, აჩქარებენ და უფრო კომფორტულს ხდიან. პირველ რიგში, ტექნოლოგიები ადამიანებს კომუნიკაციაში ეხმარება. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია წამებში დავუკავშირდეთ მეგობრებს ზარით ან მესიჯით. ასევე, შეგვიძლია ინტერნეტით სწრაფად მოვიძიოთ ინფორმაცია. ბევრი ადამიანი ყოველდღიურად იყენებს ტექნოლოგიებს. სტუდენტები კომპიუტერებს იყენებენ სასწავლებლად, თანამშრომლები — დავალებების სწრაფად შესასრულებლად, ხოლო ექიმები — პაციენტების დასახმარებლად.

ტექნოლოგიები ყველგანაა — სახლში, სკოლაში და სამსახურში. პრეზენტაციაში ვისაუბრებ სხვადასხვა ტექნოლოგიებზე. მიკროჩიპები პატარა ნაწილებია მოწყობილობებში, რომლებიც მათ მუშაობაში ეხმარებიან. Face ID საშუალებას გვაძლევს ტელეფონი სახის მეშვეობით განვბლოკოთ. QR კოდები სპეციალური სურათებია, რომელთა დასკანირებით ვხსნით ვებსაიტებს ან ვიღებთ ინფორმაციას. ღრუბლოვანი კომპიუტერიზაცია გვაძლევს შესაძლებლობას, დოკუმენტები ონლაინში შევინახოთ და ნებისმიერი მოწყობილობიდან გავხსნათ. ხმოვანი ასისტენტები, როგორებიცაა Siri და Alexa, გვიმარტივებენ საქმეებს ხმით.

დასასრულს, ტექნოლოგიები ძალიან სასარგებლოა ყველასთვის. ისინი გვეხმარებიან განათლებაში, მუშაობაში და თავისუფალ დროს. მჯერა, რომ ტექნოლოგიები მომავალშიც განაგრძობენ განვითარებას და ჩვენს ცხოვრებას კიდევ უფრო გააუმჯობესებენ.

Mariam Kintsurashvili
Mose Khoneli N1 Public School
10th grade
Supervisor: Shorena Kakabadze
Principal at LEPL Mose Khoneli N1 Public School

The Era of Technology

Technology plays a very important role in our daily lives. In my opinion, it makes life easier, faster, and more comfortable. First of all, technology helps people to communicate. For example, we can call or message our friends in seconds. Also, we can use the internet to find information quickly. Many people use technology every day. Students use computers to study, workers use programs to finish tasks faster, and doctors use machines to help patients. Technology is everywhere - at home, at school, and at work. In my presentation, I talked about different technologies. Microchips are small parts inside devices that make them work. Face ID helps people unlock their phones by using their faces. QR codes are special pictures that we can scan to open websites or get information. Cloud computing lets us save documents online and open them from any device. Voice assistants, like Siri and Alexa, help us do things by speaking. In conclusion, technology is very useful for everyone. It helps us in education, work, and free time. I believe that technology will continue to grow and make our lives even better.

ნიკოლოზ ბარბაქაძე
სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ეწერის საჯარო სკოლა
მე-12 კლასი
ეკატერინე ტუკვაძე
სსიპ ქ. სამტრედიის N12 საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
ხელმძღვანელი: მარინე ჟღენტი
სასწავლო ცენტრი „პირამიდას“ მასწავლებელი

გათავისუფლება ძალადობისაგან

ძალადობა მხოლოდ საკუთარი უძლურების აღირებაა. ძალადობენ ისინი, ვინც ურთიერთობაში ძალაუფლებას ეძებენ და არა სიყვარულს - წერდა ამერიკელი ფსიქოთერაპევტი და ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის თეორიტიკოსი როლო რიზ მეი(1909-1994) კოლუმბიის, ჰარვადის, იერის, ნიუ-იორკის წამყვანი პროფესორი... იგი ცდილობდა განეხილა ძალადობისაგან გათავისუფლების ჭეშმარიტი გზები, შესაბამისად, ყოფიერების ძირითად პრინციპებს შეხებოდა და ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა დაეყენებინა ძალადობაზე მაღლა. ძალადობაზე უარი იმთავითვე ნიშნავს უარს შიშსა და შიშით განპირობებულ დანაშაულზე. დანაშაულის ჩამდენები, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების ცნობილი სახეებიც კი არიან. არაფერია შენიღბულ და კრავის ქურქში გახვეულ ძალადობაზე უარესი.

ქართულ რეალობაში ბევრი თვალსაჩინო პრობლემა არსებობს, რომლებიც ჩვენს გვერდით თანაცხოვრობს, „ჭამს“ახალგაზრდობის სულსა და გონებას.

სხვისი ტკივილი რომ გესმოდეს, თავად უნდა გტკიოდეს. ყველაზე ჰუმანისტი ვაჟა-ფშაველა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სკოლის მასწავლებელი იყო, გაკვეთილებს იწყებდა შეგონებით ,,გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი“!

ერთმანეთი რომ გვიყვარდეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავთავისუფლდეთ სხვაზე ძალადობის სურვილებისაგან.

მასწავლებლობა ჯილდოა, პატივია და თუ გერგო, ღირსეულად უნდა ატარო ეს ტვირთი.

თავისუფალი, ღირსეული, კაცთმოყვარე და განათლებული მასწავლებელი არასოდეს გახდება მოძალადე და შესაბამისად აღზრდის თაობებს, რომლებიც საკუთარ ნაკლს პირველნი აღიარებენ, რადგან დიდი ნიჭია „ჭირთა თქმა“.

თუ ჩვენს მარცხს ვაღიარებთ, ავმაღლდებით და, შესაბამისად, გვეცოდინება, რომ „მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო“(ვაჟა-ფშაველა). დროა, ვილაპარაკოთ მხოლოდ ქართულად და ქართულ პრობლემებზე. ჩვენი მთავარი სლოგანია - **ძალადობისაგან გათავისუფლება.**

Nikoloz Barbakadze
Samtredia Municipality Village Etseri Public School
12th Grade
Ekaterine Tukvadze
N12 Public School of Samtredia
11th Grade
Supervisor: Marine Jghenti
Teacher at "Pyramid" Educational Center

Liberation from Violence

Violence is merely the acknowledgment of one's own powerlessness.Those who seek power, not love, in relationships are the ones who resort to violence - wrote the American psychotherapist and existential psychology theorist Rollo Reece May (1909–1994), a distinguished professor at Columbia, Harvard, Yale, and New York Universities.

He sought to explore the true paths to liberation from violence and, accordingly, to address the fundamental principles of existence, placing personal responsibility above violence.

Rejecting violence from the outset means also rejecting fear and the crimes driven by fear.

Often, even well-known members of society are among those who commit such crimes.

There is nothing worse than violence disguised and cloaked in the fleece of a lamb.

In Georgian reality, there are many obvious problems that coexist with us — they “consume” the souls and minds of our youth.To understand another’s pain, you must feel pain yourself.The most humanistic figure, Vazha-Pshavela, even back when he was a schoolteacher, began his lessons with the exhortation: “Love one another, people!”

To truly love each other, first and foremost, we must rid ourselves of any desire to dominate or be violent toward others.To be a teacher is an honor, a privilege, and if it is bestowed upon you, you must carry this burden with dignity.

A free, dignified, compassionate, and educated teacher will never become an abuser, and will therefore raise generations who are the first to recognize and admit their own faults - for it is a great talent to be able to “speak of one’s hardships.”

If we acknowledge our own failures, we rise above them, and thus we understand that, as Vazha-Pshavela once said,“Freedom is not only expressed in saying, writing, or doing what you want.”It is time to speak — only in Georgian, and about Georgian problems.Our main slogan:Liberation from violence.

ანანო კუკავა, ელენე გოგიბერია
ქ. ზუგდიდის N10 საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
ხელმძღვანელი: ირმა ყალიჩავა
სსიპ ქ.ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის მასწავლებელი

არაფორმალური განათლების როლი ფორმალურ განათლებაში

არაფორმალური განათლება მექანიზმია, რომელიც ფორმალურ განათლებას ავსებს და მის გაძლიერებას უწყობს ხელს. დღეს ორივე ფორმის განათლება ერთნაირად მნიშვნელოვანია.

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლში არაფორმალური განათლების დანერგვა მოსწავლის ინტერესების/მიდრეკილებების გამოვლენაზე, კარიერულ წინსვლაზე, პასუხისმგებლობის, ავტონომიურობის ხარისხის გაზრდაზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზეა დაფუძნებული და ხელს უწყობს ეროვნული ფასეულობების ჩამოყალიბებას, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, ჰოლისტური, ლიდერული, სამეწარმეო, წიგნიერების, ციფრული, ცხოვრებისეული, სოციალურ-კულტურული, ესთეტიკური, შემოქმედებითი, კვლევა-ძიების, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების უნარების განვითარებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

სკოლა არაფორმალური განათლების განვითარებისათვის გამოყოფს პრიორიტეტულ მიმართულებებს: სწავლების თავისუფალი სტილს, ხელმისაწვდომობას, პროფორიენტაციის ხელშეწყობას, სოციალიზაცია და თემთან ურთიერთობას, შესაძლებლობების აღმოჩენას, თვითშეფასების ჩამოყალიბებას, რემედიაციას, ინკლუზიურ გარემოს, სკოლის კულტურის გამდიდრებას.

სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის შექმნილია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული კლუბები:

- ინგლისური ენის კლუბი
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი
- ისტორიის კლუბი
- სამოქალაქო განათლების კლუბი
- ლიტერატურის კლუბი
- სპორტული კლუბი.

სკოლაში არაფორმალური განათლების განვითარებისათვის ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და გასვლითი ღონისძიებები – შემეცნებითი ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიულ ადგილებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, ნაკრძალებში, კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, კონფერენციებში მონაწილეობა, გარემოს დაცვითი, საქველმოქმედო აქციები, გამოფენები, ტრენინგები, სემინარები, ბანაკები, გაცვლითი პროგრამები.

სკოლა არაფორმალური განათლების დანერგვით მოსწავლეებს ამზადებს რთული, გამოწვევებით სავსე ცხოვრებისთვის.

Anano Kukava, Elene Gogiberia
N10 Public School of Zugdidi
11th Grade
Supervisor: Irma Kalichava
Teacher at N10 Public School of Zugdidi

Non-formal Education's Role in Formal Education

Non -formal education is a mechanism that complements formal education. Today, both forms of education are equally important.

Non – formal education helps students to discover their attitudes , express better their interests advance their carrier and increase their level of responsibility and autonomy.

Non – formal education promotes literacy, digital life, social- cultural, esthetic, creative, critical thinking, argumentative reasoning, decision making, developing problem solving systemic thinking skills and developing competencies relevant to modern requirements.

In formal activities they are more independent and they often have the chance to be leaders which increases their self- esteem and responsibility, remediation and enrich school culture.

To promote non-formal education at LEPL Zugdidi Public School N10 is focused on the interests and needs of students, have been created :

English Language Club

Science Club

History Club

Civics Club

Literature Club

Sports Club

For the implementation of non-formal education, a fairly common form of outreach activities for LEPL Zugdidi Public School N10 is educational excursions to museums, historical sites, scientific laboratories .

Attending cultural events in nature reserves, participating in conferences, environmental clean- ups green plantings, seminars, camps, exchange programs.

LELP Zugdidi Public School N10 prepares students for full of complex and challenging life.

დიანა ძიგუა
ქ. ზუგდიდის N10 საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
ლილია კაკულია
ქ. ზუგდიდის N10 საჯარო სკოლა
მე-7 კლასი
ხელმძღვანელი: ირინე ფარცვანია
ქ. ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის მასწავლებელი

მარტივი ექსპერიმენტებითა და დაკვირვებით ცოცხალი სამყაროს შეცნობა/შესაწავლა

საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწავლების მთავარი მიზანია აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მათ კვლევის უნარ-ჩვევები. სკოლა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მნიშვნელოვან როლს ანიჭებს კონსტრუქტივისტულ, მოსწავლის შესაძლებლობებზე, ინტერესებზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს და ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და მსჯელობის უნარის განვითარებას, რომელიც მათ შემდგომ საქმიანობაში გამოადგებათ.

სკოლა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მიმართავს სიმულაციის ტიპის საგანმანათლებლო პროგრამებს და იყენებს მეთოდებს: მიკროპრეპარატების მომზადება, მიკროსკოპის მოხმარება, მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება, დაკვირვების წარმოება და მონაცემების ბიომეტრიული ანალიზი.

მიმდინარე სასწავლო წელს ,,ფოლდსკოპ საქართველოსთან" (შპს ,,საქართველოს სამეცნიერო ინდუსტრიების" ბრენდი) თანამშრომლობით სკოლაში ინერგება ინოვაციური სამეცნიერო-საგანმანათლებლო ლაბორატორიული აღჭურვილობა "ფოლდსკოპის" მოდელის მიკროსკოპები და დამხმარე ციფრული საგანმანათლებლო პორტალი.

,,ფოლდსკოპი" წარმოადგენს სრულფასოვან სამეცნიერო-კვლევით მიკროსკოპს და გათვლილია საველე პირობებისთვის, არ საჭიროებს დენის წყაროს და არის ბევრად უფრო იაფი, ვიდრე სხვა მსგავსი შესაძლებლობის მქონე მიკროსკოპები.

,,ფოლდსკოპი" საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული ექსპერიმენტების ჩასატარებლად. პროცესში ხდება დაკვირვება - ახდენს თუ არა ეს უკანასკნელი გავლენას მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე და ზრდის თუ არა მოსწავლეებში ინტერესს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ "ფოლდსკოპის" მიკროსკოპები შეტანილია 135-ზე მეტ ქვეყანაში.

ზემოაღნიშნული მიდგომებითა და მეთოდებით სკოლაში ჩამოყალიბდება მოსწავლეების მხარდაჭერისკენ მიმართული სასწავლო გარემო, გამოუმუშავდებათ მეცნიერული კვლევა-ძიების, მონაცემთა მოგროვებისა და მათემატიკური აპარატის ანალიზის გამოყენებით, დასკვნის გამოტანის უნარები. მოსწავლეებს შეექმნებათ პოზიტიური განწყობა, ინტერესი მეცნიერული კვლევისა და საგნის მიმართ.

Diana Dzigua
N10 Public School of Zugdidi
11th Grade
Lilia Kakulia
N10 Public School of Zugdidi
7th Grade
Supervisor: **Irine Partsvania**
Teacher at N10 Public School of Zugdidi

Understanding/Studying the Living World through Simple Experiments and Observation

The main goal of teaching natural sciences to LEPL Zugdidi Public School N10 is to share the basics of science with students and develop their research skills. The school attaches an important role to constructivist teaching methods that are focused on the student's abilities and interests when teaching science subjects, it promotes the development of logical thinking, analysis, and reasoning skills, which will be useful in their future careers.

When teaching science subjects, the school uses simulation-type educational programs and methods such as: preparing micro-preparations, using a microscope, conducting simple experiments, making observations, and biometric analysis of data.

In the current academic year, in collaboration with "Foldscope Georgia" (a brand of "Georgian Scientific Industries" LLC) school is introducing innovative scientific and educational laboratory equipment, including "Foldscope" model microscopes and a supporting digital educational portal.

"Foldscope" is a full-fledged scientific research microscope designed for field conditions, does not require a power source, and is much cheaper than other microscopes with similar capabilities.

The "Foldscope" is actively used in science teaching to conduct practical experiments. The process is being monitored to see whether the latter has an impact on student's academic performance and whether it increases students' interest in natural sciences.

It is noteworthy that Foldscope microscopes have been introduced to more than 135 countries.

The above-mentioned approaches and methods will create a supportive learning environment for students at school, and develop the skills of scientific research, data collection, and drawing a conclusion using mathematical analysis. Students will develop a positive attitude and interest in scientific research and the subject.

ანასტასია ასტამაძე, მარიამ მეზურნიშვილი
ქ. თბილისის N212 საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
ხელმძღვანელი: მედიკო მირზაშვილი
სსიპ ქ.თბილისის N212 საჯარო სკოლის დირექტორი

ქალთა უფლებები

ქალთა უფლებები გულისხმობს ქალების თანასწორობას ყველა სფეროში - განათლებაში, პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ქალები ბევრ უფლებას იყვნენ მოკლებულნი, მე-19 საუკუნიდან მათმა ბრძოლამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო, როგორებიცაა ხმის მიცემის უფლება და განათლებაზე წვდომა.

დღესაც არსებობს პრობლემები, მაგალითად, ქალების დაბალი ანაზღაურება ან პოლიტიკური ჩაგვრა, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც ფემინიზმზე ან თანასწორობაზე ღიად საუბრობს. საქართველოში გენდერული სტერეოტიპები ხშირად ზღუდავს ქალთა თავისუფლებას და თვითრეალიზაციას. მიზანი უნდა იყოს ფორმირება ისეთი საზოგადოებისა, რომლის უფლებები და შესაძლებლობები სქესზე არაა დამოკიდებული.

Anastasia Astamadze, Mariam Mezurnishvili
N212 Public School of Tbilisi
11th Grade
Supervisor: Mediko Mirzashvili
Principal at N212 Public School of Tbilisi

Women's Rights

Women's rights aim to ensure equal social, political, economic, and cultural opportunities for women. Historically denied basic rights like voting and education, women began organizing for equality in the 19th century. Major achievements, such as suffrage and access to education, improved their role in society. Yet, challenges remain — gender based violence, wage gaps, limited political representation, and harmful stereotypes persist globally and in places like Georgia. Education, awareness, and inclusive policies are key to progress. True equality means creating a society where rights and opportunities aren't defined by gender.

ანანო ზარქუა, ანანო ჯიჯიაშვილი
სსიპ ქ. თბილისის N212 საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
ხელმძღვანელი: მედიკო მირზაშვილი
ქ. თბილისის N212 საჯარო სკოლის დირექტორი

მენტალური ჯამრთელობა და მისი მნიშვნელობა

მენტალური ჯანმრთელობა ისეთივე აუცილებელია, როგორიც ფიზიკური. ის განსაზღვრავს ჩვენს ფიქრებს, ემოციებსა და ქცევას. შფოთი და დეპრესია აქტუალურია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, მათი გამოუთქმელი ემოციები მტკივნეულ ბრძოლებად იქცევა.

ცნობიერების ამაღლება, მხარდაჭერა და ტაბუების დამსხვრევა საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთს დავეხმაროთ. მენტალურად ჯანმრთელი ადამიანი უკეთესად სწავლობს, უყვარს და ცხოვრობს. მენტალური ჯანმრთელობა პრიორიტეტი უნდა იყოს ყველგან - სკოლაში, ოჯახში და საზოგადოებაში.

Anano Zarkua, Anano Jijiashvili
N212 Public School of Tbilisi
11th Grade
Supervisor: Mediko Mirzashvili
Principal at N212 Public School of Tbilisi

Mental Health and its Importance

Mental health is as essential as physical health. It shapes how we think, feel, and act. Sadly, many still ignore mental illnesses like depression or anxiety, treating them as weaknesses. But they are real, serious, and deserve attention. Especially for young people, unspoken emotions grow into silent struggles. By raising awareness, offering support, and breaking taboos, we help others heal. A mentally healthy person can learn, love, and live better. Mental wellness must be a priority in every community, home, and school.

WWW.CIU.EDU.GE